



**ევროგაერთიანების
აღმოსავლეთის პარტნიორობის
პროგრამა და საქართველოს
ინოვაციური განვითარების პერსპექტივები**

www.inovdev.ge

წინამდებარე წიგნი მომზადდა ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის "აღმოსავლეთის პარტნიორობაში მონაწილე არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომელთა ცოდნის ამაღლება ინოვაციის სფეროში" ფარგლებში.

წიგნი მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლების, საჯარო მოხელეებისა და, საერთოდ, დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ევროკავშირში საინოვაციო პოლიტიკისა და საქართველოში საინოვაციო სფეროში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. წიგნი მკითხველს წარმოუდგენს ქვეყნის საინოვაციო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს ევროპული სამეზობლო პროგრამის (EaP) კონტექსტში. წიგნი წარმოუდგენილი მასალა ასახავს შემდეგ მიმართულებებს:

- საინოვაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტიანი მართვა: შესაძლებლობები აღმოსავლეთის პარტნიორობის ჩარჩოებში
- აღმოსავლეთის პარტნიორობა როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი: ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები
- აღმოსავლეთის პარტნიორობა როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი: სამრეწველო საკუთრების დაცვა
- აღმოსავლეთის პარტნიორობა როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი: საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში
- საინოვაციო პროცესები ენერგოსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში: ხედვა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან
- აღმოსავლეთის პარტნიორობა: განათლებისა და მეცნიერების როლი ადამიანთა შორის ურთიერთობის გაღრმავებაში.

წიგნის თავები, ლიტერატურა და წიგნის მომზადებისას გამოყენებული დოკუმენტური მასალის ინტერნეტ-მისამართები წარმოუდგენილია ასოციაცია ეგსიგ ვებ-საიტზე www.inovdev.ge

ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები



დაფინანსებულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მიერ

ISBN 978-9941-0-3679-8

თბილისი 2011

ევროგაერთიანების აღმოსავლეთის
პარტნიორობის პროგრამა და
საქართველოს ინოვაციური
განვითარების პერსპექტივები

გამოცემა მომზადებულია ფონდის
„ღია საზოგადოება – საქართველო“
მხარდაჭერით



ასოციაცია
ESIDG

თბილისი
2011

რედაქტორი:

იოსებ გოგოძე

ავტორები:

ინეზა გაგნიძე

დავით გაბუნია

თამაზ მარსაგიშვილი

ოლეგ შატბერაშვილი

ლიტერატურული რედაქტორი:

დარეჯან სიდაშელი

ტექნიკური რედაქტორი:

მზია ღოღელიანი

თარგმანი:

ვალერი სარჯველაძე

გარეკანის დიზაინი:

მამუკა სულხანიშვილი

წინამდებარე გამოცემა მომზადდა ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ მხარდაჭერით. პუბლიკაცია არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ თვალსაზრისს და მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ასოციაცია „აპროუზული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“.

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის ასოციაციას „აპროუზული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“.
წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© ასოციაცია „აპროუზული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“, 2011

ISBN 978-9941-0-3679-8

UDC 339.923:061.1(4)+37+339.924+330.34+001.895მ-35

THE EU EASTERN PARTNERSHIP
PROGRAMME AND PROSPECTS
OF INNOVATIVE
DEVELOPMENT OF GEORGIA

**Publication has been prepared with the support
of the OPEN SOCIETY GEORGIA Foundation**



Association
ESIDG

Tbilisi
2011

Editor: Joseph Gogodze

Authors: Ineza Gagnidze
David Gabunia
Tamaz Marsagishvili
Oleg Shatberashvili

Proof-reader: Darejan Khidasheli

Layout: Mzia Ghogheliani

Translation: Valeri Sarjveladze

Cover design: Mamuka Sul Khanishvili

This publication has been prepared with the support of the *Open Society Georgia* Foundation. The views and opinions expressed in the publication do not necessarily coincide with those of the Open Society Georgia Foundation. *The contents of this publication is the sole responsibility of "European Studies for Innovation Development of Georgia".*

All rights reserved. No part of this publication may be reproduced in any form or by any means, electronic, mechanical or otherwise without the permission of the copyright owner.

© Association "European Studies for Innovation
Development of Georgia", 2011

ISBN 978-9941-0-3679-8
UDC 339.923:061.1(4)+37+339.924+330.34+001.8953-35

სარჩევნი

წინასიტყვაობა.....	7
ნაწილი I. საინოვაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტიანი მართვა	
თავი I. საინოვაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტიანი მართვა: შესაძლებლობები აღმოსავლეთის პარტნიორობის ჩარჩოებში.....	13
თ. შატბერაშვილი	
ნაწილი II. აღმოსავლეთის პარტნიორობა როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი	
თავი II. EaP და ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები.....	50
თ. შატბერაშვილი	
თავი III.სამრეწველო საკუთრების დაცვა.....	69
დ. გაბუნია	
თავი IV.EaP და საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში.....	125
თ. შატბერაშვილი	
ნაწილი III. საინოვაციო პროცესები ენერჯოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში	
თავი V.საინოვაციო პროცესები ენერჯოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში: სედეა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან.....	146
თ. მარხაგიშვილი	
ნაწილი IV. განათლებისა და მეცნიერების როლი ადამიანთა შორის ურთიერთობის გაღრმავებაში	
თავი VI.აღმოსავლეთის პარტნიორობა: განათლებისა და მეცნიერების როლი ადამიანთა შორის ურთიერთობის გაღრმავებაში.....	179
თ. გაგნიძე	
ლიტერატურა.....	217
რეზიუმეები.....	228
ანბროები.....	235

CONTENTS

Foreword	10
PART I. INNOVATION PROCESSES AND EFFICIENT COUNTRY MANAGEMENT	
Chapter I. INNOVATION PROCESSES AND EFFICIENT COUNTRY MANAGEMENT: OPPORTUNITIES WITHIN THE FRAMEWORK OF EASTERN PARTNERSHIP	13
<i>O. Shatberashvili</i>	
PART II. EASTERN PARTNERSHIP AS A MECHANISM (ENGINE) OF ECONOMIC INTEGRATION	
Chapter II. EaP AND SMALL AND MEDIUM INNOVATIVE ENTERPRISES	50
<i>O. Shatberashvili</i>	
Chapter III. PROTECTION OF INDUSTRIAL PROPERTY	69
<i>D. Gabunia</i>	
Chapter IV. EaP AND INNOVATION PROCESSES IN AGRICULTURE	125
<i>O. Shatberashvili</i>	
PART III. INNOVATION PROCESSES IN ENERGY SAFETY AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT	
Chapter V. INNOVATION PROCESSES IN ENERGY SAFETY AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT: VIEWS FROM WEST AND EAST	146
<i>T. Marsagishvili</i>	
PART IV. THE ROLE OF EDUCATION AND SCIENCE IN THE INTENSIFICATION OF PEOPLE-TO-PEOPLE CONTACTS	
Chapter VI. EASTERN PARTNERSHIP: THE ROLE OF EDUCATION AND SCIENCE IN THE INTENSIFICATION OF PEOPLE-TO-PEOPLE CONTACTS	179
<i>I. Gagnidze</i>	
References	217
Summaries	228
Authors	235

წინასიტყვაობა

ასოციაციამ „**ევროპული გამომწვევები საქართველოს ინოვაციური განვითარებაში**“ მიზნად დაისახა მსოფლიოსა და საქართველოს საინოვაციო პოლიტიკა და პროცესების სისტემატური შესწავლა საქართველოში დაინტერესებული წრეების ინფორმირების მიზნით. ამ მიზნის დასახვა განაპირობა საქართველოში მეცნიერების რეფორმის თაობაზე მიმდინარე დებატებმა, სადაც მონაწილე მხარეების არასაკმაო ინფორმირებულობა გამოძვლავნდა. ასოციაცია მიზნის მიღწევას ცდილობს სათანადო კვლევის, სასემინარო მუშაობისა და პუბლიკაციების მეშვეობით. 2010 წელს გამოცემული პირველი წიგნი სათაურით „**მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია**“ მიეძღვნა მსოფლიო ევროკავშირში განხორციელებულ საინოვაციო პოლიტიკასა და საინოვაციო პროცესების სახელმწიფო მართვას. იგი საქართველოში მიმდინარე პროცესებს არ შეხება. წიგნი, რომელსაც ამჯერად ვთავაზობთ მკითხველს, მსოფლიო ტენდენციების ფონზე განიხილება საინოვაციო პოლიტიკისა და საინოვაციო პროცესების სახელმწიფო მართვის სფეროში საქართველოში არსებული მდგომარეობა.

წინამდებარე წიგნი მომზადდა ფონდ „**EIPA საზოგადოება - საქართველოს**“ მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „**აღმოსავლეთის პარტნიორობაში მონაწილე არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომელთა ცოდნის ამაღლება ინოვაციის სფეროში**“ ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლების (პირველ რიგში (EaP) ეროვნული პლატფორმის მონაწილეების¹) და საჯარო მოხელეების (სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების) ცოდნის ამაღლებას ევროკავშირში საინოვაციო პოლიტიკისა და საქართველოში საინოვაციო სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. პროექტი, აგრეთვე, მიზნად ისახავდა ზემოაღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის შეექმნა საერთო წარმოდგენა საინოვაციო პოლიტიკის როლის შესახებ ევროპის განვითარება-ინტეგრაციის პროცესში და იმის შესახებ, თუ რა არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით საქართველოში. წინამდებარე წიგნი ამ მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება განიხილებოდეს და დაინტერესებულ საზოგადოებას საცნობარო სახით წარმოუდგენს საინოვაციო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს ევროპული სამეზობლო პროგრამისა და, კერძოდ, აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის (EaP) კონტექსტში.

ინოვაციური განვითარების პროცესი ევროპაში 2011 წლამდე ლისაბონის სტრატეგიით, ანუ „ინოვაცია დასაქმებისა და ზრდისთვის“ (Innovation for Growth and Jobs, 2000) პროგრამით განისაზღვრებოდა და საზოგადოების საქმიანობის მრავალ სფეროს მოიცავდა. 2011 წლიდან მოქმედებს ახალი, „ევროპა - 2020“ პროგრამა, რომელიც

¹ EaP ეროვნული პლატფორმა წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციითა გაერთიანებას, რომლის მიზანი საქართველოში ევროინტეგრაციული პროცესის ხელშეწყობაა.

ლისაბონის სტრატეგიის შემდგომი განვითარებაა. ცნობილია, რომ ყველა წარმატებული ქვეყანა, მათ შორის ევროკავშირში შემაჯალიც და ევროკავშირი მთლიანად, ეკონომიკას საინოვაციო პოლიტიკის საფუძველზე ანვითარებს. ეს ფაქტი საქართველოში, ისევე, როგორც EaP ქვეყნების უმრავლესობაში ნაკლებადაა გაცნობიერებული. საქართველოს მიერ ოფიციალურად გაცხადებული ევროინტეგრაციის კურსის მიუხედავად, ქართულ საზოგადოებაში შეინიშნება ქვეყნის განვითარებისთვის კვლევისა და შემუშავების და, უფრო ფართოდ, საინოვაციო პოლიტიკის როლის შესახებ ცოდნის ნაკლებობა. ამას ადასტურებს მეცნიერების რეფორმის თაობაზე ხანგრძლივი დისკუსია და საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის უქონლობაზე უცხოელი პარტნიორების არაერთი მითითება (მაგალითად, TESIS პროექტში „საქართველოს მეცნიერების პოლიტიკის შეფასება“, 2007 წელი).

ევროკავშირის EaP პროგრამა ევროინტეგრაციის ახალ საფეხურად მოიაზრება, რომელიც მონაწილე ქვეყნებისთვის ახალ შესაძლებლობებს წარმოშობს. მაგრამ მისი ეფექტიანობა დიდად იქნება დამოკიდებული ევროპასა და მონაწილე ქვეყნებში საინოვაციო პოლიტიკის მნიშვნელობის გაცნობიერებაზე. სხვა სიტყვებით, საქართველოში წარმატებას ინოვაციურ განვითარებაზე საზოგადოებრივი დაკვეთის ჩამოყალიბება განსაზღვრავს.

როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად ევროკომისიამ მიიღო ახალი, 2020 წლამდე, პროგრამა, რომელიც რამდენიმე საინოვაციო პროგრამის კრებულს წარმოადგენს. ერთ-ერთი პროგრამა სახელწოდებით „ინოვაციური კავშირი“ (Innovation Union), ლისაბონის სტრატეგიის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოების ბერლინის ფორუმზე (18-19 ნოემბერი, 2010 წ.), რომელშიც ასოციაცია „ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“ (ასოციაცია ევსიგ) მონაწილეობდა, სამუშაო ჯგუფმა *ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკებთან დაახლოება* მკაფიოდ მოითხოვა ევროკომისიისა და მონაწილე ქვეყნების მთავრობებისგან ამ ფაქტის ასახვა EaP ღონისძიებებში. საკითხის მნიშვნელობა ცდება მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ფარგლებს და მოიცავს, აგრეთვე, ქვეყნის უკეთესად მართვას, მცირე და საშუალო საწარმოების პრობლემებს, ენერგოუსაფრთხოებასა და მდგრად განვითარებას, ადამიანებს შორის კონტაქტების გაღრმავებასა და სხვა, ანუ EaP ყველა პლატფორმისა და სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგს ენება. ამდენად, „ევროპა – 2020“ სტრატეგიის შესწავლა და მისი საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე პროექცია, ისევე როგორც მიღებული შედეგების EaP მონაწილეებს შორის გავრცელება, EaP წარმატებისთვის პრინციპული მნიშვნელობისაა.

წინამდებარე წიგნში მიმოხილულია: ევროკავშირის ინოვაციური განვითარების პრინციპები, ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით საქართველოში არსებული მდგომარეობა, EaP წარმატებისთვის და EaP სამუშაო ჯგუფების/პლატფორმების საქმიანობაში საინოვაციო პოლიტიკის მნიშვნელობა. წიგნში წარმოდგენილი მასალა ასახავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს, რომლებსაც წიგნის შესაბამისი თავები ეძღვნება:

1. საინოვაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტური მართვა: შესაძლებლობები აღმოსავლეთის პარტნიორობის ჩარჩოებში
2. აღმოსავლეთის პარტნიორობა, როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი: სამრეწველო საკუთრების დაცვა; ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები; საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში
3. საინოვაციო პროცესები ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში: ხედვა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან
4. აღმოსავლეთის პარტნიორობა: განათლებისა და მეცნიერების როლი ადამიანთა შორის ურთიერთობის გაღრმავებაში.

წიგნის ცალკეული თავები, ლიტერატურა და წიგნის მომზადებისას გამოყენებული დოკუმენტური მასალის ინტერნეტ-მისამართები წარმოდგენილია ასოციაცია ეგსიგ განახლებულ ვებ-საიტზე www.inovdev.ge. ამ გზით ისინი დაინტერესებული მკითხველი-სათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება.

წიგნის თვითოეულ თავში წარმოდგენილი საკითხები აგრეთვე განხილული იყო ასოციაცია ეგსიგის სემინარებზე, რომელთა მსვლელობისას გამართულმა დისკუსიებმა, გამოთქმულმა შენიშვნებმა და რეკომენდაციებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წიგნში მოტანილი მასალის წარმოდგენის გაუმჯობესებას.

ავტორები მადლობას უხდებიან ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“, ასოციაცია ეგსიგ წევრებსა და „ტექნიფორმის“ თანამშრომლებს მხარდაჭერისა და გაწეული დახმარებისთვის, აგრეთვე კოლეგებს, რომლებიც ცალკეული თავების განხილვაში იღებდნენ მონაწილეობას.

FOREWORD

The Association *European Studies for Innovative Development of Georgia* has set before itself a goal of regular studying of innovation policy and processes in the world and in Georgia to inform the interested circles in Georgia. The setting of this goal was conditioned by the ongoing in Georgia debates on the reform of science in the country, in the course of which insufficient awareness of the participants was revealed. The Association attempts to achieve the set goal through appropriate research, seminar-holding activity and relevant publications. The first book entitled *Multilevel Innovation Policy and European Integration*, published in 2001, is dedicated only to the public administration of innovation policy and innovation processes carried out in the European Union, without dealing with the relevant processes in Georgia. The book, which we offer to the reader now, considers the state of affairs in the sphere of public administration of innovation policy and innovation processes in Georgia, against the background of world tendencies.

The book has been prepared in the framework of the project *Innovation Awareness Raising of EaP Participant NGOs and Governmental Agencies Personnel* implemented with the support of the Open Society Georgia Foundation. The Project aimed at raising awareness of the staff of civil society organizations (in the first turn of participants of National Platform for the EaP¹) and of civil servants (representatives of ministries, departments and local government agencies) in the sphere of European innovation policy and the state of affairs in the sphere of innovation in Georgia. A large group of the above-mentioned organizations has gained some insight on the role of the innovation policy in the development of Europe and what is to be done in this direction in Georgia. This book can be considered as is one of the means if achieving the above goals. The book contains a comprehensive reference material to familiarize the interested public with different aspects of innovation policy in the context of the European Neighbourhood Programme and, in particular, the European Partnership Programme (EaP).

Until 2011, the innovation development process in Europe was defined by Lisbon Strategy, i.e. the 2000 Innovation for Growth and Jobs Programme, and encompassed many spheres of public activities. Since 2011, a new Europe 2020 Programme, the follow-up development of Lisbon strategy, has taken effect. It is known that all developed countries, without exception, including EU Member States, develop their economies on the basis of innovation policies. This fact is less comprehended in Georgia, as well as in most EaP countries. Notwithstanding Georgia's officially stated course for European integration, general public in Georgia is not well familiar with the role of R&D, and especially of innovation policies for the country's development. The protracted discussion on the science reform and numerous observations of foreign partners on the lack of innovation policy in Georgia (e.g. *Assessment of Science Policy in Georgia*, in the EU TACIS project, 2007) are clear evidence of the above.

¹ Georgian Civil Society National Platform for the EaP is a forum of civil society organizations aimed at facilitating the process of Georgia's integration into the European Union.

The EaP is considered as a new level of European integration, creating new opportunities for participating countries. Its effectiveness will, however, greatly depend on familiarization with and awareness of the significance of innovation policies in Europe and participating countries. In other words, Georgia will succeed on condition that the public order for innovation development is formed in the country.

As has been noted, the European Commission has adopted the new Europe 2020 Strategy (known as Europe 2020) as a replacement for the Lisbon Agenda. 'Innovation Union' is one of seven flagship initiatives announced as part of Europe 2020. At the Civil Society Organizations' Forum in Berlin (18-19 November 2010), where the Association "European Studies for Innovative Development of Georgia" (ESIDG) took part, the Working Group 2 *Economic Integration and Convergence with EU Policies* clearly asked East Partner countries governments and the EU to reflect this fact in the EaP activities. The importance of the matter is beyond the scope of economic development only and encompasses also better governance, problems of SMEs, energy security and sustainable development, the deepening of people to people contacts, etc, i.e. concerns the agenda of all thematic platforms and working groups of the EaP. Therefore, a study of the Europe 2020 Strategy and its projection on the situation existing in Georgia, also the circulation of the obtained results among the EaP partners, is fundamental for the EaP progress.

The book discusses: the principles of innovation development in EU, the state of affairs in terms of innovation development in Georgia and the importance of innovation policies in the activity of working groups/platforms of EaP. The material presented in the book reflects the following main directions considered under respective chapters. These are:

1. Innovation processes and the effective management of the country: possibilities within the Eastern Partnership framework.
2. The Eastern Partnership as an engine of economic integration: protection of intellectual property; innovative small and medium enterprises; innovation processes in agriculture.
3. Innovation processes in the management of energy security and environment: western and eastern views.
4. Eastern Partnership: the role of education and science in enhancing relationship among people

Individual chapters of the book, references, and the documentary material used in preparation of the book can be referred to on the updated website of ESIDG (www.inovdev.ge) to ensure maximum accessibility of the used factual material to the interested reader.

The matters presented in chapters have also been discussed at seminars held by ESIDG, and the comments and recommendations expressed in the course of such discussions have significantly improved the presentation of the material in the book.

The authors wish to thank members of the Open Society Georgia Foundation and TECHINFORMI employees for rendered support and assistance, as well as the colleagues who have taken part in the discussion of individual chapters.

ნაწილი I.

**საინოვაციო პროცესები
და
ქვეყნის ეფექტიანი მართვა**

თავი I

საინოვაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტიანი მართვა: შესაქმებლობები აღმოსავლეთის კარტინორების ჩარჩოვებში

ოლეგ შატბერაშვილი

“Innovation is as essential to a successful modern economy as water is to life. It is at the core of economic policymaking and the main way economies create jobs”.

Antonio Tajani, Commissioner for Industry and Entrepreneurship, 2011

1. შესავალი

ლიბერალური დემოკრატია, როგორც ქვეყნის მართვის დღემდე ცნობილი ყველაზე ეფექტური ფორმა, ფართოდაა აღიარებული მსოფლიოში. მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ძალებისა და ინტერესების შეჯიბრებითობა, თავისუფალი და პატიოსანი არჩევნები, კანონის უზენაესობა, ძალაუფლების დანაწევრება, ხელისუფლების კონსტიტუციური შეზღუდვა – მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობებია. ამავე დროს, მსოფლიო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ დემოკრატიის ერთსა და იმავე საფეხურზე მყოფი ქვეყნები, მოსახლეობის კეთილდღეობის თვალსაზრისით (მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდის, მისი განაწილებისა და ზრდის ტემპის, ადამიანური განვითარებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით) შეიძლება სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ, ეს ნაკლებადაა დაკავშირებული ბუნებრივ და ისტორიულ პირობებებთან, რადგანაც მრავლად გვაქვს წარმატებული ქვეყნების მაგალითები, რომელთა ისტორიული და ბუნებრივი პირობები ძლიერ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. „კარგი მმართველობა“ ან „უკეთესი მართვა“, რომელიც საბოლოო შედეგს იძლევა, პოლიტიკური სისტემის გარდა, დამოკიდებულია მართვის ხარისხზე. მმართველობითი გადაწყვეტილებების ხარისხს განსაზღვრავს ხელისუფლების ყველა შტოს კომპეტენცია. ითვლება, რომ დემოკრატია, დროთა განმავლობაში, ამ პირობასაც უზრუნველყოფს.

ეს, ალბათ, ასეც არის, მაგრამ რამდენი დრო იქნება საჭირო, თუ კომპეტენციას განსაკუთრებული ყურადღება არ ეთმობა?

საზოგადოებაში, რომელიც დემოკრატიულ მმართველობას აღიარებს, გადასაწყვეტი (სამართავი) საკითხების დღის წესრიგი ვრცელია. ტოტალიტარულ წყობას შეუძლია ამა თუ იმ ძნელად გადასაწყვეტი საკითხის ვოლუნტარისტულად მიჩუმება. დემოკრატიულ საზოგადოებაში ამის გაკეთება შეუძლებელია და სწორედ ეს უზრუნველყოფს მის მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში აღნიშნული დღის წესრიგი (საკითხთა რაოდენობა), ცალკეულ ქვეყნებში სპეციფიური საკითხების არსებობის მიუხედავად, ერთმანეთის თანაზომადია და ნაკლებადაა დამოკიდებული ქვეყნის სიდიდეზე. ნებისმიერი სიდიდის დემოკრატიული ქვეყნების დღის წესრიგში ცნობრებას განუწყვეტლივ შემოაქვს განსახილველად როგორც შიდა, ასევე გლობალური წარმოშობის ახალი საკითხები. საფსებით გასაგებია, რომ ცოდნა, რომელიც საჭიროა დემოკრატიული ქვეყნის მართვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, გაცილებით დიდია უშუალოდ გადაწყვეტილებების მიძღვებ ინსტიტუტებში მომუშავე ადამიანთა ჯამურ ცოდნაზე. ეფექტიანი სახელმწიფო მართვა ვერ განსორციელდება „ქკვიანი“ ადამიანების ელიტარული ჯგუფის მიერ „სადი აზრის“ საფუძველზე, როგორც ეს მე-19 საუკუნემდე ხდებოდა.

ეს გარემოება ცოდნის ხელმისაწვდომობის საკითხს სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებს. მსოფლიო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია ეროვნული კვლევითი სისტემებისა და მათთან ხელისუფლების ურთიერთქმედების მექანიზმების განვითარების გზით, თუმცა ეს გზა ქვეყნებისთვის (განსაკუთრებით განვითარებადისთვის) სერიოზული გამოწვევაა. ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისკენ სწრაფვა ხელისუფლებას უბიძგებს უკეთესი მართვის საშუალებების ძიებისაკენ. ამის გამო იგი სულ უფრო დამოკიდებული ხდება მის გარეთ არსებულ ცოდნაზე.

დღევანდელ პირობებში, როდესაც სახელმწიფოები განიცდიან შიდა და გარე ფაქტორთა მძლავრ ზეგავლენას, შეუძლებელია სამეცნიერო ექსპერტიზის გარეშე ხარისხიანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღება (განსაკუთრებით გრძელვადიანი სტრატეგიის საკითხებზე). მათი უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ კარგად ორგანიზებულ სამეცნიერო კვლევების სახელმწიფო სისტემას, რომელიც მუდმივ საწყისებზე ფუნქციონირებს და მოიცავს როგორც ჰუმანიტარულ, ასევე საბუნებისმეტყველო და დარგობრივ დისციპლინებს.

თუ რამდენად უმჯობესდება სახელმწიფო მართვა კვლევების დაკვეთისა და გამოყენების შედეგად, დამოკიდებულია მართვის/პოლიტიკის

კონკრეტულ სფეროზე, განსახილველ საგნობრივ დისციპლინაზე ან დარგზე, მთავრობის მზაობაზე მიიღოს რაციონალური რჩევა და იყოს კვალიფიციური, როგორც რჩევის მიმღები მხარე. მნიშვნელოვანია მთავრობის მეცნიერებასთან ორგანიზაციული კავშირის ბუნებაც.

მმართველებისა და პოლიტიკოსებისთვის ინფორმაციის წარმოდგენის მკაფიო და ადვილად აღსაქმელი ფორმები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე მეცნიერებაში მიღებული ფორმები.^{1, 2} ამ მიზეზით, მრავალ ქვეყანაში მთავრობები ერთი მხრივ ქმნიან სპეციალურ სამუშაოვლო სამსახურებს (მაგალითად პარლამენტების კვლევითი სამსახურები), ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო მოხელეები მეცნიერების სწავდასწავა სფეროში გადაამზადდებიან.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ქვეყნის უკეთესი მართვის მიზნით ხელისუფლებისა და კვლევითი სისტემის (და უფრო ფართოდ, ეროვნული საინოვაციო სისტემის) ურთიერთობის პრაქტიკას. საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება, რასაც განაპირობებს: ა) საქართველოს მიერ გაცხადებული მისწრაფება ევროინტეგრაციისკენ, რომელსაც მხარს უჭერს ევროკავშირი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველოსთვის სამოქმედო გეგმისა^{3, 4} და აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის (EaP) სახით⁵; ბ) ევროპაში მრავალი, საქართველოს ზომის სახელმწიფოს არსებობა, რომელთა გამოცდილების შესწავლა უდავოდ სასარგებლოა; გ) ევროკავშირის ახალი წევრი და წევრობის კანდიდატი ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც ახლახან გაიარეს საქართველოს გასავლელი გზა.

ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ეფექტურად გამოყენება, თუ მის მექანიზმს შემოქმედებითად მივუდგებით. საქართველოსთვის ევროინტეგრაციის პროცესი გაადვილდება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მართვა სამეცნიერო ექსპერტიზას დაეფუძნება, ხოლო ეკონომიკური პროცესები ინოვაციის გზით განვითარდება. ეს მიდგომა (საერთაშორისო პრაქტიკით, პირველ რიგში ევროპულით, შემოწმებული) ფართოდ

¹ Maurice Kogan. Modes of knowledge and patterns of power. Higher Education (2005) 49: 9–30

² M. Kogan and M. Henkel. Government and research: The Rothschild experiment in a government department. Heinemann Educational Books (London), 1983, 196 p.

³ European Neighbourhood and Partnership Instrument. GEORGIA. National Indicative Programme, 2007-2010 (ec.europa.eu/world/enp/pdf/country/enpi_csp_nip_georgia_en.pdf)

⁴ European Neighbourhood and Partnership Instrument. GEORGIA. National Indicative Programme, 2011-2013 (ec.europa.eu/world/enp/pdf/country/2011_enpi_nip_georgia_en.pdf)

⁵ ძირითადი დოკუმენტები შეგიძლიათ ნახოთ საიტზე EU External Action (eeas.europa.eu/eastern/docs/index_en.htm), ხოლო შინაარსი ქართულად საიტზე (eu-integration.gov.ge/index.php?que=geo/georgia_and_the_eu/east_partnership). სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, შეგიძლიათ ნახოთ „აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის კონცეფცია“ (www.gyla.ge/attachments/804_Koncepcia.doc)

უნდა გაიზიარონ პოლიტიკურმა ძალებმა და იგი კამათს არ უნდა იწვევდეს. ეს რომ განხორციელდეს მიდგომამ საზოგადოების ფართო მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს. წინამდებარე სტატიაში ნაჩვენებია იქნება, თუ როგორ ვითარდებოდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და ცოდნის ინსტიტუტებს შორის, როგორია იგი ამჟამად და რით განსხვავდება საქართველოში მართვის პრაქტიკა მოწინავე ქვეყნების პრაქტიკისგან.

2. სამეცნიერო პოლიტიკიდან საინოვაციო პოლიტიკისკენ (ისტორიული მიმოხილვა)

ურთიერთქმედება ხელისუფლებასა და მეცნიერებს შორის იწყება XVI-XVII საუკუნეებში დამოუკიდებელი უნივერსიტეტების ხელისუფალთა მიერ მხარდაჭერის ფორმით, რომელიც მეცენატობის ხასიათს ატარებდა, რეგულარული ვალდებულებების გარეშე. განათლებულ დიდებულთა მხრიდან მეცნიერების მიმართ ინტერესი განუწყვეტლივ იზრდებოდა, განსაკუთრებით სამეცნიერო სიანსებებისადმი, რომელსაც, ამავე დროს, მემამულეთა მხარდაჭერით, პრაქტიკული შედეგებიც მოჰქონდა, ძირითადად სოფლის მეურნეობაში, - (თესლობრუნვა, სელექცია, მოწყობილობების გამოყენება). XVII საუკუნის მიწურულს დაიწყო სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი *სამეცნიერო ინსტიტუტების* ჩამოყალიბება. პირველი იყო გერმანიის Deutsche Akademie der Naturforscher Leopoldina (1652).

XVII-XIX საუკუნეებში *მეცნიერების აკადემიები* დაფუძნდა დიდ ბრიტანეთში - ლონდონის სამეფო საზოგადოება - Royal Society of London (1660), საფრანგეთში - Academie des sciences (1666), რუსეთში - *Императорская Академия наук* (1724), აშშ-ში - National Academy of Sciences (1863). ეს იყო მეცნიერების ინსტიტუციონალიზაციის დასაწყისი. მეცნიერის საქმიანობა იქცა *პროფესიად*. საზოგადოებაში გაჩნდა განათლების ფუნქციისგან დამოუკიდებელი *კვლევითი ფუნქცია*. იმ პერიოდში მეცნიერება აღარ იყო შუასაუკუნეების *ფილოსოფია*. ის ჩამოყალიბდა *მყარ მეცნიერებად* (hard science), რომლის შედეგებით (ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიაში) კაცობრიობა ამჟამადაც წარმატებით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, მეცნიერებს ხელისუფლება, სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში ინმობდა (მოუსავლიანობის, ეპიდემიების დროს). კვლევის შედეგების ეკონომიკაში გადატანა ახლადჩასახული მრეწველობის საქმე იყო, თუმცა, ამ პროცესის სახელმწიფო რეგულირება *პატენტების გაცემის* ფორმით, უკვე არსებობდა.

XIX საუკუნეში სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბდა ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა სტანდარტების ბიუროები, აგროკვლევის ცენტრები. განვითარდა ეროვნული საპატენტო სამსახურები. მეცნიერების მოზიდვამ სახელმწიფო მართვის ამოცანების გადასაწყვეტად, რეგულარული ხასიათი მიიღო. XX საუკუნის დასაწყისში მოწინავე სახელმწიფოები სისტემატურად ზრუნავდნენ განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე. მაგალითად, შეერთებულ შტატებში შეიქმნა ჰიგიენის ეროვნული ლაბორატორია (Laboratory of Hygiene, 1887, რომელიც 1930 წელს გარდაიქმნა ცნობილ ჯანდაცვის ეროვნულ ინსტიტუტებად – NIH), სტანდარტების ეროვნული ბიურო (National Bureau of Standards, 1901), აერონავტიკის ეროვნული მრჩეველთა კომიტეტი (National Advisory Committee for Aeronautics, 1915). გაირკვა, რომ ეკონომიკის ზრდაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შენატანი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შრომისა და კაპიტალის. ამის მიუხედავად, წარმოებაში მეცნიერების შედეგების გამოყენება XX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი მხოლოდ საწარმოთა საქმე იყო. სახელმწიფოები, სამხედრო სფეროს გარდა, ამ პროცესში არ ერეოდნენ.

ხელისუფლებასა და მეცნიერებას შორის ურთიერთობის რადიკალური ცვლილება მოხდა მეორე მსოფლიო ომის პროცესში, რომელშიც მეცნიერებამ უდიდესი როლი შეასრულა. საკმარისია დავასახელოთ რადიოლოკაცია, რომელმაც ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის წარმატებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, პენიცილინის გამოგონება, რომელმაც ასობით ათასი დაჭრილის სიცოცხლე გადაარჩინა. შემუშავდა ბირთვული იარაღი, რომელმაც არნახული ძლევამოსილება შესძინა გამარჯვებულ სახელმწიფოებს. იყო სხვა უამრავი მიღწევა. ანტიფაშისტური კოალიციის ქვეყნებში მთავრობებმა ირწმუნეს მეცნიერების ძალა ომის შემდგომი ქვეყნის აღდგენისა და საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის მიმართულებით. საზოგადოება შეთანხმდა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს და მართოს მეცნიერება.

მე-20 საუკუნის მიწურულს, ხელისუფლების (საზოგადოების) მიერ მეცნიერების მიღწევების გამოყენების შესახებ წარმოდგენებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ერთი მხრივ, სახელმწიფო, სარჯავდა რა უზარმაზარ საზოგადოებრივ სახსრებს მეცნიერებაზე, ფიქრობდა ამ სახსრების მაღალ უკუგებაზე. მეორე მხრივ, აღმოჩნდა, რომ ეროვნული წარმოების კონკურენტული უპირატესობა სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა კერძო კომპანიების მიერ კვლევის წვდომაზე. მისი უზრუნველყოფა ხდება კომპანიების შიგნით კვლევაში სახსრების დაბანდებისა და საზოგადოებრივი სახსრების სარჯზე შესრულებული კვლევების გამოყენების გზით. ცხადი გახდა, რომ საზოგადოებრივ

და კერძო სექტორში მიმდინარე პროცესების შერწყმა და ოპტიმიზაცია დამატებით სარგებელს მოუტანდა საზოგადოებას, თუმცა, ამისთვის, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ქმედებების განხორციელება იყო საჭირო. ჩამოყალიბდა ამ პროცესების შესახებ მეცნიერული შეხედულებები და, აგრეთვე, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების კომპლექსი, რომელსაც დღეს სახელმწიფო (ან ეროვნული) საინოვაციო პოლიტიკა ეწოდება.

საინოვაციო პოლიტიკა დამახასიათებელია განვითარებული სახელმწიფოებისთვის, კერძოდ, ევროპული დიდი და მცირე ქვეყნებისთვის და ევროგაერთიანებისთვის მთლიანად. მის გაბატონებაში არსებითი როლი ითამაშეს აშშ-მ, საბჭოთა კავშირმა და იაპონიამ, ყოფილმა (ტაივანმა, სინგაპურმა, სამხრეთ კორეამ) და დღევანდელმა განვითარებადმა ქვეყნებმა (ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი, მალაიზია და სხვა). ცნობრებამ თვალნათლივ აჩვენა, რომ განვითარდნენ ის ქვეყნები, რომლებმაც შეიმუშავეს და განახორციელეს ეროვნული საინოვაციო პოლიტიკა. ევროგაერთიანება ეკონომიკური განვითარების ძირითად ინსტრუმენტად იყენებს საინოვაციო პოლიტიკას, რომელიც *ლისაბონის სტრატეგიის* სახელითაა ცნობილი.

ჩანართი 1

აპერიკის უპირტივულ შატაბერაშვილი სახელმწიფო საინოვაციო-კვლევითი პოლიტიკის ჩამოყალიბება

1944 წელს, როდესაც მცირე მსოფლიო ომი ჯერ დასრულებული არ იყო, აშშ-ის იმდროინდელმა პრეზიდენტმა, *ფრანკლინ რუზველტმა* დაავალა მისცა *სამეცნიერო კვლევისა და შემუშავების ოფისის* დირექტორს *ვანევარ ბუშს*, მოემზადებინა მოხსენება ომის პერიოდში მიღწეული სწრაფი სამეცნიერო პროგრესის ომის შემდგომ პერიოდში გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ. დაავალებაში იგი წერდა: „ახალი გონებრივი საზღვრები ჩვენს თვალსაწიერში და თუ მათ გაზღას ისეთივე ხედვით, გამბედაობითა და მონდომებით შევუდგებით, როგორც ეს ომი ჩავატარეთ, ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ უფრო სრულ და ნაყოფიერ დასაქმებასა და უფრო სავსე და ნაყოფიერ ცხოვრებას“.

მოხსენებას, რომელიც ვანევარ ბუშმა მოამზადა, ეწოდა „მეცნიერება: თვალუწვდენელი საზღვრები“. მოხსენებაში ჩამოყალიბდა მეცნიერების სახელმწიფო მართვის პრინციპები, რომელიც დიდწილად დღესაც აქტუალურია: მრეწველობაში კვლევაზე გაწეული ხარჯების დასაბეგრი თანხებიდან გამოქვითვა; საპატენტო კანონის დახვეწა იმგვარად, რომ იგი მრეწველობაში კვლევებს არ უშლიდეს ხელს; მთავრობასთან *სამეცნიერო საბჭოს* შექმნა, რომელიც მთავრობისგან დამოუკიდებელი მეცნიერებისაგან შედგება; უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო გრანტების სისტემის შექმნა; *ეროვნული სამეცნიერო ფონდის* შექმნა. მოხსენებაში პირველად იყო გამოყენებული ცნებები „მეცნიერება“, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, და „ეროვნული კვლევითი სისტემა“. საზგასმული იყო მიუკერძოებლობის პრინციპების გატარების, სხვა დარგებისგან სრულიად განსხვავებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელების, უწყებათა და დისციპლინათა შორის კოორდინაციის აუცილებლობა. მოხსენების რეკომენდაციები სრულად გატარდა ცხოვრებაში. აშშ, მათი პოლიტიკური შედეგებით, ამჟამადაც სარგებლობს⁶.

⁶ Sean McCudden, McKenzie Smith, Melissa Dominguez, Christopher Kelty. Government-Funded Science: Vannevar Bush and the National Science Foundation. (<http://cnx.org/content/m14356/latest/#smith#smith>).

მე-17 საუკუნე	ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს	ევროპაში სამეცნიერო ინსტიტუტების (აკადემიების, სამეცნიერო საზოგადოებების) დაფუძნება, დაფინანსება და სხვა მხარდაჭერა. მრეწველობაში პატენტების გაცემა	მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა
მე-18 საუკუნე		სასოფლო-სამეურნეო, სამთო და სხვა საკითხებზე კონსულტაციები მეცნიერებთან (უმთავრესად კრისტინების შემთხვევებში) განმანათლებლობა – მოდა მეცნიერების მიღწევებით დაინტერესებაზე	
მე-19 საუკუნე		სახელმწიფო კვლევითი ორგანიზაციების ჩამოყალიბება მეცნიერების რეგულარული გამოყენება	
მე-20 საუკუნე		მეცნიერების ინსტიტუციონალიზაცია – აღიარება ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად – ეროვნული კვლევითი სისტემის ცნება – სახელმწიფო სამეცნიერო პოლიტიკა – ეროვნული საინოვაციო სისტემების ცნება. მეცნიერებაზე დაფუძნებული მართვა. სახელმწიფო მართვის კვლევა	
21-ე საუკუნე		სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკა	

ნახ. 2.1. სახელმწიფოსა და მეცნიერების ურთიერთობის ცვლილება

პარალელურად, თვითონ ეროვნული საინოვაციო პოლიტიკები და შესაბამისი სახელმწიფო მართვის სრულყოფის საკითხები მრავალი კვლევითი ცენტრის შესწავლის საგანი გახდა. ჩამოყალიბდა სოციალური მეცნიერების ვრცელი სფერო, რომელიც საინოვაციო პროცესებს სწავლობს. თანამედროვე მეცნიერება ინოვაციური განვითარების ცენტრალურ საკითხად მთავრობის, მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთქმედებას (ე.წ. სამმაგ სპირალს, ნახ. 2.2) იხილავს⁷. სამმაგი სპირალის მოდელი, ასახავს ურთიერთქმედების სირთულეს, მრავალფეროვნებასა და ევოლუციას. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ სამართლიანია ოთხმაგი სპირალის განხილვა, სადაც მეოთხე სპირალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებია⁸. ჩვენი ისტორიული მიმონილვა წარმატებული ქვეყნების – ძირითადად ევროპისა და შეერთებული შტატების – გამოცდილებას ასახავს. არსებობს საპირისპირო – ცოდნის ისტორიული უგულებელყოფის მაგალითებიც (ჩანართი 2).


მრეწველობა
მეცნიერება
მთავრობა



ნახ. 2.2. მთავრობის, მეცნიერებისა და წარმოების სამმაგი სპირალი

⁷ Leydesdorff, L., Etzkowitz, H. Emergence of a Triple Helix of University-Industry-Government Relations. Science and Public Policy, Vol. 23, p.279-286. 1996.

⁸ Oscar Afonso, Sara Monteiro and Maria Joao Ribeiro Thompson. A growth model for the quadruple helix innovation theory. Universidade do Minho. Nucleo de Investigacao em Politicas Economicas "NIPE Working Paper". 12 (2010) 1-21.



ძველად, როდესაც *საინოვაციო პირამიდის* (ნახ. 5) მწვერვალი დაბალი იყო, ყველა ქვეყანა, გამოყენებული (ათვისებული) ტექნოლოგიების თვალსაზრისით, შედარებით თანაბარ პირობებში იმყოფებოდა. შესაბამისად, ცნობების დონეც ქვეყნებს შორის ნაკლებად განსხვავდებოდა. ამიტომ, 1820 წელს საშუალო ჩინელი მსოფლიოს საშუალო მოსახლეზე ოდნავ ღარიბი იყო. ტექნოლოგიური განვითარების იგნორირების შედეგად წარმოების მოცულობის ფარდობა მოსახლეობასთან 1820-1973 წლებში იმდენად დაეცა, რომ მიუხედავად 1970-ანი წლების დასაწყისიდან ჩატარებული რეფორმებისა, 2006 წელს საშუალო ჩინელი ფარდობითად (მსოფლიო საშუალოსთან შეფარდებით) უფრო ღარიბი იყო, ვიდრე 1820 წელს.

წყარო: Luc Soete⁹

3. ეროვნული კვლევითი სისტემა

როგორც აღვნიშნეთ, კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ეროვნული კვლევითი სისტემა ხელისუფლებისთვის მთავარ მრჩეველ ინსტიტუტს წარმოადგენს. ის ასრულებს შუამავლის ფუნქციასაც, როდესაც გარე კვლევითი ექსპერტიზის მოზიდვა აუცილებელია. ეროვნული კვლევითი სისტემა შედგება ყველა იმ ინსტიტუტისგან, რომელიც აწარმოებს კვლევებს და კვლევით მომსახურებას ქვეყანაში, მართავს მათ და/ან ქმნის პირობებს კვლევის წარმატებული წარმოებისთვის. ეროვნული კვლევითი სისტემა მოიცავს:

⁹ დიაგრამა აგებულია იმ მონაცემების საფუძველზე, რომელიც მოყვანილია ლექციაში: Luc Soete. From S&T Policy to Innovation Policy: a conceptual and theoretical framework. წაკითხულია სემინარზე DESIGN AND EVALUATION OF INNOVATION POLICY IN DEVELOPING COUNTRIES, Gebze, Turkey. 6-10 December 2010

- ხელისუფლების ყველა შტოში (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) მეცნიერებასთან დაკავშირებულ ქვედანაყოფებსა და სპეციალურ საბჭოებს;
- საჯარო კვლევით ორგანიზაციებს;
- უნივერსიტეტებს და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს;
- მრეწველობაში მოქმედ კვლევით ცენტრებსა და ლაბორატორიებს;
- სხვა კერძო (არასამთავრობო) ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ კვლევას;
- საკონსტრუქტორო ბიუროებს;
- სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურებსა და მეურნეობებს;
- სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურების ცენტრებს (სახელმწიფოსა და კერძოს).

ამ უკანასკნელ კატეგორიას ესაჭიროება განმარტება. დავეყრდნობთ ოუნესკოს განმარტებას¹⁰, რომლის თანახმად სამეცნიერო მომსახურების ცენტრები მოიცავს:

- სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკებს, არქივებს, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრებს, სამეცნიერო კონგრესების ცენტრებს, მონაცემთა ბანკებსა და ინფორმაციის დამუშავების სამსახურებს;
- მუზეუმებს, ბოტანიკურ და ზოოლოგიურ პარკებს, ანტროპოლოგიურ, არქეოლოგიურ, გეოლოგიურ კოლექციებს;
- სამეცნიერო ლიტერატურის მთარგმნელ და გამომცემელ ორგანიზაციებსა და განყოფილებებს (წიგნებისა და პერიოდიკის, სახელმძღვანელოების გარდა);
- ტოპოგრაფიულ, გეოდეზიურ, გეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ სამუშაოების შემსრულებელ ორგანიზაციებს; რუტინული ასტრონომიული, მეტეოროლოგიური და სეისმოლოგიური დაკვირვებების მწარმოებელ სამსახურებს; ნიადაგების, ატმოსფეროსა და წყლის სინჯების რუტინულად შემოწმებელ სამსახურებს; მცენარეთა, თევზებისა და ველურ ცხოველთა პოპულაციების მონიტორინგის სამსახურებს; რადიოაქტიუბის დონის გამწომ სამსახურებს;
- ნავთობისა და მინერალური რესურსების ძიებისა და მარაგების პროგნოზირების სამსახურებს;
- ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენების (პროცესების) შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების (რუტინული სტატისტიკა, მოსახლეობის აღწერა, მონმარებისა და განაწილების შესწავლა და სხვა) სამსახურებს;

¹⁰ *Manual for Statistics on Scientific and Technological Activities*. UNESCO Division of Statistics on Science and Technology, Office of Statistics ST-84/WS/12 (www.uis.unesco.org/template/pdf/s&t/STSManualMain.pdf)

- ტესტირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და ხარისხის კონტროლის სამსახურებს; ცნობილი მეთოდებით მასალების, პროდუქციის, მოწყობილობებისა და პროცესების ანალიზისა და შემოწმების სამსახურებს;
- მომხმარებლების მიერ სამეცნიერო ინფორმაციის მოხმარების გაზრდაზე მიმართულ რუტინული კონსულტირების სამსახურებს, რაც სახელმწიფოს მიერ ფერმერებისა და მრეწველობისთვის ორგანიზებულ საკონსულტაციო სამსახურებსაც მოიცავს;
- საპატენტო და სალიცენზიო სამსახურებს, რაც პატენტებთან დაკავშირებული სისტემატური სამეცნიერო, იურიდიული და ადმინისტრაციული ხასიათის საქმიანობის განმხორციელებელ საჯარო სამსახურებსაც მოიცავს.

კვლევითი სისტემა რთული, მრავალდონიანი და ძვირადღირებულია. მაგრამ, მის გარეშე თანამედროვე ხარისხიანი სახელმწიფო მართვა შეუძლებელია.

ჩანართი 3

კვლევითი სისტემა და სახელმწიფო მართვა - აშშ

1960 წლისთვის, როდესაც შეერთებული შტატების კვლევითმა სისტემამ, მთავრობის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შედეგად, დიდი ძალა მოიკრიფა და არსებითად გაზარდა სამეცნიერო პროდუქციის მოცულობა (გამონათვლი სამეცნიერო პუბლიკაციების, პატენტების, ანგარიშების, დისერტაციების და სხვა სამეცნიერო დოკუმენტების წლიური რაოდენობით), განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ პროდუქციის ეფექტიანი გამოყენების საკითხმა. ეფექტიანობა გულისხმობდა უკეთ გამოყენებას როგორც თვით კვლევის პროცესში (მაგალითად, დისციპლინებს შორის ინფორმაციის გადაცემას), ასევე მართვის მიზნებისთვისაც.

კომისიამ ალვინ ვაინბერგის¹¹ თავმჯდომარეობით ორი წლის მუშაობის შედეგად პრეზიდენტ ჯონ კენედისთვის მოამზადა მოხსენება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო **„მართალია, შესაძლებელია ცუდი მართვა კარგი ინფორმირების პირობებშიც და ეს სინამდვილეში ხდება კიდევაც, მაგრამ ინფორმირების ცუდ ორგანიზებას, პრაქტიკულად ყოველთვის ცუდ მართვასთან მიეყავართ“**.

მოხსენებაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შედეგად, რამდენიმე წლის განმავლობაში, აშშ-ში სამეცნიერო ინფორმაციის ანალიზის 300 ახალი ცენტრი დაარსდა.

სახელმწიფოს განვითარებაში ეროვნული კვლევითი სისტემების როლის გაზრდამ, მათმა ეროვნული მეურნეობის დარგად ჩამოყალიბებამ, ლოგიკურად დასვა სახელმწიფოს მხრიდან მათი განვითარებისა და მართვის ამოცანა. იგი სახელმწიფო სამეცნიერო პოლიტიკის საფუძველზე სორციელდება, რომელსაც მეცნიერები და პოლიტიკოსები ერთობლივად შეიმუშავენ. **სახელმწიფო სამეცნიერო პოლიტიკის ამოცანაა ახალი ცოდნის მიღებისა და მისი გამოყენების მიზნით**

¹¹ Dr. Alvin Weinberg, მუშაობდა ცნობილი ოკ-რიჯის ეროვნული ლაბორატორიის დირექტორად (Oak Ridge National Laboratory, - ერთ-ერთი ლაბორატორია, სადაც პირველი ატომური ბომბი იქმნებოდა).

კვლევით სისტემაზე შემოქმედება (ხელშეწყობა). ეროვნული სამეცნიერო პოლიტიკა გამომდინარეობს კვლევითი სისტემის მუდმივი სრულყოფის აუცილებლობისა და ქვეყნის წინაშე მდგარი იმ ამოცანებიდან, რომელთა შესრულებაში მეცნიერებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს. მის შემუშავებაში არსებით როლს თამაშობს მეცნიერულად განზოგადებული მსოფლიო გამოცდილება და, აგრეთვე, იმ ცალკეული ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც ამა თუ იმ შემთხვევაში მაგალითად ან მოდელად შეიძლება იყოს მიჩნეული. **ნებისმიერი ქვეყნის სამეცნიერო პოლიტიკა ხსვეებისგან განსხვავებულია, მაგრამ თვით მისი არსებობა კარგი მმართველობის (ან უკეთესი მართვის) აუცილებელი ნიშანია.** ბოლო 20 წლის განმავლობაში სამეცნიერო პოლიტიკა კიდევ უფრო ფართო – საინოვაციო – პოლიტიკის ნაწილი გახდა, რასაც შემდეგ ქვეთავებში უფრო დეტალურად შევეხებით.

4. ეროვნული საინოვაციო სისტემები და საინოვაციო პოლიტიკა


როგორც აღვნიშნეთ, 21-ე საუკუნეში სახელმწიფო მართვის საგანი საინოვაციო სისტემა ხდება, ხოლო მართვის ინსტრუმენტი – საინოვაციო პოლიტიკა. კვლევითი სისტემა და სამეცნიერო პოლიტიკა მათი შემადგენელი ნაწილებია. ეს ახალი ხედვა კვლევითი სისტემის მნიშვნელობას კი არ ამცირებს, არამედ პირიქით, – ზრდის. ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

განვმარტოთ ინოვაცია უფრო დეტალურად. ვიწრო ტექნოლოგიური ინტერპრეტაციით, ინოვაცია ტექნიკური სიახლეების წარმოებაში ათვისებაა. ფართო გაგებით – სიახლეების (ახალი იდეების) პრაქტიკაში ათვისება. ამ უკანასკნელის შესაბამისად, საინოვაციო პროცესებში ვგულისხმობთ ყველა სახის ინოვაციასთან და ყველა არსით ინოვაციასთან დაკავშირებულ ქმედებებს, კერძოდ:

- კვლევით ინოვაციას, როდესაც წარმოებაში ეროვნული კვლევითი სისტემის მიერ შემუშავებული სიახლის ათვისება ხდება;
- არაკვლევით ინოვაციას, როდესაც წარმოებაში სიახლის ათვისება წარმოებს უცხოეთში პატენტზე ლიცენზიის შეძენის გზით ან მაღალტექნოლოგიურ სფეროში პირდაპირი, უცხოური ინვესტიციის შედეგად;
- არაკვლევით ინოვაციას, როდესაც წარმოებს ისეთი ტექნიკის შეძენა, რომელიც ახალი პროდუქტების წარმოების ან პროცესის განხორციელების საშუალებას იძლევა;

- ტექნოლოგიის/ცოდნის დიფუზიას, როდესაც ხდება ქვეყნის ერთ ნაწილში (მაგალითად, მაღალტექნოლოგიურ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში) ათვისებული სიხლის გადატანა (გაჟონვა) ქვეყნის სხვა ნაწილებში;
- საორგანიზაციო ინოვაციას, როდესაც წარმოებს შრომის ახალი მეთოდების, ბიზნესის ახალი სქემების ან სხვა მსგავსი ღონისძიებების ათვისება;
- მიზანშეწონილ ინოვაციას, როდესაც მსოფლიოსთვის არახალი, მაგრამ ლოკალურად ახალი ტექნოლოგიების ათვისება წარმოებს. ამ ტიპის ინოვაციას დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში (იხ. ნახ. 5.1).

ნახ. 4.1-ზე სქემატურად წარმოდგენილია ტექნოლოგიური ინოვაციის კვლევითი და არაკვლევითი არსები.




ნახ. 4.1. ტექნოლოგიური ინოვაციის არსები

ყველა ქვეყანაში არაკვლევითი არსები ინოვაციის საგრძნობ წილს უზრუნველყოფენ. მათი მეშვეობით განხორციელებული ინოვაციების მოცულობის შეფარდება კვლევითი არსის მეშვეობით ინოვაციის მოცულობასთან ქვეყნის განვითარების დონეზეა დამოკიდებული. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კვლევითი ინოვაციის წილი (გაზომილი, როგორც ეკონომიკის ნაზრდის პროცენტი) ეკონომიკაში უფრო მაღალია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულებში.

არაკვლევითი არსები მაღალგანვითარებულ ევროპაშიც კი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ (რაც ნაჩვენებია ნახ. 4.2.-ზე), ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მათი როლი იზრდება. ამ საკითხს შედარებით დიდი ყურადღება იმიტომ დაუთმეთ, რომ არაკვლევით ინოვაციას და მის ეფექტიან სახელმწიფო მართვას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ არაკვლევითი ინოვაციის არსების ეფექტიანი მოქმედებაც ეროვნული კვლევითი სისტემის მონაწილეობას მოითხოვს. ჯერ ერთი, სიანსლევებს ადგილობრივ პირობებში ადაპტირება ჭირდება. მეორე, - სიანსლევების იმპორტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაც მოითხოვს მეცნიერთა მონაწილეობას. მესამე, - კვლევითი სისტემის სიძლიერეზე დამოკიდებული სიანსლევების დიფუზიის (ქვეყანაში გავრცელების) სიჩქარე¹². ერთი სიტყვით, ქვეყნის მიერ ინოვაციების ათვისების უნარი (absorptive capacity) დიდწილად კვლევით სისტემაზეა დამოკიდებული. ამ უნარის განვითარებაც კომპეტენციასა და სათანადო პოლიტიკის გატარებას თხოვლობს.



ნახ. 4.2. კვლევითი და არაკვლევითი ინოვაციის შეფარდება ევროკავშირის ქვეყნებში

21-ე საუკუნეში წარმატებული ქვეყნების განვითარების სტრატეგია - საინოვაციო პოლიტიკის გატარებაა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ კვლევით სისტემაში სიანსლევების შექმნის სტიმულირებას, არამედ წარმოებაში მათი ათვისების სტიმულირებასაც. ამდენად, საინოვაციო პოლიტიკა ზემოქმედებს როგორც კვლევით სისტემაზე (რომელიც მრავალ ქვეყანაში დიდწილად ან უპირატესად

¹² Stefano Breschi and Francesco Lissoni. Knowledge Spillovers and Local Innovation Systems: A Critical Survey. *Industrial and Corporate Change*, Volume 10, Issue 4, Pp. 975-1005

საჯარო სექტორშია განთავსებული), ასევე წარმოებაზე (რომელიც სიანლებს ითვისებს და უპირატესად კერძო სექტორში იმყოფება). ამ სტიმულების შესაქმნელად სახელმწიფო სპეციალურ ორგანიზაციულ, საფინანსო და ფისკალურ ინსტრუმენტებს იყენებს. ამ ინსტრუმენტების დანიშნულებაა:

- სიანლების კვლევითი სისტემიდან წარმოებაში გადაცემის წახალისება და დანშარების გაწევა;
- სიანლების ათვისებაში საწარმოებისთვის საკონსულტაციო დანშარების გაწევა, პირდაპირი საფინანსო დანშარების გაწევა და საგადასახადო შეღავათების დაწესება (უმთავრესად მცირე ინოვაციური და დამწყები საწარმოებისთვის).

შესაბამისად, საინოვაციო სისტემა მოიცავს როგორც კვლევით სისტემას, ასევე საწარმოებსა და მათ კვლევით სისტემასთან დასაკავშირებლად შექმნილ ინსტიტუტებს. ეს ინსტიტუტებია: ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, მაღალტექნოლოგიური თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები, ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრები, საინვესტიციო ფონდები და სხვა. ასეთ ქვეყნებში სამეცნიერო პოლიტიკა საინოვაციო პოლიტიკის ნაწილია, ხოლო კვლევითი სისტემა – საინოვაციო სისტემის ნაწილი.


მაშასადამე, *კარგი მმართველობა* 21-ე საუკუნეში გულისხმობს, რომ ხელისუფლება მოქმედებს, ერთი მხრივ, როგორც *ინვესტორი*, რომელიც აბანდებს:

- განათლებისა და კვლევის სისტემაში ზოგადად;
- საინოვაციო ინსტრუმენტების განვითარებაში;
- კონკრეტულ საინოვაციო პროექტებში.

ხოლო მეორე მხრივ – *კატალიზატორი და რეგულატორი*, რომელიც ქმნის პირობებს/გარემოს (მაგალითად, საკანონმდებლოს) ინოვაციური პროცესის მხარდასაჭერად. საინოვაციო პოლიტიკის მეშვეობით ხელისუფლება ინოვაციის ყველა არსზე ზემოქმედებს. **კვლევითი სისტემის ამოცანაა ხელისუფლებას ურჩიოს რომელი არსებია ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი და, აგრეთვე, საინოვაციო ინსტრუმენტების რა ნაწილი უნდა დაეხმოს კონკრეტული ქვეყნის კონკრეტულ პირობებს.**

5. სახელმწიფო მართვა და ინოვაცია განვითარებად ქვეყნებში

ინოვაცია მნიშვნელოვანია როგორც განვითარებული ასევე განვითარებადი ქვეყნებისთვის. განსხვავება ისაა, რომ განვითარებად ქვეყნებში ინოვაციების უდიდეს ნაწილს უზრუნველყოფენ ინოვაციის არაკვლევითი არსები ეროვნული საწარმოების (ან მთავრობის) მიერ პატენტების გამოყენებაზე ლიცენზიებისა და მანქანა-დანადგარების შექმნის გზით, ან ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, რომელსაც პატენტების, მანქანა-დანადგარებისა და, ზოგადად, ტექნოლოგიის იმპორტი ასწავებს. განვითარებად ქვეყნებში დიდ მნიშვნელობას იძენს მიზანშეწონილი ინოვაციის (appropriate innovation) ცნება¹³. მისი შინაარსის გასაგებად განვიხილოთ საინოვაციო პირამიდა (ნახ. 5.1).



ნახ. 5.1. საინოვაციო პირამიდა

პირამიდის მწვერვალშია მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ტექნოლოგიები, ხოლო ფუძეში – ტექნოლოგიები, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებულ, „ტრადიციულ“ ცოდნასთანაა დაკავშირებული (common knowledge). ამ „ტრადიციულ“ ტექნოლოგიებს შორის ძალიან ბევრია ისეთი, რომელიც დღესაც წარმატებით გამოიყენება და ლოკალურ დონეზე შეიძლება ინოვაციას წარმოადგენდეს. ანუ, ფართო გაგებით განვითარებადი ქვეყნებისთვის საინოვაციო პროცესში ასეთი „რუტინული“, პირამიდის ფუძესთან მდებარე ინოვაციებია მნიშვნელოვანი.

ინოვაციაზე ორიენტირებული განვითარება სასურველი, მაგრამ რთული და გრძელვადიანი ამოცანაა. ქვეყნისთვის, როგორც

¹³ The Rise of Technological Power in the South. Edited By Xiaolan Fu and Luc Soete, Basingstoke: Palgrave Macmillan, 2010. P. 347

საქართველო¹⁴, განვითარებული ქვეყნების კლუბში შესვლა რამდენიმე ათეულ წელზე გათვლილი ზეამოცანა, ეროვნული იდეაა. ასე იყო იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, სინგაპურში, ტაივანში, ირლანდიაში, ფინეთში. ასეა მაღაიზიაში, ბრაზილიაში, სამხრეთ აფრიკაში, ჩინეთში. ამოცანის დასმისთვის აუცილებელია: ა) ქვეყანაში ჭეშმარიტად პატრიოტული პოლიტიკური ძალების არსებობა, რომლებიც წელმძღვანელობენ სამეცნიერო რეკომენდაციებით და ბ) ეროვნული თანხმობის მიღწევა ამ ზეამოცანის გადაჭრის აუცილებლობის შესახებ. „ჭეშმარიტად პატრიოტული პოლიტიკური ძალების“ არსებობის აუცილებლობა გადაშეტებული არაა, რადგანაც ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ შედეგის მიღწევის ეტაპზე ისინი კვლავ მართვის სადავეებთან იქნებიან. განვითარება ექსპონენციალურად ხდება, ამიტომ საწყის ეტაპებზე შედეგები შეიძლება არც თუ ისე შესამჩნევი იყოს. პოლიტიკური რისკი, მაღალია. ჯილდო, შესაძლოა, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ისტორიაში შესვლა აღმოჩნდეს. ცნადა, ასეთი მიდგომა არ აინტერესებთ მოკლევადიან შედეგზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც განვითარებად სამყაროში წშირად იღებენ მართვის სადავეებს. მაგალითია, თუნდაც, პოსტ-საბჭოთა ქვეყნები¹⁵. მიუხედავად იმისა, რომ მათი სასტარტო პირობები განუზომლად უკეთესი იყო, ვიდრე სამხრეთ კორეის, სინგაპურისა თუ მაღაიზიის, ინოვაციაზე ორიენტირებული განვითარება ამ ქვეყნებში არ ხდება.

განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლის ზეამოცანა იმდენად რთული და ყოვლისმომცველია, რომ ისეთი ამოცანებიც კი როგორცაა დემოკრატიის მშენებლობა, ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში გაერთიანება ან არგაერთიანება, მაკროეკონომიკური სტაბილობა და ა.შ. მხოლოდ აუცილებელი საშუალებებია მიზნის მიღწევის გზაზე. გრძელვადიანი პროგრამიდან გამოიყოფა მოკლევადიანი და საშუალოვადიანი გეგმები, რომლებსაც მკაფიო და შესრულებადი მიზნები გააჩნიათ. ეს პოლიტიკურ რისკებს გარკვეულწილად ამცირებს (ზოგიერთ ქვეყანაში, - მაგალითად, სინგაპურში, - ქვეყნის განვითარებაში მიღწეულმა თვალსაჩინო წარმატებებმა მმართველ პოლიტიკურ პარტიებს დიდი ხნით შეუნარჩუნა ლიდერობა). მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ძალებისგან ზეამოცანის დასახვა საკუთარი ხალხის შესაძლებლობების მაღალ რწმენასა და თავგანწირვის ზღვარზე, მტკიცე პოლიტიკურ ნებას მოითხოვს. გამოირიცხება საზოგადოების გამაბრუებელი მოკლევადიანი პოლიტიკური დაპირებები, სახელმწიფო მართვის მიმართ ოპორტუნისტული მიდგომა, მანიპულაციური და კამპანიური მართვის მეთოდები და სხვა.

¹⁴ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum - www.weforum.org) „გლობალური კონკურენტუნობის ანგარიშის“ თანახმად, ქვეყნები სულზე 3,000 აშშ დოლარზე ნაკლები წლიური შემოსავლით „ფაქტორებით მართული“ ქვეყნებია, ხოლო ქვეყნები 17,000 დოლარზე მეტი იგივე მაჩვენებლით, - „ინოვაციით მართული“. საუბარია პირველი კატეგორიიდან მეორეში გადასვლაზე.

¹⁵ გარდა ბალტიისპირეთისა, რომელსაც ევროკავშირმა საინოვაციო სფეროში მკაცრი მოთხოვნები წაუყენა.

– ყველა გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს საჯაროდ მიღებულ გრძელვადიან და საშუალოვადიან პოლიტიკას. წესმოცანის დასახვის გადაწყვეტილება უნდა გამყარდეს ისეთი კანონთა სისტემით (სახელმწიფო მართვის სისტემის ორგანიზების, განათლების, მეცნიერების, ბიზნესის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და სხვა ფუნდამენტურ სფეროებში), რომელიც მდგრადია პოლიტიკურ ძალთა მონაცვლეობის მიმართ. წესმოცანა კანონთა სისტემის ვარგისიანობის კრიტერიუმებს აყალიბებს და, ამავ დროს, მეტად საჭირო წომიერ კონსერვატივში წარმოქმნის მათი ცვლილების მიმართ (ანუ უშეუბამებს ცვლილებებს მხოლოდ განვითარების ეტაპების/დონეების მიღწევის შესაბამისად). საზოგადოება მოგებული რჩება იმითაც, რომ ქვეყნის ცხოვრებაში ჩნდება ერთგვარი გრძელვადიანი მასტაბილირებელი ფაქტორი, რომელიც წესმოცანის შესასრულებლად აერთიანებს მის წევრებსა და ინტერესთა ჯგუფებს. კერძო საკითხებზე აზრთა თუნდაც მწვავე სხვადასხვაობის მიუხედავად. ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტაცია, გულისხმობს შრომის ნაყოფიერებისა და კეთილდღეობის უწყვეტ, შეუსწრდავ (სხვა მოდელებისგან განსხვავებით) ზრდას, ქვეყნის ჰარმონიულ განვითარებას და თან ამის განხორციელების საშუალებასაც იძლევა.

ზოგიერთი მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს *კავშირს საინოვაციო განვითარებასა და დემოკრატიზაციას შორის*, რაც ძნელი გასაგები არაა: საინოვაციო განვითარება ამცირებს უთანასწორობას საზოგადოებაში, ხოლო მაღალი უთანასწორობა დემოკრატიის დაბალი ხარისხის მიზეზია¹⁶. გაუნათლებელ და ღატაკ ადამიანებს უჭირთ მოქალაქეობრივი ფუნქციების შესრულება.

მრავალი განვითარებადი ქვეყანა ინოვაციური პროცესების მიმართ ყურადღებას არ იჩენს. მათ შორის არიან ისეთები, სადაც ეს თემა ფორმალურად განიხილება, მაგრამ ხელისუფლება პრაქტიკულად არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით (ეს ხშირი მოვლენაა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში), ზოგან კი ამ თემაზე საუბარიც არ არის. ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-ან წლებში გამოქვეყნდა სტატიები „აფრიკულ მოდელზე“, რომელიც გულისხმობს უახლესი იარაღით აღჭურვილ არმიას (უმთავრესად საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ შექმნილს) და თონით ან ხელის გუთნით მომუშავე გლეხს¹⁷. ასეთი ქვეყნები დღესაც არსებობს. შედარებით მცირერიცხოვანი არიან ის ქვეყნები, რომლებმაც ინოვაციური განვითარების გზა აირჩიეს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ ახალი ქვეყნები განუწყვეტლივ ემატება. როგორც ვთქვით კარგი მმართველობის ეს ელემენტი, მჭიდროდაა დაკავშირებული მმართველობის სხვა ელემენტებთან.

¹⁶ Judith Sutz and Rodrigo Arocena. Integrating Innovation Policies with Social Policies: A Strategy to Embed Science and Technology into Development Processes. IDRC Innovation, Policy and Science Program Area, Strategic Commissioned Paper, April 2006 1


¹⁷ Forje J.W. Which way Africa? The shameful waiting for exogenous initiatives. Journal of International Science and Public Policy. Great Britain, Vol. 12, No. 4, (August), 1985. pp. 162-63

6. საინოვაციო სისტემისა და მთავრობის ურთიერთობის ევროპული პრაქტიკა

6.1 ზოგადი მიმოხილვა

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის განხორციელება განვითარებული და წარმატებული განვითარებადი ქვეყნების ნიშან-თვისებაა. ევროკავშირს ამ თვალსაზრისით მოწინავე პოზიციები უკავია. ამჟამად საინოვაციო პოლიტიკა ევროპული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტია. შესაბამისად, ამ პოლიტიკის მრავალრიცხოვანი კომპონენტის მართვა როგორც ევროკომისიის, ასევე ეროვნული და რეგიონული (სუბეროვნული) მთავრობებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ინოვაცია, როგორც წარმოების მამოძრავებელი ინსტრუმენტი, აღიარებული მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ეკონომისტების მიერ, ევროპაში სახელმწიფო და, მეტიც, მეტასახელმწიფო პოლიტიკის საკვანძო საკითხი გახდა.

ევროკავშირის განვითარების სტრატეგია, დაწყებული 1996 წლიდან, როდესაც მიღებული იყო *ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმა*^{18, 19} – ინოვაციური განვითარებაა. ევროპული საინოვაციო პოლიტიკა სამდონიანია: საერთოევროპული, ეროვნული და რეგიონული (ნახ. 6.1.).



ნახ. 6.1. ევროპული სამდონიანი საინოვაციო პოლიტიკა

¹⁸ First Action Plan for Innovation in Europe. European Commission, 1996 (cordis.europa.eu/documents)
¹⁹ ო. შატბერაშვილი. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია. წიგნში „მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია“, რედაქტორები: ო. შატბერაშვილი, ი. გომოძე. ეგვიტობილისი, 2010 (www.inovdev.ge)

ევროკავშირის დონეზე, საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და მართვაში მონაწილეობს ევროკომისიის პრაქტიკულად ყველა გენერალური დირექტორატი და სააგენტო. მათი საქმიანობის საერთო კოორდინატორია ინოვაციის გენერალური დირექტორატი (DG Research and Innovation), რომელიც, აგრეთვე, ევროკავშირში კვლევის განვითარებაზე პასუხისმგებელია. მართვის პროცესის (პოლიტიკის კონცეფციის დადგენა, პოლიტიკის შემუშავება, პოლიტიკის განხორციელება და მონიტორინგი) სამეცნიერო-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს გენერალური დირექტორატი გაერთიანებული კვლევითი ცენტრი (DG-Joint Research Centre).

ევროპული სტატისტიკის სააგენტო (EUROSTAT) პასუხისმგებელია პოლიტიკის განხორციელების აღრიცხვასა და მონიტორინგის სისტემების განვითარებაზე. ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ასევე მონაწილეობენ მართვის პრაქტიკულად ყველა დარგობრივი ორგანო, სოლო კოორდინაციას, როგორც წესი, ახდენენ უმაღლეს ხელისუფლებასთან შექმნილი სპეციალური ინსტიტუტები - საინოვაციო საბჭოები (ინილეთ პარაგრაფი 6.2)²⁰.

6.2. ლისაბონის სტრატეგია და „ევროპა-2020“

2000 წლის მარტში, ლისაბონში, ევროპის საბჭოს სხდომაში (ლისაბონის სამიტი) მიიღო რამდენიმე ფუძემდებელი დოკუმენტი²¹, რომლითაც გაცხადდა, რომ საინოვაციო პოლიტიკა ხდება ევროპის განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი. ევროპა ამჟამადაც ამ დოკუმენტებში დასახული მიზნებისკენ მოძრაობს, იმ შესწორებებისა და დაზუსტებების გათვალისწინებით, რომლებიც უფრო გვიან იქნა მიღებული.

ეს დოკუმენტი, ცნობილი როგორც ლისაბონის სტრატეგია (აგრეთვე ლისაბონის დღის წესრიგი ან ლისაბონის პროცესი), წარმოადგენდა ევროპისთვის განვითარების სამოქმედო გეგმას. მისი მიზანი ჩამოყალიბდა ასე: „2010 წლისთვის ევროპა უნდა იქცეს მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიან, ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკად, რომელსაც გააჩნია მდგრადი ეკონომიკური ზრდის უნარი, მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილით, გაძლიერებული სოციალური ერთობითა და გარემოსადმი მეტი ყურადღებით“. ლისაბონის სტრატეგია, ამავე დროს, ევროინტეგრაციის ძლიერი მექანიზმაცაა. საინოვაციო საქმიანობის ინდიკატორებით მოწმდება წევრი ქვეყნების განვითარების დონეების ერთმანეთთან დაახლოება.

²⁰ DG Research and Innovation (ec.europa.eu/dgs/research/index_en.html), DG Joint Research Centre (<http://ec.europa.eu/dgs/jrc/index.cfm>), EUROSTAT (ec.europa.eu/eurostat). ევროკავშირში საინოვაციო პროცესების მართვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემოსვენებულ სტატიაში (სქოლიო 19).

²¹ Presidency Conclusions. European Council, Lisbon, 23-24 March 2000. (www.europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm)

2010 წელს მიღებულია განვითარების ასალი გეგმა *ევროპა-2020*²². ამ საპროგრამო დოკუმენტების პაკეტში შემავალი ყოველი დოკუმენტი აღწერს ცალკეულ სფეროებში ინოვაციურ განვითარებას. ერთ-ერთ საფლაგმანო ინიციატივას ასე ეწოდება - *საინოვაციო კავშირი. ევროპა-2020* ლისაბონის სტრატეგიის ლოგიკური გაგრძელებაა.

ლისაბონის სტრატეგიით დასახული მიზნების განხორციელებას ფორმალურად თუ მიგუდებით, უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალი მიზანი ვერ იქნა მიღწეული. კვლევისა და შემუშავებაზე გაწეულმა ხარჯებმა დასახულ მშპ 3%-ს ვერ მიაღწია, ვენჩურული კაპიტალის მოცულობა ევროპაში კვლავ ჩამორჩება აშშ-სა და იაპონიის დონეს. ევროგაერთიანების პატენტი და ერთიანი საპატენტო სასამართლო ისევე განუხორციელებელ მიზნად რჩება. სტანდარტიზაციის პროცესი კვლევის შედეგებთან და ბაზრის მოთხოვნებთან არაა საკმარისად სინქრონიზებული.

მაგრამ ყურადღებით განხილვას უფრო ოპტიმისტურ დასკვნებამდე მივყავართ. კერძოდ, ტენდენციები მთლიანობაში დადებითია. ევროგაერთიანების ინტეგრალური საინოვაციო ინდექსის ჩამორჩენა აშშ-გან შემცირდა 41%-დან (2004 წელი) 28%-მდე (2008 წელი)²³. უმუშევრობის შემცირება (ლისაბონის სტრატეგიის უმთავრესი მიზანი) მოხდა 12%-დან (2000 წელი) 7%-მდე (2008 წელი). კვლევისა და შემუშავებაში იმ კომპანიების მიერ ინვესტირება, რომელთა შტაბ-ბინები ევროპაშია, 2008 წელს წინა წელთან შედარებით 8.1%-ით გაიზარდა (მსოფლიო მაჩვენებელი - 6.9%, აშშ - 5.7%, იაპონია - 4.4%).

წინამდებარე სტატის მიზანი არაა ევროპული ინოვაციის მხარდაჭერი ღონისძიებების დეტალური განხილვა, მოვიყვანო მხოლოდ მათ ჩამონათვალს (ნახ. 6.2) ეს ღონისძიებები, როგორც წვერი ქვეყნების, ასევე ევროკავშირის დონეზე, ქართულ ენაზე დეტალურადაა აღწერილი²⁴.

ღონისძიებათა სიმრავლისა და განსაზღვრებების გამოყენების სირთულის გამო, ქვეყნები ქმნიან სპეციალურ სახელმძღვანელოებს, რათა საინოვაციო პროცესის მონაწილეებს (მათ შორის სახელმწიფო მოხელეებს) გაუადვილონ ფორმულირებების ინტერპრეტაცია და შესაძლებლობების გამოყენება. ქვემოთ მოტანილ ჩანართებში წარმოდგენილია ევროკავშირის ქვეყნებში საინოვაციო პროცესების მართვის მაგალითები.

²² http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm

²³ EUROPEAN INNOVATION SCOREBOARD 2008. COMPARATIVE ANALYSIS OF INNOVATION PERFORMANCE. January 2009, p.18 (www.proinno-europe.eu/EIS2008)

²⁴ მრავალღონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: ო. შატაბერაშვილი და ი. გოგოძე. ეგსიგ. თბილისი. 2010 (www.inovdev.ge)

ორგანიზაციული ღონისძიებები	საზინანსო ღონისძიებები
1 საჯარო (საზოგადოებრივი) კვლევითი ორგანიზაციების კვლევით და კომერციულ ფუნქციებს შორის ბალანსის დადგენა.	1 გრანტები საწარმოებისთვის კვლევითი პროგრამების ჩარჩოებში
2 უნივერსიტეტებისთვისა და მცირე საწარმოებისთვის დაპატენტების ხარჯების შემცირება და ანაზღაურება	2 გრანტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საინოვაციო ღონისძიებებზე რეგიონული განვითარების ფონდებიდან
3 ტექნოლოგიის გადაცემისა და საპატენტო ოფისების შექმნაში უნივერსიტეტებისთვის საფინანსო დახმარება, ან პატენტების გამოყენების რეგიონული ცენტრების შექმნა	3 სარისკო კაპიტალის თანადაფინანსება ევროპის საინვესტიციო ფონდის მიერ
4 ახალი ინოვაციური კომპანიების დაფუძნების ხელშეწყობა საჯარო სექტორში შექმნილი სიასლების კომერციალიზაციის მიზნით	4 საინოვაციო ღონისძიებებისთვის საბანკო სესხებზე გარანტიების უზრუნველყოფა
5 ბიზნეს-ინკუბატორების, ტექნოპარკებისა და ინოვაციის სფეროში საკონსულტაციო ცენტრების ვეროპული ქსელის განვითარება	5 მრავალფეროვანი საგადასახადო შეღავათები (პირად შემოსავალზე, საინოვაციო ხარჯების გამოქვითვა, გადასახადების გადაადგება და სხვა)
	6 საამორტიზაციო ვადების შემცირება შექმნილ მანქანა-მოწყობილობებზე
	7 საბაჟო შეღავათები
	8 მარკეტინგული და უცხოეთში ოპერაციების დაფინანსება

ნახ 6.2. ინოვაციის მხარდაჭერი ღონისძიებები

ჩანართი 4

ლიტვა²⁵

მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და საინოვაციო განვითარების კომისია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით შეიქმნა 2005 წელს. მისი ამოცანაა ყველა მონაწილე სამინისტროს (ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების, სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის) მუშაობის კოორდინაცია ინოვაციის სფეროში. ამ სტრუქტურისკენ ლიტვა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა. მთავრობასთან, ეკონომიკისა და განათლების სამინისტროების მოქმედების კოორდინაციისთვის, ჯერ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომისია შეიქმნა (2002), მაგრამ მას, მისი საკონსულტაციო ბუნების გამო, საკმაო ინსტიტუციური ძალა არ გააჩნდა. პარალელურად არსებობდა და ამჟამადაც არსებობს ლიტვის სამეცნიერო საბჭო, რომელიც სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობის კოორდინაციას, კვლევისა და ტექნოლოგიური შემუშავების პრიორიტეტების დადგენასა და კვლევის საკონკურსო დაფინანსებას აწარმოებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკურაციო სფეროში (კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტები, კოლეჯები და სახელმწიფო კვლევითი ორგანიზაციები). 2007 წლიდან საბჭო მუდმივად მოქმედი სააგენტო გახდა.

მრეწველობაში კვლევების მიმდინარეობისთვის პასუხისმგებელია ეკონომიკის სამინისტრო, რომელშიც, საინოვაციო ამოცანების შესაბამისად, აგრეთვე მიმდინარეობდა სტრუქტურული გარდაქმნები: 2004 წელს შეიქმნა ინოვაციისა და ტექნოლოგიის განყოფილება, ხოლო 2006 წელს ინოვაციის ფუნქციები საინვესტიციო ფუნქციებთან გაერთიანდა და შეიქმნა ინვესტიციებისა და ინოვაციის სამმართველო.

²⁵ Lithuania: Your Partner in Research and Experimental Development. Ministry of Education and Science of the Republic of Lithuania, Vilnius, 2006. 29 pp. (www.proinno-europe.eu)
 INNO-Policy TrendChart - Policy Trends and Appraisal Report. LITHUANIA. European Commission, Enterprise Directorate-General, 2008. 128 pp.

ჩანართი 5

შედეგი

შედეგი ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა²⁶. მეცნიერებაზე ხარჯების დონით (მშპ-ს 4%) იგი მსოფლიოში მხოლოდ ისრაელს ჩამოუვარდება. ამის მიუხედავად, მთავრობის შეშფოთებას იწვევს მაღალტექნოლოგიურ მრეწველობაში კვლევაზე ხარჯების შემცირების ტენდენცია. ნაკლად ითვლება, აგრეთვე, უცხოურ მცირე და საშუალო საწარმოებთან შეზღუდული კავშირები, დამწყები კომპანიების მცირე რაოდენობა, მის უმრავლესობაში კვლევაზე ხარჯების ნაკლებობა და საჯარო სექტორში წარმოებული კვლევების სიმცირე (კვლევების საერთო მოცულობის 15%). ამან 2008 წელს კვლევისა და ინოვაციის შესახებ ახალი კანონის მიღება გამოიწვია. მოსალოდნელია, რომ ამის შედეგად 2012 წლისთვის კვლევაში წლიური ინვესტიციები 500 მლნ ევროთი გაიზრდება. დასახულ პროგრამაში დიდ როლს თამაშობს საწარმოების, ენერჯისა და კომუნიკაციების სამინისტროსთან არსებული სააგენტო ვინოვა²⁷, მოწოდებული გააძლიეროს კავშირი უნივერსიტეტებს, კვლევით ცენტრებსა და კერძო საწარმოებს შორის. მას აქვს მის კვლევითი აქტივობის საფინანსო დახმარებაზე მიმართული განსაკუთრებული საინვესტიციო პროგრამა.

ჩანართი 6

ზინეთი²⁸

სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭო პასუხისმგებელია როგორც სამეცნიერო პოლიტიკის განვითარებასა და კოორდინაციაზე, ასევე მთლიანად ეროვნული საინოვაციო სისტემის განვითარებაზე. საბჭოში შედის შვიდი მინისტრი და პრემიერ-მინისტრი, რომელიც საბჭოს თავმჯდომარეა, და კიდევ ათი წევრი, რომელიც კარგადაა გარკვეული მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში: ფინეთის [მეცნიერებათა] აკადემიის წარმომადგენელი, ფინეთის საინოვაციო სააგენტოს TEKES წარმომადგენელი, ზოგიერთი უნივერსიტეტისა და საწარმოს წარმომადგენელი, დამსაქმებელთა და მშრომელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს მოვალეობაა: ეროვნულ მიზნებთან თავსებადი სამეცნიერო პოლიტიკის განსაზღვრა, მთლიანობაში მეცნიერებისა და განათლების სისტემების განვითარება, ტექნოლოგიების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა, კვლევისა და ინოვაციის სისტემების ორგანიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავება, კვლევისა და ინოვაციისთვის განკუთვნილი საჯარო ხაზსრების განაწილება სამინისტროებსა და სააგენტოებს შორის.

ჩანართი 7

ირლანდია²⁹


ირლანდიის სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭოს პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს. სამი მინისტრი საბჭოს მუდმივი წევრია: განათლებისა და მეცნიერების, მრეწველობისა და ვაჭრობის, ფინანსთა. მსხვილი კვლევითი ამოცანების მქონე კიდევ ორი მინისტრი პრემიერ-მინისტრს თავისი შესუდულებსაშუაშერ შეყავს საბჭოში (ამჟამად ესენია მეთევზეობის და სოფლის მეურნეობის მინისტრები). 14 დანარჩენ წევრს ასახელებენ: მინისტრები (6 წევრს), დამსაქმებელთა ასოციაცია და მშრომელთა კავშირი (4 წევრს) და უნივერსიტეტების საკოორდინაციო საბჭო (4 წევრს). სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭოს ამოცანა ასეა ჩამოყალიბებული: გააძლიეროს ქვეყანაში სამეცნიერო კვლევა, სამეცნიერო მომზადება და ტექნოლოგიის განვითარება ირლანდიის კულტურული წინსვლისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით.

²⁶ European Innovation Scoreboard (www.proinno-europe.eu) და The World Economic Forum (www.weforum.org)
²⁷ www.vinnova.se/In-English
²⁸ Per Dannemand Andersen, Mads Borup, Thorvald Finnbjornsson, Eirny Vals and Thomas Malmer. *Foresight in the Nordic research and innovation council systems*. Riso-R-1613(EN), Riso National Laboratory, Technical University of Denmark, Roskilde, Denmark, January 2007
²⁹ ისილეთ სქოლიო 28

6.3. საინოვაციო პროცესის მონიტორინგი

ევროკავშირში, საინოვაციო პოლიტიკის ეკონომიკური განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად გარდაქმნამ, დღის წესრიგში დააყენა მისი განხორციელების აღრიცხვა და მონიტორინგი როგორც ეროვნულ, ასევე კავშირის დონეებზე. ამჟამად ამისთვის გამოყენებულია 24 ინდიკატორი. მათზე დაყრდნობით გამოითვლება ინტეგრალური საინოვაციო ინდიკატორი. ეს ინდიკატორი ქვეყნებს შორის შეჯიბრებითობის მიზნით გამოიყენება. ეროვნული მთავრობები ხედავენ საკუთარი პოლიტიკის შედეგებს როგორც სხვა ქვეყნებთან შედარებით, ასევე დინამიკაში. გამოიყენება, აგრეთვე, დარგობრივი და რეგიონული ინდიკატორები. ეს საკითხები დეტალურადაა განხილული *ი. გოგოძის* სტატიაში³⁰.

გარდა ამისა, საინოვაციო პოლიტიკა და საინოვაციო სისტემები ინტენსიური მეცნიერული შესწავლის საგანი გახდა. ევროპაში ასეთი კვლევის მრავალი ცენტრი ჩამოყალიბდა: ევროკომისიის გაერთიანებული კვლევითი ცენტრი, მაასტრიქტის, თვენტეს, ლეიდენის უნივერსიტეტები და მრავალი სხვა.



ნახ. 6.3. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საინოვაციო მიღწევები (ინტეგრალური საინოვაციო მაჩვენებელი)³¹

³⁰ ი. გოგოძე. ინოვაციური პროცესების შეფასება და მონიტორინგი ევროპაში. წიგნში: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: თ. შატბერაშვილი, ი. გოგოძე. ეგსიგ. თბილისი. 2010 (www.inovdev.ge)

³¹ Innovation Union Scoreboard (ec.europa.eu/enterprise/policies/innovation/facts-figures-analysis/innovation-scoreboard/index_en.htm)

7. სახელმწიფო მართვა და კვლევითი სისტემის ამოცანები საქართველოში

განვიხილოთ ეროვნული კვლევითი სისტემის ამოცანები საქართველოს მაგალითზე. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნები ვითარდებიან როგორც ერთმანეთთან კოოპერაციის, ასევე კონკურენციის პირობებში. ამ მხრივ საქართველო არ არის და ვერც იქნება გამონაკლისი. საქართველოშიც, ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, კარგი მმართველობა შეუძლებელია კვლევითი სისტემის განვითარების გარეშე (იხ. ზემოთ). რა ამოცანებს/ფუნქციებს უნდა ასრულებდეს საქართველოს კვლევითი სისტემა? მისი ამოცანების ჩამონათვალი და დაჯგუფება, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, ნაკარნახევია მსოფლიო პრაქტიკით. კვლევითი პოლიტიკის შემუშავებისთვის იგი მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თუმცა მას არა აქვს არც ერთადერთობისა და არც ამომწურავობის პრეტენზია.

ამოცანათა პირველი ჯგუფია **ცვალებად გარემოში ადამიანის არსებობის უზრუნველყოფა.**

სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფა, მოსალოდნელი სასურსათო კრიზისების, სურსათზე ფასების ზრდისა და კლიმატური ცვლილებების პირობებში, ვერ განხორციელდება **სასოფლო-სამეურნეო კვლევებისა და ფერმერთა კონსულტირების სისტემის** გარეშე, განსაკუთრებით ისეთი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების მქონე ქვეყანაში, როგორცაა საქართველო. ეს ეხება როგორც საკუთარი ტექნოლოგიების შემუშავებას, ასევე იმპორტირებული ტექნოლოგიების ადაპტირებას. მიწების პრივატიზაციის ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესი და უკვე განხორციელებული პრივატიზაციის შედეგად მისი არარაციონალური დანაწევრება, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას სრულიად ახალ ამოცანებს უსახავს (იხ. თავი IV).

ზემოხსენებული ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, სეისმური საფრთხე და კლიმატის ცვლილებები განაპირობებს ადამიანის საარსებო **გარემოს კვლევის, მონიტორინგისა და ამ სფეროში სამეცნიერო კონსულტირების გამართული სისტემის** არსებობის აუცილებლობას, რაც, თავის მხრივ, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ჯგუფის (გეოფიზიკა, გეოლოგია, ჰიდროლოგია, გლაცეოლოგია და სხვა) გაძლიერებასა და მათი მხრიდან ხელისუფლების ინტენსიურ კონსულტირებას ნიშნავს. ეს ამოცანა გულისხმობს აგრეთვე გარემოსდაცვით ტექნოლოგიებზე მომუშავე მეცნიერებათა ჯგუფის გაძლიერებას (მაგალითად, სამთო მეტყვევების, გარემოს დამწოვი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და სხვა).

ადამიანის არსებობის უზრუნველყოფელ მეცნიერებათა ჯგუფს მიეკუთვნება **სამედიცინო კვლევა**. მკურნალობის ახალი მეთოდები და ახალი სამედიცინო ტექნოლოგიები (რის შემუშავებაშიც ქართულ სამედიცინო მეცნიერებას წარსულში კარგი შედეგები გააჩნდა, სოლო ბოლო ოცი წლის განმავლობაში, პრაქტიკულად ნულოვანი დაფინანსების გამო, პოზიციები დაკარგა) რომ გადავდოთ გვერდზე, როგორც მინიმუმი, ისეთი საკითხების სამეცნიერო შესწავლის გარეშე, როგორცაა დაავადებათა გავრცელება, მათი წარმოშობის მიზეზები, მათი თავისებურებები საქართველოში, სამედიცინო სტატისტიკის მეცნიერული დამუშავების სწავლასწავ მიმართულებები და სხვა, ჯანდაცვის სისტემა სასურველი მიმართულებით ვერ განვითარდება. ქვემოთ (გვ. 40) მოვიყვანთ საერთაშორისო შეფასებებს, რომელიც ეხება საქართველოში ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების ათვისებასა და მათ კავშირს სამედიცინო კვლევის დონესთან.

კვლევის **უნიკალური სფეროა ქართველოლოგია**, რომელიც „ფართო გაგებით მოიცავს ქართული კულტურის ისტორიისა და ენის შემსწავლელ ყველა ჰუმანიტარულ დარგს: ენათმეცნიერებას, ლიტერატურათმცოდნეობას, ეთნოგრაფიას, ნუმიზმატიკას, ისტორიას, ეკონომიკას, სამართალმცოდნეობას, ეპიგრაფიკას, პალეოგრაფიას, წყაროთმცოდნეობას“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის განმარტება, www.kartfund.org.ge). ცნადა, ამ სფეროში კვლევები იმ მასშტაბითა და სიღრმით ვერსად სწავან ვერ განხორციელდება, როგორც საქართველოში. ცნადა, აგრეთვე, რომ კვლევას ამ სფეროში მრავალი კავშირი აქვს ისეთ ისტორიულ და გეოგრაფიულ გარემოში ჩამოყალიბებული ქვეყნის უკეთეს მართვასთან, როგორცაა საქართველო.

ჩანართი 8

კვლევის სისტემის უპირატესობა

სახელმწიფოს მშენებლობისა და მართვის ინფორმაციით/კონსულტაციით უზრუნველყოფაში კვლევითი სისტემის მნიშვნელობას, კომპეტენციის გარდა, სხვა ფაქტორებიც განაპირობებენ. კვლევითი სისტემა თავისი არსით მიუკერძოებელი, არაპარტიული ინსტიტუტია, რომლის ფუნქციონირება, მსოფლიო პრაქტიკის თანახმად, არ უნდა იყოს დამოკიდებული ხელისუფლებათა ცვლაზე. მეცნიერებს გააჩნიათ უნარი, სურვილი და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დრო, საკითხების აკადემიურად განსახილველად. ამ ფუნქციებს პოლიტიკოსები და სახელმწიფო აპარატის მუშაკები, ისევე, როგორც ბიზნესმენები, მოკლებულნი არიან.

სახელმწიფო მართვისა და, ზოგადად, სახელმწიფო მშენებლობის საინფორმაციო/ საკონსულტაციო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კარგად ორგანიზებული და დაფინანსებული **საზოგადოებრივ მეცნიერებათა ქვესისტემის** მოქმედება - კვლევა ეკონომიკის, მართვის, სამართლის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის და სხვა სფეროებში. ასეთი კვლევის მიმართულებების მაგალითებია:

- საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის კვლევა რეგიონული და მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით;
- ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიების შემუშავება;
- საინოვაციო პროცესების კვლევა;
- პოლიტიკური გარემოს კვლევა და პროგნოზირება;
- კანონპროექტების ეკონომიკური და სოციალური შედეგების შეფასება და მრავალი სხვა.

კვლევითი სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ქვეყნის **ტექნოლოგიური განვითარების უზრუნველყოფა**, რაც ნიშნავს მისი ძალებით როგორც საკუთარი ახალი ტექნოლოგიების შემუშავებას, ასევე იმპორტირებული ტექნოლოგიების ადაპტირებას. ამ მიმართულებაში პირველი რიგის ამოცანები დაკავშირებულია ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებასთან, იქნება ეს წიაღისეული თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის პროდუქტები. ასევე აქტუალურია კვლევა *ენერგოუსაფრთხოების* მიმართულებით, *ენერგოეფექტური* და *გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების* შემუშავებისა და ადაპტირებისკენ მიმართული კვლევები. ჩამოთვლილ ამოცანებს, პირობითად, *ბუნებრივად პრიორიტეტული მიმართულებები* შეიძლება ეწოდოს. ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთნოთ კვლევები *საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების* სფეროში, ახალი *საინფორმაციო რესურსების* შექმნის ჩათვლით. ნათქვამიდან ჩანს, რომ კვლევითი სისტემისთვის პრიორიტეტული მიმართულებების დადგენის ობიექტური სიძნელეების მიუხედავად, არსებობს უდავოდ აქტუალური მიმართულებების საკმაოდ რაოდენობა, რომელშიც ყველა სამეცნიერო დისციპლინის სპეციალისტებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ენიჭება *სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურების ცენტრების* განვითარებას.

საქართველოს კვლევითი სისტემის მნიშვნელოვანი (შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი) ამოცანა *განათლების სტანდარტის უზრუნველყოფაა*. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, თუ კვლევაში არ არიან ჩართულნი, ვერ უზრუნველყოფენ მდგრად გრძელვადიანი სწავლების ხარისხს. ამ საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების სფეროში კვლევების** წარმოებას (რაც განათლებაში სხვა მეცნიერებების მნიშვნელობას არ ამცირებს). რა თქმა უნდა, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების ფუნქცია განათლებით არ ამოიწურება. ამ სფეროში პრიორიტეტებისა და კვლევის თემატიკის არჩევაში მეცნიერებს მეტი თავისუფლება ენიჭებათ, ვიდრე გამოყენებით

დარგებში, მაგრამ გარკვეული სპეციალიზაცია (ზოგიერთი მიმართულებით მეტი ძალების კონცენტრაცია) მაინც სასურველია, - მეცნიერთა (ცოდნის) კრიტიკული მასის დასაგროვებლად. სასურველია, სპეციალიზაციის პროცესში გათვალისწინებული იყოს საქართველოში მიმდინარე გამოყენებითი კვლევისა და საინჟინრო შემუშავებების პერსპექტიული ამოცანები.

ყველა ქვეყანა სარგებლობს გლობალური სამეცნიერო-საინფორმაციო ქსელებისა და სისტემების მონაცემებით (ასტროფიზიკური, მეტეოროლოგიური, სეისმური და სხვა) და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციით - ჟურნალებით, პატენტებით, სტანდარტებით, შესაბამის მონაცემთა ბაზებით. ამავე დროს, ყველა ცივილიზებულ ქვეყანას აკისრია ვალდებულება შეაფასოს გლობალური სისტემები საკუთარი მონაცემებით, რაც ნიშნავს მათ მოპოვებას, დამუშავებას, აღრიცხვასა და გადაცემას. **გლობალურ საინფორმაციო სისტემებში მონაწილეობა** საქართველოს კვლევითი სისტემის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

აღწერილი ამოცანები და ვალდებულებები კარგად მართული თანამედროვე სახელმწიფოს აუცილებელი ნიშანია. კვლევა საქართველოში (და ყველგან) ადამიანთა საქმიანობის მნიშვნელოვანი დარგია, რომელსაც სახელმწიფო მართვა ესაჭიროება, თუმცა, როგორც ეს ჯერ კიდევ ვანევარ ბუშმა აღნიშნა, ესაა მეტად სპეციფიური, სხვა დარგებისგან განსხვავებული მართვა. საქართველოში კვლევითი სისტემის მართვაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ევროკავშირის ქვეყნები გვთავაზობენ ეროვნული კვლევითი სისტემების მართვის ეფექტიან მოდელებს, რომელიც შეგვიძლია ავითვისოთ, მათ შორის EaP მექანიზმების გამოყენებითაც.

8. კვლევითი და საინოვაციო სისტემების მართვის საკარტელო

8.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, ინოვაცია უპირატესად არაკვლევითი არსებით ხდება. ძირითად როლს თამაშობს მანქანა-დანადგარებისა და მათში ჩაქსოვილი ტექნოლოგიების შექმნა. თავისი შინაარსით ამ არსთან ახლოსაა ფრანშიზა. საქართველოში ამ არსით განსორციელებული ინოვაციები ყველაზე თვალსაჩინო კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, სადაც როგორც ქართული ფირმების მიერ განსორციელებული იმპორტის, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით, ბევრი ახალი ტექნოლოგია ათვისებული. პატენტების

გამოყენებაზე ლიცენზიის შექმნის გზით საქართველოში განხორციელებული ინოვაცია ავტორისთვის ცნობილი არაა.

საქართველოს სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკა არ გააჩნია, რაც არა ერთხელ აღინიშნა უცხოელი მკვლევარებისა და პარტნიორების მიერ, მათ შორის ევროპული პროგრამების ჩარჩოებში^{32,33}. ამის შედეგად, ერთი მხრივ, საინოვაციო პროცესები უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ეს შესაძლებელია, ხოლო მეორე მხრივ, საქართველო საინოვაციო პოტენციალის და ტექნოლოგიების ათვისების უნარის (absorptive capacity) თვალსაზრისით³⁴, საერთაშორისო რეიტინგებში დაბალ შეფასებებს ღებულობს რაც ნეგატიურად მოქმედებს მაღალტექნოლოგიურ სფეროებში ინვესტირების ინტერესზე მის მიმართ. ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო სარგებების მაჩვენებელი (მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტით გამოსახული) მეცნიერებასა და განათლებაზე დაბალია. RAND Corporation-ის გამოკვლევაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამედიცინო ტექნოლოგიების ათვისების უნარს. კერძოდ, RAND Corporation-ის მკვლევართა აზრით, მათ მიერ განხილული უმნიშვნელოვანესი ახალი სამედიცინო ტექნოლოგიებიდან საქართველო 2020 წლისთვის ვერც ერთს ვერ აითვისებს.

ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა დღეს კარგი მმართველობის აუცილებელი ნიშანია. იგი ავტომატურად გულისხმობს მეცნიერებასა და წარმოებასთან სახელმწიფო მართვის პრიორიტეტებზე დაფუძნებულ ურთიერთობას. ეს ურთიერთობა შეიძლება გამოვლინდეს: საწარმოებისთვის საინოვაციო პროექტებისთვის გრანტების გაცემაში; მრავალფეროვანი შეღავათების შემცველ საგადასახადო რეჟიმში; ხელსაყრელ საბაჟო რეჟიმში, საამორტიზაციო ვადებში და სხვა. რას, როგორ და რა ზომით შევუწყობთ ხელი – ამის გადაწყვეტას კვლევა ჭირდება. სხვა სიტყვებით, კვლევაზე დაყრდნობის გარეშე მიზანშეწონილ პოლიტიკას ვერ შევიმუშავებთ. პასუხის მიღება მრავალ კითხვაზე, სამეცნიერო ექსპერტიზას მოითხოვს. მაგალითად, უნდა დაეხმაროს თუ არა სახელმწიფო „არაკვლევიტ“ ინოვაციას, ანუ უნდა დაეხმაროს თუ არა სახელმწიფო განვითარების ღონისძიებას, რომელიც მსოფლიოში ცნობილია, მაგრამ საქართველოსთვის ახალია? უნდა

³² TACIS Project 123052. Creating an effective model of science administration: review of EU best practices and elaboration of policy recommendations with the Ministry of Education and Science of Georgia. თბილისი, 2007

³³ EUROPEAN NEIGHBOURHOOD AND PARTNERSHIP INSTRUMENT: GEORGIA. NATIONAL INDICATIVE PROGRAMME 2007-2010

³⁴ Richard Silbergitt, Philip S. Antón, David R. Howell, Anny Wong with Natalie Gassman, Brian A. Jackson, Eric Landree, Shari Lawrence Pflieger, Elaine M. Newton, and Felicia Wu. The Global Technology Revolution 2020: In-Depth Analysis: Drivers, Barriers and Social Implications. RAND Corporation, 2006. 310 p. (www.rand.org/pubs/technical_reports/2006/RAND_TR303.pdf)

დაწესდეს თუ არა შეღავათები „მიზანშეწონილი ინოვაციის“ (მაგალითად, ქვეყნის შიგნით გამოცდილების ჰორიზონტალური გადატანის) მიმართ? უნდა გაგავრცელოთ თუ არა კვლევების დაწესებული შეღავათები საცდელ სამუშაოებზე (წამლის ან სამედიცინო მეთოდის გამოცდა, ჯიშების გამოცდა სოფლის მეურნეობაში)? როგორი იქნება სოციო-ეკონომიკური შედეგები თითოეულ ამ კითხვაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში? პასუხების გაცემის აუცილებლობას ისევ კვლევითი სისტემის ქმედითუნარიანობასთან მივყავართ. პასუხები დამოკიდებულია ქვეყნის არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ქვეყნის გარეთ დაგროვილ გამოცდილებაზე, ქვეყნის გრძელვადიან და მოკლევადიან ამოცანებზე. ამ პასუხების მიღება ხელისუფლებისა და მეცნიერების ერთობლივ მუშაობას მოითხოვს. ინოვაციაზე ორიენტირებული განვითარების მიმართ უყურადღებობა წარუმატებელი განვითარებადი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

8.2. საქართველოს კვლევითი სისტემის მიმდინარე მდგომარეობა

სახელმწიფოს ჩართულობა საინოვაციო პროცესების ხელშეწყობასა და, აგრეთვე, საინოვაციო სისტემის გამოყენებაში, მართვის ამოცანების გადასაწყვეტად, საქართველოში ძნელი გასაზომია, რადგანაც საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკაში მეცნიერებისა და ინოვაციის აღრიცხვის ბლოკი დღეს არ არსებობს. საქართველოში ინდიკატორთა უმეტესობა ხელმიუწვდომელია - რამდენიმე ინდიკატორი, რომელთა მიახლოებითი სიდიდე ცნობილია, მოგვყავს ცხრილში 8.1.³⁵ ამ ცხრილიდან მკაფიოდ ჩანს ინდიკატორთა მნიშვნელობების განსხვავება საქართველოსა და მცირე ევროპულ ქვეყნებს შორის.

ცხრილი 8.1. კვლევითი სისტემების ძირითადი ინდიკატორები (2010 წ.)

ინდიკატორი	საქართველო	ფინეთი	სლოვენია	ლატვია
ნარჯები კვლევაზე, მშპ %	< 0.2	3.94	1.84	0.59
მეცნიერი 1,000 მოსახლეზე	< 3	20	8	5
საერთაშორისო პუბლიკაცია 1 მლნ მოსახლეზე	150	1113	750	132
სარისკო (ვენჩურული) კაპიტალი, მშპ %	მიუწვდომელია	0.145	მიუწვდომელია	მიუწვდომელია
საერთაშორისო პატენტი მშპ-ს 1 მლრდ ევროზე	0	9.96	2.56	0.69
მცირე ინოვაციურ საწარმოთა % მს საერთო რაოდენობაში	მიუწვდომელია	38.60	მიუწვდომელია	14.44

³⁵ ფინეთის, სლოვენისა და ლატვიის მონაცემები აღებულია საიტებიდან PRO INNO EUROPE (www.proinno-europe.eu/trendchart/annual-country-reports) და The Innovation Union's performance score-board for Research and Innovation (ec.europa.eu/research/innovation-union/pdf/iu-scoreboard-2010_en.pdf)

საქართველოში ზემოთ აღნიშნულ ინდიკატორთა ცვლილების ტენდენცია ნეგატიურია. მაგალითად, 1985 წელს კვლევაზე გაწეული სარჯები საქართველოში მშპ-ს 3% შეადგენდა, ამჟამად, როგორც ტაბულიდან ვხედავთ - ნაკლებია 0.2%-ზე. გამოგონებათა წლიური რაოდენობა (საკმაოდ მეტრი საბჭოთა რეგისტრაციის სისტემის პირობებში) 600-800-ის ფარგლებში მერყეობდა, ამჟამად საქპატენტში რეგისტრირებული ქართული გამოგონებების წლიური რაოდენობა 70 ვერ აღწევს³⁶. ამ მხრივ საქართველო მევეთრად განსწავდება „ჩვეულებრივი“ განვითარებადი ქვეყნებისგან, სადაც ინდიკატორები მზარდია (საშუალოდ უფრო სწრაფად, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში).

8.3. ადამიანური რესურსი

ცხრილი 8.1.-დან ვხედავთ, რომ საქართველოში მეცნიერთა რიცხვი 1000 მოსახლეზე ნაკლებია ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელზე. ცნობილია, რომ კვლევით სისტემაში 1985 წელს მუშაობდა 27 ათასი მეცნიერი, ამჟამად - 10-12 ათასი. მართალია, საქართველოში მეცნიერთა ასაკის აღრიცხვის სისტემა არ არსებობს, მაგრამ განსაკუთრებული შესწავლის გარეშე ჩანს, რომ უკანასკნელ წლებში მეცნიერთა ასაკობრივმა განაწილებამ საგრძნობი დეფორმაცია განიცადა დაბერებისკენ. მიზეზები, რომელმაც მეცნიერთა არასასურველი ასაკობრივი განაწილება განაპირობა, მათი დაბალი ხელფასები³⁷ და ბოლო წლების რეფორმების შედეგად მკვლევართა პრესტიჟის მკვეთრი დაცემაა.

8.4. ინფრასტრუქტურა

1985 წელს საქართველოში იყო 250 კვლევითი ორგანიზაცია (აქედან დაახლოებით 230 იურიდიული პირი). გარდა ამისა, არსებობდა ხელსაწყოებით კოლექტიური სარგებლობის ცენტრები, საკონსტრუქტორო ბიუროები, მეტროლოგიური სამსახური, საცდელი სადგურები, კვლევითი და საკონსტრუქტორო სიმძლავრეები საწარმოებში და სხვა. კვლევები მიმდინარეობდა უმაღლესი სასწავლებლების კათედრებზე და 20-მდე ე.წ. პრობლემურ ლაბორატორიაში, რომლებიც იურიდიულ პირებს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი დაფინანსება გააჩნდათ.

საქართველოში კვლევით ორგანიზაციებს, მათი უნივერსიტეტებთან მიერთებასთან დაკავშირებით, მასობრივად ჩამოერთვათ იურიდიული პირის სტატუსი, რაც საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება. ეს მეცნიერების აქტიურ დინამიკურ ციონალიზაციას ნიშნავს. მსხვილი, სახელმწიფო მნიშვნელობის სამეცნიერო მიმართულებების (გეოფიზიკური კვლევები, მცენარეთა დაცვა, სამთო მეტყვეობა და მრავალი

³⁶ საქპატენტი, 2009 წლის წლიური ანგარიში. http://www.sakpatenti.org.ge/files/annual_report2009.pdf

³⁷ იხილეთ პარაგრაფი 8.7

ცხრილი 8.2. საქართველოს კვლევითი სისტემის ინფრასტრუქტურა

	1985	2011
კვლევითი ორგანიზაცია	250	60 ³⁸
იურიდიული პირი	230	< 10
საკონსტრუქტორო ბიურო	რამდენიმე ათეული	-
საცდელი და სასელექციო სადგური	70	< 10
სამეცნიერო ბიბლიოთეკა	300	< 50

სსვა) არსებობა, იურიდიულად, უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება შეწყდეს. მიმდინარე პროცესის დამკვირვებელთა აზრით, ძალაშია იმის ალბათობა, რომ ეს ასეც მოხდება³⁹.

კვლევით ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებს ჩამოერთვით ასობით მილიონი დოლარის უძრავი ქონება შენობებისა და მიწის ნაკვეთების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურების ნაკვეთების) სახით. საქართველოსნაირი დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნისათვის ამის აღდგენა ძალიან ძნელი იქნება.

8.5. სელისუფლების ჩართულობა საინოვაციო პროცესების მართვაში. მეცნიერებაზე დაფუძნებული მართვა

საქართველოში სახელმწიფო მართვის ორგანოების საინოვაციო პროცესებში ჩართულობისა და, აგრეთვე, მათი საქმიანობის კვლევითი უზრუნველყოფის შესაფასებლად განვიხილოთ ცხრილი 8.3, რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოსა და რამდენიმე მცირე ევროპული ქვეყნის სამინისტროები და მითითებულია მათ დაქვემდებარებაში კვლევითი სიმძლავრეებისა ან/და კვლევების დაკვეთისთვის განკუთვნილი სახსრების არსებობა (აღნიშნულია “+” ნიშნით, მათი უქონლობა, შესაბამისად “-” ნიშნით)⁴⁰. უნდა ითქვას, რომ თვით სამინისტროების ჩამონათვალი ყველა ქვეყანაში ერთმანეთის მსგავსია, თუმცა მცირე განსხვავებებიც არსებობს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობისა და ევროპული მთავრობების სტრუქტურა ერთმანეთს შეესაბამება. ცხრილი 8.3.-ში მოყვანილი მონაცემების შესაბამისად, ინოვაციების მართვაში ჩართული სამინისტროების წილი (ანუ “+” ნიშნის მქონე სამინისტროების შეფარდება მათ მთლიან რაოდენობასთან) ქვეყნების მისხედვით, შემდეგია: საქართველო - 43%, ფინეთი - 100%, სლოვენია - 80%, ლატვია - 73%, ესტონეთი - 80%. საქართველო, ამ თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნებისგან (და, საერთოდ,

³⁸ ამ 60 ორგანიზაციის აბსოლუტური უმრავლესობა ამჟამად უნივერსიტეტების კვლევით ქვედანაყოფებს წარმოადგენს. მათ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ჰქვიათ, მაგრამ ამ სახელის დამადასტურებელი ადმინისტრაციული უფლებამოსილება მათ აღარ გააჩნიათ.

³⁹ ამ სტატის დაწერის (2011 წლის გაზაფხული) შემდეგ განვიხილ დროში რამდენიმე ინსტიტუტს რექტორების გადაწყვეტილებით დაფინანსება უკვე შეუწყდა.

⁴⁰ უცხოეთის მონაცემები მიღებულია სამინისტროების საიტების, მათი დებულებებისა და სსვა დოკუმენტების შესწავლის შედეგად.

წარმატებული ქვეყნებისგან). განსაკუთრებით უჩვეულოა, რომ საქართველოში ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროები (სადაც საქმიანობაში საინოვაციო შემადგენელი განსაკუთრებით მაღალი უნდა იყოს) არ არიან მეცნიერებასთან კავშირში.

ცხრილი 8.3. სახელმწიფო მართვის ორგანოების ჩართულობა საინოვაციო პროცესებში

სამინისტროების დასახელება	დაქვემდებარებული კვლევითი ორგანიზაციების, უნივერსიტეტებისა და ფონდების არსებობა				
	საქართველო	ფინეთი	სლოვენია	ლატვია	ესტონეთი
ეკონომიკის	-	+	+	+	+
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის	+	არ არსებობს	-	არ არსებობს	არ არსებობს
ფინანსთა	-	+	-	-	-
სოფლის მეურნეობის	-	+	+	+	+
განათლებისა და მეცნიერების	+	+	+	+	+
სპორტისა და ახალგაზრდობის	-	არ არსებობს	არ არსებობს	არ არსებობს	არ არსებობს
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების	-	+	+	+	+
ენერჯეტიკის	-	არ არსებობს	არ არსებობს	არ არსებობს	არ არსებობს
თავდაცვის	+	+	+	+	+
კულტურისა და ძეგლთა დაცვის	+	არ არსებობს	+	+	არ არსებობს
საგარეო საქმეთა	-	+	+	+	+
შინაგან საქმეთა	-	+	+	+	+
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის	+	+	+	+	+
იუსტიციის	+	+	+	+	+
საინოვაციო განვითარების სახელმწიფო საბჭო	-	+	+	იგვემუბა	+

ცხრილი 8.3.-ის ბოლო სტრიქონში აღნიშნულია მაღალი დონის საინოვაციო საბჭოების (პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით) არსებობა. **საინოვაციო განვითარების სახელმწიფო საბჭოები** (ეს დასახელება ზოგიერთ ქვეყანაში სხვანაირია – მაგალითად, „სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭო“) შექმნილია სამინისტროების, უწყებების, მრეწველობის, კვლევითი ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, სამეცნიერო და საინოვაციო ფონდების, არასამთავრობო სექტორის მეცნიერებაზე და ინოვაციაზე მიმართული საქმიანობის სახელმწიფოს მასშტაბით კოორდინაციის, დაგეგმვისა და სტიმულირების მიზნით. საბჭოებს, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ პრემიერ-მინისტრები. მათ შემადგენლობაში შედიან სამინისტროები, მრეწველთა გაერთიანებები და მეცნიერები. საბჭოები, მცირე ქვეყნებშიც კი მძლავრ სახელმწიფო სტრუქტურებს წარმოადგენენ, - აპარატით, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ასობით თანამშრომელს ითვლის. საბჭოები ანგარიშვალდებულნი

არიან პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე (საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნებში) და მათთან მჭიდროდ თანამშრომლობენ.

ჩანართი 9

ქვეყნის ხელშეწყობის საინფორმაციო უზრუნველყოფა საქართველოში

1978 წელს ტექნიფორმში (საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ს/კ ინსტიტუტი) ჩამოყალიბდა ქვეყნის ხელმძღვანელობის დიფერენციული საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური. იგი ასამდე უმაღლესი თანამდებობის პირს რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას ამ პირების მიერ განსაზღვრული თემატიკით და პასუხობდა მათ მიერ დასმულ ერთჯერად შეკითხვებს. სამსახური ამზადებდა და გამოსცემდა ანალიზურ მიმოხილვებს (50 წელიწადში) რეკომენდაციებით საქართველოს ეკონომიკის სექტორების, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიებისა და ორგანიზაციული სექტორების მდგომარეობის შესახებ. ამისთვის, გარდა ტექნიფორმის თანამშრომლებისა, მოხიდული იყვნენ წამყვანი მეცნიერები კვლევითი ორგანიზაციებიდან და უნივერსიტეტიებიდან. ამგვარად, სამსახური მეცნიერებასა და მთავრობას შორის შუამავლის როლსაც ასრულებდა.

სამსახურის პროდუქციის მაგალითებია: დამოუკიდებელ საქართველოში საბატენტო საქმიანობის კონცეფცია, 1989 წელი, (სრულად განხორციელდა საქბატენტის დაფუძნებით 1991 წელს); პარლამენტის საინფორმაციო უზრუნველყოფის კონცეფცია, 1992 წელი, (განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით 1994 წელს პარლამენტის კვლევითი სამსახურის სახით); დამოუკიდებელ საქართველოში მეცნიერების განვითარების კონცეფცია, 1989 წელი; საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარების კონცეფცია, 1988 წელი და მრავალი სხვა.

ამჟამად სისტემა აღარ ფუნქციონირებს. ტექნიფორმის თანამშრომელთა რიცხვი 40-ს ვერ აღწევს. იგი გადაიქცა ტექნიკური უნივერსიტეტის განყოფილებად. ესაა მეცნიერების რეფორმის – ორგანიზაციითა და უფიქრებელი შემცირებისა და გაუქმების ტიპური მაგალითი.

8.6. საინოვაციო პროცესების აღრიცხვა და შეფასება

უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში, სახელმწიფო სტატისტიკის ჩარჩოებში, საინოვაციო პროცესების ბლოკი არ არსებობს. ამის გამო, საინოვაციო პროცესების სრულფასოვანი აღწერა-შეფასება OECD-ს, EUROSTAT-ს, UNESCO-სა და სხვა ცნობილი მეთოდებიდან შეუძლებელია. საბჭოთა ხელისუფლების დროს არსებული სტატისტიკური ბლოკი გარდაქმნას მოითხოვდა, მაგრამ, ამის ნაცვლად, იგი მთლიანად მოიშალა. საინოვაციო პროცესების აღრიცხვის თეორია და ევროპული პრაქტიკა დეტალურად ქართულად აღწერილია *ი. გოგოძის* სტატიაში (იხილეთ სქოლიო 20).

ამდენად, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიყვანოთ საქართველოსთვის სრულფასოვანი ინტეგრალური მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ნახ. 6.3.-ზე მოყვანილ დიაგრამაზე რაჩეირებულია ევროპის ქვეყნები. ჩვენთვის ცნობილია ორი გამოკვლევა, რომელშიც საქართველო, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად შეფასებულია სამეცნიერო და საინოვაციო პოტენციალის, ან ტექნოლოგიების ათვისების უნარის თვალსაზრისით⁴¹. აღსანიშნავია, აგრეთვე, ქვეყნების *კონკურენტუნარიანობის* შეფასება, რომელსაც პერიოდულად აწარმოებს *მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი*⁴². მისი შეფასების 12 ინდიკატორს შორის 4 პირდაპირ ინოვაციასთანაა დაკავშირებული. 2010 წლის შეფასებით, საქართველომ 93-ე ადგილი დაიკავა.

⁴¹ Science and Technology Collaboration: Building Capacity in Developing Countries? RAND Corporation, 2001. დაბეჭევა: World Bank (www.rand.org). იხილეთ, აგრეთვე, სქოლიო 35.
⁴² World Economic Forum – Global Competitiveness Report (www.weforum.org)

8.7. კანონმდებლობა

რამდენადაც საქართველოში საინოვაციო პოლიტიკა არაა შემუშავებული, არ არსებობს მისი განხორციელების ხელშემწყობი კანონმდებლობაც. არსებობს საინოვაციო სისტემის ცალკეული ნაწილების მარეგულირებელი კანონები, რომელთა შორის კავშირი არ ჩანს. ყველაზე სრულყოფილი ნაწილია კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, რომელიც, ძირითადად, ჰარმონიზებულია საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკასთან ამ სფეროში (9 კანონი). მიღებულია 3 კანონი სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის სფეროში. თუმცა, როგორც ინტელექტუალური საკუთრების, ასევე მეტროლოგიის სფეროში, უმთავრესი პრობლემა – კანონების ცნოვრებაში გატარებაა. საქართველოს კანონი “მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ”, საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება⁴³. (იხ. თავი IV) რაც მთავარია, რეალური რეფორმები ამ კანონში ასახული პოზიტიური პუნქტების საწინააღმდეგოა. ეს პუნქტები იმდენად ზოგადია, რომ კვლევით სისტემას ვერ იცავენ. საგადასახადო კანონმდებლობაში არის რამდენიმე პუნქტი, რომელიც საინოვაციო საქმიანობას, ზოგადად, ხელს უწყობს, მაგრამ ამ პუნქტებშიც დიდია გადახრები ევროპული პრაქტიკისგან. უნდა დაგვასკვნათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა საინოვაციო არსებზე სისტემური ზემოქმედების, ანუ ინოვაციური განვითარების ინსტრუმენტს არ წარმოადგენს.

9. საზოგადოების როლი საქართველოში საინოვაციო პოლიტიკის ფორმირებაში

9.1. პოლიტიკური პარტიები

საქართველოში არსებული მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში განათლებისა და მეცნიერების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები მეტ-ნაკლებად წარმოჩენილია, მაგრამ ეკონომიკის საინოვაციო მიმართულებით წარმართვის აუცილებლობა, რაც, როგორც ვთქვით, განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი მოტივია, პროგრამებში ასახული არაა (იშვიათი გამონაკლისის გარდა, რაზეც ამ სტატიაში შეჩერება მართებული არ იქნება). პარტიების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს აქვს წარმოდგენილი მეცნიერება, წარმოება და ხელისუფლება ურთიერთდაკავშირებულ ინსტიტუტთა სისტემად, რომელიც განვითარებას უზრუნველყოფს. ცხადია, რომ საქართველოში სუსტია ინოვაციაზე ორიენტირებული განვითარების მომხრე ელექტორატიც. ეს გარემოება საქართველოში უკეთესი მართვის პერსპექტივებს გაურკვეველს ხდის.

⁴³ მაგალითად, კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მიმართ მოთხოვნა შემდეგია: მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და 5 წლის მუშაობის სტაჟი ნებისმიერ სფეროში. შრომის ანაზღაურების თაობაზე კანონში წერია „... მეცნიერის თანამდებობრივი სარგო უნდა იყოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში საჯარო მოსამსახურის მინიმალურ (!) თანამდებობრივ სარგოზე მაღალი“. (ამის თაობაზე უფრო დეტალურად იხილეთ სტატია წინამდებარე წიგნში: ო. შატაბერაშვილი - „EaP და საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში“).

9.2. არასამთავრობო სექტორი

არასამთავრობო სექტორის ამოცანა, ძირითადად, არსებული ცოდნის იმ ფორმაში მოქცევაა, რომელიც საზოგადოების მიზნობრივი ჯგუფებისთვის ადვილი აღსაქმელია. მისი როლი ძალიან დიდია. არსებული ცოდნა, ტრანსფორმირებული Think Tank-ების მიერ პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამისად, უკეთ აღიქმება ხელისუფლების მიერ, ვიდრე აკადემიური ცოდნა. ამგვარად, არასამთავრობო სექტორი მნიშვნელოვანი შუამავლის როლს ასრულებს მეცნიერებას, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რითაც ქვეყნის უკეთ მართვას უწყობს ხელს. ეს მექანიზმი ხელისუფლებასა და კვლევით სისტემას შორის ურთიერთობისთვის და აგრეთვე, საინოვაციო პოლიტიკის აუცილებლობაში საზოგადოების დახარწმუნებლად, უაღრესად მნიშვნელოვანია.

ბოლო 4 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის (სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების) გააქტიურება შეინიშნება, თუმცა იგი ვერც მასშტაბით და ვერც დაფინანსების მოცულობით ვერ შეედრება სხვა სფეროებში აქტივობას (მაგ., გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების). აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის (EaP) მონაწილე ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებმა 2010 წ. მე-2 EaP სამოქალაქო ფორუმზე ბერლინში, აღნიშნეს, რომ ამ 6 ქვეყანაში საინოვაციო პოლიტიკა ჯერ არ გახდა განვითარების ინსტრუმენტი. მათ ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები მთავრობებისა და ევროკომისიის მიმართ ინოვაციის სფეროში თანამშრომლობის გააქტიურების თაობაზე.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ საინოვაციო პოლიტიკის სფეროში ისეთ გამოკვლევებს, რომელსაც, საქართველოს კვლევით სისტემაში შექმნილი მდგომარეობის გამო, საჯარო კვლევითი სექტორი ამჟამად ვერ ასრულებს.

10. უხეივანობები აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში

კარგი მმართველობა 21 საუკუნეში, დემოკრატიის სრულყოფასა და ადამიანის უფლებების ზედმიწევნით დაცვასთან ერთად, განვითარებაზე ორიენტირებულ, ცოდნაზე დაფუძნებულ სახელმწიფო მართვას გულისხმობს. ამ მხრივ ევროკავშირის ქვეყნები მსოფლიო ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან. განვითარებად ქვეყანას, რომელსაც უკეთესი მართვის დაშვებები სურს, ევროკავშირის მეზობლობა ამოცანას უადვილებს.

როგორც დავინახეთ, ჯერ-ჯერობით მეცნიერებაზე დაფუძნებული მართვისა და საინოვაციო პროცესების მართვის არსებული პრაქტიკა საქართველოსა და ევროკავშირში რადიკალურადაა განსხვავებული. ამ გარემოებამ შეუძლებელია არ შეაფერხოს საქართველოს მიერ გაცხადებული ევროინტეგრაციის პროცესი.

მართალია, EaP-ს მიმდინარე ვერსია საინოვაციო სფეროს ცნადად არ მოიხსენიებს, მაგრამ მისი I და II პლატფორმების თემატიკა – „უკეთესი

მართვა” და „ეკონომიკური პოლიტიკების დაახლოება”, – მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ერთმანეთთან, ასევე საინოვაციო პოლიტიკასთან. ვიმედოვნებ, რომ ამის ჩვენება წინამდებარე სტატიაში მოვასწავს ევროპული ინტერპრეტაციით „კარგი მმართველობა”. „უკეთესი მართვა” – ცოდნასა და სამეცნიერო ექსპერტიზაზე დაფუძნებული მართვაა. იმდენად, რამდენადაც ევროკავშირის ეკონომიკური განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ინოვაციური განვითარებაა, შეუძლებელია ევროინტეგრაცია ამ ტიპის განვითარებისკენ თანმიმდევრული მოძრაობის გარეშე. შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკების დაახლოება, ამჟამად მონიშნული EaP-ს საფლავმანო ინიციატივებისა და მათთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხების გადაჭრის გარდა, საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასაც უნდა ნიშნავდეს.

საინოვაციო პოლიტიკის საჭიროების საკითხი ევროკავშირმა ჯერ კიდევ ევროკავშირის სამეზობლო პროგრამის (ინ. სქოლიო 34) საქართველოსთვის სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპზე წამოჭრა, თუმცა ქართულმა მხარემ ეს არ განავითარა. საქართველოს ინტერესებს პასუხობს EaP შემდგომი სრულყოფა ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების ძირითადი, ინოვაციური მიმართულებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მიდგომის ამბიციურობისა და სიძნელის მიუხედავად, განვითარების სწვა არჩევანი მაინც არ გაგვანჩია. ამიტომ, უკეთესია გამოვიყენოთ მექანიზმი, რომელსაც ევროპელები თვითონ გვთავაზობენ. საინოვაციო პოლიტიკის ევროპელებისგან სწავლას ორი გარემოება გაგვიადვილებს: 1. EaP-ით განპირობებული ევროპის კეთილგანწყობა და გასწილობა. 2. ევროპაში სწავლასწვა საფენურზე მდგომი ქვეყნების სიმრავლე, რაც ჩვენთვის მოდელების არჩევისა და მარტივი ამოცანებიდან უფრო რთულზე გადასვლის საშუალებაა.

საინოვაციო პოლიტიკის საფუძველზე განვითარების (და, შესაბამისად, მართვის) დადებით შედეგებს ამტკიცებს მსოფლიო პრაქტიკა. ასეთი განვითარება ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული და კულტურული პრობლემების ფართო კომპლექსს წყვეტს. მიუხედავად ამისა, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ეს ექსპერიმენტულად შემოწმებული მიდგომა ძნელად მკვიდრდება. ევროინტეგრაციული რიტორიკის პარალელურად, ვხედავთ მართვაში ანტიინტეგრაციული კონცეფციებისა და მეთოდების პროპაგანდასა და დამკვიდრებას. ხშირად ეს იმავე ადამიანებისგან მომდინარეობს, რომლებიც ფორმალურად, ევროინტეგრაციის პოზიციებზე დგანან (მათ შორის ხელისუფლებაში მყოფი პირებისგან). სახეზეა ინოვაციური პროცესის მიმართ ფარული წინააღმდეგობა, რაც მის გადალახვას განსაკუთრებით ართულებს. თუ როგორ წავა პროცესი მომავალში, დამოკიდებულია არა მარტო ქართულ, არამედ ევროპულ მხარეზეც, იმ შემთხვევაში, თუკი ევროკავშირის ირგვლივ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება მისი მტკიცე სურვილია (რაც, ობიექტურად მის ინტერესებშია), იგი მეტ ნებას გამოამჟღავნებს ინოვაციური განვითარებისა და EaP-ს შემდგომი სრულყოფის მიმართაც.

ნაწილი II.

აღმოსავლეთის პარტნიორობა როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი

თავი II

EaP და ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები

ოლეგ შატაბერაშვილი

1. შესავალი

პოლიტიკა, მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) მიმართ, ევროპული ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთი ბურჯია, როგორც საერთო-ევროპულ, ასევე წევრი ქვეყნების დონეზე. იგი ჩამოყალიბებულია „ევროპულ ქარტიაში მცირე საწარმოებისთვის“¹ და „მცირე ბიზნესის აქტში ევროპისთვის“² და ასახულია ყველა წევრი ქვეყნის კანონმდებლობაში. ევროკავშირი, ამ საკითხისადმი ყურადღებისა და ნორმატიული ბაზის დახვეწილობის თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია, თუმცა გამონაკლისს არ წარმოადგენს. ანალოგიური სტრატეგიები ყველა განვითარებულ და წარმატებულ განვითარებად ქვეყანას გააჩნია³.

ჩანართი 1

ამერიკის შეერთებული შტატები

პირველი მცირე ბიზნესის აქტი (Small Business Act) მიღებული იყო 1953 წელს. შესწორდა 1958 წელს და ბოლოს, განვითარებული იყო მცირე ბიზნესის დასაქმების აქტით (Small Business Jobs Act) 2010 წელს, რაც, მის ირგვლივ მუდმივი დებატების მიუხედავად, მიუთითებს საკითხის მიმართ სანგრძლივ ინტერესსა და, აგრეთვე, საკითხის გრძელვადიან ეკონომიკურ მნიშვნელობაზე⁴.

2000 წელს ბოლონიაში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ მოწვეულ მინისტრების კონფერენციაზე, 47 ქვეყანამ მოაწერა ხელი „მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ პოლიტიკის ქარტიას“⁵, რომელმაც საზი გაუსვა მსს მნიშვნელობას ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნის,

¹ European Charter for Small Enterprise (ec.europa.eu/enterprise/policies/sme/files/charter/docs/charter_en.pdf)

² Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions - "Think Small First" - A "Small Business Act" for Europe. COM/2008/0394 final

³ Takao Suzuki. Global Trends in SME Support Policy: Universality and Diversity. Keynote Speech at 34th International Small Business Council, Bangkok, 11 November, 2007. (<http://www.isbc2007.org/isbc/upload/6725.pdf>)

⁴ http://en.wikipedia.org/wiki/Small_Business_Administration

⁵ Bologna Charter: Enhancing the competitiveness of SMEs in the Global Economy. OECD. The 1st Ministerial Meeting in Bologna, 14-15 June, 2000.

რეგიონული და ადგილობრივი განვითარების, სოციალური ერთობის, ქალთა და ახალგაზრდობის ბიზნესში ჩართვის მიმართ. ქარტიაში ნათქვამია, რომ ქვეყნები ერთობლივად იმუშავებენ მსს საფინანსო და არასაფინანსო დახმარების სრულყოფაზე და შექმნიდნენ მსს პოლიტიკის აღრიცხვისა და შედარების საერთაშორისო სისტემას. ევროპაში ასეთი სისტემა სრულად მოქმედებს „მსს საქმიანობის მიმოხილვის“ (The SME Performance Review)⁶ სახელწოდებით.

მსს ცნების შემოტანის მიზანია მათ მიმართ განსაკუთრებული პოლიტიკის გატარება, რომელიც განსხვავდება მსსვილი საწარმოების მიმართ პოლიტიკისგან. მსს მიმართ დაწესებულია განსაკუთრებული შეღავათები, რომელთა შინაარსი, თავდაპირველად, მცირე საწარმოთა დაცვა იყო. ყველაზე ლიბერალური ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც კი ეს ცნება შეტანილი იყო კანონმდებლობაში. დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ მსს განსაკუთრებული რეჟიმი ჭირდებათ ეკონომიკაში განსაკუთრებული როლის გამო, რომელიც განვითარებასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ მრავალი რეგოლაციური ინოვაცია სწორედ მცირე საწარმოების მიერ იყო განხორციელებული. მათი დინამიზმი, ადაპტაციის უნარი, რომ აღარაფერი ვთქვათ სამუშაო ადგილების რაოდენობასა და მშპ წილზე, რომელსაც ისინი ქმნიან, ჯანსაღი ეკონომიკის არსებობის უზრუნველყოფელი სისტემური ელემენტია.

2. მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრება

ყოველი ქვეყანა საწარმოსთვის (ბიზნესის) მიკრო, მცირე და საშუალო კატეგორიისთვის მისაკუთვებლად განსხვავებულ კრიტერიუმებს ადგენს. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში კრიტერიუმები ეკონომიკის სექტორზეა დამოკიდებული. ამჟამად ევროკავშირის ქვეყნებში ერთიანი განსაზღვრება მოქმედებს⁷. ცხრილი 2.1 განმარტავს ამ განსაზღვრებას.

ცხრილი 2.1. მსს განსაზღვრება ევროკავშირში

საწარმო	რიცხოვნობა	წლიური ბრუნვა, ევრო	საბალანსო ღირებულება, ევრო
საშუალო	< 250	< 50 მილიონი	43 მილიონი
მცირე	< 50	< 10 მილიონი	10 მილიონი
მიკრო	< 10	< 2 მილიონი	2 მილიონი

⁶ The SME Performance Review; The Report on European SMEs; SBA fact sheets. (http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/performance-review/index_en.htm)

⁷ SME definition. Recommendation 2003/361/EC (1 January 2005) (ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/sme-definition/index_en.htm)

ძირითადი ინდიკატორები, რომლითაც მსს-თვის კატეგორიის მიკუთვნება ხდება – რიცხოვნობა, წლიური ბრუნვა და საბალანსო ღირებულება (თუმცა სხვა ინდიკატორებიც გამოიყენება სპეციფიური მიზნებისთვის). სამი ინდიკატორის გამოყენება უზრუნველყოფს განსაზღვრების მოქნილობას. ეს საწარმოსაც და დახმარების გამწვევ სააგენტოებსაც აძლევს არჩევანს, თუ რომლის გამოყენება უკეთესი ან თუ იმ შემთხვევაში (მაგალითად, ეკონომიკის დარგზე დამოკიდებულებით).

ცხრილი 2.2. მსს განსაზღვრება რიცხოვნობის მიხედვით

	ვეროკავშირი	აშშ, კანადა ⁸	იაპონია	საქართველო ⁹
საშუალო	< 250	< 500	< 300	< 100, წლიური ბრუნვა 1.5 მლნ ლარი
მცირე	< 50	< 100	-	2011 წლის იანვრამდე < 20, წლიური ბრუნვა 500 ათ. ლარი 2011 წლის იანვრიდან - წლიური ბრუნვა 100 ათ. ლარი
მიკრო	< 10	< 10	-	2011 წლის იანვრიდან 1 მომუშავე წლიური ბრუნვა 30 ათ. ლარი

ცხრილი 2.2. გვიჩვენებს მსს განმარტებას მუშაკთა რაოდენობის მიხედვით (საქართველოსთვის მოყვანილია წლიური ბრუნვაც). საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ (2010 წლის სექტემბერი, მოქმედებაში შევიდა 2011 წლის იანვრიდან) შეიცვალა მცირე საწარმოს განსაზღვრება და შემოღებულია მიკრო საწარმოს ცნება. მომუშავეთა რაოდენობის მაჩვენებელი მცირე საწარმოს მიმართ აღარ გამოიყენება, ხოლო ბრუნვის მაჩვენებლის შედა ზღვარი გაუტოლდა 100 ათას ლარს წელიწადში. საშუალო საწარმოს განსაზღვრება არ შეცვლილა. ცხრილში 2.3 ნაჩვენებია, თუ როგორ განსხვავდება საბალანსო ღირებულების მიხედვით განსაზღვრებები. საქართველოში ეს მაჩვენებელი არ გამოიყენება.

⁸ აქ მოყვანილი მონაცემები ეხება წარმოების სფეროს. ეკონომიკის სხვა სფეროებში სხვა განსაზღვრებები მოქმედებს.

⁹ ასეთი იყო განსაზღვრება 2011 წლის I იანვრამდე, საქართველოს კანონების „მეწარმეთა შესახებ“ (1994) და „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ (2006) თანახმად. ამჟამად, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მცირე საწარმოს მიმართ მომუშავეთა რაოდენობის მაჩვენებელი აღარ მოქმედებს, ხოლო წლიური ბრუნვა 100 ათას ლარზე ნაკლები უნდა იყოს. დადგინდა, აგრეთვე, მიკრო საწარმოს განსაზღვრება.

ცხრილი 2.3. მსს განსაზღვრება საბალანსო ღირებულების მიხედვით

	მსს საბალანსო ღირებულება, მლნ აშშ დოლარი
ევროკავშირი	< 60
იაპონია	< 3
ინდოეთი	< 2.2

ევროპარლამენტი და ევროკომისია შეთანხმდნენ ¹⁰500,000 ბრუნვის მქონე ან ¹¹250,000 საბალანსო ღირებულების მქონე მიკრო-ბიზნესების საგადასახადო დეკლარაციების წარდგენისგან განთავისუფლების შესახებ. მაგრამ, უფრო რადიკალურ წინადადებაზე - ბრუნვა ¹²1,000,000 და საბალანსო ღირებულება ¹³500,000, რამდენიმე წევრი ქვეყნის წინააღმდეგობის გამო, თანხმობას ვერ მიაღწიეს.

მოყვანილი მაგალითებიდან ცალსახად ჩანს, რომ ქვეყნები მსს სექტორს ძალიან დიდი ყურადღებით განიხილავენ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი დახმარება აღმოუჩინონ. მეორე მხრივ, იგივე მაგალითებიდან ჩანს, რომ მსს კატეგორიისთვის მიკუთვნების კრიტერიუმები ძალიან განსხვავდება და, ერთი შეხედვით, რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარებიან. გამოირკვა, რომ კრიტერიუმების დადგენისას ჯერ იხილავენ სტატისტიკურ კანონზომიერებებს, ხოლო შემდეგ ამას ემატება პოლიტიკური/ადმინისტრაციული მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობა, ასე, რომ საბოლოო განსაზღვრება მოსაზრებების რთულ კომბინაციას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, გარკვეული კანონ-ზომიერებები მაინც შეინიშნება (იხ. ცხრილები 2.4, 2.5). კერძოდ, ირკვევა, რომ ყველა წარმატებულ ქვეყანაში მსს ისეა განსაზღვრული, რომ მათი პროდუქცია მშპ-ს მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და 40-75%-ს ფარგლებში მერყეობს.

ცხრილი 2.4 ¹⁰

	იაპონია	ტაილანდი	ევროკავშირი	აშშ
მსს რაოდენობა (მლნ)	4.3	2.2	19.3	5.7
მსს წილი კომპანიების მთლიან რაოდენობაში (%)	99.7	99.8	99.8	99.7
მსს სამუშაო ადგილების რაოდენობა (მლნ)	28	11.8	97.4	55.7
მსს მუშაკთა წილი საერთო რაოდენობაში (%)	70.0	75.4	69.7	50.3

¹⁰ იხ. სქოლიო 3

ამ მონაცემებთან მკვეთრ კონტრასტს ქმნიან ყოფილი საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობის მონაცემები (ცხრილი 2.6). მშპ-ს 7.2% პროცენტი, რომელსაც ცხრილი 2.5-ის თანახმად, საქართველოში მცირე საწარმოები ქმნიან, შეიცავს, აგრეთვე, მიკროსაწარმოების წილსაც, რადგანაც 2011 წლის 1 იანვრამდე ცალკე მიკროსაწარმოს ცნება საქართველოში არ არსებობდა. ეს განსხვავებები განპირობებულია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მეთოდოლოგიურად არასწორი განსაზღვრებით. კერძოდ, გაცილებით მეტი საწარმო უნდა იყოს მიკუთვნებული მსს კატეგორიას, ვიდრე ეს ფაქტიურადაა. შექმნილი მდგომარეობის მიზეზების თაობაზე ვარაუდები არსებობს, თუმცა მათი ზუსტი დადგენის მიზნით სპეციალური კვლევაა ჩასატარებელი.

ცხრილი 2.5. მშპ-ს განაწილება საწარმოების ზომის მიხედვით, %

ქვეყნები	მიკრო	მცირე	საშუალო	დიდი
ისლანდია	25	10	7	59
შვეიცარია	29	24	20	27
ლისტენშტეინი	25	24	16	35
ნორვატია	15	20	23	43
ისრაელი	25	19	14	42
მონტენეგრო	20	20	22	38
სერბია	14	19	25	43
აშშ	22	14	17	53
ევროგაერთიანება	30	21	17	33
საქართველო¹¹	-	7.2	8.4	84.4

ცხრილი 2.6. მსს წილი მშპ-ში ყოფილ სსრკ ქვეყნებში

ქვეყნები	მსს წილი მშპ-ში	წელი
ბელორუსია	9.5%	2000
უკრაინა	11%	2006
საქართველო	16%	2009
რუსეთი	15-20% ¹²	2009
ყაზახეთი	24%	2010
სომხეთი	35%	2009
მოლდოვა	45%	2009

¹¹ საქართველოს მონაცემები აღებულია ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდიდან. <http://www.economy.ge/index.php?category=4&lang=geo&dn=786>

¹² ოფიციალური მონაცემები არ არსებობს (ან სელმითუწვდომელია). მონაცემი აღებულია მმართველი პარტიის ვებ-საიტისგან.

3. მს დახმარების ღონისძიებები ევროკავშირში

3.1. ზოგადი მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსს საკანონმდებლო განსაზღვრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ კანონმდებლობა ამ კატეგორიის საწარმოთა რაიმე სახის დახმარებას ითვალისწინებს. ევროკავშირში ამ დახმარების შინაარსი და მიმართულებები 2000 წელს¹³ მცირე საწარმოების ევროპული ქარტიით იყო დადგენილი. ისინი, აგრეთვე, აისახა 2000 წელს მიღებულ ევროკავშირის ინოვაციური განვითარების ლისაბონის სტრატეგიაში და გაძლიერდა 2008 წელს მიღებულ მცირე ბიზნესის აქტივ ევროპისთვის (*Think Small First*)¹⁴. ბუნებრივია, რომ ევროპა 2020 გეგმაში, კერძოდ, მის დოკუმენტებში ინტეგრირებული სამრეწველო პოლიტიკა გლობალიზაციის ერაში¹⁵ და ინოვაციური კავშირი¹⁶, მსს დახმარებას თვალსაჩინო ადგილი უკავია. პირველ, 33-გვერდიან, დოკუმენტში მსს 30-ჯერაა ნახსენები.

მსს დახმარების მიმართულებები, რომელსაც ეს დოკუმენტები ითვალისწინებენ, ასეთია:

- მსს მენეჯერების გადამზადების ხელმისაწვდომობა;
- გაკოტრებისა და კონკურენციის სფეროებში მსს-თვის წესების გამარტივება;
- ხელახალი დაწყების შანსის მიცემა პატიოსანი მს მეწარმეებისთვის, რომლებმაც გაკოტრება განიცადეს;
- სახელმწიფოებისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსების მიმართვა დამწყები და ინოვაციური ფირმების, მიკრო-საწარმოებისა და სხვა სარისკო ინიციატივებისკენ;
- მსს-თვის კრედიტის წვდომის გამარტივება¹⁷ და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში დახმარება (კოლაბორაცია, საგარეო ბაზრების წვდომა);
- მსს-თვის, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადასახადების დაბრუნების, კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიღების გაადვილება;

¹³ იხ. სქოლიო 1

¹⁴ იხ. სქოლიო 2

¹⁵ Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. An Integrated Industrial Policy for the Globalisation Era. Putting Competitiveness and Sustainability at Centre Stage. {SEC(2010) 1272} {SEC(2010) 1276}. COM(2010) 614

¹⁶ Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Europe 2020. Flagship Initiative: Innovation Union. SEC(2010) 1161. COM(2010) 546 final

¹⁷ საფინანსო დახმარების შესახებ იხილეთ: ნ. ასლამაზი შვილი. ინოვაციების მხარდაჭერი საფინანსო ინსტრუმენტები. წიგნში: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: თ. შატბერაშვილი და ი. გოგოძე. ევსივ, თბილისი, 2010. გვერდები 169-200. (www.inovdev.ge). იხილეთ აგრეთვე: SME Finance Forum (http://ec.europa.eu/enterprise/policies/finance/financing-environment/sme-finance-forum/index_en.htm)

- მსს-გან სახელმწიფო შესყიდვების გათვალისწინება;
- მსს საერთო დაბეგერის შემსუბუქება და ანგარიშგების გამარტივება;
- პოლიტიკურ დონეზე მცირე საწარმოთა ინტერესების წარმოდგენის გაძლიერება;
- მსს საქმირობების მიმართ საჯარო ადმინისტრაციების მგრძობიარობის ამაღლება;
- *სახელმწიფო დახმარების შესახებ*¹⁸ კანონმდებლობის უკეთ გამოყენება;
- გარემოსდაცვითი გამოწვევების მსს-თვის ბიზნეს-შესაძლებლობებად ქცევა;
- მსს-თვის სამეცნიერო კვლევის წვდომის გაუმჯობესება.

დახმარების უკანასკნელი მიმართულება ასახავს იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი სახსრები კვლევის და ინოვაციის მნიშვნელოვანი წყაროა, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეწარმეების, დამწყები მსს, სპინ-ოფებისა და მაღალტექნოლოგიური მსს შემთხვევებში.

ევროკავშირი, მსს დახმარების თვალსაზრისით, ფართოდ იყენებს სხვა ქვეყნების, მაგალითად, აშშ გამოცდილებას. საინტერესოა, რომ აშშ „ლიბერალური“ ეკონომიკისა და „თავისუფალი ბაზრის“ იდეოლოგიის მიმდევარ ქვეყანად აღიარებული, პიონერია ისეთ საკითხებში, როგორცაა სახელმწიფო შესყიდვების დროს მცირე ბიზნესისთვის უპირატესობის მინიჭება¹⁹ და კიდევ ზოგიერთი სხვა შეღავათები, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

3.2. ინოვაციური მსს ევროკავშირში

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, სახელმწიფოს მხრიდან დახმარების ერთ-ერთი მოტივი, მათი ინოვაციური ეფექტიანობაა. კარგადაა ცნობილი ისეთი კომპანიების ისტორია, როგორცაა Apple, Google, Skipe. სინამდვილეში, ამ ცნობილი შემთხვევების გარდა, მსოფლიოში არსებობს ათი ათასობით (შესაძლოა, ასი ათასობით) წარმატებული კომპანია, რომელიც თავის დროზე დამწყებ ინოვატორად მოგვევლინა. ფაქტიურად, სწრაფად მზარდი კომპანიები ყოველთვის ინოვაციურია – მათი განვითარების საფუძველი ან ახალი ტექნოლოგიაა, ან ახალი ბიზნეს-სქემა. ევროკავშირში ასეთი კომპანიები

¹⁸ ევროკავშირში მოქმედებს წესების (კანონების) სისტემა, რომელიც *სახელმწიფო დახმარებას* არეგულირებს. საერთოევროპული წესები ასახულია ქვეყნების კანონმდებლობაში. იხ. European Commission. EU Competition law: Rules Applicable to State Aid. Situation as at 1 March 2011. COMPETITION HANDBOOKS. Brussels, 2011. (ec.europa.eu/competition/state_aid/legislation/compilation/state_aid_11_03_11_en.pdf). განსაკუთრებული წესები მსს-თვის აღწერილია შემდეგ გამოცემაში: HANDBOOK ON COMMUNITY STATE AID RULES FOR SMES, INCLUDING TEMPORARY STATE AID MEASURES TO SUPPORT ACCESS TO FINANCE IN THE CURRENT FINANCIAL AND ECONOMIC CRISIS (ec.europa.eu/competition/state_aid/studies_reports/sme_handbook.pdf)

¹⁹ Small Business Act (Public Law 85-536, as amended) (<http://www.smallbusinessnotes.com/small-business-resources/small-business-act.html>)

გამოყოფილია სპეციალურ კატეგორიად, რომელსაც *ინოვაციურ მცირე საწარმოებს* უწოდებენ. ისინი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

- ბოლო სამი საანგარიშო წლიდან კვლევასა და შემუშავებაზე გაწეული ერთ-ერთი წლის ხარჯები უნდა აღემატებოდეს ბრუნვის 15%;
- ევროკავშირის შესაბამისმა წევრმა-სახელმწიფომ (მისმა კომპეტენტურმა სააგენტომ) უნდა დაადასტუროს, რომ საწარმოს პროდუქცია და მუშაობის მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზარზე;
- საწარმო ახალგაზრდა უნდა იყოს – მისი ასაკი დაფუძნებულია 6 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

ამგვარი საწარმოების ხელშეწყობა რეგულირდება *სახელმწიფო დახმარების შესახებ კანონმდებლობით*²⁰ (2006), რომელიც განსაზღვრავს, პატიოსანი კონკურენციის წესების დაურღვევლად (დარღვევების მონიტორინგს *კონკურენციის გენერალური დეპარტამენტი* აწარმოებს) რა დახმარების გაწევაა დასაშვები კერძო საწარმოებისთვის, ნებადართული დახმარების მიმართულებები შემდეგია:

- კერძო საწარმოების მონაწილეობა საზოგადოებრივი სახსრებით დაფინანსებულ კვლევისა და შემუშავების პროგრამებში (როგორც ეროვნულ, ასევე საერთოევროპულში);
- ეროვნული და საერთოევროპული საჯარო ფონდებიდან მსს-თვის წინასაპროექტო კვლევისა და ტექნიკური დავალების შესადგენი ხარჯების დაფარვა;
- ეროვნული და საერთოევროპული საჯარო ფონდებიდან მსს მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მოსაპოვებლად საჭირო ხარჯების დაფარვა (საპატენტო ძიება, განაცხადის შესადგენად მოწვეული პატენტმცოდნეების შრომის ანაზღაურება, საპატენტო უწყებაში სარეგისტრაციო საფასურის გადახდა, სწავდასწავა ქვეყნებში დაპატენტებისთვის საჭირო პატენტრწმუნებულების გასამრჯელოსა და თარგმანის ხარჯების დაფარვა);
- ახალგაზრდა მცირე ინოვაციური საწარმოების საინოვაციო პროექტების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფარვა;
- მომსახურების სფეროში მოქმედი მსს საინოვაციო პროცესებისთვის (საორგანიზაციო ინოვაციასთან დაკავშირებული) საჭირო ხარჯების დაფარვა;

²⁰ Community framework for State aid for research and development [Official Journal C 323/1 of 30.12.2006]. (europa.eu/legislation_summaries/competition/state_aid/126078_en.htm)

- ინოვაციის სფეროში მოქმედი საკონსულტაციო და სხვა მხარდაჭერი სამსახურების (მაგალითად, ბიზნეს-ინკუბატორების, ტექნოპარკებისა და სხვა) ხარჯების დაფარვა;
- მსხ საინოვაციო პროცესების უზრუნველსაყოფად საქირო უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების უნივერსიტეტიდან ან დიდი საწარმოებიდან დროებით მოსაზიდად საქირო ხარჯების დაფარვა;
- საინოვაციო კლასტერების შესაქმნელად საქირო კვლევისა და საორგანიზაციო სამუშაოების ხარჯების დაფარვა.

ჩამოთვლილი დახმარების სახეობათა უმრავლესობა მხოლოდ მსხ ეხება, თუმცა ზოგიერთი დიდ კომპანიებსაც ითვალისწინებს. *სახელმწიფო დახმარების* შესახებ კანონმდებლობის ცალკეულ წევრ-ქვეყნებში გამოყენების მაგალითები მოყვანილია თამაზ ვაშაკიძის მიერ²¹.

მცირე საწარმოთა შორის ევროკავშირი გამოყოფს *სწრაფად მზარდ საწარმოებს*, რომელთა ზრდის წყარო, უმთავრესად, ინოვაციაა. ყველაზე გავრცელებული განმარტების თანახმად, ამ კატეგორიას მიაკუთვნებენ საწარმოებს, რომლებსაც ახასიათებს სამი ან მეტი წლის განმავლობაში წლიური 20%-იანი ზრდა, საერთო ასაკი 5 წლამდე, ათვლის დაწყების მომენტისთვის წლიური შემოსავლი არა ნაკლებ 100,000 აშშ დოლარისა²². მათი ზრდის წყარო ინოვაციაა, მაგრამ არა აუცილებლად რადიკალური (ანუ მაღალტექნოლოგიური, რომელიც, სტატისტიკის თანახმად, ასეთ საწარმოთა მხოლოდ 5% ახასიათებს). უმრავლეს შემთხვევაში ინოვაცია ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში. ეს შეიძლება იყოს ახალი ბიზნეს-მოდელები, მართვის პრაქტიკა, ადმინისტრირების სქემები. ამოცანაა *სწრაფად მზარდი საწარმოების* აღრიცხვა, წარმოჩენა, დახმარების გაწევა. უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა აღიარებულია ამ კატეგორიის განსაკუთრებული მნიშვნელობა სამუშაო ადგილების შექმნისა და ზრდისთვის²³, მათ მიმართ განსაკუთრებული პოლიტიკა ჯერ შემუშავების პროცესშია. საკითხი ინტენსიური სამეცნიერო კვლევის საგანია²⁴.

²¹ თ. ვაშაკიძე. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში. წიგნი: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: ო. შატაბერაშვილი და ი. გოგოძე. ეგსივ, თბილისი, 2010. გვერდები 221-244. (www.inovdev.ge)

²² Exploratory Team Report on High-Growth Innovative SMEs. PRO INNO Europe, 3 May 2007, p.2 (www.proinno-europe.eu/admin/uploaded_documents/high-growth_innovative_SMEs.pdf)

²³ European Parliament . Practical aspects regarding the revision of EU instruments to support SME finance in the next programming period. Texts adopted Wednesday, 16 February 2011, Strasbourg, P7_TA-PROV(2011)0057 - (B7-0096/2011). აგრეთვე: Innovation Union Competitiveness Report 2011 (ec.europa.eu/research/innovation-union/index_en.cfm?section=competitiveness-report&year=2011)

²⁴ First INNO-Views Workshop: Supporting "gazelles" in Europe. 26 - 27 April, 2007, Tallin (www.proinno-europe.eu/events/first-inno-views-workshop-supporting-gazelles-europe)

3.3. კვლევის წვდომა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის წვდომა მსს ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ევროპულ დონეზე მისი წყარო კვლევის ევროპულ ჩარჩო პროგრამებში მონაწილეობაა, ეროვნულ დონეზე – კვლევისა და შემუშავების ეროვნულ პროგრამებში, ხოლო რეგიონულ დონეზე – ევროპული სტრუქტურული ფონდების მიერ დაფინანსებულ პროგრამებში მონაწილეობა. გარდა გრანტებისა, რომელიც საწარმომ სხენებული პროგრამებიდან შეიძლება მიიღოს, ევროკავშირში პრაქტიკაშია კვლევითი სამუშაოებისთვის სარჩების შეღავათიანი დაბეგვრა. ევროპის მრავალ ქვეყანაში კვლევის საკუთარი ძალებით შესრულების ან საწარმოს გარეთ დაკვეთის (მაგალითად, უნივერსიტეტში) შემთხვევაში, დახარჯული თანხები შეღავათიანი განაკვეთით იბეგრება ან სულ არ იბეგრება, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კი არ იბეგრება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე კვლევაზე იყო დახარჯული (დაუბეგრავი თანხა კვლევაზე დახარჯულის 150% და მეტს შეიძლება შეადგენდეს). შეღავათები ვრცელდება როგორც ხელფასზე²⁵, ასევე კვლევისთვის საჭირო მოწყობილობებზე, შენობებზე თუ მასალებზე დახარჯულ თანხებზე²⁶.

დამწყებთათვის დახმარების კიდევ ერთი მიმართულება არსებობს – მსს დაფუძნება უნივერსიტეტებისა და არამომგებიანი (საჯარო სახსრებით მოქმედი) კვლევითი ორგანიზაციების მიერ. ამ შემთხვევაში მსს-ს გადაეცემა საჯარო სახსრებით მიღებული კვლევის შედეგი (დაპატენტებული ინტელექტუალური საკუთრების ან ნოუ-ჰაუს სახით). უნივერსიტეტის თანამშრომლებს უფლება ეძლევათ შეთავსებით იმუშაონ ასეთ საწარმოში. უნივერსიტეტის მონაწილეობის ფორმები ნაირფეროვანია. ამგვარ სქემებში ევროპა შეერთებული შტატების მიმდევარია, სადაც 1980 წელს მიიღეს ცნობილი ბეი-დოლის კანონი²⁷. ანალოგიური პრაქტიკა უფრო ადრე დამკვიდრდა ისრაელში.

ამ მხრივ აშშ განსაკუთრებით საინტერესო მაგალითია, რადგანაც ე.წ. „ლიბერალური ეკონომიკის“ აპოლოგეტებს სწორედ აშშ მოჰყავთ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესში ჩაურევლობისა თუ ყველა ბიზნესის მიმართ ერთგვაროვანი (თანაბარი) მიდგომის ნიმუშად. ბეი-დოლის აქტის გარდა, აშშ-მ 1982 წელს მიიღო მცირე ბიზნესის საინოვაციო კვლევის პროგრამა²⁸, რომლის მეშვეობით მსს შეუძლია მიიღოს

²⁵ მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ტექნოპარკებში მომუშავე მეცნიერთა და სპეციალისტთა ხელფასი შეიძლება საშემოსავლო გადასახადისგანაც კი იყოს გათავისუფლებული.

²⁶ აქ უადგილო არ იქნება გავისხენით საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს კვლევისთვის გარკვეულ შეღავათებს. მაგრამ არა ხელსაწყოებზე, დანადგარებზე, მშენებლობაზე და ა.შ. გაწეული სარჩების მიმართ, რაც თანამედროვე კვლევისთვის დიდი შესაძლებლობაა.

²⁷ The US Bayh-Dole Act (Public Law 96-517), (The Patent and Trademark Law Amendments Act enacted 1980 and amended in 1984).

²⁸ [Small Business Innovation Research program]. Small Business Innovation Development Act of 1982 (P.L. 97-219)

სახელმწიფო გრანტი 100-150 ათასი დოლარის ოდენობით, 6 თვით, წინასწარი მოკვლევითვის. ამ ეტაპის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, პერსპექტიული ტექნოლოგიის შესამუშავებლად, მას შეუძლია მიიღოს 1 მილიონ დოლარამდე ორი წლით. 1992 წელს მიღებულია კიდევ ერთი, – მცირე ბიზნესის ტექნოლოგიის გადაცემის პროგრამა²⁹, – მცირე ფირმებისა და საჯარო კვლევითი ორგანიზაციების ისეთი ერთობლივი კვლევის ჩასატარებლად, რომელსაც კომერციული ორგანიზაციის პოტენციური გააჩნია. პროგრამის ფარგლებში ორგანიზაციას პირველ, მოსახინჯე ეტაპზე შეუძლია მიიღოს 100 ათასი დოლარი, ხოლო წარმატების შემთხვევაში, შემდეგ ეტაპზე – 750 ათასი.

ამრიგად, მსს დახმარება შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე კატეგორიად. როგორც ვნახეთ, არსებობს არასაფინანსო და საფინანსო დახმარება. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიცავს პირდაპირ საფინანსო დახმარებასა და საგადასახადო შეღავათებს (შეღავათიან განაკვეთებს, გადახდის გადავადებასა და სხვ.). ქართულად, უფრო დაწვრილებით, ევროკავშირში მოქმედი შეღავათების შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ თამაზ ვაშაკიძისა და ნანა ასლამაზიშვილის სტატიები³⁰.

4. პოლიტიკა მსს და ინოვაციური მსს მიმართ საქართველოში

საწარმოები, რომლებიც, საქართველოს კანონის თანახმად, მცირე და საშუალო კატეგორიას მიეკუთვნებიან, მშპ-ს მხოლოდ 16% ქმნიან. მათ მიმართ არსებული ნაკლები ყურადღება, წარმატებულ ქვეყნებთან შედარებით, იმითაც აიხსნება, რომ მსს განსაზღვრების მიხედვით, თუ მათი პროდუქციის წილი მშპ-ში დაბალია, ის ნაკლებ ყურადღებასაც მოითხოვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობით 2011 წლის 1 იანვრამდე მცირე და საშუალო საწარმოები შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: საშუალო – მომუშავეთა რაოდენობა < 100, წლიური ბრუნვა < 1,5 მლნ ლარზე; მცირე – მომუშავეთა რაოდენობა < 20, წლიური ბრუნვა < 500 ათ. ლარზე; მიკრო – არ იყო განსაზღვრული და მცირეს კატეგორიაში შედიოდა. ეს დეკლარაციული განსაზღვრება იყო, რადგანაც საგადასახადო შეღავათები, რომელიც

²⁹ Small Business Technology Transfer Act of 1992 (P.L. 102-564, Title II) (olpa.od.nih.gov/legislation/107/publiclaws/plsbtt.asp)

³⁰ თამაზ ვაშაკიძე (იხ. სქოლიო 21, გვ. 221-244); ნანა ასლამაზიშვილი. ინოვაციის მხარდაჭერი საფინანსო ინსტრუმენტები. წიგნში: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: ო. შატაბერაშვილი და ი. გოგოძე. ეგსიგ, თბილისი, 2010. გვერდები 169-201. (www.inovdev.ge)

მსს-თვის საგადასახადო კოდექსით იყო დაწესებული, მას არ ეყრდნობა. კერძოდ, იყო დადგენილი, რომ 100 ათას ლარზე ნაკლები წლიური ბრუნვის მქონე საწარმოები თავისუფლდებოდნენ დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (რაც თავისთავად დიდი შეღავათი არაა), მსს განსაზღვრებაში კი გრადაცია "100 ათასი ლარი" არ ფიგურირებდა.

მსს განსაზღვრება მხოლოდ მათი პროდუქციის მშპ-ში წილის დასათვლელად გამოიყენებოდა. საქართველოში მსს განსაზღვრებების ანალიზი მოყვანილია მაღონა ხუსკივაძის დისერტაციაში (2010)³¹. 2011 წლის 1 იანვრიდან, საშუალო საწარმოს განსაზღვრება უცვლელი დარჩა, ხოლო მცირე საწარმო ახალი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრა. იქვე დადგინდა წინათ არარსებული მიკრო საწარმოს ცნება.

როგორც ვხედავთ, მცირე ბიზნესის განსაზღვრებაში დასაქმებულთა რაოდენობა აღარ განიხილება, მაგრამ შემოსავლის მაჩვენებლიდან გამომდინარე, ასეთი საწარმოს სრული დროით (განაკვეთით) დასაქმებულთა რიცხვი დაახლოებით 3-5 იქნება. ყველა ქვეყანაში მოქმედი განსაზღვრებით, ეს მიკრო საწარმოა. ახალი განსაზღვრებიდან გამომდინარე, ცხადია, მსს პროდუქციის საერთო წილი მშპ-ში წინა წლის დონეზე დარჩება, ხოლო მცირე და მიკრო საწარმოების ერთობლივი წილი შემცირდება.

ცხრილი 4.1. მსს ძველი და ახალი განსაზღვრებები საქართველოში

საწარმოს ტიპი	2011 წლის 01 იანვრამდე		2011 წლის 01 იანვრიდან	
	დასაქმებულთა რაოდენობა	წლიური შემოსავალი	დასაქმებულთა რაოდენობა	წლიური შემოსავალი
საშუალო	< 100	< 1.5 მლნ ლარი	< 100	< 1.5 მლნ ლარი
მცირე	< 20	< 500 ათ. ლარი	არ იხილება	< 100 ათ. ლარი
მიკრო	არ იყო დადგენილი		1	< 30 ათ. ლარი

საგადასახადო კოდექსში ჩამოყალიბებულია მსს-დმი მიღწერილი „თავი XII. საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები“, რომელიც მთლიანად მცირე და მიკრო ბიზნესს ეხება. საშუალო ბიზნესისთვის არავითარი შეღავათები (სპეციალური რეჟიმი) გათვალისწინებული არაა. მცირე და მიკრო ბიზნესი არ ინდის დამატებული ღირებულების გადასახადს, რაც წინა კოდექსითაც იყო გათვალისწინებული.

³¹ მაღონა ხუსკივაძე. მცირე ბიზნესის განვითარება დასავლეთ საქართველოს ხისდამშეპყვებელ მრეწველობაში. ეკონომიკის დოქტორის წოდებაზე წარდგენილი დისერტაცია. სპეციალობა: მიკროეკონომიკა და მარკეტინგი. ხელმძღვანელი: პროფესორი რამაზ ნამიჭიყაშვილი. ქუთაისი, 2010. (www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_khuskivadze.pdf)

მიკრო ბიზნესი (მუხლი 86) – ფიზიკური პირი – არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით, სოლო გარკვეული პირობების შესრულებისას – 3%-ით (მუხლი 90). ამ შეღავათების ეფექტიანობას მცირე და მიკრო ბიზნესისთვის გვიჩვენებს დრო. ერთი რამ ცხადია – სპეციალური რეჟიმი ეხება მშპ-ს ძალიან მცირე ნაწილის წარმომქნელ საწარმოებს. ცხრილი 5-ის თანახმად, როდესაც მცირე საწარმოდ ითვლებოდა 500 ათას ლარზე ნაკლები წლიური შემოსავლის მქონე საწარმო, მცირე და მიკრო საწარმოები ერთად ქმნიდნენ მშპ-ს 7.2%. ანლა, როდესაც შემოსავლის ზღვარმა 100 ათას ლარამდე დაიწია, მათი წილი მშპ-ში კიდევ შემცირდება, თუ რამდენით, 2011 წლის შედეგები გვაჩვენებს. ფაქტია, რომ წარმატებულ ქვეყნებში შეღავათები მშპ-ს გაცილებით დიდი ნაწილის წარმოქმნის პროცესზე ახდენს გავლენას.

საქართველოს კანონმდებლობით ინოვაციური მცირე საწარმოს ცნება არაა დადგენილი. თუმცა კანონმდებლობა შეიცავს ზოგიერთ ელემენტს, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ შემოდგომილ საგადასახადო შეღავათებათ ინოვაციური საწარმოების მიმართ.

კერძოდ, საგადასახადო კოდექსში მოხსენიებულია ვირტუალური ზონის იურიდიული პირი. ასეთი პირები თავისუფლდებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების მიწოდებით მიღებული მოგების გადასახადისაგან (მუხლი 99). ამავე მუხლით მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება სამედიცინო დაწესებულების მოგების ის ნაწილი, რომელიც მოხმარდება მატერიალური ბაზის განვითარებას. აგრეთვე, მუხლ 110-ის თანახმად, დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითვას ექვემდებარება „შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები, გარდა ძირითად საშუალებათა შეძენის, დადგმისა და სხვა კაპიტალიზებადი ხარჯებისა“. აქაც ვხედავთ განსხვავებას ევროკავშირის იმ ქვეყნების კანონმდებლობისგან, რომელთაც კვლევით ხარჯებზე საგადასახადო შეღავათები აქვთ დადგენილი. ევროკავშირში შეღავათი ეხება მთლიან ხარჯებს, ანუ არ გამორიცხავს კაპიტალიზებად ხარჯებს.

სხვა საგადასახადო შეღავათებიდან, რომელთაც ინოვაციასთან აქვთ კავშირი, აღსანიშნავია ზოგიერთი საქმიანობის დღგ-გან გათავისუფლება: ინფორმაციის (წიგნების, ჟურნალების და სხვა) იმპორტი, ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებული კვლევითი სამუშაოები, განათლების მომსახურება. აგრეთვე, ქონების გადასახადისგან თავისუფლდება საცდელ-საკვლევი მიწის ნაკვეთები.

მთლიანობაში, ჩამოთვლილი საგადასახადო შეღავათები მწირია და უსისტემო. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ეს შეღავათები ისეთ საქმიანობას ეხება, რომელიც ძალიან იშვიათად აღმოჩნდება 100 ათასი ლარის შემოსავლის (3-5 დასაქმებულის) მქონე მცირე საწარმოების შესაძლებლობის ფარგლებში.

მსს არასაგადასახადო საფინანსო დახმარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არაა. ანუ არაა გათვალისწინებული მსს-თვის გრანტები, შეღავათიანი სესხები და სხვა.

ჩანართი 2

მაგალითი: პირდაპირი საფინანსო დახმარება

მისასალმებელია თბილისის მერიის ინიციატივა, რომელმაც მსს განვითარების მიზნით 2006 წელს დაიწყო პროექტის „დაიწყე ბიზნესი მერიასთან ერთად“ განხორციელება. 2010 წელს მერიის ბიუჯეტიდან პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილი 1 მილიონი ლარით 15 ბიზნესი დაფინანსდა: მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობა, საგანმანათლებლო დაწესებულების აღჭურვა, საკონდიტრო წარმოების გაფართოება და სამშენებლო მასალების წარმოება. სულ ამ პროექტებით 200 სამუშაო ადგილი შეიქმნა³². მაგრამ, საკანონმდებლო ბაზისა და კანონით დაგეგმილი დახმარების პროცედურების უქონლობის პირობებში ინიციატივა ადვილად შეიძლება კრიტიკის საგანი გახდეს. გარდა ამისა, მსს დახმარების ეს, როგორც ჩანს, საქართველოში ერთადერთი პროგრამა, მცირე მოცულობისაა. იგი ქვეყნის მშპ-ს დაახლოებით 0,06% შეადგენს. შედარებისთვის, 2010 წელს აშშ მთავრობამ არსებული მსს პროგრამებს დამატებით (კრიზისთან დაკავშირებით) 30 მლრდ დოლარი გამოუყო³³, რაც მშპ-ს 0,27% შეადგენს.

გარდა ამისა, მსს (ისევე, როგორც ნებისმიერ მოგებაზე ორიენტირებულ იურიდიულ პირს) არ გააჩნია კვლევის სახელმწიფო დაფინანსების წყაროების წყდომა. კერძოდ, მათ არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ რუსთაველის ფონდის საგრანტო კონკურსებში კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. კვლევასა და ინოვაციაზე ორიენტირებული სხვა ფონდები საქართველოში არ არსებობს (განსხვავებით ვეროკავშირის ქვეყნებისგან, სადაც მრავალი ფონდი მოქმედებს).

³² medianews.ge/index.php/ka/content/53699/

³³ Small Business Jobs Act of 2010 (www.sba.gov/content/small-business-jobs-act-2010)

მაგალითი: კვლევითი ორგანიზაცია, რეზორტ შპს

2003 წელს მრავალ კვლევით ორგანიზაციას საქართველოში განესაზღვრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა, ანუ ისინი მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებად იქცნენ – მცირე ან საშუალო საწარმოებად. მათ შეუწყდათ სახელმწიფო დაფინანსება და ჩამოერთვათ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის უფლება. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს გადაწყვეტილება მცდარია. ქვეყნისთვის აუცილებელი მსხვილი კვლევითი მიმართულებები (მაგალითად, სამედიცინო კვლევა), მთლიანად ან დიდწილად, შეიკვეცა. შემდეგ წლებში ამ დაწესებულებებს, როგორც მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს 100%-ი სახელმწიფო წილით, სახელმწიფომ წაუყენა მოგების არქონის პრეტენზია და ქონება გაუყიდა.

ზოგიერთ ქვეყანაში კვლევით ორგანიზაციებს აქვთ კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. ეს არ ნიშნავს, რომ მათ კვლევისთვის სახელმწიფო სახსრების წვდომის საშუალება არა აქვთ, ან მოგების მიღება მოეთხოვებათ. მაგ., შეერთებულ შტატებში შპს (LLC) აუცილებლად მოგებაზე არ უნდა იყოს ორიენტირებული. ამ იურიდიული ფორმით მსხვილი ეროვნული ლაბორატორიები სარგებლობენ, რომლებიც, პრაქტიკულად, 100%-ით სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ დაფინანსებას. ამ სტატუსით სარგებლობის წყალობით ლაბორატორიების თანამშრომლები სახელმწიფო მოსელეებად არ ითვლებიან. მათ ხელფასს შრომის ბაზარი განსაზღვრავს.

განვიხილოთ **სამთავრობო დონეზე მსხ-ს ინტერესების წარმოდგენის ფუნქცია**, რასაც, უმთავრესად, ყველა წარმატებულ ქვეყანაში შექმნილი **მსხ ადმინისტრაციები (სააგენტოები)** ასრულებენ. საქართველოს მთავრობის სტრუქტურაში არსებული მსხ ადმინისტრაცია 2003 წელს გაუქმდა. მსხ ინტერესებს წარმოადგენს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი და მიაწოდოს ხელისუფლებას წინადადებები მსხ განვითარების საკითხებზე. რამდენიმე წინადადება, მსხ სახელმწიფო მართვისა და დახმარების თაობაზე, გამოქვეყნებულია. მაგალითად, **საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციამ მოამზადა მსხ განვითარების პროექტი**³⁴, რომელიც გულისხმობს:

- მსხ განვითარების სახელმწიფო სამოქმედო გეგმის შემუშავებას;
- სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების 2%-ს გამოყოფას გეგმის შესასრულებლად;
- სახელმწიფო მართვის აპარატში მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის შექმნას;
- ბიზნესის განვითარების ცენტრების დაფუძნებას რეგიონებში;
- კერძო სექტორისთვის საფინანსო გარანტიების მექანიზმის დანერგვას;
- მსხ პერსონალის სწავლების, ტრენინგის, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზებას;
- სახელმწიფოსთან ეფექტიანი დიალოგის საფუძვლების შექმნას.

³⁴ <http://www.gsmea.ge/documents.html>

ინოვაციური მსხვილი ბიზნესი და სახელმწიფო მონაწილეობა კვალიფიკაციაში

მსხვილი ბიზნესის პროგრამები მკაფიო პრიორიტეტებზე დაფუძნებულია. მათი განხორციელება, მით უმეტეს საინოვაციო პროგრამების შემუშავება და მართვა, მოითხოვს სახელმწიფო მონაწილეობის კვალიფიციურ მომზადებას. საქართველოში ამ მხრივ მუშაობა ძირითადად უცხოელების მიერ დაფინანსებულ ტრენინგებს გულისხმობს, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა. საქართველოში მუდმივ საწყისებზე მოქმედი მომზადება-გადამზადების სახელმწიფო სისტემა, რაც, მხოლოდ მსხვილი ბიზნესს არ ეხება.

აქვე უნდა ითქვას, რომ, მაგალითად, საგადასახადო კანონმდებლობა გამონაკლისებისა და შეღავათების საკმაოდ რიცხვს შეიცავს, ანუ საგადასახადო ადმინისტრაცია ახერხებს მათ გათვალისწინებას თავის მუშაობაში. მაგრამ თვითონ გამონაკლისები და შეღავათები, რაკი არ ეყრდნობიან სახელმწიფო პოლიტიკით დადგენილ პრიორიტეტებს, უსისტემო შთაბეჭდილებას ტოვებენ. ისინი მცირე ბიზნესის ინტერესებს იმ ზომით არ ითვალისწინებენ, რომელსაც საუკეთესო პრაქტიკა გვკარნახობს. მოხელეებს უნდა მოეთხოვებოდეს ამ პრაქტიკის ცოდნა. ისევე, როგორც ქვეყნის კანონმდებლობისა და სახელმწიფო მოწყობის ზედმიწევნით ცოდნა.

იყო სხვა ინიციატივებიც. *საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი*, მსხვილი ბიზნესის გამართვის და დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, მოითხოვდა გარკვეული კატეგორიის მსხვილი ბიზნესის ფიქსირებული გადასახადის შემოღებას.

ევროკავშირში განვითარებული მსხვილი ბიზნესის მრავალრიცხოვანი **არასაფინანსო ინსტრუმენტები** საქართველოში განუვითარებელია. საუბარია ბიზნეს-ინკუბატორებზე, ტექნოპარკებზე, ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრებზე, საპატენტო-საკონსულტაციო სამსახურებზე, აგრეთვე, მსხვილი და საჯარო კვლევითი სექტორის თანამშრომლობის საკანონმდებლო ჩარჩოებზე და სხვა. ამ მიმართულებით, საერთაშორისო დონორების დახმარებით, საკმაოდ დიდი სამუშაო ჩატარდა. მაგრამ, სახელმწიფოს მხრიდან პროექტების შემდგომი დახმარების გარეშე დარჩენილი ახალი სამსახურები ჩანასახოვან მდგომარეობას ვერ ცდებთ. ყოველი ახალი დონორული პროექტი ახალ ადგილზე, „სუფთა ფურცლიდან“ იწყება, რაც დახმარების ეფექტიანობას აქრობს. რამდენიმე კვლევითმა ინსტიტუტმა საქართველოში თვითონ განავითარა ბიზნეს-ინკუბატორები, მაგრამ ეს ორგანიზაციები აღარ არსებობენ – ზოგს შენობა ჩამოერთვა, ზოგი გაუქმებულია, სხვები, იურიდიული პირის სტატუსის ჩამორთმევის შედეგად, უნივერსიტეტების შემადგენლობაში შევიდნენ.

5. EaP და მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოში

EaP-ს დღის წესრიგში მცირე ბიზნესის საკითხები ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას (საფლაგმანო ინიციატივას)³⁵ წარმოადგენს, ამიტომ მათ EaP-ს უახლოეს გეგმებშიც თვალსაჩინო ადგილი უკავიათ³⁶. საქართველოსა და ევროკავშირის პოლიტიკების დაახლოება EaP-ს მეორე, ეკონომიკური პლატფორმის ძირითადი შინაარსია. იგი მოიცავს პოლიტიკების დაახლოებას მსს სფეროში, რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ევროკავშირის (და ნებისმიერი წარმატებული ქვეყნის) ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედაა. ამასთან დაკავშირებით, EaP სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (EaP CSF) მეორე სამუშაო ჯგუფმა, რომლის საქმიანობა შეესაბამება სამთავრობო ეკონომიკური პლატფორმის საქმიანობას, შექმნა მსს ქვეჯგუფი, რითაც ექვსივე EaP ქვეყნის განვითარებისა და ევროინტეგრაციის პროცესისთვის საკითხის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

ინოვაციურ განვითარებასა და მსს პრობლემებს EaP სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე-2 (ბერლინი, 2010 წელი) შეხვედრის რეკომენდაციების დიდი ნაწილი მიეძღვნა, ანუ მონაწილე ქვეყნების არასამთავრობო სექტორი მსს და ინოვაციას მიიჩნევს მათი ქვეყნებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებად, რომლებსაც არც ქვეყნებში და არც EaP-ს სამთავრობო დღის წესრიგში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა, რაც როგორც ქვეყნების განვითარების, ასევე ევროინტეგრაციის შეფერხებას იწვევს. პირველ რიგში, როგორც აღვნიშნეთ, ეს მსს არასწორ განსაზღვრებაში ვლინდება. საწარმოთა რაოდენობა, რომელსაც განსაკუთრებული, ხელშემწყობი რეჟიმი ესაჭიროება, გაუმართლებლად შემცირებულია, ხოლო დახმარების მექანიზმები, განსაკუთრებით ინოვაციურ საწარმოებთან მიმართებაში, მწირია.

მოგვყავს აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისი პუნქტები³⁷.

„ეთხოვოს ევროკავშირს:

- ხელი შეუწყოს EaP ქვეყნების ინოვაციურ განვითარებას და ურჩიოს EaP ქვეყნების მთავრობებს ისელებდგანელონ [ევროკავშირის] საფლაგმანო ინიციატივის „ინოვაციური კავშირი 2020“ სტრატეგიით

³⁵ Eastern Partnership Funds. (www.easternpartnership.org/programmes/eastern-partnership)

³⁶ A new response to a changing Neighbourhood. Joint Communication to the European Parliament, the Council, the European Economic & Social Committee & the Committee of the Regions. Brussels, 25/05/2011, COM(2011) 303

³⁷ www.eap-csf.eu/en/news-events/previous-meetings/working-group-2-recommendations/

და განავითარონ ინოვაციური პროცესის ხელშემწყობი მექანიზმები (მსს განვითარების პროგრამები, ტექნოპარკები, ინკუბატორები, ტექნოლოგიების გადაცემა, მსს კვლევაში მონაწილეობა, საწარმოო კლასტერები).

- მცირე და საშუალო საწარმოების სფეროში
 - ევროპული მცირე ბიზნესის აქტისა და ხმელთაშუაზღვის მცირე ბიზნესის ქარტიის საფუძველზე შეიმუშაოს EaP მსს ქარტია.
 - EaP ქვეყნებისთვის დაამკვიდროს მსს მასშტაბური შესწავლების პრაქტიკა ევროპარტენარიატების³⁸ ფორმით.
 - ხელი შეუწყოს კლასტერების, როგორც მსს აკადემიურ სფეროსთან კოოპერაციის ინსტრუმენტის ჩამოყალიბებას და მათ ტრანს-სასაზღვრო გაფართოებას ევროკავშირისა და EaP ქვეყნების საზღვრებზე.
- B2B (ბიზნესი-ბიზნესს) შესწავლები აქციოს ბიზნეს ფორუმებად ან განვითარების ფორუმებად.
- გლობალური დირექტივების EaP ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანის მიზნით, ტექნიკური რეგულირებისა და სტანდარტების სფეროში მოახდინოს ზეგავლენის შემფასებელი კვლევების ორგანიზება.
- EaP ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კანონმდებლობის გაძლიერების მიზნით, შეიმუშაოს სპეციალური სამოქმედო გზამკვლევი.
- ხელი შეუწყოს მწვანე ბიზნესის განვითარებას სათანადო ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემით”.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები იმ ფაქტის საზგასმაა, რომ EaP ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, დამოკიდებულება ინოვაციურ და, ზოგადად, მსს მიმართ ევროკავშირის პრაქტიკასთან შეუსაბამობაშია, ხოლო პოლიტიკა ამ სფეროში, არ არსებობს. ეს გარემოება კარგადაა გაცნობიერებული სამოქალაქო საზოგადოების მიერ. საჭიროა, რომ ხელისუფლებებმა ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები გადადგან.

³⁸ **ევროპარტენარიატები** – მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შესწავლები, რომლებიც პერიოდულად ეწყობა ევროპის რეგიონებში (უბრატესად ნაკლებად განვითარებულში). კომპანიების ერთი ნაწილი აწყობს გამოფენას, ხოლო დანარჩენები მათთან წინასწარ დაგეგმილ შესწავლებზე ჩადიან. ღონისძიებაში ათასობით კომპანია მონაწილეობს.

საქართველოში პოლიტიკა ინოვაციური მსს სფეროში, შესამუშავებელია, ამისთვის ევროკავშირი მოდელის მთელ წყებას გვთავაზობს. მიზანშეწონილია EAP გამოყენება, რათა მონდეს ამ გამოცდილების საქართველოს პირობებთან ადაპტირება.

თავი III

სამრეწველო საკუთრების დაცვა

დავით გაბუნია

1. შესავალი

სამრეწველო (ინტელექტუალური) საკუთრების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური და ეკონომიკური პროცესების წარმართვაში. მისი ადგილი და როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის პირობებში, რომლის განმსაზღვრელ ელემენტებს სამრეწველო საკუთრების ობიექტები წარმოადგენს. დღეს სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი დაცვის გაუმჯობესების გზები მოქცეულია როგორც ეროვნული მთავრობების, ისე რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესახებ შეთანხმების ერთ-ერთ ქვაკუთხედს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება – ტრიპსი წარმოადგენს^{1, 2}.

სამრეწველო საკუთრების სისტემის განვითარება ევროკავშირის დღის წესრიგის აქტუალურ თემადაა აღიარებული. სამრეწველო საკუთრების დაცვის მაღალი სტანდარტების ერთიანი სივრცის შექმნამ, რომლისკენაც ევროკავშირი მიისწრაფვის, უნდა უზრუნველყოს ევროპის „მეხუთე თავისუფლება“ – რეგიონში ცოდნის დაუბრკოლებელი გადაადგილება, ინოვაციებთან დაკავშირებული ინვესტიციების დაცვა და ევროპული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა³.

სამრეწველო საკუთრების დაცვა ევროკავშირი – საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა, რომელიც აისახა ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორცაა ტასისი⁴ (1992 წ.), შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ⁵ (1999 წ.).

¹ http://www.wto.org/english/tratop_e/trips_e/t_agm0_e.htm

² M.Blakeney, Trade Related Aspects of Intellectual Property Rights: A Concise Guide to the TRIPs Agreement, Sweet and Maxwell, London, 1996

³ http://ec.europa.eu/internal_market/indprop/docs/rights/communication_en.pdf

⁴ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6967>

⁵ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6563>

თავი IV

EaP და საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში

ოლეგ ვატხერაშვილი

1. შესავალი

ევროინტეგრაციის პროცესში, აღმოსავლეთის პარტნიორობის 6 ქვეყნისთვის, ერთ-ერთი სირთულე ევროპული და ადგილობრივი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში პოლიტიკის დაახლოებაა. ევროპული სასოფლო-სამეურნეო (ს/ს) პოლიტიკის ძირითადი იდეები, როგორცაა სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალ-კულტურული განსხვავებების შემცირება და ზოგიერთი სხვა, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ორი ათეული წლის განმავლობაში აღიქმებოდა როგორც საბაზრო ეკონომიკის საწინააღმდეგო თეორიები. უფრო მეტიც, ასეთი მიდგომა სოციალისტური აზროვნების გადმონაშთად ითვლებოდა, რამაც EaP ქვეყნების სოფლის მეურნეობა (ს/მ) მძიმე მდგომარეობაში მიიყვანა – ვერც ერთ მათგანში ვერ მიაღწიეს ს/ს წარმოების თუნდაც საბჭოთა პერიოდის მაჩვენებლებს, რომ არაფერი ვთქვათ ევროპულზე. საქართველო ამ მხრივ განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ჩანართი 1

საქართველოს ს/ს პროდუქცია მშპ-ს 10%, ფულად გამოსახულებაში 1,7 მლრდ ლარია (USD 1 მლრდ). დაახლოებით ამ ღირებულების ს/ს პროდუქტს აწარმოებს სინგაპური, სადაც ს/ს მიწას 1,5% პროცენტი უკავია და მოსახლეობის 0,1 პროცენტია ს/მ დაკავებული. სინგაპურის ს/მ სხვადასხვა მონაცემით მშპ-ს 0,7-0,2 პროცენტს შეადგენს. მშპ, მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით, დაახლოებით, 300 მლრდ აშშ დოლარია.

EaP პროგრამის ეკონომიკური პლატფორმის ჩარჩოებში სოფლის მეურნეობა განსაკუთრებული ყურადღების საგანი არაა. პირდაპირ მითითებულია მხოლოდ ს/ს პროდუქტებისა და სურსათის ხარისხის კონტროლის საკითხი. მაგრამ პოლიტიკების დაახლოების საერთო კონტექსტში, რასაც პროგრამის მეორე პლატფორმა გულისხმობს, საქართველო ს/ს პოლიტიკას გვერდს ვერ აუვლის¹.


¹ Communication from the Commission to the European Parliament and the Council. Taking stock of the European Neighbourhood Policy (ENP). *Implementation of the European Neighbourhood Policy in 2009: Progress Report Georgia*. p.11, Brussels, 12/05/2010, SEC(2010) 518. (ec.europa.eu/world/enp/pdf/progress2010/sec10_518_en.pdf)

2. სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ევროკავშირში

2.1. ზოგადი მიმოხილვა

პირველ რიგში განვიხილოთ, რას გულისხმობენ ევროპაში სოფლის (ან სასოფლო სივრცის) ქვეშ. ესაა ტერიტორია, რომელზეც მოსახლეობის სიმჭიდროვე <150 მოსახლე/კვ. კმ-ზე. ასეთ სივრცეს ევროკავშირში ტერიტორიის 90% უკავია და იქ მოსახლეობის 50% ცხოვრობს.

ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 1-2%-ია, მთლიანად ევროკავშირში – 2,4%. მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელთა მნიშვნელობა ცდება წმინდა ეკონომიკურ საკითხებს (იხ. ქვემოთ), ს/ს პოლიტიკას ევროკავშირში კვლავ ცენტრალური ადგილი უკავია. აქედან გამომდინარე, ევროკომისიის სახსრების განაწილებაში ს/მეურნეობისა და სოფლისთვის გაწეულ დახმარებას ლომის წილი ეთმობა (ნახ. 2.1). გარდა ამისა, ს/ს პოლიტიკა ევროკავშირში ერთიანია – ფერმერებისთვის პირდაპირი გადახდების სახით განკუთვნილი დახმარება ბრიუსელიდან ნაწილდება. ქვეყნებს სხვა ამ ტიპის დახმარების გაწევის უფლება არა აქვთ. ერთიანი პოლიტიკა მოქმედებს 1954 წლიდან და ევროინტეგრაციის ერთ-ერთ უძველეს და უძლიერეს მექანიზმს წარმოადგენს. ამჟამად EU15 ქვეყანაში 1 ჰა მიწაზე წლიურად გაიცემა 500 ევროზე მეტი და 100 ევრომდე – ახალ-მიერთებულ ქვეყანაში.



წყარო: Wikipedia

ნახ. 2.1. ევროკომისიის სახსრების განაწილება

2.2. ევროკავშირის სოფლის მეურნეობა

ევროკავშირის ს/ს პოლიტიკის შედეგია მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალკონკურენტუნარიანი ს/მ ჩამოყალიბება. მისი წლიური მოცულობაა 400 მლრდ ევრო (ამაში არ შედის მეთევზეობა და მეტყევეობა²), აქედან 75 მლრდ ევროს ექსპორტია. კვების მრეწველობასთან ერთად ს/მ უკვე 1 ტრლნ ევროს პროდუქციას ქმნის. შესრულდა ევროკავშირის გაფართოების ამოცანა, რის შედეგადაც ევროკავშირს შეემატა მრავალი ფერმერი, ამასთან ისეთიც, რომელსაც განსაკუთრებული დახმარება ესაჭიროებოდა. ევროკავშირის ს/მ-ამ დაამტკიცა თავისი ძალა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირს აქვს მოთხოვნა, რომ ს/მ განახლებისა და გარდაქმნის გზით განვითარდეს.

ევროკავშირში სოფლის მეურნეობისადმი განსაკუთრებული ყურადღება რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

- სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიას;
- ტრადიციული ს/ს საქმიანობა ქვეყნის რეკრეაციული და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;
- ს/ს პროდუქტები ეროვნული იდენტურობის მნიშვნელოვანი ელემენტია;
- ს/მ-ის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის განვითარების საკითხების გადაჭრის საჭიროება. ამიტომ, ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა, რომელიც, ძირითადად, ევროპული სოფლის განვითარების სასოფლო-სამეურნეო ფონდიდან³ და რეგიონული განვითარების ფონდებიდან (ე.წ. სტრუქტურული ფონდებიდან)⁴ ფინანსდება (ნახ. 2.1.). სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შესანარჩუნებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუ გავიხსენებთ, რომ ფერმის წლიური შემოსავლის საშუალო სიდიდე მხოლოდ 35,000 ევროა, გასაგები ხდება რატომ აქვს სოფლის მოსახლეობისთვის შემოსავლების სხვა (დამატებით) წყაროებს ასეთი არსებითი მნიშვნელობა.

² მეთევზეობისა და თევზის გადამამუშავების წილი ევროკავშირში უმნიშვნელოა – იგი კვების მრეწველობის (1 ტრილიონი ევრო) დაახლოებით 2% შეადგენს. მეტყევეობისა და მასთან დაკავშირებული მრეწველობის წლიური მოცულობა ევროკავშირში დაახლოებით 400 მლრდ ევროს შეადგენს.

³ Agricultural Fund for Rural Development (EAFRD)

⁴ europa.eu/scadplus/glossary/structural_cohesion_fund_en.htm

2.3. ევროკავშირის ერთიანი სს პოლიტიკის ცვლილება

თანდათან შეიცვალა დახმარების მიზნები: თუ წინათ დახმარება გარკვეული პროდუქტების წარმოების სტიმულირებისთვის გაიცემოდა, ამჟამად იგი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ფერმის მოვლის სტანდარტების დასაცავად გაიცემა. ცვლილების მიზანია, ერთი მხრივ, დააკმაყოფილოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნა ამ ორგანიზაციის წესების (სუბსიდირებასთან დაკავშირებით) დარღვევის შეწყვეტის თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ, მიმართოს სახსრები კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ (სათბურის გაზის ატმოსფეროში გაფრქვევის 30% მეტი ს/ს აქტივობის შედეგად), ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მისაღწევად (ბიოსაწვავი) და სხვა. მაშასადამე, ცვლილების უმთავრესი შინაარსი წარმოების მხარდაჭერიდან გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების და სოფლის განვითარების ღონისძიებათა მხარდაჭერაზე გადასვლაა. ფერმერებისთვის უშუალო (პირდაპირი) გადახდების საერთო თანხა არ შემცირებულა.

2.4. სოფლის განვითარების პროგრამები

სოფლად შემოსავლების ზრდისა და კომფორტული, ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად, ევროპული სტრუქტურული ფონდები და ეროვნული მთავრობები რამდენიმე დებულებით ხელმძღვანელობენ:

- გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის პოტენციალს შეიცავს;
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა ხელს უწყობს ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებასა და ტურიზმის განვითარებას;
- სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისა და ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია სოფლის ტელეკომუნიკაციით, ტრანსპორტით, ენერჯითა და წყლით მომარაგების უზრუნველყოფა;
- ინფორმაციისა და განათლების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე საინფორმაციო საზოგადოების განვითარება სოფლად, მისი ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა;
- სოფლად პროდუქციის გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების ზრდას.

ჩამოთვლილი დებულებები სრულად პასუხობენ „ლისაბონის სტრატეგიის“ და „ევროპა - 2020-ს“⁵ მოთხოვნას [ეკონომიკური] „ზრდისა და მეტი, უკეთესი, სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ“.

⁵ „ლისაბონის სტრატეგია“ – იხ. ო. შატბერაშვილი, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია წიგნში: **მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია**. რედაქტორები: ო. შატბერაშვილი და ი. გოგოძე. ევსიგ, თბილისი, 2010. (www.inovdev.ge). „ლისაბონის სტრატეგიის“ სს ასპექტები იხ. აგრეთვე Putting rural development to work for jobs and growth. Special Edition Newsletter. Directorate-General for Agriculture and Rural Development, European Commission, 2005. (http://ec.europa.eu/agriculture/publi/newsletter/lisbon/special_en.pdf). „ევროპა - 2020“ (http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm)

კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ ის წყაროები, საიდანაც სოფლის მოსახლეობამ შეიძლება მიიღოს დახმარება სოფლის მეურნეობისა თუ სოფლის განვითარებისთვის:

- რეგიონული მთავრობა
- ეროვნული მთავრობა
- ევროპული სასოფლო-სამეურნეო გარანტიების ფონდი – ფერმერებისათვის პირდაპირი გადახდის სქემის ფუნქციონირებისთვის
- ევროპული სოფლის განვითარების სასოფლო-სამეურნეო ფონდი – სოფლის განვითარების პროგრამებისთვის
- ევროპული სტრუქტურული ფონდები.

2.5. სასოფლო-სამეურნეო კვლევები

ზოგადად, გარემოს დაცვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ზრდის მოთხოვნებს შორის წინააღმდეგობა არსებობს. ს/ს წარმოების მრავალი ტრადიციული მეთოდი (მაგალითად, ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება, სასაძოვრო მეცხოველეობა) გარემოზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. სოფლის განვითარების ღონისძიებებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ვიწრო ს/ს წარმოების ინტერესებთან. გარდა ამისა, სოფლის განვითარებისთვის საჭირო ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, ჯანდაცვის, განათლების, წარმოებისა და სხვა საკითხები ქალაქთან შედარებით, სხვაგვარ გადაწყვეტას თხოულობენ. წინააღმდეგობების გადამლახავი ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების შემუშავება მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია. ცალკე ამოცანაა ახალი ტექნოლოგიები მცირე ფერმერული მეურნეობებისთვის. ვინაიდან ფერმერულ მეურნეობებს, დიდებსაც კი, ზემოხსენებული მოკრძალებული შემოსავლების მქონე ფერმერებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ძვირადღირებული კვლევების დაკვეთა არ შეუძლიათ, მეცნიერების დაფინანსების ტვირთს სახელმწიფოები და ევროკავშირი კისრულობენ. ეს სოფლისთვის გაწეული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი (არაპირდაპირი) დახმარებაა.

ევროგაერთიანება კვლევებისთვის კვლევებისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამებში ითვალისწინებს სახსრების გამოყოფას. ამჟამად მიმდინარე მე-7 ჩარჩო პროგრამაში სახსრების 4% ს/ს კვლევაზე ინარჯება⁶. სასურველია გავისხენოთ, რომ სოფლის მეურნეობის წილი ევროკავშირის მშპ-ში 2% არ აღემატება. ჩარჩო პროგრამა, წევრი ქვეყნების ს/ს კვლევის ეროვნულ პროგრამებთან ერთად (რომელთა ჯამური დაფინანსება მრავალჯერ აღემატება ჩარჩო პროგრამით ს/ს კვლევის დაფინანსებას), ევროკავშირში კვლევის საჭირო დონეს ქმნის.

⁶ Official Journal of the European Union, 30.12.2006, L400/368 - 434 (<http://cordis.europa.eu/fp7/dc/index.cfm>)

კვლევისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო პროგრამა მოიცავს ს/ს კვლევის შემდეგ მიმართულებებს:

- “სურსათი, სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა, ბიოტექნოლოგია”;
- მიწის, ტყის და წყლის ბიოლოგიური რესურსების წარმოება და მართვა;
- „ფერმიდან ჩანგლამდე” – სურსათი (თევზპროდუქტების ჩათვლით);
- მეცნიერება სიცოცხლის შესახებ, ბიოტექნოლოგია და ბიოქიმიკა არასაკვები პროდუქტებისა და პროცესებისთვის.

მე-7 პროგრამას მართავს კვლევისა და ინოვაციის გენერალური დირექტორატი⁷, რომელთანაც ს/ს მიმართულების სამართავად შექმნილია სასოფლო-სამეურნეო კვლევის მუდმივი კომიტეტი⁸. მასში შედიან სხვა დაინტერესებული დირექტორატების – სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, მეთევზეობის, გარემოს დაცვის, – წარმომადგენლები და წამყვანი მეცნიერები. კომიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სტრატეგიისა და პროგნოზების შემუშავებაა.

2.6. ეროვნული ს/ს საინოვაციო სისტემა


როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნების მიერ დაფინანსებული კვლევების ჯამური მოცულობა ევროკომისიის მიერ კვლევაზე გაწეულ ხარჯებს აღემატება. ს/ს კვლევები წარმოებს ქვეყნებში როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე (რეგიონული მთავრობების დაფინანსებით).

როგორც ევროკომისიის, ასევე ქვეყნების მიერ დაფინანსებული კვლევების შედეგების ფერმერებამდე და მეწარმეებამდე დაყვანა, რაც უშუალოდ საინოვაციო პროცესის შინაარსს წარმოადგენს, მთლიანად ეროვნული მთავრობების პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება. ამ მიზნით ქვეყნებში მოქმედებენ სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები, მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული მთავრობების მიერ. ს/მ სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ სამსახურების როლი ს/მეურნეობაში, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოების სფეროში. ეროვნული საინოვაციო სისტემის სქემა მოყვანილია ნახ. 2.2-ზე. ს/ს კვლევითი და საინოვაციო სისტემების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლება სტატიიდან⁹. თითქმის ყველა ქვეყანაში, კვლევაზე გაწეულ საერთო ხარჯებში, ს/ს ხარჯების წილი აღემატება ს/მ წილს ეკონომიკაში, ზოგიერთში კი ძლიერ აღემატება (იხ. ცხრილი 2.1.). მიზანშეწონილია ეროვნული ს/ს კვლევითი სისტემების კონკრეტული ქვეყნების მაგალითებზე განხილვა.

⁷ DG Research, Innovation and Science

⁸ SCAR (Standing Committee on Agriculture Research) დაფუძნდა 1974 წელს (Regulation (EEC) No. 1728/74 of the Council of 27 June 1974). http://ec.europa.eu/research/era/pdf/citizen-summary_en.pdf

⁹ ო. შატბერაშვილი. ევროპული საინოვაციო პოლიტიკა სოფლის მეურნეობის სფეროში. წიგნში „მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია”, რედაქტორები: ო. შატბერაშვილი, ი. გოგოძე, ევსიგ, თბილისი, 2010



ნახ. 2.2. ეროვნული სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემა

ცხრილი 2.1. სს კვლევების მოცულობა ცალკეულ ქვეყნებში

ქვეყანა	ს/ს კვლევის წილი მთლიანად კვლევებში %	სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში %
დანია	8	2,5
ლიტვა	18	4,4
კვიპროსი	20	3

სლოვაკეთის სს კვლევითი სისტემა¹⁰

იგი 5 უნივერსიტეტსა და 18 საჯარო კვლევით ორგანიზაციას მოიცავს. აქედან 7 კვლევითი ცენტრი შედის სოფლის მეურნეობის სამინისტროში:

სასოფლო-სამეურნეო კვლევის ცენტრი (შტაბ-ბინა - ქ. ნიტრა) სამი ინსტიტუტით:

მცენარეთა კვლევითი ინსტიტუტი (ქ. პრიეშტიანი)

მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ნიტრა)

სამთო სოფლის მეურნეობისა და საძოვრების კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ბანსკა ბისტრიცა)

ნიადაგმცოდნეობისა და კონსერვაციის კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)

სურსათის კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)

¹⁰ http://ec.europa.eu/research/agriculture/scar/index_en.cfm?p=1_sk&m=detail

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ეკონომიკის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
მეტყველობის კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ზვოლენი)

11 ინსტიტუტი **სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის** დაქვემდებარებაშია, კერძოდ:
გენეტიკისა და მცენარეთა ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ნიტრა)
ს/ს ცხოველთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი (ქ. კოშიცე)
პარაზიტოლოგიის ინსტიტუტი (ქ. კოშიცე)
ბიოქიმიისა და ცხოველთა გენეტიკის ინსტიტუტი (ქ. ივანკა დუნაიზე)
მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
სოციოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
ლანდშაფტური ეკოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
ტყის ეკოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ზვოლენი)
ბოტანიკის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
ვირუსოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
ნეკროიმუნოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)

სასოფლო-სამეურნეო კვლევა წარმოებს 5 **უნივერსიტეტში**:
სლოვაკეთის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი (ქ. ნიტრა)
ვეტერინარული უნივერსიტეტი (ქ. კოშიცე)
კომენიუსის უნივერსიტეტი (ქ. ბრატისლავა)
სლოვაკეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (ქ. ბრატისლავა)
ტექნიკური უნივერსიტეტი (ქ. ზვოლენი)

კვლევის თემატიკას ადგენს *სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია*.

აგროკვლევა ფინეთში¹¹

ფინეთის სოფლის მეურნეობისა და მეტყველობის სამინისტრო პასუხისმგებელია პოლიტიკაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა (ს/მ, მეტყველობა, მეთევზეობა და ნადირობა, წყლის ბიორესურსები და სოფლის განვითარება) და სურსათის უსაფრთხოებაზე. გააჩნია რა 5 საკუთარი აგროკვლევითი ინსტიტუტი და ბიუჯეტი აგროკვლევების საკონკურსო დაფინანსებისთვის, იგი ს/ს კვლევის სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მის მიერ ორგანიზებული კონკურსები მიმართულია: მეცნიერებაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებულ პროექტებზე; კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად და ეთიკურად მდგრადი ტექნოლოგიების შემუშავებაზე, სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. პოლიტიკის შემუშავებასა და პროექტების გადარჩევაში მას ეხმარება *აგრო-სასურსათო კვლევის საკონსულტაციო საბჭო*, სამინისტრო თანამშრომლობს კვლევის დამფინანსებელ ევროპულ და სხვა ფინურ ორგანიზაციებთან, რომლებსაც ასევე გააჩნიათ აგროსექტორის რელევანტური კვლევის მიმართულებები და პროგრამები.

კერძოდ:

ფინეთის ეროვნულ ტექნოლოგიურ სააგენტოსთან (Tekes), პროგრამებით ბიოტექნოლოგიისა და სურსათის ინოვაციის სფეროებში;

ფინეთის აკადემიასთან, უპირატესად ფუნდამენტურ კვლევაზე ორიენტირებული პროგრამებით: კვება, სურსათი და ჯანმრთელობა; გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გავლენა ჯანმრთელობაზე.

¹¹ (http://ec.europa.eu/research/agriculture/scar/index_en.cfm?p=1_fi)

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ კვლევებს ასრულებენ:
 სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 5 ინსტიტუტი;
 გარემოს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 1 ინსტიტუტი;
 ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 2 ინსტიტუტი;
 სოციალური საკითხებისა და ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 1 ინსტიტუტი;
 განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 4 უნივერსიტეტი.

ზემოთ მოყვანილი ორი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს სოფლის მეურნეობის სამინისტროების ჩართულობას ს/ს კვლევების წარმართვაში და, აგრეთვე, საუნივერსიტეტო და აკადემიური მეცნიერების მონაწილეობას ს/ს კვლევებში. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დონე ევროპაში, ძალიან მაღალია.

2.7. საკონსულტაციო სამსახურები

უკვე აღვნიშნეთ, რომ კვლევების დაყვანა ფერმერებამდე ს/მ განვითარების საკვანძო საკითხია. განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა, რის გამოც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია იძულებული გახდა გამოეცა სახელმძღვანელო ამ ქვეყნების პოლიტიკური სელმძღვანელებისთვის¹². სამსახურების დანიშნულებაა ინდივიდუალური ფერმერების ტექნოლოგიური თუ მენეჯმენტის პრობლემების გადაწყვეტა. ევროპა, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში. ზოგიერთ ქვეყანაში ეს სამსახურები არსებობს 100 წელზე მეტს ითვლიან (დიდი ბრიტანეთი, დანია, გერმანია). ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია ერთიანი ეროვნული სამსახური, სხვებში – რეგიონული (თითოეულ რეგიონში). სამსახურები ან სახელმწიფოა (მაგალითად, გერმანიაში), ან კერძო (ასოციაციები), რომლებიც დიდ დახმარებას იღებენ სახელმწიფოსგან. საკონსულტაციო სამსახურების მაგალითებს რეგიონული ს/ს საინოვაციო სისტემების განხილვისას ვნახავთ.

2.8. რეგიონული საინოვაციო სისტემები

რეგიონების (ქვეყნების ნაწილების) სასოფლო-სამეურნეო სისტემები და პოლიტიკა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას წარმოადგენს რეგიონი ადმინისტრაციულად. ამ სისტემებში, ეროვნული სისტემების მსგავსად, საკმაოდ განსხვავებები არსებობს. განვიხილოთ ორი მაგალითი, რომელშიც შეგვიძლია საქართველოსთვის მრავალი სასარგებლო დეტალი ვიხილოთ.

¹² Modernizing National Extension Systems: A Practical Guide for Policy-makers in Developing Countries. FAO, 2005

ბავარიის ს/ს საინფორმაციო სისტემა

ბავარიის თავისუფალი სახელმწიფო (როგორც მას ოფიციალურად უწოდებენ): მოსახლეობა 12.5 მლნ, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში - 1.2%, მრეწველობისა - 30%, მშპ სულზე - 33,200. ბავარიას, ისევე როგორც გერმანიის სხვა მიწებს (რესპუბლიკებს) ფედერალური მიწის სტატუსი აქვს. მთავრობა, რომელსაც ფართო უფლებამოსილება გააჩნია, რამდენიმე სამინისტროსგან შედგება. მისი მეთაურია პრემიერ-მინისტრი. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტრო¹³.

აგროკვლევის სისტემა. სამინისტროს დაქვემდებარებაშია მძლავრი ბავარიის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ცენტრი, რომელშიც 10 კვლევითი ინსტიტუტია გაერთიანებული: ს/ს ეკოლოგიის, ორგანული ფერმეობისა და ნიადაგის დაცვის; მეცენარეობისა და მცენარეთა ახალი ჯიშების; მანებლებთან ბრძოლის; მეცხოველეობისა და ცხოველთა ჯიშების; ცხოველთა კვებისა და საკვების მართვის; მეთევზეობის; აგრინჟინერიისა და მეცხოველეობის; სოფლის განვითარების, ბიზნესის ეკონომიკისა და ს/ს საინფორმაციო ტექნოლოგიების; კვების სამეცნიერო პრობლემებისა და მარკეტინგის; მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მანქანების. ყველა ინსტიტუტი ქ. ფრაიზინგშია (Freising) თავმოყრილი.

გარდა ამისა, ცენტრის შემადგენლობაშია: ხარისხის უზრუნველყოფისა და შესწავლის უწყებრივი სისტემა; სწავლების, გამოცდისა და მერძეეობის ფერმების სპეციალიზებული ცენტრი; სწავლების, გამოცდისა და ეკო-ფერმეობის სპეციალიზებული ცენტრი; სწავლების, გამოცდისა და მეფრინველეობისა და წვრილფეხა ცხოველების სპეციალიზებული ცენტრი; სევის კვლევის ცენტრი (ეროვნული).

სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, აგრეთვე, ტექნოლოგიისა და ინოვაციის ცენტრი, რომელიც კვლევითი ცენტრის ინსტიტუტებთან კომერციული სახის ეტაპზე თანამშრომლობს და კერძო ორგანიზაციებსაც იზიდავს.

უმაღლესი სკოლა. იმავე ქ. ფრაიზინგში მდებარეობს გამოყენებითი მეცნიერების სახელმწიფო უნივერსიტეტი (4,000 სტუდენტი), სპეციალიზაციით: სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა (დაარსებული 1805 წელს) (www.hswt.de/) და მიუნენის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიო-მეცნიერებათა განყოფილება (3,000 სტუდენტი) (<http://www.tu-muenchen.de/>). უნივერსიტეტები ბავარიის მეცნიერების, კვლევისა და ხელოვნების სამინისტროს ექვემდებარებიან. მათ ფართო კვლევითი პროგრამები, საცდელი და სასწავლო მეურნეობები გააჩნიათ.

ბავარიის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ცენტრი ორი უნივერსიტეტის კვლევით და სასწავლო სიმძლავრეებთან ერთად ქმნის ბავარიის აგროკვლევის კლასტერს. ცენტრების დასახელებიდანაც ჩანს, რომ ბავარიაში აგროკვლევა ფართოდაა გაგებული: წარმოება – ეკოლოგია – სოფლის განვითარება. ამ თვალსაზრისით იგი სავსებით პასუხობს ევროკავშირის ლისაბონის სტრატეგიიდან გამომდინარე აგროკვლევის ფილოსოფიას. იმავე დროს, აქცენტები ბავარიულ აგროკვლევაში დასმულია ბავარიის სოფლის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე (მაგალითად სევის კვლევა).

საკონსულტაციო სამსახური¹⁴. ბავარიაში საკონსულტაციო სამსახური სახელმწიფოა და სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტროს ექვემდებარება. მისი ისტორია 1897 წელს დაიწყო, როდესაც “მოსეტიალე მასწავლებლები” (ს/ს მრჩეველები) აყვანილ იქნენ სახელმწიფო სამსახურში. 2003 წლის მონაცემებით ბავარიაში დაახლოებით 570 კონსულტანტია. მათი განაწილება მოყვანილია ტაბულა 3-ში. საკონსულტაციო სამსახურები სოფლის განვითარების საკითხებზეც მუშაობენ.

¹³ Staatsministeriums fuer Ernaehrung, Landwirtschaft und Forsten (<http://www.stmelf.bayern.de>)

¹⁴ ჩვენ ვისარგებლეთ ანგარიშით, რომელიც განთავსებულია საიტზე http://www.agroextension.net/attachments/AAC_Bavaria.doc

ფერმების ტიპი	ჯგუფების რაოდენობა	კონსულტანტების რაოდენობა
მიწათმოქმედება	27	120
აგროეკოლოგია და ნიადაგი	7	14
სპეციალური მცენარეების მოყვანა, მცენარეთა დაცვა და გამოკვლევა	7	66
რძის წარმოება	30	130
საქონლის მოსუქება	4	15
საქონლის სელექცია	10	70
ღორის გაზრდა	9	45
ორგანული ფერმერობა	4	10
მაღალმთიანი ფერმერობა	2	7
ცხვარი და მცირე ზომის ცხოველები	2	5
ცხენების მოვლა	2	6
მებაღეობა	4	50

კონსულტანტები, როგორც სახელმწიფო მოხელეები, მომსახურებისთვის გასამრჯელოს არ იღებენ. საკონსულტაციო სამსახურებთან დაკავშირებულია დაახლოებით 50 პროფესიული გადამზადების სკოლა.

კონსულტანტების გადარჩევისა და მომზადების, გამოცდების ჩაბარების სისტემა მკაცრია. ისინი ყოველწლიურად ერთკვირიან გადამზადებას გადიან *სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შექმნილ სპეციალურ ელიტის მომზადების სახელმწიფო ინსტიტუტში*.

კვლევათი და საკონსულტაციო სისტემები ერთად ქმნიან ინოვაციის ინსტრუმენტს, რომელიც ცოდნის უწყვეტი ჯაჭვის მოქმედებას უზრუნველყოფს.

კლასტერული ინციატივა. *სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამინისტროს* ინციატივით ბავარიაში რამდენიმე სამეცნიერო-საწარმოო კლასტერია განვითარებული: მათ შორის რძის, ხორცის, ღვინის, ლუდისა და სხვა. სამეცნიერო ცენტრი ფრაიზინგში მრავალ კლასტერში მონაწილეობს.

ბოლცანოს ავტონომიური პროვინცია – ალტო ადიჯე (სამხრეთ ტიროლი)

ესაა ავტონომიური ოლქი იტალიაში, რომელსაც გუბერნატორი მართავს. სოფლის მეურნეობა შეადგენს მშპ-ს 3.6%. მრეწველობა - 20%. მოსახლეობა - 500,000 ადამიანი, ტერიტორიის 64% განლაგებულია ზღვის დონიდან 1500 მ მაღლა. მშპ სულზე - 32,000 ო.

ბოლცანოს პროვინციის სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემა ძირითადად ეყრდნობა *ლამბურგის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის კვლევით ცენტრს*¹⁵ და *სამხრეთ ტიროლის საკონსულტაციო სამსახურს*¹⁶.

კვლევითი ცენტრი სახელმწიფო ორგანიზაციაა და ექვემდებარება პროვინციის *სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის დეპარტამენტს*. ცენტრი აწარმოებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევას, საველე ექსპერიმენტებსა და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ახალი ცოდნისა და

¹⁵ Research Centre for Agriculture and Forestry Laimburg (www.laimburg.it)

¹⁶ South Tyrolean Advisory Service (www.beratungsring.org)

ტექნოლოგიების მისაღებად პროვინციის ს/მ გასაუმჯობესებლად, სახსრების 39%-ს მას პროვინციის მთავრობა აძლევს, 1% - იტალიის ცენტრალური მთავრობა, დანარჩენს შეადგენს გრანტები (ევროკავშირის, იტალიის მთავრობის და სხვა) და საკუთარი სახსრები. ეს უკანასკნელი შედგება ბოლცანოს ოლქის საკუთრებაში მყოფი და ცენტრისთვის მართვაში გადაცემული 36 მიწის ნაკვეთისა და მათზე განლაგებული უძრავი ქონების ექსპლუატაციიდან მიღებული სახსრებისა და, აგრეთვე, საკუთარი ღვინის ქარხნიდან, სანერგიდან, თევზის გამრავლების სადგურიდან და რამდენიმე მექანიკური საამქროდან მიღებული სახსრებისაგან. ცენტრში დასაქმებულია 200 მუშაკი, კიდევ 100 მუდმივი თანამშრომელი და 150 სეზონურად მუშაობს საცდელ ფერმებში.

აღნიშნული ნაკვეთები სხვადასხვა გეოგრაფიულ-კლიმატურ ზონაში განლაგებულ საცდელ-სადემონსტრაციო ფერმებს წარმოადგენენ. ერთი ნაკვეთი ბოტანიკური ბაღია. მათ ცენტრის მუშაკები იყენებენ ექსპერიმენტებისთვის, პროფესსწავლებლის სტუდენტები – პრაქტიკისთვის. ფერმების პროდუქცია მრავალფეროვანია – რძე, თაფლი, თევზი, ხილი, ყურძენი, სამედიცინო ბალახები, ღვინო. ცენტრი ინფორმაციას აწვდის *ს/ს კონსულტანტებსა* და ფერმერებს კურსების, სემინარებისა და გამოცემების მეშვეობით. ცენტრს გააჩნია საკუთარი *მეხილეობის, მეღვინეობისა და მებაღეობის პროფესიული სასწავლებელი*.

სამხრეთ ტიროლის საკონსულტაციო სამსახური (South Tyrolean Advisory Service) წარმოადგენს ამხანაგობას, რომელშიც 6000-ზე მეტი წევრია გაერთიანებული. *სამსახური* ეყრდნობა როგორც კვლევითი ცენტრის მიღწევებს, ასევე ცოდნის გარე წყაროებს. მისი მუშაობის მთავარი მიმართულებებია მებაღეობა (უმთავრესად ვაშლის კულტურა) და მევენახეობა-მეღვინეობა. კონსულტაციების მიღება შეიძლება არა მხოლოდ კონსულტანტთან პირადი შეხვედრით, არამედ ტელეფონით, SMS-ით ან ინტერნეტითაც. სამსახური არსებობს საწევროებითა და მთავრობის (44%) ხარჯებით. თანამშრომელთა რიცხვი 40-ს აღემატება.

ბოლცანოს თავისუფალი უნივერსიტეტი, რომლის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტი სპეციალიზებულია სოფლის მეურნეობაზე (განსაკუთრებით ბოლცანოს ოლქისთვის პროფილურ მეხილეობაზე), ხოლო მისი კვლევითი სამუშაოები სოფლის მეურნეობის გარემოსდაცვით ასპექტებს ეხება.

სამხრეთ ტიროლში სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემა ეხება ს/ს წარმოების საკითხთა ძალიან ფართო წრეს: მიწათმოქმედება, ჯიშების შერჩევა, მანებებლეთან ბრძოლა, ნიადაგის დაცვა, მოსავლის შენახვა და გადაამუშავება, ყინვებისა და გვალვისგან დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები (საფირმო და ადგილწარმოშობის ნიშნები), მარკეტინგის ახალი ფორმები და სხვა. მის მუშაობაში სხვადასხვა პროფესიული გაერთიანება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მათ გარეშე რთული ინოვაციური ღონისძიებები პროვინციაში საკმაოდ მასშტაბით ვერ განხორციელდება. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულმა ყველაზე მნიშვნელოვანმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შექმნეს გაერთიანება AGRIOS¹⁷, რომელმაც მოახერხა პროვინციაში *ინტეგრირებული ვაშლის წარმოების სისტემის* დანერგვა.

სისტემა გულისხმობს ვაშლის წარმოების მიმართ ყველა ფერმერის მხრიდან ერთიან მიდგომას და ერთიანი მაღალი სტანდარტების დაცვას მანებებლეთან ბრძოლიდან დაწყებული და მარკეტინგით დამთავრებული. ამ გაერთიანებაში შევიდნენ *პროვინციის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის დეპარტამენტი, ლამბურგის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის კვლევითი ცენტრი, სამხრეთ ტიროლის საკონსულტაციო სამსახური, მეხილეობის კავშირი სამხრეთ ტიროლი, სამხრეთ ტიროლის ხილის აუქციონების მხარდამჭერი ორგანიზაცია, სამხრეთ ტიროლის ფერმერთა ალიანსი, კავშირი სამხრეთ ტიროლის ახალგაზრდა ფერმერები, უშუალო მეწარმეთა ფედერაცია, ინტეგრირებული სისტემის მოთხოვნები ბოლცანოს პროვინციაში ადგილობრივი კანონია¹⁸. წლების განმავლობაში სისტემა გაიზარდა და ამჟამად ბოლცანომ დაიკავა ევროპის ვაშლის წარმოებაში 7%, გააფართოვა ექსპორტი, შეამცირა მარკეტინგული ხარჯები, დაამკვიდრა რა მსოფლიოში ადგილწარმოშობის ნიშანი ვაშლი ბოლცანოდან, რომლითაც ადგილობრივი ფერმერები ხარგებლობენ. ფაქტიურად ბოლცანოში შეიქმნა ინოვაციური ვიწროსპეციალიზებული მეხილეობის კლასტერი.*

¹⁷ www.agrios.it

¹⁸ The Autonomous province of Bolzano. Provincial Law no.12/April 4th 1991.

მიუხედავად მიღწევებისა, საინოვაციო სისტემის მონაწილენი თვლიან, რომ რეგიონული ამოცანების გადაწყვეტაში საკმაო სიმძლეულები არსებობს. პირველ რიგში აღნიშნავენ გარე წყაროებიდან ისეთი კვლევითი სამუშაოების უსვ დაფინანსებას, რომლებიც არაა დაკავშირებული პროვინციის პრობლემებთან, კერძოდ, მცირე სამთო ფერმების ამოცანებთან და სხვა. გარდა ამისა, გარე დაფინანსება მოკლევადიანია, რაც გრძელვადიანი ამოცანების გადაწყვეტას უშლის ხელს.¹⁹

ამ უკანასკნელი მაგალითიდან ცხადად ჩანს სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემისთვის საცდელი მეურნეობებისა და სადგურების მუშაობის მნიშვნელობა.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობა

3.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით მრავალდარგოვანია და გამოირჩევა კლიმატური ზონების სიმრავლით. ამის გამო კვლევის და ინოვაციის თვალსაზრისით, იგი რთული ობიექტია. ამ გარემოებამ განაპირობა წარსულში საკმაოდ მძლავრი საინოვაციო სისტემის ჩამოყალიბება – 15 კვლევითი ინსტიტუტი, 3 სს უნივერსიტეტი, 70-მდე საცდელი სადგური და მეურნეობა, რაიონული სს სამსახურები, სპეციალისტები თითოეულ მსხვილ მეურნეობაში. სისტემა მორგებული იყო სოციალისტური წარმოების პირობებზე და საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასასვლელად ადაპტაცია ესაჭიროებოდა. მაგალითად, საქირო იყო, ევროპულის მსგავსი საკონსულტაციო სამსახურების განვითარება. ამჟამად კვლევის თემატიკა უნდა ითვალისწინებდეს მცირე ფერმების მოთხოვნილებებს, სხვაგან შექმნილი ტექნოლოგიების ადაპტაციასა და სხვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველ პირობებშიც საინოვაციო სისტემას თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა. საკმარისია გავისწავლოთ ჩაის ახალი ჯიშების მიღება, რომელთა მეშვეობით არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც უზრუნველყვეს ჩაის წარმოების განვითარება.

ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობა და სოფელი თვისობრივად განსხვავდება 20 წლის წინ არსებულისგან. იგი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10% ქმნის (1,8 მლრდ ლარი) და ქვეყნის საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილების 20-30% უზრუნველყოფს (წარსულში უზრუნველყოფდა 70%). სოფლად ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 50% ცხოვრობს, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა 70%. ამდენად, სოფელი და სოფლის მეურნეობა სიღარიბესთან ბრძოლის მთავარი ასპარეზია. ცუდად გააზრებული და ჩატარებული

¹⁹ Josef Dalla Via. Research at the Research Center for Agriculture and Forestry LAIMBURG. (www.eufrin.obstpage.de/Documents/Laimburg.pdf)

პრივატიზაციის შედეგად ძლიერ შეიცვალა მეურნეობების (ფერმების)²⁰ სიდიდე და განაწილება (ცხრილი 3.1.).

ცხრილი 3.1. მეურნეობების განაწილება ფართობის მიხედვით საქართველოში

ფერმის ფართობი	ფერმების პროცენტი
<0.5 ჰა	22,1
0.5-1 ჰა	29,7
1-2 ჰა	43,6
> 2 ჰა	4,6
საშუალო ფართობი 0.96 ჰა	

წყარო: Wikipedia²¹

მკვეთრად შეიცვალა რეალიზაციის ბაზრების სურათი და მოთხოვნის სტრუქტურაც. ახალ პირობებში სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზება საინოვაციო სისტემის წინაშე სრულიად ახალ ამოცანებს წარმოშობს. ეს ამოცანები, გარკვეულწილად, ევროპული გამოცდილების ადაპტაციის გზით შეიძლება გადაწყდეს, მაგრამ მრავალი საკითხის გადასაწყვეტად მზა მეთოდები არ არსებობს.


აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად საინოვაციო სისტემის მიმართ ყურადღების გაზრდის ნაცვლად, სახელმწიფომ არა თუ არ განავითარა ის რგოლები, რომელიც სისტემას აკლდა (მაგალითად, საკონსულტაციო სამსახურები), არამედ არსებულ რგოლებზე მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო ნეგატიური ზემოქმედება განახორციელა.

3.2. ს/ს კვლევის სისტემა საქართველოში


კვლევითი სისტემის აღმწერი ზოგიერთი (საქართველოში ხელმისაწვდომი) ინდიკატორის ცვლილება მოყვანილია ნახატებზე 3.1-3.3. აღსანიშნავია, რომ 1985-1990 წლებში 12-16 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში მერყევი ს/ს კვლევის წლიური დაფინანსება დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც 2011 წლის მთლიანი ეროვნული კვლევითი სისტემის ანუ მეცნიერების ყველა დარგის დაფინანსება.

²⁰ საქართველოს კანონმდებლობით ფერმისა და ფერმერის ცნება დადგენილი არაა. ამ ტერმინის გამოყენება პირობითია.

²¹ სხვა წყაროების თანახმად, ფერმის საშუალო სიდიდე ოდნავ განსწავებულია. [მაგალითად, ელენე შატბერაშვილი, ბონდო ალასანიძე, აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების სისტემები და სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგადი კონტექსტი საქართველოში. ბიომეურნე, №1 (16) 2011 (ელკანა-ოქსფამი)]



ნახ. 3.1 სასოფლო-სამეურნეო კვლევის დაფინანსება საქართველოში²²




ნახ. 3.2. სელექციონერთა რისკის ცვლილება²³

²² დავით ბედოშვილი. საქართველოს სახელექციო პოტენციალის შეფასება და მისი გაძლიერების სტრატეგია. მოხსენება იკარდა-ს სემინარზე, თბილისი, 15-17 ოქტომბერი 2007.

²³ იქვე

1990 წლიდან რაიმე პრიორიტეტებისა და მოსაზრებების გარეშე, განუწყვეტლივ მცირდებოდა ყველა მიმართულების ს/მ მკვლევართა რაოდენობა. ნახ. 3.2.-ზე მაგალითისთვის მოყვანილია სელექციონერთა რიცხვის შემცირება 1990-2004 წლებში. განსაკუთრებით მკვეთრი შემცირება მოხდა 2006-2007 წლებში. სულ 2000-2011 წლებში კვლევით ორგანიზაციებში თანამშრომელთა რიცხვი 2-ჯერ შემცირდა (ნახ. 3.3.). პროცესი ევროპაში მიმდინარე მეცნიერთა რიცხვის ზრდის საწინააღმდეგოა. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, იქ მეცნიერთა რიცხვის ზრდის ტემპი ევროპულს აჭარბებს.



ნახ. 3.3. ს/ს კვლევით სისტემაში (უნივერსიტეტების გარდა) თანამშრომელთა რაოდენობა და ერთ თანამშრომელზე გაწეული წლიური სარჯები²⁴

ნახ. 3.3. მოყვანილი მონაცემების საფუძველზე რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეგვიძლია. ერთ თანამშრომელზე წლიური სარჯების დაახლოებით 75%-ს შეადგენს ხელფასი, რაც 1 თვეზე გადათვლისა და საშემოსავლო გადასახადის (20%) გამოკლების შემდეგ თვიურად ხელზე გასაცემ საშუალო თანხას – 160 ლარს გვაძლევს. შედარებისთვის, სახელმწიფო მმართველობაში საშუალო თვიური ხელფასი, საშემოსავლოს გამოქვითვის შემდეგ, 700 ლარია²⁵. თანაფარდობა 1:4 - ევროპულ და მსოფლიო პრაქტიკასთან სრულიად შეუსაბამოა.

²⁴ გრაფიკი მომზადებულია შემდეგი დოკუმენტის საფუძველზე: გ. ალექსიძე. აგრარული კვლევა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის. ეროვნული მოსხენება შუა აზიისა და კავკასიის კვლევითი ინსტიტუტების ასოციაციის რეგიონული მიმონიღვისთვის. ტაშკენტი, 2011.

²⁵ ხელფასები სახელმწიფო მმართველობაში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=135

ჩანართი 2

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ადმინისტრაციაში საშუალო წლიური ხელფასი 23,000 გირვანქა სტერლინგია (38,000 აშშ დოლარი)²⁶ (<http://www.civilservant.org.uk/pay.shtml>), ხოლო მეცნიერთა საშუალო წლიური ხელფასი - 74,000 აშშ დოლარი²⁷. დიდ ბრიტანეთში 80 უნივერსიტეტის რექტორი ღებულობს ქვეყნის პრემიერ-მინისტრზე მაღალ ხელფასს²⁸.

აშშ სახელმწიფო ადმინისტრაციაში საშუალო წლიური ხელფასი 68,000 აშშ დოლარია²⁹, ხოლო მეცნიერთა საშუალო წლიური ხელფასი 88,000 აშშ დოლარი³⁰. წამყვანი ეროვნული ლაბორატორიების დირექტორები - გამოჩენილი მეცნიერები - იღებენ მინისტრებზე (სახელმწიფო დეპარტამენტების ხელმძღვანელებზე), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში აშშ პრეზიდენტზე მაღალ ხელფასს.³¹

ადვილი გამოსათვლელია საერთო ხარჯები სასოფლო-სამეურნეო კვლევაზე - 1.5 მლნ ლარი ანუ, მიმდინარე კურსით, 0.9 მლნ აშშ დოლარი. ეს თითქმის 18-ჯერ ნაკლებია 1990 წლის დონეზე, ხოლო ფასების ინდექსის ცვლილების გათვალისწინებით, - კიდევ უფრო ნაკლები.

მეცნიერების დაფინანსების დონე საქართველოში საერთოდ ძალიან დაბალია - მშპ-ს 0.2% ნაკლები. ევროკავშირის ყველა ქვეყნის საშუალო მეცნიერების დაფინანსების დონეა 2%. სასოფლო-სამეურნეო კვლევების დაფინანსების დონეს განსაზღვრავენ როგორც ამ კვლევებზე დანახარჯს შეფარდებულს მთლიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან. საქართველოსთვის ეს სიდიდე ტოლია 0.08%, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ 2.4%-ა³².

საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულისგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) განსაკუთრებით მკვეთრად ორი გარემოება განასხვავებს: ა) სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებასა და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზაცია. ევროპული სტანდარტების თანახმად ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა - სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული; ბ) კვლევითი სისტემა არ შედგება იურიდიული პირებისგან. მისი არსებობა-არარსებობის საკითხი ერთი უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული (ან

²⁶ www.civilservant.org.uk/pay.shtml

²⁷ European Commission. Remuneration of Researchers in the Public and Private sectors. CARSA, 2007. (ec.europa.eu/eracareers/pdf/final_report.pdf)

²⁸ www.guardian.co.uk/news/datablog/2010/mar/12/universities-high-pay-top-data

²⁹ http://www.usatoday.com/news/nation/2010-03-04-federal-pay_N.htm

³⁰ იხ. სქოლიო 27.

³¹ berkeleylabreport.blogspot.com/2011/03/regents-approve-salary-increase-for.html.

³² Nienke M. Beintema and Gert-Jan Stads. MEASURING AGRICULTURAL RESEARCH INVESTMENTS: A Revised Global Picture. ASTI Background Note, October 2008. (http://www.asti.cgiar.org/pdf/Global_revision.pdf)

უნივერსიტეტის კერძო მფლობელზე). ეს უკანასკნელი გარემოება მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც 2010 წლის ბოლოს მთავრობამ კვლევით ორგანიზაციებს ჩამოართვა იურიდიული პირის სტატუსი და განყოფილებების სტატუსით შეიყვანა უნივერსიტეტებში.

სასოფლო-სამეურნეო კვლევითი სისტემის ამგვარი ორგანიზება ქართველი და უცხოელი სპეციალისტების გაკვირვებას იწვევს. მდიდარი ევროპული (და მსოფლიო) პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს.

3.3. სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურები

საცდელი სადგურები ს/მ განვითარების საკვანძო რგოლია. ევროპაში მათი მნიშვნელობის ილუსტრაციაა ჩანართ 4-ში მოყვანილი მაგალითი. 1990 წლამდე საქართველოში კვლევითი ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების დაქვემდებარებაში 70-მდე (ექსპერტების გამოკითხვის თანახმად) საცდელი სადგური, საცდელი მეურნეობა და სხვა მსგავსი ირიცხებოდა, მრავალი მათგანი – იურიდიული პირის სტატუსით. ამჟამად მათი აბსოლუტური უმრავლესობა დაკარგულია (კერძო პირებზე მიყიდული, არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებული და სხვა). საინოვაციო სისტემისთვის ეს მძიმე დანაკარგია, რადგანაც საცდელი სადგურები არა მარტო კვლევით ინოვაციას, არამედ არაკვლევითი ინოვაციისა და მიზანშეწონილი ინოვაციის დიდ ნაწილსაც უზრუნველყოფენ.

3.4. საკონსულტაციო სამსახურის ჩანახახი

საკონსულტაციო სამსახურების ჩანახახები საქართველოში დონორული ორგანიზაციების (CARE, GTZ - ახალი სახელი GIZ, USAID, EU, Oxfam და სხვები) პროექტების ხარჯზე განვითარდა. პროექტების დასრულების შემდეგ, ახლადშექმნილ სამსახურებს ხშირად არ გააჩნიათ არსებობის წყარო (რომელიც ცენტრალურმა ან ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს) და იძულებულიები ხდებიან შეითავსონ ს/ს მასალების მიწოდების ფუნქციები, რაც არაობიექტურობის (მიკერძოებულობის) საფრთხეს ქმნის. ევროკავშირში საკონსულტაციო და ს/ს მასალების მიწოდების ფუნქციები გაყოფილია, რადგანაც საკონსულტაციო სამსახურები სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობენ. ამჟამად საქართველოში 20-მდე სამსახური მოქმედებს, უმთავრესად არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით. არსებული სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია არ ხდება. ამავე დროს, სათანადო სახელმწიფო პროგრამის არსებობის შემთხვევაში, მათ ბაზაზე, კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფო საკონსულტაციო სისტემის შექმნა. ამისთვის ევროკავშირის მდიდარი გამოცდილების გამოყენება იქნებოდა საჭირო.

4. დასკვნა

EaP-ს ჩარჩოებში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტას დაჟინებით გვთხოვენ, კერძოდ, ფიტოსანიტარული კონტროლისა და სურსათის უვნებლობის საკითხების მოგვარებას, რომელიც EaP ეკონომიკური პლატფორმის საფლაგმანო ინიციატივის - „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ მიღწევის – წინაპირობაა. ამ საკითხების რადიკალური მოგვარება სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური საკითხების მოგვარებით იწყება (ცხოველთა და მცენარეთა სიჯანსაღე და სხვა), რაც ს/ს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას მოითხოვს.

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის არარსებობა აღნიშნული იყო ევროკომისიის საშუალოდ ანგარიშში, სადაც ნათქვამია „2009 წელს აგრარული სექტორი უყურადღებოდ იყო დარჩენილი და ცუდად მუშაობდა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო განვითარების სტრატეგია 2009-2012 წლებისთვის, მომზადებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2008 წელს, არ იქნა დამტკიცებული. მანამდე, მთავარ საპროგრამო დოკუმენტად სამინისტროსთვის რჩება საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 2009 წელს მიიღეს და ძალაშია 2013 წლამდე. სოფლის მეურნეობაში საჯარო ინვესტირება დაბალი იყო და შეადგენდა 2009 წლის საბიუჯეტო ხარჯების მხოლოდ 1.5%³³. შემდგომ, 2011 წელს გამოქვეყნებული ანალოგიური ანგარიში აღნიშნავს, რომ მდგომარეობა უცვლელი რჩება, სოლო ს/ს წარმოება კვლავ მცირდება³⁴.

ეკონომიკური პოლიტიკების დაახლოება, რაც EaP მეორე პლატფორმის ამოცანას წარმოადგენს, შეუძლებელია ს/ს პოლიტიკის იგნორირებით. ჩვენს ინტერესებშია შევისწავლოთ და ავითვისოთ ევროპული ს/ს ტექნოლოგიები და სქემები, მოვანდინოთ, საჭიროებისამებრ, მათი ადაპტირება. ამისთვის ევროპელების მხრიდან ყველა წინაპირობა არსებობს. ევროპულ ს/ს პოლიტიკას, განსაკუთრებით საინოვაციო პოლიტიკას, ძლიერი საგარეო განზომილება გააჩნია. ევროკავშირი იყო და არის აგროკვლევის საერთაშორისო ცენტრებისა და

³³ Commission Staff Working Document. Implementation of the European Neighbourhood Policy in 2009: Progress Report Georgia. SEC (2010) 518. {COM (2010) 207}, p. 11. (ec.europa.eu/world/pdf/progress_2010/sec10_518.pdf)

³⁴ European Commission High Representative of the EU for Foreign Affairs and Security Policy. Joint Staff Working Paper. Implementation of the ENP in 2010. Country Report: Georgia. SEC (2011) 649. {COM (2011) 303}, p. 10. (ec.europa.eu/world/enp/pdf/progress_2011/sec11_649_en.pdf)

განვითარებადი ქვეყნების ეროვნული კვლევითი ცენტრების მსხვილი დონორი. იგი ამავე ცენტრების სამეცნიერო პარტნიორია კვლევისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო პროგრამისა და სხვა პროგრამების ჩარჩოებში. იგი *სასოფლო-სამეურნეო კვლევის რეგიონული ფორუმებისა და სასოფლო-სამეურნეო კვლევის გლობალური ფორუმის*³⁵ ერთ-ერთი ინიციატორია. ევროკავშირმა უკვე აღმოუჩინა საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება ს/მ სფეროში.

EaP-ს ფარგლებში აღნიშნული შესაძლებლობების გადრმავებაა საჭირო. შეგვიძლია სრულად ვისარგებლოთ ევროპის საერთაშორისო გახსნილობით ამ სფეროში.

³⁵ en.wikipedia.org/wiki/Global_Forum_on_Agricultural_Research

და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა (სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის⁶ – 2006 წ.).

თუ ტრანსის პროგრამაში აქცენტირებული იყო სამრეწველო საკუთრების დაცვის ეროვნული ინსტიტუციების შექმნა, საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, კადრების მომზადება, სამოქმედო გეგმამ წინ წამოწია ამ სფეროში საზოგადოების გაცნობიერების დონის ამაღლებასთან, საპატენტო ინფორმაციის გამოყენებასთან, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებასა და უფლებების განხორციელებაზე მიმართული რესურსების ზრდასთან დაკავშირებული ღონისძიებები. EAP-ს საფლაგმანო ინიციატივაში “საფინანსო და ვაჭრობის სფეროში ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება” (DCFTA), ევროკავშირმა შეთანხმების მიღწევის ერთ-ერთ პირობად დააყენა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაძლიერება, რაც, ამ ეტაპზე, პირველ რიგში, სავაჭრო ნიშნების დაცვასა და კონტრაფაქტური ნაწარმის წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობს.

წინამდებარე სტატიის მიზანია გააცნობიეროს კვითხველი სამრეწველო საკუთრების არსში, დაახასიათოს ამ ინსტიტუტის მზარდი გავლენა მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციურ და ეკონომიკურ პროცესებზე, გააცნოს აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობა. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია საქართველო-ევროკავშირის არსებული (მიმდინარე) თანამშრომლობის ფარგლებში ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაუმჯობესების გზები და მომავალში ამ მიმართულებით თანამშრომლობის უკეთ გამოყენების შესაძლებლობები. მოცემულია სამრეწველო საკუთრების ცალკეული ობიექტების დახასიათება, მიმოხილულია ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო სელშეკრულებები, განხილულია საქართველოს კანონმდებლობა სამრეწველო საკუთრების სფეროში და ქვეყანაში მის დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობა. დასასრულს მოტანილია დასკვნები.

2. სამრეწველო საკუთრება

2.1. ძირითადი განმარტებები

სამრეწველო საკუთრება ინტელექტუალური საკუთრების ნაწილია, რომლის ძირითად ობიექტებს გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, დიზაინი, სასაქონლო ნიშნები და გეოგრაფიული აღნიშვნები შეადგენს. ინტელექტუალური საკუთრების მეორე ნაწილს საავტორო უფლებები

⁶ http://www.epfound.ge/files/report_final_-_enp-epf_03.15.11_4.pdf

⁷ თ. შატბერაშვილი, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი, ფრიდრის ებერტის ფონდი, ფონდი “დია საზოგადოება – საქართველო”, ქორთედი, 2007, 114. http://enp.ge/data/file_db/download/ENDLayoutGEO_-O1CVNfwqj.pdf

წარმოადგენს, რომლის მოქმედება ვრცელდება ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე⁸. სამრეწველო საკუთრების, ისევე როგორც მთლიანად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, ადამიანის გონების ქმნილებაა და არამატერიალური (ინფორმაციული) ბუნება გააჩნია:

- გამოგონების აღწერილობა იძლევა ინფორმაციას (ცოდნას) ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზებისა და საშუალებების შესახებ;
- დიზაინით წარმოდგენილია ინფორმაცია პროდუქტის გარეგანი სახის შესახებ;
- სასაქონლო ნიშანი არის მეწარმის საინფორმაციო გზავნილი, რითიც შესაძლებელია მისი და სხვა მეწარმის საქონლის განსხვავება;
- გეოგრაფიული აღნიშვნა გვაწვდის ინფორმაციას საქონლის წარმოშობის გეოგრაფიული ადგილის შესახებ, რასთანაც დაკავშირებულია ამ საქონლის ხარისხი და თვისებები.

2.2. სამრეწველო საკუთრების ადგილი თანამედროვე ეკონომიკაში

თუ პოლიტიკური ეკონომიკის ფუძემდებლები, ერების სიმდიდრის ძირითად წყაროდ კაპიტალს, ბუნებრივ რესურსებსა და სამუშაო ძალას მიიჩნევდნენ, გასული საუკუნის 50-იან წლებში ნეოკლასიკოს-ეკონომისტებმა ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად ტექნოლოგიური პროგრესი აღიარეს. რობერტ სოლოუმ, აშშ-ს შიდა ერთობლივი პროდუქტის 1909-1949 წლების მონაცემების ანალიზის საფუძველზე აჩვენა, რომ ამ წლებში ერთობლივი პროდუქტის მატების 50% კაპიტალისა და სამუშაო ძალის ზრდამ განაპირობა, ხოლო დანარჩენი – ტექნოლოგიების განვითარებამ⁹.

ტექნოლოგიების გავლენა ეკონომიკაზე განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო ათწლეულებში. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკისა ჩამოყალიბების პირობებში. ამ ახალი ეკონომიკური ფორმაციის მთავარ მოქმედ პირად მეცნიერი და გამომგონებელი მოგვევლინა, ძირითად პროდუქტად – ახალი ცოდნა, ხოლო კომპანიების აქტივებში დომინანტი ადგილი არამატერიალურმა აქტივებმა დაიკავეს. საკონსულტაციო ფირმა – Brand Finance-ის შეფასებით 1995 წ. მსოფლიოში მოქმედი კომპანიების მთელი აქტივების უდიდეს ნაწილს – 62% (19.5 ტრილიონი აშშ დოლარი) არამატერიალური აქტივები შეადგენდა¹⁰. მომდევნო წლებში ამ აქტივების წილი კიდევ უფრო გაიზარდა და 2009 წლისთვის

⁸ ინტელექტუალური საკუთრება. (IP Reading Material, WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2001.15 http://sakpatenti.org.ge/files/_86_730923_book1.pdf

⁹ R.G.Lipsey and A.K. Chrystal, An Introduction to Positive Economics. 8th edition (Oxford: Oxford University Press, 1995): 637

¹⁰ www.brandfinance.com/invisiblebusiness.asp

თითქმის 80% მიაღწია¹¹. კომპანიების არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს სამრეწველო საკუთრების ობიექტები წარმოადგენს. ცხრილში 2.1. მოყვანილია აშშ-ს 5 წამყვანი კომპანიის არამატერიალური და მატერიალური აქტივების მონაცემები¹² (1995 წ.).

ცხრილი 2.1. აშშ-ს 5 წამყვანი კომპანიის არამატერიალური და მატერიალური აქტივები

კომპანია	არამატერიალური აქტივები (მლრდ. დოლ)	მატერიალური აქტივები (მლრდ. დოლ)	საბაზრო ფასი (მლრდ. დოლ)
Microsoft	44,6	14,5	49,1
IBM	31,5	22,5	54
Ford Motor Co.	8,6	21,4	30
McDonalds	20,0	6,2	26,2
Coca Cola	73,4	5,2	78,6

აქტივების სტრუქტურა დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობის სფეროზე. მაგალითად, IBM-ის არამატერიალური აქტივების უდიდესი წილი პატენტებით დაცულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე მოდის, კოკა-კოლასა და მაკდონალდსის შემთხვევაში კი მათ საბაზრო ღირებულებას, ძირითადად, ამ კომპანიების ბრენდები და ფრანშიზინგი განაპირობებს. მაიკროსოფტისთვის არამატერიალური აქტივების განმსაზღვრელ ფაქტორს, კომპანიის ხელთარსებულ პატენტებთან ერთად, მის საოპერაციო სისტემისადმი Windows მომხმარებლების ერთგულება წარმოადგენს. პატენტებით განპირობებული არამატერიალური აქტივების წილი განსაკუთრებით მაღალია ფარმაცევტიკულ ინდუსტრიაში. IBM-ის შეფასებით, 2007 წ., ინტელექტუალური საკუთრების საერთო ღირებულებამ აშშ-ში 5.5 ტრილიონ დოლარს მიაღწია¹³.

3. პატენტები

3.1. ზოგადი მიმოხილვა

მატერიალური ობიექტებისაგან განსხვავებით შეუძლებელია მესამე პირის მხრდან, მათი უბრალო ფლობის საფუძველზე, ადამიანის გონების ქმნილებების დაცვა. მაგალითად, მას შემდეგ რაც გამოგონება ან სამრეწველო საკუთრების რომელიმე ობიექტი ხელმისაწვდომი

¹¹ Olga Spasic, Intellectual Property, Technology Transfer and Innovation - Strategic Tools for Knowledge Based Economic Growth, WIPO National Seminar, Tbilisi, March 30, 2011
^{12,13} Karl-Erik Sveiby 26may 1995, MarketValueof Intangible Assets. <http://www.sveiby.com/articles/Market Value.html>

სდება საზოგადოებისათვის, ის აღარ ექვემდებარება მფლობელის უშუალო კონტროლს და მისი დაცვა ობიექტის არამატერიალურ ბუნებასთან მისადაგებულ უფლებებს უნდა მიესადაგოს. სამრეწველო საკუთრების ობიექტების არამატერიალური ბუნების გამო, მსოფლიოში საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ამ სფეროს მარეგულირებელი სპეციფიკური სამართლებრივი ნორმები და მექანიზმები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს როგორც ეროვნულ კანონმდებლობებში, ასევე საერთაშორისო აქტებში.

პირველი საპატენტო კანონი - „პარტე დე ვენეციაანა“ - მიიღეს 1474 წ. ვენეციაში. 1624 წ. კი ინგლისში მიიღეს აქტი მონოპოლიური პრევილეგიების შესახებ, რომელმაც აღიარა საპატენტო პრევილეგიების მინიჭების უფლება გარკვეული ვადით. შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში საპატენტო კანონები თითქმის ერთდროულად, 1790 და 1791 წლებში მიიღეს მე-19 საუკუნეში სამრეწველო საკუთრების შესახებ კანონები ჩნდება ყველა მოწინავე ქვეყნის კანონმდებლობაში, ხოლო 1883 წ. ხელი მოეწერა პარიზის კონვენციას, რომელიც პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა სამრეწველო საკუთრების სფეროში¹⁴.

საპატენტო სამართლის ფუძემდებელი პრინციპია საზოგადოებისათვის გამოგონების არსის ახსნა პატენტის მფლობელისათვის გამოგონების გამოყენებაზე განსაკუთრებული (მონოპოლური) უფლებების მინიჭების სანაცვლოდ. ეს, ერთი შეხედვით მარტივი ფორმულა, არის ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ინოვაციური საქმიანობისა და ეკონომიკის განვითარებაზე¹⁵.

კერძოდ, საპატენტო სისტემა:

- (1) დადებით გავლენას ახდენს საგამომგონებლო საქმიანობის განვითარებაზე. პატენტის მფლობელს გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება საშუალებას აძლევს თავისი მონოპოლური მდგომარეობის გამოყენებით მიიღოს ისეთი შემოსავალი, რომლითაც დაფარავს გაწეულ ხარჯებს, ხოლო ნაწილს კი მიმართავს ახალი, უფრო სრულყოფილი გამოგონებების შესაქმნელად. ეს პროცესი არის განმეორებადი და ტექნიკური სიახლეების შექმნას სძენს ციკლურ ხასიათს;
- (2) ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და კონკურენციის განვითარებას. პატენტით დაცული გამოგონება აიძულებს კონკურენტ ფირმებს ეძებონ საკუთარი ორიგინალური და ეფექტური გზები მათ წინაშე მდგარი ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად და

¹⁴ ინტელექტუალური საკუთრება, (IP Reading Material,WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2001, 25 http://sakpatenti.org.ge/files/_86_730923_book1.pdf

¹⁵ დ. გაბუნია “ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და ინოვაციები” საქართველოს მეცნიერების პოლიტიკის შეფასების ანგარიში, დანართი 4, ქართველ ექსპერტთა ანგარიშები, ევროკავშირის პროექტი, 2007, 2.

შექმნან ახალი მნიშვნელოვანი გამოგონებები. ამდენად, საპატენტო სისტემის მეშვეობით ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების სფეროში ხდება კონკურენტული გარემოს ფორმირება.

- (3) ქმნის პირობებს ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანისა და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ვინაიდან უცხოური კომპანიები ერიდებიან ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების შეტანას ისეთ ქვეყნებში, სადაც საპატენტო დაცვა არასათანადოდაა ორგანიზებული. არც თუ შორეულ წარსულში მსოფლიოში არსებობდა ამის მკაფიო მაგალითები. ბრაზილიამ და ინდოეთმა გასული საუკუნის 90-იან წლებში განახორციელეს საპატენტო კანონმდებლობის სრულყოფა და შესაბამისი ინსტიტუციების განვითარება, ამის შედეგად ამ ქვეყნებში საგრძნობლად გაიზარდა მოწინავე ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების შემოდინება, ასევე იმატა უცხოური განაცხადების რაოდენობამაც.
- (4) უზრუნველყოფს საპატენტო (სამეცნიერო-ტექნოლოგიური) ინფორმაციის ფორმირებასა და გავრცელებას. კერძოდ, მსოფლიოში ამჟამად არსებულ 40 მლნ-ზე მეტ საპატენტო აღწერილობაში თავმოყრილია სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინფორმაციის 80%. საპატენტო ინფორმაცია უდიდეს როლს თამაშობს კომპანიების ეკონომიკური და ტექნოლოგიური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. მათ შეუძლიათ კომპანიებს აარიდონ სამუშაოთა დუბლირება და სახსრების არაეფექტური ხარჯვა, ასევე გაუწიონ ბიზნეს პარტნიორობა მონახვაში დახმარება.

3.2. პატენტები და მრეწველობა

სამრეწველო კომპანიების წარმატებული საქმიანობა ბაზარზე პირდაპირ კავშირშია მათ ხელთარსებული პატენტების პორტფელთან. პატენტი წარმოადგენს კონკურენტთან უპირატესობის მიღწევის, ახალი ბაზრების ათვისებისა და სტაბილური განვითარების საფუძველს. ამით აიხსნება ინვესტიციების მძლავრი ნაკადი, რომლებსაც კომპანიები მიმართავენ სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიური დამუშავებების და მთლიანად ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად¹⁶. პატენტები კომპანიებს საშუალებას აძლევს:

- მიაღწიონ ბაზარზე მონოპოლურ მდგომარეობას;
- ბლოკირება გაუკეთონ კონკურენტების ბაზარზე შეღწევას;
- მიიპყრონ ინვესტიციების ყურადღება;
- მიიღონ შემოსავლები ლიცენზირებიდან;
- შექმნან სამართლებრივი საფუძველი, მათი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში, სასამართლო დევნისთვის;

¹⁶ EPO Scenarios For The Future. EPO, 2007,35

- თავიდან აიცილონ მათ წინააღმდეგ მიმართული არაკეთილ-სინდისიერი ქმედებები;
- მიიღონ მონაწილეობა სტანდარტების დადგენის პროცესში;
- გაზარდონ კომპანიების კაპიტალიზაცია.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა საპატენტო განაცხადების სწრაფი ზრდა. 1985-2008 წლებში გამოგონებებზე განაცხადების რაოდენობა მსოფლიოში გაორმაგდა და 2008 წელს 1.91 მილიონს მიაღწია, აქედან რეზიდენტების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობა უდრიდა 1.1, სოლო არარეზიდენტებისა – 0.9 მლნ-ს. ამავე პერიოდში მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა სასარგებლო მოდელებზე განაცხადთა რიცხვიც და 2008 წ. 313 ათასს მიაღწია. 2008 წელს ძალაში შესული პატენტების საერთო რაოდენობა შეადგენდა 6.7 მილიონს¹⁷. პატენტებზე გაზრდილი მოთხოვნილება განაპირობა:

- ეკონომიკის გლობალიზაციამ;
- საერთაშორისო ბაზარზე წარმოქმნილმა მძაფრმა კონკურენციამ;
- საპატენტო უფლებების განხორციელების სამართლებრივ გარემოს სრულყოფამ;
- ტექნოლოგიების ახალი დარგების (უპირველეს ყოვლისა საინფორმაციო და ბიოლოგიურ სფეროებში) არნახულმა განვითარებამ.

პატენტები გახდა დიდი კომპანიების განსაკუთრებული ინტერესის სფერო. ამ მხრივ მსოფლიო ლიდერს IBM წარმოადგენს. IBM-ს 1992-2002 წლებში აშშ-ში დაპატენტებული აქვს 22357 გამოგონება. 2007 წ. IBM-მა მიიღო 3651 პატენტი, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე მყოფმა SAMSUNG-მა¹⁸. 2010 წ. აშშ პატენტების უდიდესი პორტფელების მფლობელები გახდნენ IBM (5896), SAMSUNG (4551), MICROSOFT (3094), CANON (2552), PANASONIC (2482)¹⁹. მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო იზრდება მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წილი და მათში რეალიზებული პატენტების რაოდენობაც. მაგალითად, კომპანია „AUDI“-მ ავტომობილი „AUDI-6“-ის შექმნის პროცესში დააპატენტა 9621 გამოგონება²⁰, მობილური ტელეფონების მოწყობილობებში კი პატენტების რაოდენობა 500-ს აღწევს²¹.

¹⁷ World Intellectual Property Indicators, 2008, 8-10

¹⁸ <http://irving-wb.typepad.com> (January 2007)

¹⁹ http://www.xbitlabs.com/news/other/display/20110110125943_IBM_Again_Tops_Patent_Receivers_List_Gets_5000_Patents_in_2010.html(News).

²⁰ http://www.thecarconnection.com/answers/101891833_2007-audi-claims-to-have-filed-9621-patents-in-creating-the-new-a6

²¹ EPO Scenarios for the future, EPO, 2007, 98.

ბოლო ათწლეულებში გაძლიერდა ტენდენცია, როცა კომპანიები პატენტებს არა მარტო საკუთარ წარმოებაში იყენებენ, არამედ ის ხდება სხვა კომპანიებთან სალიცენზიო გარიგების ობიექტი. საპატენტო ლიცენზიებიდან შემოსავლები 1990-1998 წლების განმავლობაში მსოფლიოში გაიზარდა 700%, 15 მლრდ დოლარიდან 100 მლრდ. დოლარამდე²². IBM შემოსავალი ლიცენზიების გაყიდვისაგან ყოველწლიურად საშუალოდ შეადგენს 1 მლრდ. დოლარს. 2001 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 1.5 მლრდ. დოლარს²³.

მსოფლიოში ასევე არსებობს არაერთი მაგალითი მცირე და საშუალო საწარმოების წარმატებული საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობისა. კერძოდ, სორვატიულმა კომპანია “პლივამ” 1981 წ. დააპატენტა ფართო მოქმედების ანტიბიოტიკი “აზიტრომიცინი”. 1986 წ. “პლივამ” ხელი მოაწერა სალიცენზიო ხელშეკრულებას “პფაიზერთან”, რომლითაც მას გადასცა ამ მედიკამენტის გაყიდვის ექსკლუზიური უფლება დასავლეთევროპულ და შეერთებული შტატების ბაზრებზე. სოლო თავისთვის დაიტოვა გაყიდვების უფლება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ მედიკამენტის გაყიდვებმა 2000 წ. მსოფლიოში 1 მლრდ. დოლარს გადააჭარბა. მაღალმა შემოსავლებმა “პლივას” საშუალება მისცა გაეფართოებინა თავისი წარმოება და გაეტანა ის პოლონეთსა და რუსეთში²⁴. ზოგიერთი შეფასებით, მსოფლიოში ინტელექტუალური ბაზრის (რომლის მნიშვნელოვან ნაწილს პატენტები შეადგენს) რეალური პოტენციალი ერთ ტრილიონ დოლარს აღწევს, თუმცა ჯერ-ჯერობით მისი მხოლოდ მცირე ნაწილია რეალიზებული²⁵.

3.3. პატენტები და უნივერსიტეტები

აქტიურობა გამოგონებების შექმნის, დაპატენტებისა და ლიცენზიების სფეროში მნიშვნელოვნად გაიზარდა უნივერსიტეტებსა და სხვა აკადემიურ ორგანიზაციებში. ამას უბიძგა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980 წ. მიღებულმა ბეი-დოულის კანონმა და მსგავსი კანონების ამოქმედებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში²⁶. აღნიშნული კანონის შესაბამისად, არამომგებიან ორგანიზაციებს, მათ შორის უნივერსიტეტებს უფლება მიეცათ მიიღონ პატენტები კვლევის შედეგებზე, რომლებიც ჩატარდა საზოგადოებრივი ფონდების დაფინანსებით²⁷. ბეი-დოულის კანონის მიღებამდე ითვლებოდა, რომ პატენტის

²² EPO Scenarios for the future, EPO, 2007, 41

²³ Megan Barnett "Patents pending," U.S. News & World Report, June 10, 2002 p.108 24.

<http://www.tititodorancea.com/z/azithromycin.htm>

²⁴ <http://www.tititodorancea.com/z/azithromycin.htm>

²⁵ Arlen L, Olsen. "Patents are big moneymakers these days for companies" The Business Review-Albany. Friday, August 11, 2000

²⁶ <http://www.ucop.edu/ott/faculty/bayh.html>

²⁷ ო. შატბერაშვილი, "სამრეწველო საკუთრების უფლებები ევროკავშირში და ინოვაციები", მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია (გზამკვლევი). თბილისი. 2010. 122.

მფლობელი სახელმწიფოა, შესაბამისი დამფინანსებელი სააგენტოს სახით. ბეი-დოულის კანონმა აღიარა სახელმწიფოს, როგორც პატენტის გამომყენებელის, არაეფექტურობა და გამოგონების პრაქტიკული რეალიზების ინიციატივა უნივერსიტეტებს გადააბარა. ამ კანონებმა უბიძგა უნივერსიტეტებსა და სხვა საჯარო კვლევით დაწესებულებებს ტექნოლოგიათა გადაცემის საკუთარი ბიუროების შექმნისა და მათი საშუალებით გამოგონებების კომერციალიზაციისაკენ.

მსოფლიოში სულ უფრო მეტი უნივერსიტეტის საქმიანობა გასცდა ტრადიციულ აკადემიურ ჩარჩოებს და შეიძინა სამეწარმეო ხასიათი. ამ მხრივ შთაბეჭედავია აშშ უნივერსიტეტების საქმიანობა. მაგალითად, თუ 1980 წ. აშშ-ს უნივერსიტეტებზე გაცემული პატენტების რაოდენობა უდრიდა 200 (20 უნივერსიტეტი), 1996 წ. მათმა რაოდენობამ 1775 (131 უნივერსიტეტი) მიაღწია. იმავე პერიოდში უნივერსიტეტების მიერ გაცემული ლიცენზიების რაოდენობა 1980 წელს უდრიდა – 96, ხოლო 1996 წ. – 22029. მათი საერთო ღირებულება იყო 365 მილიონი დოლარი²⁸. 2009 წ. სალიცენზიო გარიგებებიდან აშშ უნივერსიტეტების შემოსავალმა შეადგინა 2.33 მლრდ²⁹.

მათ შორის ყველაზე წარმატებული იყო:

- კოლუმბიის უნივერსიტეტი – 154 მლნ. დოლარი;
- ნორთ-ვესტერნის უნივერსიტეტი – 161 მლნ. დოლარი;
- ნიუ-იორკის უნივერსიტეტი – 113 მლნ. დოლარი;
- კალიფორნიის უნივერსიტეტი – 103 მლნ. დოლარი;
- მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი – 66 მლნ. დოლარი.

აშშ უნივერსიტეტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სამუშაო ადგილებისა და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებაში³⁰. 1980 წლიდან 6000 კომპანია დაარსდა უნივერსიტეტებში შექმნილი ტექნოლოგიების გამოყენებით. 1996-2007 წ.წ. უნივერსიტეტების გამოგონებებისა და სტარტ-აფების საფუძველზე შეიქმნა 279000 სამუშაო ადგილი. უნივერსიტეტების სტარტაფები არასაუნივერსიტეტო სტარტაფებთან შედარებით გაცილებით სიცოცხლისუნარიანი, მომგებიანი და ვენჩურული კაპიტალისთვის მიმზიდველია.

ევროპული უნივერსიტეტები, მიუხედავად მათი მაღალი სამეცნიერო პოტენციალის და საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული მიღწევებისა, ჯერ-ჯერობით ჩამორჩებიან ამერიკის უნივერსიტეტებს ტექნოლოგიების გადაცემასა და ლიცენზირებაში³¹. ლიცენზიების

²⁸ www.atm.net, www.gao.gov and www.cogr.edu

²⁹ http://ipwatchdog.com/2010/12/17/autm-survey-university-licensing-strong-despite-economy/id=13845/

³⁰ http://www.voxeu.org/index.php?q=node/3825

³¹ http://www.voxeu.org/index.php?q=node/3825

საშუალო რაოდენობა ერთ ევროპულ უნივერსიტეტზე უდრის 7.8 (აშშ – 26.4). ევროპის უნივერსიტეტების სალიცენზიო შემოსავლები იშვიათად აღემატება 1 მლნ ევროს. ევროპის უნივერსიტეტების უძრავ-
 ლესობის სალიცენზიო შემოსავლები ნაკლებია 30000 ევროზე. აღნიშ-
 ნულის ძირითად მიზეზებად მიიჩნევენ უნივერსიტეტების მრეწველო-
 ბასთან სუსტ კავშირს, კომერციალიზაციის არასათანადო ორგანიზე-
 ბას, ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტში არსებულ დაბალ
 პროფესიონალიზმს.

აღნიშნული საერთო ჩამორჩენის მიუხედავად, ცალკეულმა ევროპულ-
 მა სამეცნიერო ცენტრებმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს ახალი
 ტექნოლოგიების შექმნასა და სამრეწველო გამოყენებაში. მაგალი-
 თად, ოქსფორდის უნივერსიტეტმა 1988წ. ჩამოაყალიბა საინოვაციო
 ცენტრი ISIS, რომელიც უნივერსიტეტის კოლეჯებს ეხმარება კვლევის
 შედეგების დაპატენტებაში, მათ კომერციალიზაციასა და სპინ-აუთე-
 ბის ჩამოყალიბებაში³². ამჟამად, ამ ორგანიზაციის ხელთრსებული
 მოქმედი პატენტების რაოდენობა შეადგენს 360, სალიცენზიო ხელშეკ-
 რულებების რიცხვმა მიაღწია 450, ხელ შეიქმნა 70 სპინ-აუთი. 2010 წ.
 ISIS-მა შეიტანა 73 ახალი საპატენტო განაცხადი, ლიცენზიებიდან
 შემოსავალმა შეადგინა 4.9 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ჩამოყა-
 ლიბდა 3 ახალი სპინ-აუთი.

აგრეთვე შთამბეჭდავია ფრაუნჰოფერის – ევროპის უდიდესი გამოყე-
 ნებით კვლევებზე ორიენტირებული ორგანიზაციის – ინოვაციური
 წარმატებები³³. ეს ორგანიზაცია აერთიანებს გერმანიის 80 სამეცნიერო-
 კვლევით ცენტრს, რომლებიც წარმატებულად საქმიანობენ თანამედ-
 როვე ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგებში (ელექტრონიკა, კომუნიკა-
 ცია, მედიცინა, გარემოს დაცვა და სხვ.). 2009 წელს ფრაუნჰოფერს ჰქონდა
 შემდეგი მაჩვენებლები: ბიუჯეტი – 1.65 მლრდ.ევრო, აქედან 2/3
 შემოსული იყო კერძო კომპანიებიდან; მხარდაჭერილ იქნა 32 სპინ-ოფი
 და შეიქმნა 14 ახალი კომპანია; გაკეთდა 675 საპატენტო განაცხადი,
 ხოლო ლიცენზიებიდან შემოსავალმა შეადგინა 78 მილიონი ევრო.

ზოგიერთ ქვეყანაში ტექნოლოგიების ტრანსფერთან დაკავშირებული
 საქმიანობის წარმართვაში ორგანიზაციებს კონსულტაციებს და დახმა-
 რებას უწევენ საპატენტო უწყებები. ზოგ შემთხვევაში საპატენტო
 უწყებები ეწევიან კიდევ უფრო ფართო სახის მომსახურებას. ამ მხრივ
 გამოირჩევიან სინგაპურის და სამხრეთ კორეის საკუთრების ოფისები,
 რომლებიც დამატებით მომსახურებას უწევენ ადგილობრივ ინდუს-
 ტრიას, უნივერსიტეტებს და კვლევით ორგანიზაციებს, რაც მოიცავს

³² <http://www.isis-innovation.com/>

³³ <http://www.fraunhofer.de/en/>

ტექნოლოგიური სფეროების სტრატეგიის გამოვლენას, ტექნოლოგიებისა და ბაზრის მდგომარეობის შესწავლას, საპატენტო კარტოგრაფების შედგენასა და ძიების განხორციელებას, მენეჯმენტს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, ნაწარმის მისაღებად საჭირო ტექნოლოგიური სქემებისა და რუკების მომზადებასა და სსვ.³⁴

ევროპაში მოქმედებს საპატენტო უფლებების მოპოვების ორდონიანი სისტემა – ეროვნული და საერთოევროპული. ევროპული პატენტი გაცივმა ევროპის საპატენტო კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების საფუძველზე^{35, 36}. კონვენციის მონაწილე ქვეყნებში ევროპული პატენტის მოქმედება ავტომატურად არ ვრცელდება. რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში გამოგონების დასაცავად საჭიროა შესაბამისი მითითების გაკეთება განაცხადში. ევროპის საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანა შესაძლებელია სამ ენაზე (ინგლისური, ფრანგული და გერმანული), მაგრამ პატენტის გაცემის შემდეგ იგი დადგენილი დროის განმავლობაში უნდა ითარგმნოს მითითებული ქვეყნების ენებზე.

ამ სისტემის ნაკლი თარგმნასთან დაკავშირებული ხარჯი და სასამართლო განხილვის ერთიანი ევროპული სისტემის არარსებობაა. აღნიშნული ნაკლის დაძლევა ევროკავშირის მიერ ევროგაერთიანების პატენტის შემოღება³⁷, რომელიც პატენტის მფლობელს საშუალებას მისცემს ერთიანი პატენტის საფუძველზე დაიცვას თავისი უფლებები ევროკავშირში. ასეთი პატენტის უპირატესობა გამოიხატება: პატენტის გაცემის ერთიან გამარტივებულ პროცედურაში, თარგმნასთან დაკავშირებული ხარჯების საგრძნობ შემცირებასა და დავების განხილვის ერთიანი სასამართლო სისტემის არსებობაში.

ევროგაერთიანების პატენტის შემოღება იყო ლისაბონის პროცესის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა, მაგრამ მრავალმხრივი და მრავალგზის მცდელობის მიუხედავად შეთანხმების მიღწევა დღემდე ვერ მოხერხდა^{38, 39}. კონსენსუსის მიუღწევლობის ძირითად მიზეზს ენების გამოყენებასა და სასამართლო განხილვების ერთიანი იურისდიქციის ქვეშ მოქცევასთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობა წარმოადგენს. წარუმატებლობის მიუხედავად, ევროგაერთიანების პატენტის შემოღება რჩება ევროკავშირის დღის წესრიგის პრიორიტეტულ ამოცანად.

³⁴ Kamil Idris "Intellectual Property Power Tool for Economic Growth" WIPO, 2003,184

³⁵ <http://www.epo.org/law-practice/legal-texts/epc.html>

³⁶ M.Singer, D.Stauder. European Patent Convention, A Commentary, V.1, Heymanns, Munich, 2003

³⁷ <http://www.iusmentis.com/patents/epc/>

³⁸ <http://www.euractiv.com/en/innovation/community-patent/article-117529>

³⁹ <http://www.ipjur.com/blog2/index.php?/archives/19-The-EU-Community-Patent-Project-Has-Failed-Again.html>

4. სამრეწველო ნიმუში (დიზაინი)

დიზაინი წარმოადგენს მასობრივი წარმოების პროდუქტის გარეგანი სახის შექმნასთან დაკავშირებული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, რომელიც ხელმისაწვდომი ფასების ფარგლებში აკმაყოფილებს პოტენციურ მომხმარებელთა მოთხოვნებს⁴⁰. გარეგნული სახე წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ფაქტორს, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას გავლენას ახდენს მომხმარებელზე უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე ერთ პროდუქტს მეორესთან შედარებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ბაზარზე ერთნაირი დანიშნულების მქონე პროდუქტების ფართო ასორტიმენტია.

სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვა ემსახურება იმ მნიშვნელოვანი განმასხვავებელი მახასიათებლების დაცვას, რომლის მეშვეობით მეწარმეები აღწევენ წარმატებას ბაზარზე, რის შედეგად ხდება სახსრების ინვესტირების სტიმულირება პროდუქციის გარეგანი სახის გასაუმჯობესებლად დაკავშირებული საქმიანობის სფეროში. სამრეწველო ნიმუშები ხშირად შეადგენენ კომპანიების არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს. თუ ახალი ტექნოლოგიური შემოთავაზების სამართლებრივი დაცვა მიზანშეწონილია მოხდეს გამოგონების შექმნის სტადიაზე, სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაცია ინოვაციური პროცესის იმ ეტაპთანაა დაკავშირებული, როცა იწყება პროდუქციის წარმოება.

2008 წელს სამრეწველო ნიმუშებზე განაცხადების რაოდენობამ მსოფლიოში 656 ათასი შეადგინა. აქედან უმრავლესობა – 84%, რეზიდენტებს ეკუთვნოდა. დღეისთვის მოქმედი დიზაინების უდიდესი ნაწილი – 400 ათასი – საფრანგეთის მოქალაქეების საკუთრებას წარმოადგენდა⁴¹. ევროკავშირში მოქმედებს დიზაინის რეგისტრაციის ეროვნული და ევროგაერთიანების სისტემები. ევროგაერთიანების დიზაინზე უფლებების წარმოქმნისათვის საჭიროა განაცხადის მიწოდება ევროკავშირის შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ოფისში (OHIM, ალიკანტი, ესპანეთი). ევროგაერთიანების დიზაინის მოქმედება ვრცელდება ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე^{42, 43, 44}.

⁴⁰ ინტელექტუალური საკუთრება. (IP Reading Material, WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2011, 299 http://sakpatenti.org.ge/files/_86_730923_book1.pdf

⁴¹ <http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/designs/>

⁴² <http://oami.europa.eu/ows/rw/pages/RCD/index.en.do>

⁴³ Council Regulation (EC) n° 6/2002 of 12 December 2001 on Community Designs

⁴⁴ D.Musker. Community Design Law.Principles and Practice,Sweet and Maxwell,London, 2002

5. სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშნის დანიშნულებაა მისცეს მომხმარებელს საშუალება განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურება, მეორე საწარმოს საქონლისა და/ან მომსახურებისაგან. სასაქონლო ნიშნები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გვხვდება. ჩვენამდე მოღწეულია უძველესი ცივილიზაციის დროს შექმნილი ნაკეთობანი, რომლებიც მონიშნულია მწარმოებლის სახელით ან სხვაგვარი სპეციალური აღნიშვნით⁴⁵. სასაქონლო ნიშნების მნიშვნელობა და როლი განსაკუთრებით გაიზარდა გლობალიზაციის ეპოქაში, როცა პროდუქციის მასობრივმა წარმოებამ აქამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია და შესაძლოა ნებისმიერ ქვეყანაში შეგვხვდეს კონკურენტი კომპანიებისა და ფირმების მიერ გამოშვებული ერთი და იმავე სახეობის პროდუქციის სხვადასხვა ნაწარმი. ამ პირობებში სამომხმარებლო ბაზარზე ორიენტაციის ყველაზე მნიშვნელოვან და ეფექტურ ელემენტად სასაქონლო ნიშანი გვევლინება, რომელიც მწარმოებლის მომხმარებლისადმი ინფორმაციული გზავნილის როლს ასრულებს. იმავედროულად სასაქონლო ნიშანი აიძულებს მეწარმეს მიმართოს ინვესტიციები მისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად და სასაქონლო ნიშნის რეპუტაციის შესანარჩუნებლად. მაღალი რეპუტაციის ბრენდი ბიზნესის წარმატებულად წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და:

- ხელს უწყობს პროდუქციის გაყიდვის ზრდას;
- ზრდის პროდუქციის პრესტიჟულობასა და ფასს;
- განაპირობებს მომხმარებლის პროდუქციისადმი ერთგულებას;
- აადვილებს ახალი პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრებას;
- ხელს უწყობს ახალი ბაზრების ათვისებას;
- წარმოადგენს, სალიცენზიო ხელშეკრულებებიდან, შემოსავლების მიღების წყაროს;
- არის წარმატებული რეკლამის ინსტრუმენტი.

მსოფლიოში დარეგისტრირებული ათეული მილიონობით სასაქონლო ნიშანი. 2008 წ. მსოფლიოში სასაქონლო ნიშანზე შეტანილმა განაცხადთა რაოდენობამ 3.3 მილიონი შეადგინა, მანამდე მოქმედებდა 14.8 მილიონი სასაქონლო ნიშანი⁴⁶. ზოგიერთი სასაქონლო ნიშნის ღირებულება რამდენიმე მლრდ. დოლარად არის შეფასებული და წარმოადგენს კომპანიების ყველაზე ღირებულ აქტივს. 2010 წლის მონაცემებით ყველაზე მაღალღირებულ ბრენდები იყო: Google – 114.26, IBM – 86.383, Apple – 89.153, Microsoft – 76.34, ხოლო Coca-Cola – 67.083 მლრდ დოლ.⁴⁷.

⁴⁵ ინტელექტუალური საკუთრება. (IP Reading Material, WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2011

⁴⁶ <http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/marks>

⁴⁷ <http://consumerist.com/2010/04/these-are-the-top-10-brands-in-the-whole-wide-world.htm>

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის აუცილებლობა დგება საქონლის რეკლამირებისა და მისი ბაზრისთვის შეთავაზების ეტაპზე. სასაქონლო ნიშანს ინოვაციური პროდუქტებისთვის იმიჯის შექმნისა და ბაზარზე დამკვიდრების სელ შესაწყობად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ევროკავშირის ქვეყნებში სასაქონლო ნიშნების დაცვა შესაძლებელია ეროვნულ უწყებაში ან ევროკავშირის შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ოფისში (OHIM, ალიკანტე, ესპანეთი), მათი რეგისტრაციის საფუძველზე. ევროგაერთიანების სასაქონლო ნიშნის მოქმედება ვრცელდება ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე^{48, 49}.

6. ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების ტრადიცია სათავეს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იღებს. ეს აიხსნება მეწარმის ბუნებრივი სურვილით, მიანიშნოს საქონლის განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხს. რასაც სწორედ ამ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის სპეციფიკურობა განაპირობებს. აქ აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის საქონლის მაღალმა ხარისხმა და რეპუტაციამ, ასევე წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობათა მასშტაბების გაფართოების პირობებში სპეციალური კანონების არარსებობამ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცნობილი სახელების უკონტროლო გამოყენება გამოიწვია⁵⁰. ამგვარი ფაქტორების მოზღვავებამ აიძულა საფრანგეთი 1919 და 1935 წლებში მიეღო სპეციალური კანონები ადგილწარმოშობის დასახელების შესახებ ღვინისა და სპირტიანი სასმელებისათვის, რამაც შექმნა სამართლებრივი საფუძველი, თითოეული დასახელების ღვინისათვის მკაცრად დადგენილიყო ყურძნის მოყვანისა და ღვინის წარმოების პირობები, აგრეთვე ადგილმდებარეობის ზუსტი ფარგლები. სწორედ ამ კანონის მიღებამ უბიძგა საფრანგეთში ღვინოების, “შამპანურისა” და “კონიაკის” წარმოების აღმავლობას. შემდგომში ასეთი კანონები ამოქმედდა სხვა ქვეყნებშიც. ამჟამად გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის სპეციალური კანონები მოქმედებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში⁵¹. გეოგრაფიული აღნიშვნებით მონიშნული

⁴⁸ <http://oami.europa.eu/ows/rw/pages/CTM/index.en.do>

⁴⁹ Council Regulation (EC) No.40/94 of 20 December 1993 on the Community Trade Mark

⁵⁰ ინტელექტუალური საკუთრება, (IP ReadingMaterial, WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2011. 315 http://sakpatenti.org.ge/files/_86_730923_book1.pdf

⁵¹ G. Larson, Relevance of geographical indications and designations of origin for the sustainable use of genetic resources, http://www.underutilized-species.org/Documents/PUBLICATIONS/gi_larson_lr.pdf

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება საფრანგეთში წელიწადში შეადგენს 18 მლრდ. ევროს, მთელი ასეთი პროდუქციის 15% მისი წილი საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტში კიდევ უფრო დიდია და უდრის 30%-ს⁵².

ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ღვინისა და სპირტიანი სასმელების ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა რეგულირდება სპეციალური რეგულაციებით^{53, 54, 55}.

ევროკავშირში დაცულია 4000-მდე ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა - ღვინოები, სპირტიანი სასმელები, ყველი, სორცი, ლორი, ძეხვი, ხილი, ბოსტნეული და სხვ.⁵⁶

7. საერთაშორისო ხელშეკრულებები სამრეწველო საკუთრების სფეროში

7.1 ზოგადი მიმოხილვა

სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო რეგულირებას საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის ბოლოს, როცა ხელი მოეწერა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციას (1883 წ.) ამ კონვენციით პირველად მოხდა ეროვნული რეჟიმის უცხოელებზე გავრცელება და დაცვის მინიმალური მოთხოვნების დადგენა. სამრეწველო საკუთრების საერთაშორისო სამართლის შემდგომი განვითარება დაკავშირებული იყო დაცვის უფრო სრულყოფილი სტანდარტების დამკვიდრებასთან, ქვეყნის გარეთ უფლებების მოპოვების ეფექტურ პროცედურათა იმპლემენტაციასთან, ცალკეული ობიექტების დამცავ სპეციალურ შეთანხმებათა მიღებასთან, საერთაშორისო საინფორმაციო-საძიებო ინსტრუმენტების ფორმირებასთან და სხვა.

დანიშნულების მიხედვით გამოყოფენ ხელშეკრულებების სამ ძირითად ტიპს: ხელშეკრულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, ხელშეკრულებებს სამრეწველო საკუთრების ობიექტების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ და ხელშეკრულებებს საერთაშორისო კლასიფიკაციების შესახებ. ამჟამად სამრეწველო

⁵² http://www.ecaproject.org/archive/fileadmin/ecapll/pdf/en/activities/national/thailand/gi_bangkok_march07/passeri_protection_development_gi_worldmarket.pdf

⁵³ Regulation (EC) No 510/2006 on the protection of geographical indications and designations of origin for agricultural products and foodstuffs

⁵⁴ Regulation (EC) No 479/2008 on the common organization of market in wine

⁵⁵ Regulation (EC) No 110/2008 of the European Parliament and of the Council of 15 January 2008 on the definition, description, presentation, labelling and the protection of geographical indications of spirit drinks

⁵⁶ <http://ec.europa.eu/agriculture/quality/door/list.htm>

საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედებს 15 საერთაშორისო ხელშეკრულება და კონვენცია, რომლებსაც ადმინისტრირებას უწევს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო). 1994 წ. ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესახებ, რომლის ფარგლებში მოხდა შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტების შესახებ – ტრიპსი (TRIPS). საქართველო მიერთებულია ისმოს 7 ხელშეკრულებასა და ტრიპსს.

ისმოს ხელშეკრულებების სრული ტექსტები შეგიძლიათ იხილოთ: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ვებგვერდზე (www.wipo.int/treaties), ხოლო ხელშეკრულებების ქართული ვერსიები და მოკლე მიმოხილვები – საქპატენტის ვებგვერდზე (www.sakpatenti.org.ge). TRIPS-ის სრული ტექსტი განთავსებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვებგვერდზე (http://www.wto.org/english/docs_e/legal_e/27-trips_01_e.htm), ხოლო შესაბამისი ქართული ვერსია – საქპატენტის ვებგვერდზე (www.sakpatenti.org.ge). ქვემოთ მოკლედია მიმოხილული სამრეწველო საკუთრების დაცვის ბაზისური საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებშიც საქართველო მონაწილეობს.

7.2. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (1883 წ.)

კონვენცია ეხება სამრეწველო საკუთრების ობიექტებს. კონვენციის მატერიალური ნორმები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად. დებულებათა პირველი კატეგორია ეხება ეროვნული რეჟიმის უფლებას, მეორე კატეგორია აწესებს კიდევ ერთ ძირითად, ე.წ. პრიორიტეტის უფლებას, ხოლო მესამე კატეგორია აერთიანებს ზოგად ნორმებს.

- (1) ეროვნული რეჟიმის შესახებ არსებული დებულების მიხედვით, კონვენცია უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, სხვა მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეებს, სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებით მიაწილოს იგივე დაცვა, როგორსაც ანიჭებს საკუთარ მოქალაქეებს.
- (2) გამოგონების, სასარგებლო მოდელების, ნიშნებისა და სამრეწველო ნიმუშების შემთხვევაში კონვენცია ითვალისწინებს პრიორიტეტის უფლებას. ეს უფლება ნიშნავს, რომ ერთ-ერთ მონაწილე სახელმწიფოში, სამრეწველო საკუთრების უფლებაზე შეტანილი სწორად გაფორმებული განაცხადის საფუძველზე, მისი შეტანის თარიღიდან დროის გარკვეულ პერიოდში (გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელებისათვის 12 თვე, ხოლო სამრეწველო ნიმუშებისა (დისაინის) და სასაქონლო ნიშნებისათვის 6 თვე) მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა ყველა სხვა მონაწილე სახელმწიფოშიც. ამასთან, ასეთი მოგვიანებით შეტანილი განაცხადი, პირველი (ანუ

ყველაზე ადრინდელი) განაცხადის შეტანის დღეს შეტანილად განიხილება და სარგებლობს პრიორიტეტით (უპირატესობით), ამ ქვეყნებში მასზე უფრო ადრე შეტანილ ყველა განაცხადის მიმართ.

- (3) კონვენცია შეიცავს ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის სავალდებულო რამდენიმე ზოგად ნორმას, რომლებიც ადგენენ იმ პირობებს, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოს არ აქვს უფლება უარი თქვას სამრეწველო საკუთრების უფლების დაცვაზე, აგრეთვე იმ პირობებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს უარის სათქმელად. კონვენცია ასევე შეიცავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებულ სპეციალურ ნორმებს.

2011 წ. 15 იანვრის მონაცემებით, პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნების რაოდენობა უდრის 173. პარიზის კონვენციის მოქმედება ასევე ვრცელდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრ ქვეყანაზე. საქართველო ითვლება პარიზის კონვენციის მონაწილე მხარედ 1991 წ. 25 დეკემბრიდან.

7.3. საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულება (PCT, 1970)

საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულებით შესაძლებელია გამოგონებაზე საპატენტო დაცვის მოთხოვნა ერთდროულად მრავალ ქვეყანაში. „საერთაშორისო“ საპატენტო განაცხადი შეიძლება წარადგინოს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნის მოქალაქემ ან რეზიდენტმა. განაცხადის წარდგინება ხდება ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოს ეროვნულ საპატენტო უწყებაში, რეგიონალურ უწყებებში (ევროპის საპატენტო უწყება, აფრიკის რეგიონალურ სამრეწველო საკუთრების ორგანიზაცია, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია და ევრაზიის საპატენტო უწყება) ან ისმოს საერთაშორისო ბიუროში. საერთაშორისო განაცხადის წარდგენა ავტომატურად ნიშნავს PCT-ის მხარე ყველა სახელმწიფოს საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანას. საერთაშორისო საპატენტო პროცედურა შედგება ორი ფაზისაგან - საერთაშორისო და ეროვნული.

საერთაშორისო ფაზის დროს განაცხადი ექვემდებარება ე.წ. „საერთაშორისო ძიებას“. ძიება ტარდება ისმო-ს მიერ უფლებამოსილი ერთ-ერთი საპატენტო უწყების („საერთაშორისო ძიების ორგანო“) მიერ, რაც აისახება „საერთაშორისო ძიების ანგარიშში“, რომელიც წარმოადგენს იმ გამოქვეყნებული მასალების ციტირებების ჩამონათვალს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს საერთაშორისო განაცხადში წარმოდგენილი გამოგონების პატენტუნარიანობაზე. ამასთან ერთად დგება წინასწარი წერილობითი დასკვნა გამოგონების პატენტუნარიანობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ. საერთაშორისო ძიების ანგარიშისა და წერილობითი დასკვნის

საფუძველზე განმცხადებელი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მისთვის სასურველ ქვეყანაში ეროვნული საპატენტო პროცედურების გაგრძელების შესახებ. თუ განმცხადებლის მიერ საერთაშორისო განაცხადის გაწვევა არ მომხდარა, მაშინ ის გამოქვეყნდება საერთაშორისო ბიუროს მიერ საერთაშორისო ძიების ანგარიშთან ერთად. განმცხადებელმა ეროვნული პროცედურები შეუძლია წამოიწყოს საპრიორიტეტო თარიღიდან ოცდამეათე თვის გასვლამდე. განმცხადებელს ასევე შეუძლია მოითხოვოს ნებაყოფლობითი საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის საფუძველზეც დგება დეტალური ანგარიში გამოგონების პატენტუნარიანობის შესახებ, რომელიც ზრდის პატენტების მიღების შანსებს. წინასწარ ექსპერტიზას ძირითადად მიმართავენ უარყოფითი ძიების ანგარიშისა და წერილობითი დასკვნის შემთხვევაში. წინასწარი ექსპერტიზის დროს განმცხადებელს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილებები განაცხადში, რათა გვერდი აუაროს ძიების ანგარიშში მითითებულ მასალებსა და შედეგებს, რომლებიც მოცემულია წერილობით დასკვნაში და ეცადოს პატენტუნარიანობა შესძინოს გადასინჯულ და ამგვარად შეცვლილ განაცხადს. თუ ექსპერტიზის ანგარიში ხელსაყრელ დასკვნებს შეიცავს, განმცხადებელს შეუძლია მეტი დამატებლობით გააგრძელოს საერთაშორისო განაცხადთან დაკავშირებული პროცედურები ეროვნული და რეგიონალური უწყებების წინაშე. საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულებას საზღვარგარეთ დაპატენტებისთვის, ჩვეულებრივ პროცედურებთან შედარებით, რიგი უპირატესობები გააჩნია.

(1) განმცხადებელს დამატებით აქვს 18 თვე, ვიდრე ექნებოდა ამ სისტემის გამოუყენებლობის შემთხვევაში. ამ პერიოდში ის საბოლოოდ გამოავლენს საზღვარგარეთ საპატენტო უფლებების მოპოვების სურვილს, ირჩევს ადგილობრივ პატენტ-რწმუნებულს, მოამზადებს საჭირო თარგმანს და გადაიხდის საფასურს. მას აქვს იმის გარანტია, რომ თუ საერთაშორისო განაცხადი პასუხობს PCT-ით დადგენილ ფორმას, მაშინ საპატენტო უწყების მიერ აღარ შეიძლება ფორმალური მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ეროვნული ფაზით გათვალისწინებული პროცედურის დროს მისი უარყოფა; ის მეტი საიმედოობით შეაფასებს პატენტების მიღების შანსებს, ნებაყოფლობითი საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მიმდინარეობისას შესაძლებლობა ეძლევა საერთაშორისო განაცხადში, მისი საპატენტო უწყებებისათვის განსახილველად მიწოდებაში, შეიტანოს საჭირო ცვლილებები;

(2) საპატენტო უწყებების მიერ ჩასატარებელი საინფორმაციო ძიება და ექსპერტიზასთან დაკავშირებული სამუშაოები შეიძლება

მნიშვნელოვნად შემცირდეს ან გამოირიცხოს, რისი საფუძველიცაა საერთაშორისო ძიების ანგარიში, წერილობითი დასკვნა და, შესაბამის შემთხვევაში, საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ანგარიში პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით, რომელიც მიეწოდება ეროვნულ ან რეგიონალურ უწყებებს საერთაშორისო განაცხადთან ერთად:

- (3) რადგან საერთაშორისო განაცხადი საერთაშორისო ძიების ანგარიშთან ერთად ქვეყნდება, მესამე პირებს ეძლევათ შანსი, საფუძვლიანად ჩამოიყალიბონ საკუთარი აზრი განცხადებული გამოგონების პოტენციურ პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით.

საქართველოს მოქალაქეებისათვის, სხვა დაბალშემოსავლიანი სახელმწიფოთა მოქალაქეების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურების 90%-ით შემცირება.

2011 წ. 15 იანვრის მონაცემებით, საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების რაოდენობა უდრის 142. საქართველო ითვლება საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე მხარედ 1991 წ. 25 დეკემბრიდან.

7.4. მადრიდის შეთანხმება ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (1891წ.) და ამ შეთანხმებასთან არსებული ოქმი (1989 წ.)

ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სისტემა რეგულირდება ორი ხელშეკრულებით – მადრიდის შეთანხმებით ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (1891 წ.) და ამ შეთანხმებასთან არსებული ოქმით (1989 წ.). მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმი დაიდო მადრიდის სისტემის მეტი მოქნილობის უზრუნველსაყოფად და იმ ქვეყნის კანონმდებლობასთან უკეთ მოსარგებლად, რომელმაც ვერ შეძლეს უშუალოდ შეთანხმებასთან მიერთება. შეთანხმებისაგან განსხვავებით, შეთანხმებასთან არსებული ოქმის მონაწილე მხარე შეიძლება გახდეს ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ნიშნების რეგისტრაციის საკუთარი უწყება. განაცხადი შეიძლება წარადგინოს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნის მოქალაქემ ან რეზიდენტმა. ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სისტემა განმცხადებელს საშუალებას აძლევს ერთი განაცხადით განახორციელოს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაცია, რომლის მოქმედება ვრცელდება შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანაზე. შეთანხმების მიხედვით ნიშანი მხოლოდ იმ შემთხვევაში არის საერთაშორისო რეგისტრაციის საგანი, თუ ის უკვე რეგისტრირებულია წარმოშობის ქვეყანაში. ოქმის შემთხვევაში, საერთაშორისო რეგისტრაციისთვის საკმარისია განაცხადის შეტანა წარმოშობის ქვეყნის უწყებაში. ამასთან ეროვნულ უწყებებს, ეროვნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, რჩებათ უფლება ჩაატარონ საერთაშორისო რეგისტრაციის ექსპერტიზა.

შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში ეროვნულ უწყებას უფლება აქვს უარი თქვას საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე. 2011 წ. 15 იანვრის მონაცემებით, შეთანხმება – 56, სოლო ოქმი 83 მონაწილე მხარეს აერთიანებდა. საქართველო შეთანხმებასთან არსებულ ოქმს 1998 წ. 20 აგვისტოს მიუერთდა.

**7.5. ჰააგის
შეთანხმება
სამრეწველო
ნიმუშების
საერთაშორისო
რეგისტრაციის
შესახებ
(1925 წ.)**

ძალაშია ჰააგის შეთანხმების სამი 1934, 1960 და 1999 წლების აქტები. თუმცა, დღესდღეობით, საერთაშორისო რეგისტრაციის 99%-მეტი რეგულირდება ბოლო ორი აქტის საფუძველზე. სამრეწველო ნიმუშის საერთაშორისო რეგისტრაციის მოთხოვნა შესაძლებელია უშუალოდ ისმო-ს საერთაშორისო ბიუროსაგან ან წარმოშობის ქვეყნის სამრეწველო საკუთრების უწყების მეშვეობით. საერთაშორისო რეგისტრაციას, განმცხადებლის მიერ მითითებული შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გააჩნია, როგორც უშუალოდ ეროვნულ რეგისტრაციას. რეგისტრაციის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს წარმოშობის ქვეყანაზეც. საერთაშორისო რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება 1999 წ. აქტის შესაბამისად აქვს მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეს ან რეზიდენტს.

შეთანხმების მხარეს შეუძლია უარი თქვას დაცვის მინიჭებაზე, მხოლოდ ფორმალური მოთხოვნებისაგან განსხვავებულ ეროვნული მოთხოვნების საფუძველზე. 1999 წ. აქტის მიხედვით, შეთანხმების მონაწილე შეიძლება გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციაც, რომელსაც აქვს სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის უწყება.

დაცვის ვადა განისაზღვრება 5 წლით საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან და მისი გაგრძელება დასაშვებია, ერთხელ 5 წლით 1960 წლის აქტით და ორი ასეთი პერიოდით 1999 წლის აქტით. 2011 წლის 15 იანვრისათვის ჰააგის შეთანხმება 57 მონაწილე მხარეს აერთიანებდა. საქართველო შეთანხმებას მიუერთდა 2003 წლის 1 აგვისტოს.

**7.6. ლისაბონის
შეთანხმება
ადგილწარ-
მოშობის
დახასელელების
საერთაშორისო
რეგისტრაციის
შესახებ
(1958 წ.)**

ლისაბონის შეთანხმების თანახმად, ადგილწარმოშობის დახასელელება არის ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის გეოგრაფიული სახელი, რომელიც გამოიყენება იქ წარმოშობილი იმ პროდუქციის მოსანიშნად, რომლის ხარისხი და მახასიათებლები მთლიანად ან არსებითად განპირობებულია გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორების ჩათვლით. ასეთი სახელები რეგისტრირდება შეთანხმების მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოთა უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე ისმო-ს საერთაშორისო ბიუროს მიერ. საერთაშორისო ბიურო რეგისტრაციის შესახებ შეტყობინებას უგზავნის შეთანხმების მონაწილე დანარჩენ სახელმწიფოებს. შეთანხმების მონაწილე

სახელმწიფოს შეუძლია შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში უარი განაცხადოს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების დაცვაზე. 2011 წ. 15 იანვრის მდგომარეობით, ლისაბონის შეთანხმება 26 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. საქართველო შეთანხმებას მიუერთდა 2004 წლის 23 სექტემბერს.

7.7. ბუდაპეშტის ხელშეკრულება საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის მიკროორგანიზმების დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ (1977 წ.)

ხელშეკრულების თანახმად, მონაწილე მხარეებმა, რომლებიც ახდენენ მიკროორგანიზმების დეპონირებას ან მოითხოვენ მის განხორციელებას საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის, უნდა აღიარონ ამ მიზნით მიკროორგანიზმის დეპონირება „საერთაშორისო დეპონირების ორგანოს“ მიერ, მიუხედავად იმისა, თუ სად მდებარეობს ეს ორგანო, მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ. ჩვეულებრივ, პატენტის მიღებისათვის, აუცილებელია გამოგონების არსის წერილობითი აღწერა. მიკროორგანიზმების შემთხვევაში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რის გამოც ხდება გამოგონების ობიექტის მიკროორგანიზმების ნიმუშებისათვის განკუთვნილ სპეციალიზებულ დაწესებულებაში დეპონირება.

ხელშეკრულებით „მიკროორგანიზმი“ განიმარტება ფართო გაგებით და მოიცავს ბიოლოგიურ მასალას, რომლის დეპონირებაც აუცილებელია გამოგონების არსის გასამჟღავნებლად. „საერთაშორისო დეპონირების ორგანო“ ეწოდება სამეცნიერო დაწესებულებას, რომელსაც გააჩნია სათანადო პირობები მიკროორგანიზმების შესანახად, რასაც აღიარებს მონაწილე სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეცაა განლაგებული ეს დაწესებულება. ამის შესახებ შესაბამისი საგარანტიო საბუთი წარედგინება ისმო-ს საერთაშორისო ბიუროს. 2011 წლის 15 იანვრისათვის ხელშეკრულება აერთიანებდა 72 მხარე სახელმწიფოს. საქართველო ხელშეკრულებას მიუერთდა 2005 წლის 10 სექტემბერს.

7.8. შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტების შესახებ - ტრიპის (1994 წ.)

მსოფლიოში ინოვაციური პროცესების სწრაფმა განვითარებამ და საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ერთიანი მაღალი სტანდარტების დამკვიდრების აუცილებლობა. ჰარმონიზაციის პროცესი, რომელიც ისმოს ინიციატივით, განვითარებადი ქვეყნების წინააღმდეგობის გამო გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, უშედეგოდ დამთავრდა. ისმო-ში განცდილმა წარუმატებლობამ განვითარებული ქვეყნები აიძულა ამ საკითხების განხილვა ისმოდან გადაეტანა GATT-ში (ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება) და ის ექცია იქ მიმდინარე მოლაპარაკებების საგნად. ასეთი გადაწყვეტილება განპირობებული იყო ორი გარემოებით: GATT-ში განვითარებული

ქვეყნების მყარი მდგომარეობითა და სხვადასხვა დარღვევებისათვის ვაჭრობასთან დაკავშირებული სანქციების გატარების შესაძლებლობით. 1994 წ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (რომელმაც ჩაანაცვლა GATT) შესახებ შეთანხმების ფარგლებში მიიღეს ტრიპსი (შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური ასპექტების შესახებ)⁵⁷. ეს არის პირველი გლობალური შეთანხმება, რომლითაც:

- დადგინდა ინტელექტუალური საკუთრების ყველა ობიექტისთვის (პატენტი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა, საავტორო უფლებები და სხვ.) დაცვის მინიმალური სტანდარტები;
- ქვეყნებს დააკისრა ვალდებულებები ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით და
- გაითვალისწინა წევრ სახელმწიფოთა შორის დავების დარეგულირების მექანიზმი.

ტრიპსის მიღების შემდეგ წარმოჩინდა ამ ხელშეკრულებისადმი რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

თუ განვითარებული ქვეყნები აწესებენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტებს, ვიდრე ეს ტრიპსითაა გათვალისწინებული (ე.წ. ტრიპს-პლუს ნორმები) და ცდილობენ ეს ნორმები გააერცვლონ სხვა ქვეყნებში ორმხრივი და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ რეგიონალური ხელშეკრულებების საფუძველზე, განვითარებადი ქვეყნები, თავის მხრივ, მათ წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე, მოითხოვენ ტრიპსის ნორმების შერბილებასა და ადაპტირებას. ისინი ადანაშაულებენ განვითარებულ ქვეყნებს ტრიპსით დადგენილი მიზნების შეუსრულებლობაში. ტრიპსის მე-7 მუხლში ეს მიზნები შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვამ და განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ტექნოლოგიურ ინოვაციას, ტექნოლოგიების გადაცემას, მწარმოებელთა და ტექნოლოგიური ცოდნის მომხმარებელთა ურთიერთსასარგებლოდ გავრცელებას, რათა მოხდეს სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისა და უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსება“⁵⁸.

განვითარებადი ქვეყნების ტრიპსისადმი დამოკიდებულება აისახა დოჰას 2001 წ. დეკლარაციაში ტრიპსისა და საზოგადოების ჯანმრთელობის შესახებ⁵⁹. დეკლარაციის მისეფით საგანგებო ვითარებაში ტრიპსი არ უნდა გახდეს იმ ღონისძიებათა გატარების ხელშემშლელი

⁵⁷ D.Gervais. The TRIPS Agreement: Drafting History and Analysis, Sweet&Maxvel, London, 2003, 3-26

⁵⁸ <http://www.ourworldisnotforsale.org/es/node/479>

⁵⁹ D.Gervais. The TRIPS Agreement: Drafting History and Analysis, Sweet&Maxvel, London, 2003, 27-54

ფაქტორი, რომლებიც მიმართულია ეპიდემიური სასიათის დაავადებების წინააღმდეგ (შიდსი, ტუბერკულოზი და სხვ.). ეს ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს იძულებით ლიცენზიებსა და პარალელურ იმპორტს დაპატენტებულ სამედიცინო საშუალებებთან მიმართებაში. დოჰას დეკლარაციაში ასევე გადაავადა ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის წამლებზე პატენტის გაცემის ვალდებულება 2016 წლამდე.

8. საქართველოს კანონმდებლობა სამრეწველო საქართველოს სფეროში

8.1. ზოგადი

კანონმდებლობა

საქართველოში, სამრეწველო საკუთრების სფეროში დღეს მოქმედი კანონმდებლობა მიიღეს საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებით 1999 წელს. ცვლილებები, რომლებიც შემდგომ წლებში განხორციელდა ძირითადად განპირობებული იყო ქვეყნის კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით. 2005 წელს ცვლილებები და დამატებები შეიტანეს საქართველოს კანონში "სასაქონლო ნიშნების შესახებ". 2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცალკე კანონი დიზაინის შესახებ, რომლითაც საქართველოში დიზაინის დაცვა შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის დირექტივასთან დიზაინის შესახებ. პარლამენტმა ასევე მიიღო რიგი პოზიტიური შესწორებები და დამატებები საქართველოს საპატენტო კანონში – კერძოდ, დადგინდა სამედიცინო პროდუქტზე პატენტის 25 წლამდე ვადით დაცვის შესაძლებლობა, ასევე პატენტის გირავნობის შესაძლებლობა და მისი განხორციელების წესი, გაუქმდა შემოტანილი პატენტის ინსტიტუტი. გარდა ამისა კანონში შევიდა პატენტების საიმედოების გაზრდისკენ მიმართული ცვლილებები. ამასთან გაუმართლებლად უნდა მივიჩნიოთ ცვლილება, რომლითაც გაუქმდა იძულებითი ლიცენზირების რეჟიმი. საპატენტო კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა გამოგონების გამოყენებასთან დაკავშირებით პატენტმფლობელისა და საზოგადოების ინტერესების დაბალანსება. კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად (რომელიც ამჟამად ამოღებულია), თუ გამოგონება ან სასარგებლო მოდელი საქართველოს ტერიტორიაზე, პატენტის გაცემის დღიდან 4 წლის განმავლობაში არ გამოიყენებოდა ან გამოიყენებოდა არასაკმარისად, აგრეთვე თუ შეუძლებელი იყო მათი გამოყენება უფრო ადრინდელი პატენტის დარღვევის გარეშე, სახელმწიფოს ეძლეოდა უფლება (ადმინისტრაციული აქტის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) აეძულებინა პატენტმფლობელი გაეცა ლიცენზია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის გამოყენებაზე, შესაბამისი ანაზღაურებით.

იძულებითი ლიცენზირება წარმოადგენს საპატენტო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რომელიც მიმართულია საზოგადოების საერთო ინტერესებში შემაჯავალი საპატენტო უფლებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მოქმედებს პრაქტიკულად ყველა ქვეყნის საპატენტო კანონმდებლობაში, როგორც ევროპაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.^{60, 61, 62, 63, 64}

8.2. საქართველოს საპატენტო კანონი⁶⁵

საქართველოს საპატენტო კანონი აწესრიგებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შექმნასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ქონებრივსა და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. საპატენტო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, კანონი არ იძლევა გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განმარტებას. მასში მხოლოდ მოყვანილია პატენტუნარიანობის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ობიექტები, მიიჩნევიან გამოგონებად ან სასარგებლო მოდელად.

პატენტუნარიანობის კრიტერიუმები. გამოგონება პატენტუნარიანია, თუ ის აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს – სიანლეს, საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას. გამოგონებას აქვს სიანლე, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონით. გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ ის სპეციალისტისათვის პრიორიტეტის თარიღის მომენტში ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან. გამოგონება სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი დამზადება ან მრეწველობა/სოფლის მეურნეობაში გამოყენება. ტექნიკის არსებულ დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც პრიორიტეტის თარიღამდე საჯაროდ გახდა ხელმისაწვდომი წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით. სიანლის დადგენისას, ტექნიკის დონეს ასევე მიეკუთვნება, “საქპატენტში” გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტის მისაღებად შეტანილი ყველა განაცხადი, თუ მათ აქვთ უფრო ადრინდელი პრიორიტეტი იმ განაცხადთან შედარებით, რომლის სიანლეს დგინდება, და რომლებიც გამოქვეყნდა განაცხადის პრიორიტეტის თარიღის შემდეგ. საგამომგონებლო დონის დადგენისას, ტექნიკის დონეს არ მიეკუთვნება საქპატენტში გამოგონებისა

⁶⁰ <http://www.aplf.org/compulsory-licence-provisions-across-europe>

⁶¹ http://europa.eu/legislation_summaries/development/sectoral_development_policies/I21172_en.htm

⁶² <http://thebigredbiotechblog.typepad.com/the-big-red-biotech-blog/2011/01/pfizer-may-face-a-compulsory-license-in-india>

⁶³ <http://pharmalot.html>. <http://www.globalexchange.org/countries/americas/ecuador/6661.htm> l.pf

⁶⁴ http://www.wto.org/english/tratop_e/trips_e/public_health_faq_e.htm

⁶⁵ საქართველოს საპატენტო კანონი

http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=25

და სასარგებლო მოდელის მისაღებად შეტანილ განაცხადებში მითითებული მონაცემები, რომლებიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

სასარგებლო მოდელი, რომელიც თავისი არსით არის მცირე გამოგონება, ასევე უნდა აკმაყოფილებდეს პატენტუნარიანობის სამ კრიტერიუმს, მაგრამ, ამ შემთხვევაში მოთხოვნა საგამომგონებლო დონისადმი, ნაკლებია გამოგონებასთან შედარებით. ამ ობიექტის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოთათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ძლიერი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი, მაგრამ აქვთ უნარი ახლებურად გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგარი პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანები და ამდენად დაინტერესებული არიან მათი დაცვით.

ინფორმაციის გახსნა. მონაცემები, რომლებიც მიეკუთვნება ტექნიკის დონეს, არ მოახდენს გავლენას განაცხადში წარმოდგენილი ობიექტის პატენტუნარიანობაზე, თუ ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა გამოგონების პატენტზე განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის თარიღამდე 12 თვის განმავლობაში: გამომგონებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ; თუ გამოგონებაზე ინფორმაცია მესამე პირისათვის გახსნილია, პირდაპირ ან ირიბად კონფიდენციალობის დაცვის პირობით; მესამე პირის მიერ გამომგონებლის ან მისი უფლებამონაცვლის მიმართ განხორციელებული არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად.

კანონის მიხედვით გამოგონებად და სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა:

- ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია ან მათემატიკური მეთოდი;
- ბ) მხატვრული კონსტრუირების შედეგი;
- გ) ალგორითმები და პროგრამები გამოთვლითი ტექნიკისათვის;
- დ) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, აგრეთვე გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები, თამაშობების, გათამაშების სერნები;
- ე) მეურნეობრიობის ორგანიზაციისა და მართვის მეთოდი;
- ვ) შენობა-ნაგებობათა, ტერიტორიების დაგეგმარების პროექტი და სქემა;
- ზ) ინფორმაციის წარდგენა.

კანონი ადგენს აგრეთვე რიგ ფაქტორებსა და სფეროებს, როცა პატენტი არ გაიცემა.

ობიექტები, რომლებზედაც არ გაიცემა პატენტი. კანონი ადგენს რიგ ფაქტორებსა და სფეროებს, როცა პატენტი არ გაიცემა. პატენტი არ გაიცემა გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე, რომელიც იწვევს არაჰუმანურ, ამორალურსა და/ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებას. პატენტი ასევე არ გაიცემა ადამიანებისა და ცხოველებისათვის

გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიულ, თერაპიულ და დიაგნოსტიკურ მეთოდებზე. ეს აკრძალვა არ ვრცელდება აღნიშნულ მეთოდებში გამოყენებულ მოწყობილობებსა და ნივთიერებებზე.

პატენტით დაცვას არ ექვემდებარება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, აგრეთვე მათი გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიური მეთოდები. ასეთი ობიექტების სამართლებრივი დაცვა საქართველოში, ისევე როგორც მრავალ ქვეყანაში, სორციელდება სპეციალური კანონებით. ამასთან, საპატენტო კანონის შესაბამისად, პატენტი გაიცემა მიკრობიოლოგიურ მეთოდებსა და ამ მეთოდებით მიღებულ პროდუქტზე. ეს სფერო მოიცავს მიკროორგანიზმთა შტამებს, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურებს, ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის ობიექტებს და სხვ.

საიდუმლო გამოგონება. კანონი არ ითვალისწინებს საიდუმლო გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე პატენტის გაცემას. პატენტი შეიძლება გაიცეს მხოლოდ მათი განსაიდუმლოების შემდეგ. ამ ნორმის შემოღება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ობიექტის საიდუმლოებიდან გამომდინარე, პატენტის მფლობელის ძირითადი უფლება – თავის შეხედულებისამებრ გამოიყენოს და განკარგოს გამოგონება, პრაქტიკულად განუხორციელებელია. რაც შეეხება სახელმწიფოსა და განმცხადებლის ურთიერთობებს და მათ შორის ფულადი კომპენსაციის საკითხს, გამოგონების განსაიდუმლოებამდე იგი წესრიგდება სპეციალური ნორმატიული აქტით.

დაცვის ხანგრძლივობა და ტერიტორია. საკუთრების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, საპატენტო უფლებები შემოსაზღვრულია ტერიტორიითა და დროით. კერძოდ, საქართველოს პატენტი იცავს პატენტმფლობელის განსაკუთრებულ უფლებას საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან დაცვის ხანგრძლივობა შეადგენს გამოგონებისათვის – 20, სასარგებლო მოდელისათვის კი 10 წელს.

ისეთი გამოგონების პატენტის მოქმედების ვადა, რომელიც ენება სამედიცინო პროდუქტს და მისი გამოყენებისათვის საჭიროა უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა, პატენტის მფლობელის მოთხოვნით შესაძლებელია დამატებითი ვადის გამოყენება, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად 5 წელიწადს უდრის.

პატენტის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, გამოგონება გადადის საერთო საკუთრებაში და შესაძლებელია მისი თავისუფლად გამოყენება.

პატენტის მფლობელობა. პატენტის მიღების უფლება აქვს გამოგონებელს ან მის უფლებამონაცვლეს. გამოგონებაზე, რომლის შექმნა უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებას,

პატენტის მიღების უფლება აქვს დამსაქმებელს/შემკვეთს, თუ სელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პატენტის მფლობელის უფლებები. პატენტის მფლობელს გააჩნია განსაკუთრებული უფლება პატენტით დაცულ გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე. კერძოდ, პატენტის მფლობელი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს გამოგონებას. მას უფლება აქვს: გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს გამოგონება, დადგინილი წესით გასცეს ლიცენზია პატენტის გამოყენებაზე ან/და დააგირაოს. პატენტი მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, აუკრძალოს სხვა პირებს მისი ნებართვის გარეშე:

- პატენტით დაცული პროდუქტის დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა;
- პატენტით დაცული სერვისის გამოყენება ან გასაყიდად შეთავაზება;
- პატენტით დაცული სერვისით უშუალოდ მიღებული პროდუქტის გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება,
- გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა, თუ პატენტზე, რომლის საგანია ახალი პროდუქტის მიღების სერვისი, ვრცელდება პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლება, მაშინ, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, სხვა პირის მიერ დამზადებული ნებისმიერი მსგავსი პროდუქტი მიიჩნევა ამ სერვისით მიღებულად. თუ პატენტის მფლობელი რამდენიმე პირია:
- პატენტზე უფლების გადაცემა, გამოყენებაზე ლიცენზიის გაცემა და დაგირავება ნებადართულია მხოლოდ ყველა მფლობელის თანხმობით;
- თითოეულ მფლობელს აქვს უფლება, პატენტით დაცული ობიექტი სხვა მფლობელთა თანხმობის გარეშე გამოიყენოს საკუთარ წარმოებაში.

განაცხადის გამოქვეყნების დღიდან პატენტის გაცემამდე განმცხადებელს პირობითად ენიჭება იგივე უფლებები, რაც ექნებოდა პატენტით. თუ პატენტი არ გაიცემა, მაშინ არც აღნიშნული უფლებები წარმოიქმნება.

საპატენტო უფლებების ფარგლები. კანონი ითვალისწინებს გარკვეულ პირობებში პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვას. განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა:

- პატენტის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდეგ გაგრძელება ან სხვაგვარად გამოყენება;

- გამოგონების კერძო წესით გამოყენება პირადი სარგებლობისათვის, თუ ქმედება არ ისახავს სამეწარმეო მიზნებს;
- გამოგონების რომელიმე ქვეყნის საზღვაო სომალდზე, საპაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება მისი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში გამოგონება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეწარმეობისათვის;
- გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიის ან სხვა საგანგებო ვითარების დროს.

წინათსარგებლობის უფლება. თუ რომელიმე პირს, რომელიც განმცხადებლის მიერ პატენტზე განაცხადის შეტანამდე კეთილსინდისიერად სარგებლობდა ამ გამოგონებით ან სასარგებლო მოდელით ან განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენების მიზნით უფლება აქვს ინდივიდუალურად გამოიყენოს იგი იმ მიზნითა და მოცულობით, რა მიზნითა და მოცულობითაც უკვე გამოიყენა ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები, განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე, პატენტის მოქმედების მიუხედავად.

საპატენტო ლიცენზია და უფლებების გადაცემა. პატენტმფლობელს შეუძლია დადგენილი წესით გასცეს ლიცენზია პატენტზე, მოახდინოს უფლებების მთლიანად გადაცემა ან დააგვიროს ის. ლიცენზია შეიძლება იყოს ექსკლუზიური ან არაექსკლუზიური, თუ ლიცენზიის ხელშეკრულებით განსაზღვრული არ არის ლიცენზიის სახე, მიზნევა, რომ ლიცენზია არაექსკლუზიურია. არაექსკლუზიური ლიცენზის გაცემა ლიცენზიის გამცემს არ უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას. ექსკლუზიური ლიცენზია ლიცენზიის გამცემს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას. პატენტის მფლობელს შეუძლია გამოაცხადოს ღია ლიცენზირების რეჟიმი, თუ პატენტზე არ არის გაცემული ექსკლუზიური ლიცენზია. ღია ლიცენზირების რეჟიმი უფლებას აძლევს ნებისმიერ პირს, გამოიყენოს პატენტი ღია ლიცენზირების რეჟიმით დადგენილი პირობებით. პატენტი შეიძლება გახდეს გირავნობის საგანი. პატენტზე ლიცენზიის გაცემის, უფლებების გადაცემის და გირავნობის შესახებ ხელშეკრულებები იდება წერილობითი ფორმით.

საპატენტო ექსპერტიზა. საქპატენტი ატარებს განაცხადის საპატენტო ექსპერტიზას, რომლის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ. საპატენტო ექსპერტიზა მოიცავს ფორმალური მოთხოვნებისა და არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებას. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დროს მოწმდება განაცხადის სისრულე და გაფორმების სისწორე. ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულებიდან 6 თვის ვადაში საქპატენტი ატარებს არსობრივ

ექსპერტიზას, რომლის დროსაც ხდება განაცხადში აღწერილი დაცვის ობიექტის დადგენა და ტექნიკის დონის განსაზღვრა. განაცხადში აღწერილი დაცვის ობიექტის დადგენისას, არსობრივად მოწმდება გამოგონების ფორმულა, აღწერილობა და გამოგონების ერთიანობა. ასევე, სომ არ წარმოადგენს დაცვის ობიექტი ისეთ ობიექტს, რომელიც არ მიიჩნევა გამოგონებად ან გამოგონებას, რომელზეც პატენტი არ გაცივმა. ტექნიკის დონის განსაზღვრისას საქპატენტი ატარებს კვლევას და სიანლის ექსპერტიზას. თუ დადასტურდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს სიანლის ექსპერტიზის მოთხოვნებს, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ. თუ ექსპერტმა დაასკვნა, რომ გამოგონება ცხადად გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან, საქპატენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საგამომგონებლო დონის შეფასების თაობაზე. სასარგებლო მოდელის სიანლის დადგენისას, საქპატენტი კვლევას ატარებს მხოლოდ საქპატენტში შეტანილ განაცხადებთან მიმართებით.

ექსპერტიზის გადაწყვეტილებების გასაჩივრება და სელახალი ექსპერტიზა. განმცხადებელს უფლება აქვს, საქპატენტის გადაწყვეტილებები ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ასევე არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება პატენტის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივროს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს საქპატენტო ექსპერტიზის გადაწყვეტილება იმის საფუძველზე, რომ დაცვის ობიექტი წარმოადგენს ისეთ ობიექტს, რომელიც არ მიიჩნევა გამოგონებად ან არის გამოგონება, რომელზეც პატენტი არ გაცივმა, გამოგონება არ აკმაყოფილებს სიანლისა და საგამომგონებლო დონის კრიტერიუმებს. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში. დაინტერესებულ მხარეს ასევე უფლება აქვს, პატენტის მოქმედების ვადის განმავლობაში საქპატენტისაგან მოითხოვოს გამოგონებაზე სელახალი ექსპერტიზის ჩატარება იმ მიზეზით, რომ გამოგონება არ აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს.

საერთაშორისო განაცხადი. საქართველოს მოქალაქეს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) უფლება აქვს შეიტანოს „საქპატენტში“ საერთაშორისო განაცხადი. იურიდიულად, საქპატენტო კოოპერაციის სელშეკრულების შესაბამისად, ასეთი ქმედება შეთანხმების მონაწილე ქვეყნების საქპატენტო უწყებებში განაცხადის შეტანის ტოლფასია.

8.3. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ⁶⁶

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ აწესრიგებს სასაქონლო, მომსახურებისა და კოლექტიური ნიშნების რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

სასაქონლო ნიშანი. სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას, მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. ამდენად, სასაქონლო ნიშანი უნდა აკმაყოფილებდეს ორ ძირითად მოთხოვნას: იყოს განმანსხვავებელუნარიანი საქონლის მიმართ და შესაძლებელი იყოს მისი გრაფიკული გამოსახვა. კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშნად შესაძლებელია გამოყენებული იყოს: სიტყვა ან სიტყვები, ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით. საქართველოში სასაქონლო ნიშნის დაცვის საფუძველს წარმოადგენს „საქპატენტი“ ან საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით მისი რეგისტრაცია. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6^o მუხლის შესაბამისად.

რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. კანონი ადგენს რიგ შეზღუდვებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე. არ დაიშვება სასაქონლო ნიშნად ისეთი სიმბოლოს ან სიმბოლოთა ერთობლიობის რეგისტრაცია, რომელიც:

- ატარებს მოცემული საქონლისადმი აღწერილობით ხასიათს, კერძოდ, მიუთითებს საქონლის სახეობაზე, ხარისხზე, რაოდენობაზე, თვისებებზე, გეოგრაფიულ წარმოშობასა და სხვა;
- გამოიყენება როგორც საქონლის გვარეობითი ცნება ან წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს (ეს აკრძალვები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა სასაქონლო ნიშანი სამოქალაქო ბრუნვაში მისი გამოყენების საფუძველზე, რეგისტრაციის მომენტისათვის იძენს განმანსხვავებელუნარიანობას მოცემული საქონლისათვის).
- შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს;
- მცდარ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს საქონლის შესახებ;

⁶⁶ საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ. http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=197

- ასევე დაუშვებელია სასაქონლო ნიშნად საერთაშორისო და სახელმწიფო სიმბოლიკის, ოფიციალური დამღების, ნიშნების, ბეჭდების, ორდენებისა და სხვათა რეგისტრაცია.

გარდა ზემოთ მოყვანილი რეგისტრაციაზე უარის თქმის ე.წ. აბსოლუტური საფუძვლებისა, კანონი ადგენს რეგისტრაციაზე უარის თქმის ფარდობით საფუძვლებსაც. ამ შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს ადრე წარმოშობილი უფლებები. კერძოდ, ადრე რეგისტრირებული იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშნები, საქართველოში დაცული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები, სამრეწველო ნიშნები. ასევე დაუშვებელია სასაქონლო ნიშნად საქართველოში ცნობილი (ან ისტორიული) პიროვნების სახელის, ფსევდონიმის, ფაქსიმილეს, პორტრეტის რეგისტრაცია შესაბამისი თანხმობის ან ნებართვის გარეშე.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ხდება „საქპატენტის“ მიერ ჩატარებული ფორმალური მოთხოვნებისა და არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე. არსობრივი ექსპერტიზის შემთხვევაში მოწმდება, რომ არ არსებობს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის „აბსოლუტური“ ან „ფარდობითი“ საფუძვლები. კანონი ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე მისი გამოსახულებისა და შესაბამისი მონაცემების სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებას. რეგისტრაცია ხდება მხოლოდ გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში არ შევა საჩივარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე.

სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლებები. რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან. განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის იდენტურია ან მსგავსია და მისი გამოყენებით ჩნდება ამ ნიშნების აღრევის შესაძლებლობა.

განსაკუთრებული უფლების ფარგლები სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს: საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს; სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა

მანასიათებლებს; დაცული სასაქონლო ნიშანი, თუ ის აუცილებელია საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენებისას (მათ შორის, თუ ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება როგორც შემაღენელი ან სათადარიგო ნაწილი), მესამე პირმა უნდა გამოიყენოს სამეწარმეო საქმიანობის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს ამ დაცული სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილია უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე. ეს წესი არ მოქმედებს, თუ საქონლის თვისებები შეიცვალა, ხარისხი გაუარესდა ან არსებობს ამ აკრძალვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი.

განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ვადა. კანონი ადგენს განსაკუთრებული უფლებების მოქმედების ვადას, რომელიც განისაზღვრება 10 წლით. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით, გაგრძელების ჯერადობის შეუზღუდავად. დასაშვებია უფლებების გადაცემა და ლიცენზირება, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებების ნაწილობრივ ან მთლიანად გადაცემა სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე. ეს გადაცემა შეიძლება მოხდეს საწარმოსთან ერთად ან მის გარეშე. სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მისმა მფლობელმა შეიძლება მიანიჭოს სხვა პირს სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე.

კოლექტიური ნიშნები. კანონი აგრეთვე აწესრიგებს კოლექტიურ ნიშნებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. კოლექტიური ნიშანი განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთიანი ხარისხობრივი მანასიათებლების ან სხვა თვისებების მიხედვით. კოლექტიური ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს მეწარმე სუბიექტების გაერთიანება, რომელიც იქმნება კოლექტიური ნიშნის გამოყენების მიზნით, ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი. თუ კოლექტიური ნიშანი შეიცავს გეოგრაფიულ სახელს, მაშინ კოლექტიური ნიშნის წესდებამ უნდა გაითვალისწინოს გაერთიანებაში ნებისმიერი ისეთი პირის გაწევრიანების შესაძლებლობა, რომლის საქონელი წარმოშობილია აღნიშნულ გეოგრაფიულ რეგიონში და აკმაყოფილებს წესდების მოთხოვნებს. აკრძალულია კოლექტიური ნიშნის გადაცემა, ან ამ ნიშანზე ლიცენზიის გაცემა იმ პირზე, რომელიც არ არის კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრი.

საერთაშორისო რეგისტრაცია. საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ „საქპატენტში“ შეიტანონ საერთაშორისო განაცხადი

სასაქონლო ნიშანზე და მოითხოვონ მისი რეგისტრირება მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებულ პროტოკოლის მონაწილე ყველა ქვეყანაში.

8.4. საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ⁶⁷

კანონი აწესრიგებს საქონლის (მომსახურების) ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასა და დაცვასთან, აგრეთვე გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

ადგილწარმოშობის დასახელება. კანონის მიხედვით, ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი, გამოყენებული იმ საქონლის მოსაწინააღმდეგე წარმოშობილია ამ გეოგრაფიულ ადგილზე და მისი განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის ფაქტორით. ამასთან, ამ პროდუქციის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

გეოგრაფიული აღნიშვნა. ადგილწარმოშობის დასახელებისაგან განსხვავებით, გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში, პროდუქციის კავშირი გეოგრაფიულ ადგილთან შედარებით სუსტია. ამ შემთხვევაში საგადასმად არ არის, რომ ნედლეულის დამზადება, დამუშავება და წარმოება ხდებოდეს ერთსა და იმავე ადგილას, საკმარისია მხოლოდ ერთ-ერთი პირობის დაცვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი გადამწყვეტი უნდა იყოს საქონლის თვისებების და რეპუტაციის ფორმირებისას.

საქართველოში ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა და ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა ხდება „საქპატენტი“, მათი რეგისტრაციის ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

ადგილწარმოშობის დასახელების, აგრეთვე გეოგრაფიული აღნიშვნის აღიარებისა და რეგისტრაციისათვის, დაინტერესებულმა პირმა „საქპატენტი“ უნდა წარადგინოს სათანადო მასალები, რომელშიც უნდა იყოს მონაცემები პროდუქციის განსაკუთრებული ხარისხისა და თვისებების შესახებ, ნიშან-თვისებების გეოგრაფიულ ადგილთან კავშირ-ურთიერთობების შესახებ, აგრეთვე წარმოების სპეციფიკური პირობებისა და ხერხების აღწერა (ამ უკანასკნელთა არსებობის შემთხვევაში). ამასთან, აღნიშნული მონაცემები უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულ კვლევას და ადასტურებდეს სახელმწიფოს მიერ დელეგირებული

⁶⁷ საქართველოს კანონი ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ, ინტელექტუალური საკუთრება (საკანონმდებლო აქტების კრებული), საქპატენტი, 2007, 111

უფლებების მქონე ორგანიზაცია. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაამდე, საზოგადოებრივი აზრის გასათვალისწინებლად, წარმოდგენილი მასალები ქვეყნდება სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში, ცენტრალურსა და ადგილობრივ პრესაში.

რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები. ადგილწარმოშობის დასახელებად და გეოგრაფიულ აღნიშვნად არ რეგისტრირდება ისეთი სახელი, რომელიც საქონლის გვარეობით სახელად იქცა და რომელიც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის წარმოშობის შესახებ. შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებას, რელიგიას, ტრადიციასა და ზნეობრივ ნორმებს.

ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება. ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შემდეგ, მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს მიერ, რომელიც ადგენს რეესტრის მონაცემთა და წარმოების პირობებისა და წარმოებული პროდუქციის თვისებების შესაბამისობას დადგენილი წესითა და პერიოდულობით შემოწმების შემდეგ გაცემული ნებართვის საფუძველზე. შემოწმების წესი და პერიოდულობა განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტით.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციიდან გამომდინარე აკრძალულია: რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება ისეთ საქონელთან კავშირში, რომელზეც რეგისტრაცია არ ვრცელდება; რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის ისეთი გამოყენება, რომელიც სიტყვასიტყვით, სწორად მიუთითებს საქონლის წარმოების, მისი ნედლეულის დამზადების ან დამუშავების ადგილზე, მაგრამ ქმნის მცდარ წარმოდგენას საქონლის წარმოშობის შესახებ; ისეთი სახელის ან აღნიშვნის გამოყენება, რომელიც წარმოადგენს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის მიბაძვას, იმიტაციას, თუნდაც თარგმანში, ან ისეთ სიტყვებთან ერთად, როგორცაა „ტიპის“, „სტილის“, „მსგავსი“, „ნაირი“, „მეთოდით“ და ა.შ.

გარდა რეგისტრაციისა, კანონით გათვალისწინებულია იმ ქვეყნების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა, რომლებიც ნაცვალებების პრინციპის საფუძველზე უზრუნველყოფენ ანალოგიურ დაცვას საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნებისათვის.

ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი,

როგორც ღვინისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნისათვის. იგი ქმნის სამართლებრივ ბაზას ელიტარული, მაღალი ხარისხისა და ღირებულების პროდუქციის წარმოებისა და მისი არაკუთილსინდისიერი კონკურენციისაგან დასაცავად.

8.5. საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ⁶⁸

საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ აწესრიგებს დიზაინის შექმნას, რეგისტრაციას, გამოყენებას, სამართლებრივ დაცვასთან და აქედან გამომდინარე, უფლებების განსოციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

დიზაინი. კანონის შესაბამისად, დიზაინი არის მთლიანად პროდუქტის ან მისი ნაწილის გამონატულება (გარეგანი სახე), რომელიც გამომდინარეობს თვით პროდუქტის ნიშნებისაგან, მათ შორის ხაზების, კონტურების, ფერების, ფორმის, ტექსტურის ან/და მასალის, ან პროდუქტის მორთვისაგან. განმარტებაში არ ფიგურირებს დიზაინისადმი ესთეტიურობის მოთხოვნა, რაც სავალდებულო იყო, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში. დიზაინი შეიძლება ერთდროულად აკმაყოფილებდეს როგორც ესთეტიურ, ისე ფუნქციონალურ მოთხოვნებს. მაგალითად, დიზაინი შეიძლება იყოს რომელიმე ნივთის გასაღამაზებლად შექმნილი ორნამენტი, რომელსაც არა აქვს არავითარი ფუნქციონალური დანიშნულება, ან სკამის ფორმა, რომელიც ძირითადად ერგონომიკური დანიშნულებისაა.

დიზაინი შეიძლება იყოს ბრტყელი (ორგანზომილებიანი) ან მოცულობითი (სამგანზომილებიანი).

ორგანზომილებიანი დიზაინის მაგალითებია: ხალიჩა, ქსოვილი, შპალერი. ნაბეჭდი პროდუქციის (ეტიკეტი, ლატარიის ბილეთი, კალენდარი და სხვ.) ორგანზომილებიანი კომპოზიცია. მოცულობითი დიზაინი წარმოადგენს ისეთ კომპოზიციას, რომელსაც საფუძვლად უდევს სივრცულად განვითარებული სტრუქტურა, მაგალითად: ავეჯი, ფეხსაცმელი, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი, ჭურჭელი, კვების პროდუქტები და სხვ.

პროდუქტი. დიზაინის დაცვა ვრცელდება პრაქტიკულად ნებისმიერ პროდუქტზე. განმარტების თანახმად, პროდუქტი არის ნებისმიერი სამრეწველო ან ხელნაკეთი საგანი, მათ შორის, საფუთავი, გაფორმება, გრაფიკული სიმბოლო, ტიპოგრაფიული შრიფტი, შედგენილ პროდუქტში ჩასართავად განკუთვნილი შემადგენელი ნაწილი (კომპიუტერული პროგრამის გარდა). მიუხედავად იმისა, რომ დიზაინით არ ხდება უშუალოდ პროგრამის დაცვა, პროგრამის საშუალებით გენერირებული,

⁶⁸ საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ
http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=170

კომპიუტერის ეკრანზე გამოტანილი გამოსახულებები დაცვას ექვემდებარება.

შედგენილი პროდუქტი. შედგენილი პროდუქტი არის პროდუქტი, რომელიც შედგება მრავალი ნაწილისაგან, რომელთა შეცვლა შესაძლებელია პროდუქტის დაშლითა და ხელმეორედ აწყობით. შედგენილი პროდუქტის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი, მოტოციკლი, იანტა და სსვ.). შედგენილი პროდუქტის ნაწილის დიზაინის დაცვა ხდება შედგენილი პროდუქტის დიზაინისაგან დამოუკიდებლად.

დიზაინის დაცვის კრიტერიუმები. დიზაინი ექვემდებარება დაცვას თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურია.

დიზაინს აქვს სიახლე, თუ განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე, არც ერთი მისი იდენტური დიზაინი არ გამხდარა საჯაროდ ხელმისაწვდომი. დიზაინი იდენტურად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ მათი ნიშნები მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდება.

დიზაინი ინდივიდუალურია, თუ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ მომხმარებელზე, განსხვავდება საერთო შთაბეჭდილებისაგან, რომელსაც იმავე მომხმარებელზე ახდენს სხვა დიზაინი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე.

დიზაინის ინდივიდუალობის შეფასებისას გათვალისწინებულია მისი შექმნის პროცესში დიზაინერის თავისუფლების ხარისხი. რაც უფრო დაბალია დიზაინერის თავისუფლების ხარისხი, მით უფრო დაბალია მოთხოვნები დიზაინის ინდივიდუალურად მიჩნევის მიმართ.

პროდუქტში ჩართული ან მისთვის გამოყენებული დიზაინი, რომელიც შედგენილი პროდუქტის ნაწილია, მიიჩნევა ახლად და ინდივიდუალურად, თუ იგი ხილულია შედგენილ პროდუქტში, მისი ჩვეულებრივი გამოყენების დროს და ხილული ნიშნები აკმაყოფილებს სიახლის და ინდივიდუალობის კრიტერიუმებს. „ჩვეულებრივი გამოყენება“ ნიშნავს საბოლოო მომხმარებლის მიერ გამოყენებას, გარდა ტექნიკური მომსახურებისა, მიმდინარე და აღდგენითი სარემონტო სამუშაოებისა. მაგალითად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტომობილის იმ ნაწილების დიზაინი, რომლებიც მისი კაპოტის ქვეშაა განლაგებული, დაცვას არ ექვემდებარება.

დიზაინის საჯაროდ ხელმისაწვდომობა. დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად მიიჩნევა, თუ იგი გამოქვეყნებული, გამოფენილი, სავაჭრო მიმოქცევაში ჩართული ან სხვა გზით გახდა საჯაროდ ცნობილი, განაცხადის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე.

დიზაინის საჯაროდ ხელმისაწვდომად არ მიიჩნევა თუ:

- ზემოაღნიშნული ქმედებები არ იყო იმგვარი, რომ ჩვეულებრივი წესით გამხდარიყო საჯაროდ ცნობილი, ქვეყნის ტერიტორიაზე მოცემულ სფეროში დასაქმებული პირებისათვის;
- დიზაინზე ინფორმაცია შესაძე პირისათვის გახსნილია კონფიდენციალობის დაცვის პირობით.

დიზაინზე ინფორმაცია გახსნილად არ ითვლება, თუ იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე 12 თვის განმავლობაში:

- უშუალოდ დიზაინერის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ დიზაინზე ინფორმაციის გახსნის გზით;
- შესაძე პირის მიერ განხორციელებული არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად.

12-თვიანი საშეღავათო პერიოდი, მეწარმეს საშუალებას აძლევს განაცხადის წარდგენამდე 12 თვის განმავლობაში, სხვადასხვა გზით (საეაქრო მიმოქცევაში ჩართვის, რეკლამის, გამოფენის და სხვა) მომხმარებელს გააცნოს თავისი პროდუქცია და ბაზრის რეაგირების გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე.

დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამოსახულება. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები მოიცავს ნებისმიერ დიზაინს, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე არ ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლების განსაზღვრისას გათვალისწინებულია მისი შექმნის დროს დიზაინერის თავისუფლების ხარისხი, რაც უფრო დაბალია დიზაინერის თავისუფლების ხარისხი, მით უფრო ვიწროა დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები.

დიზაინის დაცვა ტექნიკური ფუნქციის მატარებელ პროდუქტზე. მოქმედი კანონმდებლობა არ მოითხოვს, რომ პროდუქტის გარეგანი სახე აკმაყოფილებდეს ესთეტიკურ მოთხოვნებს. დიზაინით დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი პროდუქტი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც აქვს ფუნქციური (ტექნიკური) დანიშნულება, თუმცა დიზაინიდან გამომდინარე უფლება არ წარმოიქმნება პროდუქტის გარეგანი სახის იმ ნიშნებზე, რომლებიც განპირობებულია მხოლოდ მათი ტექნიკური ფუნქციით. ამგვარი ნიშნები არ მიიღება მსედველობაში იმის შესაფასებლად, პასუხობენ თუ არა ისინი დიზაინის დაცვის კრიტერიუმებს. მაგალითად, თუ ბოთლი, უკვე ცნობილი ბოთლისაგან განსხვავდება მხოლოდ ბოთლის ყელზე შესრულებული, საცობისათვის განკუთვნილი ხრახნით,

იგი დაცვას არ ექვემდებარება, რადგან ამ ნიშანს (სრანსს) მხოლოდ ფუნქციური დანიშნულება აქვს. დიზაინით დაცვას არ ექვემდებარება პროდუქტი, თუ ის აუცილებლად ზუსტად ისეთი ფორმისა და ზომის უნდა იყოს, რომ მექანიკურად შეთავსებადი იყოს მეორე პროდუქტთან და თან თითოეულ მათგანს შეეძლოს თავისი ფუნქციის შესრულება. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება დიზაინზე, რომელიც შესაძლებელს ხდის მრავალჯერადი აწყოების ან ურთიერთშეცვლადი პროდუქტების მოდულურ სისტემაში შეკავშირებას. ამის მაგალითს წარმოადგენს საბავშვო კონსტრუქტორი, რომელსაც გააჩნია ურთიერთშეწყობადი ელემენტები მოდულური სისტემის ასაწყოებად.

დიზაინზე უფლებების მფლობელი. დიზაინზე უფლებების მფლობელი შეიძლება იყოს დიზაინერი ან მისი უფლებამონაცვლე. თანადიზაინერთა ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში თანადიზაინერები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. დიზაინერის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის ან შეკვეთის საფუძველზე შექმნილ დიზაინზე უფლებები ეკუთვნის დამსაქმებელს/დამკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დიზაინზე განსაკუთრებული უფლებები. დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს დიზაინით დაცული პროდუქტის დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, ექსპორტი, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარად ჩართვა.

დიზაინზე უფლებების მფლობელს უფლება აქვს თავის შეხედულებისამებრ განკარგოს დიზაინი: გაყიდოს ან სხვა გზით გაასწავლოს დიზაინი, გასცეს ლიცენზია, თავად დაამზადოს დიზაინით დაცული პროდუქტი, ჩართოს სამოქალაქო ბრუნვაში და მიიღოს სარგებელი. ლიცენზია შეიძლება იყოს ექსკლუზიური ან არაექსკლუზიური. არაექსკლუზიური ლიცენზიის გაცემა არ უკარგავს ლიცენზიარს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას. ექსკლუზიური ლიცენზია კი ლიცენზიის გამცემს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას.

დიზაინის დაცვის ვადა. დიზაინი რეგისტრაციაში შეიძლება გატარდეს ერთი ან რამდენიმე 5-წლიანი პერიოდით, მაგრამ არა უმეტეს 25 წლისა საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან.

დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების ფარგლები. დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა:

- დიზაინის პირადი სარგებლობისათვის გამოყენება;
- დიზაინის ექსპერიმენტული მიზნებისათვის გამოყენება;

- დიზაინის ასლის გადაღება, რომელიც სრულდება ციტირების ან სწავლების მიზნით;
- დიზაინის რომელიმე ქვეყნის საზღვაო ზომადზე, საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება მისი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ყოფნის დროს;
- დიზაინის გამოყენება ფორსმაჟორის შემთხვევაში.

მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დიზაინით დაცული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდეგ, მფლობელის უფლებები ამ პროდუქტის შემდგომ გამოყენებაზე აღარ ვრცელდება (უფლებების ამოწურვის პრინციპი).

წინათსარგებლობის უფლება. წინათსარგებლობის უფლება გულისხმობს პირის უფლებას, გამოიყენოს რეგისტრირებული დიზაინი, თუ იგი კეთილსინდისიერად იყენებდა ამ დიზაინს ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენებისათვის განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე.

დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის და რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები. დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის და რეგისტრაციის გაუქმების ძირითადი საფუძვლებია:

- დიზაინი არ აკმაყოფილებს სიახლისა და ინდივიდუალურობის კრიტერიუმებს;
- დიზაინის ნიშნები განპირობებულია მხოლოდ მათი ტექნიკური ფუნქციით;
- ობიექტი, მისი განმარტებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს დიზაინს;
- დიზაინი ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს, ან მორალის მიღებულ ნორმებს;
- განმცხადებელი ან მფლობელი არ არის უფლებამოსილი დაარეგისტრიროს დიზაინი;
- დიზაინი შეიცავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ ნაწარმოებებს;
- დიზაინი მთლიანად ან რომელიმე ელემენტით ემთხვევა საქართველოში დაცულ სასაქონლო ნიშანს;
- დიზაინი მთლიანად ან რომელიმე ელემენტით ემთხვევა საერთაშორისო ან მთავრობათაშორისი ორგანიზაციის ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას, ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო, სახინჯ დამდას, ბეჭედს, ორდენს, მედალს, საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას, ფულის ნიშანს;
- დიზაინის რეგისტრაცია განხორციელდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით.

დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების წარმოშობა. საქართველოში დიზაინზე განსაკუთრებული უფლებები წარმოიშობა „საქპატენტში“ რეგისტრაციის ან ჰააგის შეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელების გზით.

საერთაშორისო რეგისტრაცია. საქართველოს მოქალაქეს ან რეზიდენტს შესაძლებლობა აქვს, საერთაშორისო განაცხადის მეშვეობით დაარეგისტრიროს დიზაინი სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანაში.

9. სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების განხორციელება

სამრეწველო საკუთრების სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს უფლებების განხორციელების სამართლებრივი საშუალებები წარმოადგენს. საქართველოში სამრეწველო საკუთრების უფლებების განხორციელების იურიდიულ საფუძველს სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა და „ინტელექტუალური საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ“ კანონი წარმოადგენს. 2005 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში და მოხდა ნორმების ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასა და ტრიპსის მოთხოვნებთან.^{69,70} საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კოდექსი (მუხლები 189, 189¹, 196)⁷¹ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ინტელექტუალური საკუთრების, მათ შორის სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევისათვის. კერძოდ, 189¹ მუხლის მიხედვით, დანაშაულად არის მიჩნეული გამოგონების, სასარგებლო მოდელის და სამრეწველო ნიმუშის ავტორობის მითვისება ან თანაავტორობაზე იძულება. ასევე, წინასწარი შეცნობით სხვისი გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის შემოსავლის მიღების მიზნით უკანონო გამოყენება. კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად, დასჯად ქმედებას წარმოადგენს დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნით უკანონოდ ნიშანდებული საქონლის წარმოება ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი

⁶⁹ Directive 2004/48/EC on the enforcement of intellectual property rights. [http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32004L0048R\(01\):EN:NOT](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32004L0048R(01):EN:NOT)

⁷⁰ Council Regulation (EC) No 1383/2003 of 22 July 2003 concerning customs action against goods suspected of infringing certain intellectual property rights and the measures to be taken against goods found to have infringed such rights. <http://eur-ex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2007:261:0012:01:EN:HTML>

⁷¹ ინტელექტუალური საკუთრება (საკანონმდებლო აქტების კრებული), საქპატენტი, 2007, 174

გამოიწვია, ასევე არარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებასთან ან გეოგრაფიულ აღნიშვნასთან ერთად გამაფრთხილებელი აღნიშვნის ყალბი მითითება. ზემოთ აღნიშნული სსგადასსვა დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსი სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, თავისუფლების შეზღუდვას ან თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დარღვევებს ენება კოდექსის 157¹, 157² 157³ და 158-ე მუხლები.⁷² მუხლი 158 ითვალისწინებს სასაქონლო ნიშნის, ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის უკანონო დამზადებისა და გამოყენებისათვის ჯარიმას, დამზადებისათვის გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების კონფისკაციას.

კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ (მუხლი 45) ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევისათვის. ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს:

- ა) თავისი უფლების დამრღვევი ქმედების შეწყვეტა;
- ბ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- გ) ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, წარმოადგენს მის ასლს ან იმიტაციას;
- დ) სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურებაც კი.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით სარგებლობის უფლების მქონე პირს შეუძლია სასამართლოში შეიტანოს სარჩელი უფლებების დამრღვევის წინააღმდეგ და მოითხოვოს მის მიმართ პრაქტიკულად ანალოგიური ზომების გატარება, კერძოდ, უფლებების დამრღვევი მოქმედების შეწყვეტა, მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ა.შ. საპატენტო კანონი (მუხლი 681) და კანონი დიზაინის შესახებ (მუხლი 30) არ ადგენს კონკრეტულ ზომებს და შემოისაზღვრება ზოგადი მოთხოვნით, განსაკუთრებული უფლებების დამრღვევის პასუხისმგებლობის შესახებ.

⁷² ინტელექტუალური საკუთრება (საკანონმდებლო აქტების კრებული), საქპატენტი, 2007, 177

საქართველოს კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ“⁷³ ადგენს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (სასაქონლო ნიშნები, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნები, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები, მონაცემთა ბაზები), უფლებათა დარღვევით წარმოებული პროდუქციის იმპორტირებისა და ექსპორტისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებების გამოყენების წესს. კანონის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტში ფუნქციონირებს სპეციალური რეესტრი, სადაც დაინტერესებულ უფლებამფლობელს საშუალება ეძლევა დაარეგისტრიროს საკუთარი სასაქონლო ნიშანი, საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, მონაცემთა ბაზა, ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა და მიუთითოს საქონლის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ინფორმაცია. საექვო ტვირთის გამოჩენისას, საბაჟო ორგანოებს უფლება ენიჭებათ შეაჩერონ ეს ტვირთი, დაუყოვნებლივ აცნობონ ამ ფაქტის შესახებ უფლებამფლობელს ან მის წარმომადგენელს და შემოწმებისათვის გადასცენ შეჩერებული საქონლის ეგზემპლარი. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამფლობელი დარწმუნდება, რომ შეჩერებული საქონელი კონტრაფაქციულია, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და საქონლის განადგურება. ხოლო, თუ შეჩერებული საქონლის მფლობელი უარს განაცხადებს თავის საქონელზე, საბაჟო დეპარტამენტი ანადგურებს შეცვრებულ საქონელს უფლებამფლობელის ხარჯითა და პასუხისმგებლობით. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ შეჩერებული საქონლის მფლობელი არ გამოეხმაურება საბაჟო დეპარტამენტის შეტყობინებას საქონლის განადგურების შესახებ უფლებამფლობელის მოთხოვნის თაობაზე.

2009-2010 წ.წ. UNDP-მ საქართველოში ჩაატარა დეტალური კვლევა კონტრაფაქციასა და მკობრეობასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ. კვლევის მასალების საფუძველზე მოამზადა რეკომენდაციები კანონმდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების თაობაზე. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება უფლებამფლობელთა და სამართალდამცავთა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნის ამაღლების აუცილებლობის შესახებ.⁷⁴

⁷³ ინტელექტუალური საკუთრება (საკანონმდებლო აქტების კრებული), საქპატენტი, 2007, 128

⁷⁴ Study on Counterfeiting and Piracy in Georgia (UNDP, 2010) http://www.undp.org.ge/files/24_1046_187891_counterfeiting-piracy-eng.pdf

10. სამრეწველო საქმეების დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობა გამომგონებები და სასარგებლო მოდელები

საქართველოში გამოგონებასა და სასარგებლო მოდელებზე განსაკუთრებული უფლებების მოპოვება ხდება უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ განაცხადის წარდგენით ან საქპატენტო კოოპერაციის ნელშეკრულების (PCT) შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადის საფუძველზე.

1992-2009 წწ. სასარგებლო მოდელებზე განაცხადთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 1080. აქედან განაცხადების აბსოლუტური უმრავლესობა - 1069 ეკუთვნოდა ადგილობრივ განმცხადებლებს.⁷⁵ ამავე პერიოდში „საქპატენტში“ სულ შეტანილი იყო 8859 განაცხადი გამოგონებაზე, სოლო გაცემული პატენტების რაოდენობამ შეადგინა 4808. „საქპატენტის“ არსებობის საწყის ეტაპზე განაცხადთა რაოდენობა საქართველოდან საგრძნობლად ჭარბობდა უცხოეთიდან შემოსულ განაცხადებს.⁷⁶ 2000 წლიდან შესამჩნევი გახდა უცხოურ განაცხადთა მნიშვნელოვანი ზრდა⁷⁷ და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2005-2009 წ.წ.) მათმა რაოდენობამ ოდნავ გადააჭარბა ადგილობრივი განაცხადების რიცხვს.⁷⁸ აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან შეტანილ განაცხადთა რაოდენობამ შეადგინა მთელი განაცხადების 47%. უცხოელთაგან ყველაზე უფრო აქტიურები იყვნენ ამერიკელები - 27.8% და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი) - 11.4%. რაც შეეხება დაპატენტების სფეროებს, ადგილობრივი განაცხადების ძირითადი ნაწილი მოდის საერთაშორისო საქპატენტო კლასიფიკაციის (სსკ)⁷⁹ A (სოფლის მეურნეობა, საკვები პროდუქტები, ჯანმრთელობა), B (ტექნოლოგიური პროცესები, ტრანსპორტირება) და F (მექანიკა, განათლება) განყოფილებებზე, სოლო უცხოელთა განაცხადების უმეტესობა კი C (ქიმია, მეტალურგია) და A განყოფილებებზე. უცხოელი განმცხადებლებიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ფარმაცევტული კომპანიები-სერვიე (საფრანგეთი), პფაიზერი (აშშ), ფარმაცია (იტალია), ნოვარტისი (შვეიცარია) და სხვა.

უცხოელი განმცხადებლებისაგან განსხვავებით, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ იურიდიული პირები (ფირმები, კომპანიები და სხვ.), ქართველი განმცხადებლები, ძირითადად, წარმოდგენილი

⁷⁵ საქპატენტის წლიური ანგარიშები (1992-2009 წ.წ.)

⁷⁶ საქპატენტის წლიური ანგარიშები (1992-2000 წ.წ.)

⁷⁷ საქპატენტის წლიური ანგარიშები (2000-2009 წ.წ.)

⁷⁸ საქპატენტის 2009 წ. ანგარიში, 4-10

⁷⁹ საერთაშორისო საქპატენტო კლასიფიკაცია, მეშვიდე რედაქცია, ტ. 9, ისმო საქპატენტი, თბილისი, 2007, 30

არიან ფიზიკური პირებით. 2010 წ. „საქპატენტში“ შეტანილი 147 ადგილობრივი განაცხადიდან მხოლოდ ორი ეკუთვნის იურიდიულ პირს. მაშინ როცა 146 უცხოური განაცხადიდან 142 იურიდიული პირის მიერ არის შეტანილი⁸⁰.

ის ფაქტი, რომ საქართველოში პატენტების მფლობელებად უმთავრესად გვევლინებიან ფიზიკური პირები, რომლებსაც, ნაკლებ სავარაუდოა; გააჩნდეთ საკმარისი ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური რესურსი გამოგონებების პრაქტიკული რეალიზებისათვის, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქვეყანაში არ არსებობს სისტემური მიდგომა გამოგონების შექმნის, დაცვისა და გამოყენების პროცესებთან მიმართებაში.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ქვეყნის სამეცნიერო ცენტრები (წამყვანი უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები), რომლებიც უნდა იყვნენ სამეცნიერო-ტექნოლოგიური საქმიანობის ავანგარდში, არიან სრულიად ინდიფერენტულები ინოვაციური პროცესებისადმი, ამიტომ გამოგონებებზე პატენტების მიღების უფლება, და შესაბამისად, მათი პრაქტიკული რეალიზება, გადამისამართებული აქვთ თავიანთ თანამშრომლებზე. ამ ორგანიზაციებში დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებს საპატენტო-საინფორმაციო სამსახურები, რომლებიც დაესმარებოდნენ მეცნიერებს, ინჟინრებსა და გამოგონებლებს საპატენტო-საინფორმაციო ძიების ჩატარებაში, ტექნიკის დონის დადგენაში მათი კვლევის ობიექტთან მიმართებით და შექმნილ გამოგონებებთან დაკავშირებით კომერციული წინადადებების მომზადებაში. არსებული მდგომარეობა დისონანსშია მსოფლიოში არსებულ ტენდენციებთან. უცხოური უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები უშუალოდ არიან ჩაბმული საინოვაციო პროცესებში, გვევლინებიან სოლიდური საპატენტო პორტფელების მფლობელებად და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ახალი მეცნიერებატევადი ინდუსტრიების შექმნასა და განვითარებაში.

არასასარბიელოა მდგომარეობა საქართველოში შექმნილი გამოგონებების უცხოეთში დაპატენტების თვალსაზრისითაც. 2000-2010 წ.წ. საქართველოს მოქალაქეებს „საქპატენტში“ წარდგენილი ჰქონდათ 60 საერთაშორისო განაცხადი. ამ მაჩვენებლით საქართველო ოდნავ უსწრებს სომხეთსა (52) და აზერბაიჯანს (50), მაგრამ ჩამორჩება ლიტვას⁸¹ (79), განსაკუთრებით კი ლატვიასა (111) და ესტონეთს (146). შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ამავე პერიოდში სლოვენიიდან წარდგენილი იყო 537, ხოლო ფინეთიდან – 11766 განაცხადი(!). საქართველოდან წარდგენილ საერთაშორისო განაცხადთაგან მხოლოდ

⁸⁰ საქპატენტის 2010 წ. სტატისტიკური მონაცემები

⁸¹ <http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/pct>

ორზე გაიცა უცხოეთის პატენტი. ამ თვალსაზრისით უფრო წარმატებული აღმოჩნდნენ ქართველი მეცნიერები და გამოგონებლები, რომლებიც თანამშრომლობდნენ უცხოურ კომპანიებთან – 19 პატენტი (ცხრილი 10.1.).

ცხრილი 10.1. პატენტები საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობით შექმნილ გამოგონებებზე

გამომგონებელი	პატენტის მფლობელი	უცხოური პატენტი	სფერო
რ. ქაცარავა და სსვ.	Medivac. LLC (USA)	US(8), EP(2) AU(1)	ბიოდევრატიკული პოლიმერი
ა. სულაქველიძე და სსვ.	Intralix, INK (USA)	EP (1)	ბაქტერიოფაგის გამოყენება სანაცისათვის
ა. მოსეშვილი და სსვ.	ა. მოსეშვილი	EP(1), AU(1)	მზის ენერჯის კონცენტრატორი
ე. ხვინია და სსვ.	“ABSARA” (RU)	EP(1), KR(1), US(1)	სპორტული დანიშნულების პლასტიკური ვაზნები
გ. ჯავახიშვილი	PTP PLASTIK Technologies and Products (NL)	EP(1), KR(1), US(1)	პლასტიკური მასალების გადამუშავება
თ. ჯავახიშვილი და სსვ.	თ. ჯავახიშვილი	EP(1)	სითბური სტრესის ცილების სინთეზი
ქ. მადლაკელიძე და სსვ.	Camelyn.LTD (US)	EP(1)	მედიკამენტი “კამელინი”

საქართველოში არ არსებობს პრაქტიკაში რეალიზებულ გამოგონებათა ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მდგომარეობა ქვეყანაში ამ თვალსაზრისით, როგორც ეს მოსალოდნელია, ძალზე კრიტიკულია.

საქართველოში გამოგონებების შექმნის, დაპატენტებისა და პრაქტიკული გამოყენების სფეროში ზემოთ აღწერილი მდგომარეობა, ძირითადად, შეიძლება აიხსნას საქართველოში ინოვაციური სისტემის შემაღლებული კომპონენტების განუვითარებლობით - კერძოდ, ქვეყანაში კრიტიკულად დაბალია კვლევებისა და დამუშავების სახელმწიფო დაფინანსების დონე. არ არსებობს მეცნიერებასა და ინდუსტრიას შორის ხელშესახები კავშირები, ლაბორატორიები არასაკმარისადაა აღჭურვილი თანამედროვე აპარატურით, სამეცნიერო და საინჟინრო საქმიანობა არაპროესტიჟულია, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიურ დარგებში ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, არ არსებობს საინოვაციო პროექტებში ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი გარემო და სხვა. არსებული მდგომარეობიდან გამოსვლა

საჭიროებს ქვეყნაში საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, პრიორიტეტების დადგენას, იმპლემენტაციისათვის აუცილებელი მექანიზმების ფორმირებას და სხვ. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია ევროპის პატარა, ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებთან (როგორებიცაა ესტონეთი, ირლანდია, ფინეთი და სხვ.) თანამშრომლობა, რაც შეიძლება განხორციელდეს ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

სასაქონლო ნიშნები. საქართველოში სასაქონლო ნიშნების დაცვა ხორციელდება უშუალოდ „საქპატენტში“ რეგისტრაციის ან ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმის საფუძველზე. სასაქონლო ნიშნებზე განაცხადების უდიდესი ნაწილი ეკუთვნის უცხოელებს. 2005-2009 წლების მონაცემებით⁸² უცხოელების მიერ შეტანილი განაცხადების წილი უდრიდა მთლიანად შესული განაცხადების 87,7%-ს (ცხრილი 10.2).

ცხრილი 10.2. სასაქონლო ნიშნებზე ადგილობრივი და უცხოური განაცხადების რაოდენობა (2005-2009 წწ.)

	2005	2006	2007	2008	2009
ადგილობრივი	508	401	553	759	623
უცხოური	3417	4071	4391	4651	3809
სულ	3952	4472	4944	5410	4432

უცხოელები თავისი ნიშნების რეგისტრაციას საქართველოში, ძირითადად, მადრიდის საერთაშორისო სისტემის საფუძველზე ახორციელებენ. 2009 წ. მონაცემებით უცხოელთაგან აქტიურობით გამოირჩეოდნენ გერმანელები (519), შვეიცარიელები (403), ამერიკელები (303), რუსები (283), ფრანგები (251), იტალიელები (220), თურქები (185) - ნიშანი.

განმცხადებელთა უმრავლესობა ყველაზე დიდ დაინტერესებას ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის (ფარმაცევტული, ვეტერინარული და ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.) საქონლის მიმართ იჩენს. ასევეა ინტერესი მე-9 (ელექტრული ხელსაწყოები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.), 35-ე (რეკლამა, ბიზნესის მართვა), მე-3 (პარფიუმერია, კოსმეტიკა, სარეცხი საშუალებები), 25-ე (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი) და 30-ე (ყავა, ჩაი, კაკაო და ა.შ.) კლასების საქონლის მიმართ.

⁸² <http://www.wipo.int/patentscope/search/en/search.jsf>

**ცხრილი 10.3. ცალკეულ ქვეყნებში შესული და ამ ქვეყნებიდან
წარმოშობილი განაცხადები სასაქონლო ნიშნებზე**

N	ქვეყანა	განაცხადები ქვეყანაში (სულ)	ქვეყნიდან წარმოშობილი განაცხადები (სულ)	ადგილობრივი განაცხადები	განაცხადები უცხოეთში
1	საქართველო	5441	932	749	183
2	სომხეთი	4735	1100	939	161
3	აზერბაიჯანი	5609	1172	908	264
4	ესტონეთი	4652	2421	1426	995
5	ლატვია	5101	3054	1536	1518
6	ლიტვა	6332	3180	2417	763
7	სლოვენია	5192	6053	1665	4398
8	ფინეთი	7328	8733	3846	4887

განაცხადების რაოდენობა (2008 წ.)⁸³ თუ შევადარებთ ცალკეულ ქვეყანაში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის მოთხოვნით შესული განაცხადების რაოდენობას (ცხრილი 10.4.) დავინახავთ, რომ 2008 წლის მონაცემებით, საქართველო (რომელსაც ამ წელს სხვა წლებთან შედარებით მაქსიმალური მაჩვენებელი ჰქონდა ის. ცხრილი 10.3), განაცხადების რაოდენობით უსწრებდა სომხეთს, ესტონეთს, ლატვიასა და სლოვენიასაც კი. მაგრამ ამ შედარებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ესტონეთზე, ლატვიასა და სლოვენიაზე, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე, ვრცელდება ევროგაერთიანების სასაქონლო ნიშნების (community trade mark) მოქმედება. ასეთ რეგისტრაციაზე კი განაცხადების რაოდენობამ 2008 წ. შეადგინა 88036⁸⁴. როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ვხედავთ, საქართველო ჩამორჩება ადგილობრივი განაცხადების რაოდენობით, როგორც თავის უშუალო მეზობლებს (აზერბაიჯანი და სომხეთი), ისე ბალტიისპირეთის ქვეყნებს.

რაც შეეხება უცხოეთში რეგისტრაციის მიზნით, ქვეყნებიდან წარმოშობილი განაცხადების რაოდენობას ამ მაჩვენებლით, საქართველო, ოდნავ უსწრებს სომხეთს, მაგრამ ჩამორჩება დანარჩენ ქვეყნებს, მათ შორის აზერბაიჯანს.

⁸³ საქპატენტის 2009 წ. ანგარიში, 18-20

⁸⁴ <http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/marks/>

არასასარბიელოდ გამოიყურება საქართველო სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის თვალსაზრისითაც (ცხრილი 10.4.) საერთაშორისო რეგისტრაციებით საქართველო (85 განაცხადი 10 წლის განმავლობაში) კატასტროფულად ჩამორჩება ბალტიისპირეთის ქვეყნებს.

ცხრილი 10.4. სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციები ცალკეული ქვეყნების მიხედვით (2001-2010 წ.წ.)⁸⁵

ქვეყანა	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	ლატვია	ლიტვა	ესტონეთი	სლოვენია	ფინეთი
რ-ბა	85	111	47	959	727	677	2318	2704

თუ შევაფასებთ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ მდგომარეობას მთლიანობაში შეიძლება ითქვას:

- უცხოური კომპანიების მხრიდან არსებობს გარკვეული ინტერესი საქართველოში მათი სასაქონლო ნიშნების დაცვის თვალსაზრისით, რაც სავარაუდოდ, თანაზომადია ექსპორტისა, რომელსაც ისინი ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში.

ქართული კომპანიები არ გამოირჩევიან მაღალი აქტიურობით სასაქონლო ნიშნების დაცვის კუთხით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამის ძირითადი მიზეზები უნდა ვეძებოთ მათი ეკონომიკური და ექსპორტთან დაკავშირებული აქტიურობის დონეში. აღნიშნულზე გავლენას ახდენს ისიც, რომ ბიზნესის წარმომადგენლები ცუდად არიან გაცნობიერებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

სამრეწველო ნიშნები. საქართველოში დიზაინის დაცვა სორციელდება უშუალოდ საქპატენტში რეგისტრაციის ან დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმების საფუძველზე. თუ 2003 წლამდე, დიზაინის რეგისტრაციაზე განმცხადებლების უმრავლესობას წარმოადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები, 2003 წლიდან, საქართველოს ჰააგის შეთანხმებასთან მიერთების შემდეგ, მოხდა უცხოურ განაცხადთა მკვეთრი ზრდა და მათმა საშუალო მაჩვენებელმა 300-ს გადააჭარბა, ამავე პერიოდში აღინიშნებოდა ადგილობრივი განაცხადების თანდათანობითი ზრდაც და 2009 წ. მათმა რიცხვმა მიაღწია 49-ს (ცხრილი 10.5).

⁸⁵ http://oami.europa.eu/ows/rw/resource/documents/OHIM/statistics/ssc009-statistics_of_community_trade_marks_2010.pdf

ცხრილი 10.5. დიზაინზე განაცხადების რაოდენობა საქართველოში რეგისტრაციის მოთხოვნით (2000-2009 წ.წ.)⁸⁶

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ადგილობრივი	31	28	29	23	33	36	25	41	38	49
უცხოური	3	6	6	15	12	10	18	15	17	18
საერთაშორისო	0	0	0	55	272	284	342	309	311	204
სულ	34	34	35	93	317	330	385	365	366	271

2005-2009 წლებში „საქპატენტში“ შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების უმრავლესობა წარმოადგენს ობიექტებს, რომლებიც განეკუთვნება მე-9 კლასს (ტარა, საფუთავები, კონტეინერები) და გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირების და შენახვისათვის, თუმცა არის სხვა სახის ობიექტებიც, მაგალითად ავეჯი, სატრანსპორტო და სარეკლამო საშუალებები. საერთაშორისო პროცედურით, საქართველოზე უფლებათა გავრცელების მოთხოვნით განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტს წარმოადგენენ საათები და მათი საკუთნო, საიუველირო ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები. უცხოელი განმცხადებლებიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან შვეიცარიელები, გერმანელები და საფრანგეთის წარმომადგენლები⁸⁷.

თუ შევადარებთ ცალკეულ ქვეყანაში დიზაინის რეგისტრაციის მოთხოვნით შესული განაცხადების რაოდენობას (ცხრილი 10.6.) დაინახავთ, რომ 2008 წლის მონაცემებით, საქართველო განაცხადების რაოდენობით უსწრებს როგორც ამიერკავკასიის, ისე ბალტიისპირეთის ქვეყნებს და ფინეთს. მაგრამ აქაც, ისევე როგორც სასაქონლო ნიშნების შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, ფინეთსა და სლოვენიაზე, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე, ვრცელდება ევროგაერთიანების დიზაინის (community design) მოქმედება, ხოლო ასეთ რეგისტრაციაზე განაცხადების რაოდენობამ 2008 წ. შეადგინა 19232⁸⁸. როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ვხედავთ, საქართველო როგორც ადგილობრივი ისე უცხოეთში განაცხადების რაოდენობით, უსწრებს სომხეთსა და აზერბაიჯანს, მაგრამ ამ მაჩვენებლებით ჩამორჩება ფინეთს, სლოვენიასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს.

⁸⁶ <http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/marks/>

⁸⁷ საქპატენტის წლიური ანგარიშები (2000-2009 წ.წ.)

⁸⁸ <http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/designs/>

ცნრილი 10.6. ცალკეულ ქვეყნებში შესული და ამ ქვეყნებიდან წარმოშობილ დიზაინზე განაცხადების რაოდენობა (2008 წ.)⁸⁹

ქვეყანა	განაცხადები ქვეყანაში	ადგილობრივი განაცხადები	ქვეყნიდან წარმოშობილი განაცხადები (სულ)	განაცხადები უცხოეთში
საქართველო	358	38	66	28
სომხეთი	272	8	9	1
აზერბაიჯანი	55	25	25	0
ესტონეთი	135	84	128	44
ლატვია	125	89	144	55
ლიტვა	48	39	85	46
სლოვენია	634	85	295	210
ფინეთი	220	206	2545	2339

ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა საქართველოში ხდება „საქპატენტში“, მათი რეგისტრაციის ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. დღეს საქართველოში რეგისტრირებულია 18 ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება⁹⁰). გარდა ამისა ქვეყანაში დაცვას ექვემდებარება ადგილწარმოშობის დასახელებების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ, ლისაბონის შეთანხმებით დაცული 805 სხვადასხვა ქვეყნის ადგილწარმოშობის დასახელება⁹¹. 2010 წ. ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებას ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოში დაცული იქნება 4000-მდე ევროპული დასახელება, ხოლო, თავის მხრივ, ევროკავშირი უზრუნველყოფს 18 ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების დაცვას.

⁸⁹ საქპატენტის წლიური ანგარიში (2009 წ.) 14-17

⁹⁰ http://oami.europa.eu/ows/rw/resource/documents/OHIM/statistics/ssc007- statistics_of_community_designs_2008.pdf

⁹¹ http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=133

აღსანიშნავია, რომ საქართველოსაგან განსხვავებით, ევროკავშირში დღეს დაცვას ექვემდებარება სოფლის მეურნეობისა და სურსათის მრავალი სახის პროდუქციის (ღვინო, სპირტიანი სასმელები, ხილი, ბოსტნეული, ყველი, ლორი, ხორცი, პური და სხვ.) ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა. საქართველოს კარგი პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის სწავდასწავა პროდუქციის გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცვის თვალსაზრისით, რაც დაეხმარება შესაბამისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ქვეყნის შიდა ბაზრის მოწესრიგებას, მის საექსპორტო შესაძლებლობების ზრდას და სხვ. ეს მიმართულება, სასურველია, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდეს.

11. საზოგადოების გატნობიერება

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე მისი ცალკეული წრეების ამ სფეროში გაცნობიერება წარმოადგენს. ამ საქმიანობას საქართველოში ძირითადად ახორციელებს „საქპატენტი“, სწავდასწავა საერთაშორისო, უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან კოოპერაციაში. ამ მიზნით აქტიურად გამოიყენება გამოცემები, სემინარები, ინტერნეტი, მედია საშუალებები და სხვ. „საქპატენტის“ თანამშრომლები კითხულობენ ლექციებს თბილისის სწავდასწავა უნივერსიტეტებში.

„საქპატენტის“ მიერ მომზადებული და ქართულ ენაზე გამოცემულია:

- ინტელექტუალური საკუთრების სწავდასწავა ობიექტებთან დაკავშირებული ბროშურები;
- ბავშვებისთვის განკუთვნილი კომიქსები;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების ტექსტები;
- საერთაშორისო კლასიფიკაციები;
- საერთაშორისო სემინარების მასალები;
- სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ინტელექტუალური საკუთრება“.

„საქპატენტის“ თანამშრომელთა მიერ ითარგმნა ისმოს სახელმძღვანელო წიგნი „ინტელექტუალური საკუთრება“, რომელსაც წარმატებით იყენებენ უნივერსიტეტებში. ასევე გამოცემულია ქართველ ავტორთა ორიგინალური წიგნები; გამოცემების ძირითადი ნაწილი

ხელმისაწვდომია "საქპატენტის" ვებ-გვერდზე - www.sakpatenti.org.ge. აქვეა განთავსებული "საქპატენტში" რეგისტრირებული სამრეწველო საკუთრების ობიექტთა მონაცემთა ბაზები.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების გაცნობიერების დონე არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურება. ამ მხრივ ეფექტურ საშუალებად გვესახება სპეციალიზებული სასწავლო ცენტრის შექმნა, რომელიც ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების კულტურის ამაღლების პროცესს შესძენს სისტემურ და მიზანმიმართულ ხასიათს, კერძოდ, განახორციელებს ცალკეული სამიზნე ჯგუფებისთვის (მეცნიერები, ბიზნესის წარმომადგენლები, სახელმწიფო მოხელეები, სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკები და სხვ.) სპეციალურად შემუშავებული პროგრამების საფუძველზე, შესაბამის სწავლებას, ამ სფეროში პროფესიონალურ (ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი, აუდიტი, კომერციალიზაცია და სხვ.) მომზადებას.

ამ ცენტრის საქმიანობა უნდა დაეფუძნოს მჭიდრო კოოპერაციას სხვადასხვა საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან, რომლებიც დღეს წარმატებით საქმიანობენ ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ხასიათის სწავლებისა და კვლევის სფეროში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის აკადემია⁹²;
- ევროპის საპატენტო უწყების საერთაშორისო აკადემია⁹³;
- ინტელექტუალური საკუთრების სწავლების საერთაშორისო ცენტრი (სტრასბურგი)⁹⁴;
- მალმეს უნივერსიტეტი (შვედეთი)⁹⁵;
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა და ტურინის უნივერსიტეტის ერთობლივი პროგრამა⁹⁶.

⁹² <http://www.wipo.int/academy/en/>

⁹³ <http://www.epo.org/about-us/office/academy.html>

⁹⁴ <http://www.ilm-guide.com/georgia-europe> <http://www.ceipi.edu/index.php?id=5415&L=2>

⁹⁵ <http://www.google.ge/#hl=ka&q=malme+university+intellectual+property&f=430a671e313bac64&biw=825&bih=421>

⁹⁶ http://www.wipo.int/academy/en/teaching/teaching_research/turin.html

12. არსებული ვაჭრობის დაცვა და რეგულირება

თანამედროვე მსოფლიოში სამრეწველო საკუთრების დაცვა წარმოადგენს ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. იგი აღიარებულია ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციური პროცესების წარმართვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად. ბოლო ათწლეულებში არსებული სისწრაფით გაიზარდა სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული აქტიურობა, მისი ობიექტები (პატენტები, სასაქონლო ნიშნები, დიზაინი) იქცნენ ეკონომიკური სუბიექტების ყველაზე ღირებულ აქტივებად. კარდინალურად შეიცვალა სამეცნიერო დაწესებულების ჩართულობა საინოვაციო პროცესებში. წამყვანი უნივერსიტეტები გახდნენ მსხვილი საპატენტო პორტფელების მფლობელები და ახალი მაღალტექნოლოგიური დარგების შექმნის მაინიცირებელი ცენტრები.

მრავალი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ასევე მოექცა გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობა. გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა გახდა რეგიონალური განვითარებისა და ექსპორტული პოტენციალის ზრდის სტრატეგიული მიმართულება.

სამრეწველო საკუთრების დაცვა წარმოადგენს ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტს.

ამჟამად ეს თანამშრომლობა ხორციელდება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით მიღებული ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

დღეს ქვეყანაში არსებობს სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების მოპოვებისა და განხორციელების ყველა ძირითადი ინსტიტუტი. მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა, საქართველო მიერთებულია ყველა ბაზისურ საერთაშორისო შეთანხმებასა და კონვენციას. ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესაბამისად, რაც დადასტურდა ჩვენი კვლევითაც, ამ ეტაპზე ძირითად გამოწვევას სამრეწველო საკუთრების დაცვის კანონმდებლობის აღსრულება, ამ სფეროში საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება, საპატენტო ინფორმაციის გამოყენება, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება და უფლებების განხორციელებაზე მიმართული რესურსების ზრდა წარმოადგენს.

კერძოდ, როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა:

- დაბალია სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული აქტიურობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში;
- ქვეყანაში არ არსებობს გამოგონებების შექმნის, დაცვისა და გამოყენების სისტემური მექანიზმი, უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები არ იჩენენ ინტერესს ინოვაციური საქმიანობისადმი;
- სამეცნიერო ცენტრებთან არ ფუნქციონირებს საპატენტო-სალიცენზიო სამსახურები, გამოყენებითი ხასიათის კვლევითი სამუშაოები ტარდება წინასწარი საპატენტო-საინფორმაციო ძიების გარეშე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ჩატარებული კვლევების ხარისხსა და მათი შედეგების გამოყენების რეალურ შესაძლებლობებზე;
- ქვეყანაში დღესდღეობით, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა შემოიფარგლება ღვინითა და მინერალური წყლებით, რაც არ ასახავს საქართველოში ამ თვალსაზრისით არსებულ მდიდარ პოტენციალს, არ არსებობს გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების გამჭოლი კონტროლის (ნედლეული - პროდუქცია) სათანადო დონეზე ორგანიზებული სისტემა;
- როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ისევე მეცნიერებისა და ბიზნესის წარმომადგენლები არ ფლობენ ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებულ საკმარის ცოდნას და საჭიროებენ მის ამაღლებას.

საგამომგონებლო საქმიანობის განვითარებისა და მისი შედეგების პრაქტიკული რეალიზების ხელშესაწყობად, უპირველესად საჭიროა: ქვეყანაში საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ევროპულ და სხვა მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, მოიცავდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, პრიორიტეტების დადგენას, იმპლემენტაციისათვის აუცილებელი მექანიზმების ფორმირებას და სხვ.

მსხვილ სამეცნიერო ცენტრებთან უნდა შეიქმნას სპეციალური საპატენტო-საინფორმაციო სტრუქტურები, რომლებიც მეცნიერებსა და ინჟინრებს გაუწევენ კონსულტაციებს სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებზე, დაეხმარებიან გამოგონების გამოვლენასა და განაცხადების გაფორმებაში, აგრეთვე საპატენტო-საინფორმაციო ძიების ჩატარებაში, როგორც სამუშაოთა დაგეგმვის, ისე განხორციელების პროცესში.

უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების გამოცდილების გათვალისწინებით, საინოვაციო საქმიანობის განვითარებასთან ერთად, მომავალში აღნიშნული სტრუქტურების ბაზაზე, შეიძლება შეიქმნას თანამედროვე ტიპის ტექნოლოგიების გადაცემის

ბიუროები, რომელთა ძირითადი ამოცანა იქნება გამოგონების კომერციალიზაცია, ბიზნეს პარტნიორების მოძებნა, ბიზნეს პროგრამების შედგენა, სალიცენზიო ხელშეკრულებების გაფორმება, საჭიროების შემთხვევაში ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა და სხვა.

გამოყენებითი ნასიათის სამეცნიერო კვლევების თემატიკის შერჩევისას აუცილებელია დაინერგოს წინასწარი საპატენტო-საინფორმაციო ძიების ჩატარების პრაქტიკა, რათა არ მოხდეს სამუშაოთა დუბლირება, განისაზღვროს მოსალოდნელი შედეგების პერსპექტიულობა და კონკურენტუნარიანობა.

ქვეყანაში, სამრეწველო საკუთრების დაცვის კულტურის ამაღლების მიზნით, გაფართოვდეს სამიზნე ჯგუფებზე (მეცნიერები, ბიზნესმენები, სამართალდამცავები და სხვა) ორიენტირებული სემინარებისა და ტრენინგების ჩატარების პრაქტიკა. დღის წესრიგში დადგეს სპეციალიზებული სასწავლო ცენტრის შექმნის საკითხი, რომელიც სწავლების პროცესს ცალკეული ჯგუფებისთვის სპეციალურად შემუშავებული პროგრამების საფუძველზე განხორციელებს და უზრუნველყოფს ამ სფეროში პროფესიონალურ მომზადებასა და გადაამზადებას. ამ ცენტრის საქმიანობა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან ფართო და მიზანმიმართული თანამშრომლობის ფარგლებში.

გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარების მიზნით მიზანშეწონილად გვესახება:

- ჩატარდეს კვლევები საქართველოს ტრადიციული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ადგილწარმოშობის დასახელებებითა და გეოგრაფიული აღნიშვნებით, დაცვის შესაძლებლობის გამოვლენის მიზნით და მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები;
- განხორციელდეს ღონისძიებები რეგიონების ხელმძღვანელების, ფერმერებისა და სურსათის მწარმოებლების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საკითხებზე გაცნობიერებისა და შესაბამისი ინიციატივების სახელმწიფო დონეზე მხარდაჭერის კუთხით;
- ადგილწარმოშობის დასახელებებითა და გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქციისადმი (როგორც ქვეყნის შიდა ისე საერთაშორისო ბაზარზე) მომხმარებლის მაღალი ნდობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში შეიქმნას აღნიშნული პროდუქციის ევროპული სტანდარტების შესაბამისი კონტროლისა და სერტიფიცირების სისტემა. ამ სისტემის შექმნა განდეს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

შემუშავდეს სპეციალური პროგრამა საქართველოში ადგილწარმოშობის დასახელებებითა და გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების, მისი წარმოების წახალისებისა და ექსპორტის განხორციელების მიზნით.

ამ საკითხებში ევროკავშირის მდიდარი გამოცდილება გამოყენებული უნდა იყოს არა მხოლოდ საფლაგმანო ინიციატივის (DCFTA) ამოცანების გადასაწყვეტად, არამედ საერთოდ, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული პოლიტიკის დაახლოებისთვის, რასაც EaP მეორე (ეკონომიკური) პლატფორმა გულისხმობს.

თავი IV

EaP და საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში

ოლეგ შატბერაშვილი

1. შესავალი

ევროინტეგრაციის პროცესში, აღმოსავლეთის პარტნიორობის 6 ქვეყნისთვის, ერთ-ერთი სირთულე ევროპული და ადგილობრივი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში პოლიტიკის დაახლოებაა. ევროპული სასოფლო-სამეურნეო (ს/ს) პოლიტიკის ძირითადი იდეები, როგორცაა სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალ-კულტურული განსხვავებების შემცირება და ზოგიერთი სხვა, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ორი ათეული წლის განმავლობაში აღიქმებოდა როგორც საბაზრო ეკონომიკის საწინააღმდეგო თეორიები. უფრო მეტიც, ასეთი მიდგომა სოციალისტური აზროვნების გადმონაშთად ითვლებოდა, რამაც EaP ქვეყნების სოფლის მეურნეობა (ს/მ) მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა – ვერც ერთ მათგანში ვერ მიაღწიეს ს/ს წარმოების თუნდაც საბჭოთა პერიოდის მაჩვენებლებს, რომ არაფერი ვთქვათ ევროპულზე. საქართველო ამ მხრივ განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ჩანართი 1

საქართველოს ს/ს პროდუქცია მშპ-ს 10%, ფულად გამოსახულებაში 1,7 მლრდ ლარია (USD 1 მლრდ). დაახლოებით ამ ღირებულების ს/ს პროდუქტს აწარმოებს სინგაპური, სადაც ს/ს მიწას 1,5% პროცენტი უკავია და მოსახლეობის 0,1 პროცენტია ს/მ დაკავებული. სინგაპურის ს/მ სხვადასხვა მონაცემით მშპ-ს 0,7-0,2 პროცენტს შეადგენს. მშპ, მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით, დაახლოებით, 300 მლრდ აშშ დოლარია.

EaP პროგრამის ეკონომიკური პლატფორმის ჩარჩოებში სოფლის მეურნეობა განსაკუთრებული ყურადღების საგანი არაა. პირდაპირ მითითებულია მხოლოდ ს/ს პროდუქტებისა და სურსათის ხარისხის კონტროლის საკითხი. მაგრამ პოლიტიკების დაახლოების საერთო კონტექსტში, რასაც პროგრამის მეორე პლატფორმა გულისხმობს, საქართველო ს/ს პოლიტიკას გვერდს ვერ აუვლის¹.


¹ Communication from the Commission to the European Parliament and the Council. Taking stock of the European Neighbourhood Policy (ENP). *Implementation of the European Neighbourhood Policy in 2009: Progress Report Georgia*. p.11, Brussels, 12/05/2010, SEC(2010) 518. (ec.europa.eu/world/enp/pdf/progress2010/sec10_518_en.pdf)

2. სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ევროკავშირში

2.1. ზოგადი მიმოხილვა

პირველ რიგში განვიხილოთ, რას გულისხმობენ ევროპაში სოფლის (ან სასოფლო სივრცის) ქვეშ. ესაა ტერიტორია, რომელზეც მოსახლეობის სიმჭიდროვე <150 მოსახლე/კვ. კმ-ზე. ასეთ სივრცეს ევროკავშირში ტერიტორიის 90% უკავია და იქ მოსახლეობის 50% ცხოვრობს.

ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 1-2%-ია, მთლიანად ევროკავშირში – 2,4%. მაგრამ, სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელთა მნიშვნელობა ცდება წმინდა ეკონომიკურ საკითხებს (იხ. ქვემოთ), ს/ს პოლიტიკას ევროკავშირში კვლავ ცენტრალური ადგილი უკავია. აქედან გამომდინარე, ევროკომისიის სახსრების განაწილებაში ს/მეურნეობისა და სოფლისთვის გაწეულ დახმარებას ლომის წილი ეთმობა (ნახ. 2.1). გარდა ამისა, ს/ს პოლიტიკა ევროკავშირში ერთიანია – ფერმერებისთვის პირდაპირი გადახდების სახით განკუთვნილი დახმარება ბრიუსელიდან ნაწილდება. ქვეყნებს სხვა ამ ტიპის დახმარების გაწევის უფლება არა აქვთ. ერთიანი პოლიტიკა მოქმედებს 1954 წლიდან და ევროინტეგრაციის ერთ-ერთ უძველეს და უძლიერეს მექანიზმს წარმოადგენს. ამჟამად EU15 ქვეყანაში 1 ჰა მიწაზე წლიურად გაიცემა 500 ევროზე მეტი და 100 ევრომდე – ახალ-მიერთებულ ქვეყანაში.



წყარო: Wikipedia

ნახ. 2.1. ევროკომისიის სახსრების განაწილება

2.2. ევროკავშირის სოფლის მეურნეობა

ევროკავშირის ს/ს პოლიტიკის შედეგია მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალკონკურენტუნარიანი ს/მ ჩამოყალიბება. მისი წლიური მოცულობაა 400 მლრდ ევრო (ამაში არ შედის მეთევზეობა და მეტყვეობა²), აქედან 75 მლრდ ევროს ექსპორტია. კვების მრეწველობასთან ერთად ს/მ უკვე 1 ტრლნ ევროს პროდუქციას ქმნის. შესრულდა ევროკავშირის გაფართოების ამოცანა, რის შედეგადაც ევროკავშირს შეემატა მრავალი ფერმერი, ამასთან ისეთიც, რომელსაც განსაკუთრებული დახმარება ესაჭიროებოდა. ევროკავშირის ს/მ-ამ დაამტკიცა თავისი ძალა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირს აქვს მოთხოვნა, რომ ს/მ განახლებისა და გარდაქმნის გზით განვითარდეს.

ევროკავშირში სოფლის მეურნეობისადმი განსაკუთრებული ყურადღება რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

- სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიას;
- ტრადიციული ს/ს საქმიანობა ქვეყნის რეკრეაციული და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;
- ს/ს პროდუქტები ეროვნული იდენტურობის მნიშვნელოვანი ელემენტია;
- ს/მ-ის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის განვითარების საკითხების გადაჭრის საჭიროება. ამიტომ, ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა, რომელიც, ძირითადად, ევროპული სოფლის განვითარების სასოფლო-სამეურნეო ფონდიდან³ და რეგიონული განვითარების ფონდებიდან (ე.წ. სტრუქტურული ფონდებიდან)⁴ ფინანსდება (ნახ. 2.1.). სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შესანარჩუნებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუ გავიხსენებთ, რომ ფერმის წლიური შემოსავლის საშუალო სიდიდე მხოლოდ 35,000 ევროა, გასაგები ხდება რატომ აქვს სოფლის მოსახლეობისთვის შემოსავლების სხვა (დამატებით) წყაროებს ასეთი არსებითი მნიშვნელობა.

² მეთევზეობისა და თევზის გადამამუშავების წილი ევროკავშირში უმნიშვნელოა – იგი კვების მრეწველობის (1 ტრილიონი ევრო) დაახლოებით 2% შეადგენს. მეტყვეობისა და მასთან დაკავშირებული მრეწველობის წლიური მოცულობა ევროკავშირში დაახლოებით 400 მლრდ ევროს შეადგენს.

³ Agricultural Fund for Rural Development (EAFRD)

⁴ europa.eu/scadplus/glossary/structural_cohesion_fund_en.htm

2.3. ევროკავშირის ერთიანი სს პოლიტიკის ცვლილება

თანდათან შეიცვალა დახმარების მიზნები: თუ წინათ დახმარება გარკვეული პროდუქტების წარმოების სტიმულირებისთვის გაიცემოდა, ამჟამად იგი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ფერმის მოვლის სტანდარტების დასაცავად გაიცემა. ცვლილების მიზანია, ერთი მხრივ, დააკმაყოფილოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნა ამ ორგანიზაციის წესების (სუბსიდირებასთან დაკავშირებით) დარღვევის შეწყვეტის თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ, მიმართოს სახსრები კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგოდ (სათბურის გაზის ატმოსფეროში გაფრქვევის 30% მეტი ს/ს აქტივობის შედეგად), ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მისაღწევად (ბიოსაწვავი) და სხვა. მაშასადამე, ცვლილების უმთავრესი შინაარსი წარმოების მხარდაჭერიდან გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების და სოფლის განვითარების ღონისძიებათა მხარდაჭერაზე გადასვლაა. ფერმერებისთვის უშუალო (პირდაპირი) გადახდების საერთო თანხა არ შემცირებულა.

2.4. სოფლის განვითარების პროგრამები

სოფლად შემოსავლების ზრდისა და კომფორტული, ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად, ევროპული სტრუქტურული ფონდები და ეროვნული მთავრობები რამდენიმე დებულებით ხელმძღვანელობენ:

- გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის პოტენციალს შეიცავს;
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა ხელს უწყობს ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებასა და ტურიზმის განვითარებას;
- სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისა და ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია სოფლის ტელეკომუნიკაციით, ტრანსპორტით, ენერჯითა და წყლით მომარაგების უზრუნველყოფა;
- ინფორმაციისა და განათლების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე საინფორმაციო საზოგადოების განვითარება სოფლად, მისი ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა;
- სოფლად პროდუქციის გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების ზრდას.

ჩამოთვლილი დებულებები სრულად პასუხობენ „ლისაბონის სტრატეგიის“ და „ევროპა - 2020-ს“⁵ მოთხოვნას [ეკონომიკური] „ზრდისა და მეტი, უკეთესი, სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ“.

⁵ „ლისაბონის სტრატეგია“ – იხ. ო. შატბერაშვილი. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია წიგნში: **მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია**. რედაქტორები: ო. შატბერაშვილი და ი. გოგოძე. ევსიგ, თბილისი, 2010. (www.inovdev.ge). „ლისაბონის სტრატეგიის“ სს ასპექტები იხ. აგრეთვე Putting rural development to work for jobs and growth. Special Edition Newsletter. Directorate-General for Agriculture and Rural Development, European Commission, 2005. (http://ec.europa.eu/agriculture/publi/newsletter/lisbon/special_en.pdf). „ევროპა - 2020“ (http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm)

კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ ის წყაროები, საიდანაც სოფლის მოსახლეობამ შეიძლება მიიღოს დახმარება სოფლის მეურნეობისა თუ სოფლის განვითარებისთვის:

- რეგიონული მთავრობა
- ეროვნული მთავრობა
- ევროპული სასოფლო-სამეურნეო გარანტიების ფონდი – ფერმერებისათვის პირდაპირი გადახდის სქემის ფუნქციონირებისთვის
- ევროპული სოფლის განვითარების სასოფლო-სამეურნეო ფონდი – სოფლის განვითარების პროგრამებისთვის
- ევროპული სტრუქტურული ფონდები.

2.5. სასოფლო-სამეურნეო კვლევები

ზოგადად, გარემოს დაცვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ზრდის მოთხოვნებს შორის წინააღმდეგობა არსებობს. ს/ს წარმოების მრავალი ტრადიციული მეთოდი (მაგალითად, ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება, სასაძოვრო მეცხოველეობა) გარემოზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. სოფლის განვითარების ღონისძიებებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ვიწრო ს/ს წარმოების ინტერესებთან. გარდა ამისა, სოფლის განვითარებისთვის საჭირო ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, ჯანდაცვის, განათლების, წარმოებისა და სხვა საკითხები ქალაქთან შედარებით, სხვაგვარ გადაწყვეტას თხოულობენ. წინააღმდეგობების გადამლახავი ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების შემუშავება მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია. ცალკე ამოცანაა ახალი ტექნოლოგიები მცირე ფერმერული მეურნეობებისთვის. ვინაიდან ფერმერულ მეურნეობებს, დიდებსაც კი, ზემოხსენებული მოკრძალებული შემოსავლების მქონე ფერმერებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ძვირადღირებული კვლევების დაკვეთა არ შეუძლიათ, მეცნიერების დაფინანსების ტვირთს სახელმწიფოები და ევროკავშირი კისრულობენ. ეს სოფლისთვის გაწეული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი (არაპირდაპირი) დახმარებაა.

ევროგაერთიანება კვლევებისთვის კვლევებსა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამებში ითვალისწინებს სახსრების გამოყოფას. ამჟამად მიმდინარე მე-7 ჩარჩო პროგრამაში სახსრების 4% ს/ს კვლევაზე ინარჯება⁶. სასურველია გავისხენოთ, რომ სოფლის მეურნეობის წილი ევროკავშირის მშპ-ში 2% არ აღემატება. ჩარჩო პროგრამა, წევრი ქვეყნების ს/ს კვლევის ეროვნულ პროგრამებთან ერთად (რომელთა ჯამური დაფინანსება მრავალჯერ აღემატება ჩარჩო პროგრამით ს/ს კვლევის დაფინანსებას), ევროკავშირში კვლევის საჭირო დონეს ქმნის.

⁶ Official Journal of the European Union, 30.12.2006, L400/368 - 434 (<http://cordis.europa.eu/fp7/dc/index.cfm>)

კვლევისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო პროგრამა მოიცავს ს/ს კვლევის შემდეგ მიმართულებებს:

- “სურსათი, სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა, ბიოტექნოლოგია”;
- მიწის, ტყის და წყლის ბიოლოგიური რესურსების წარმოება და მართვა;
- „ფერმიდან ჩანგლამდე” – სურსათი (თევზპროდუქტების ჩათვლით);
- მეცნიერება სიცოცხლის შესახებ, ბიოტექნოლოგია და ბიოქიმიკა არასაკვები პროდუქტებისა და პროცესებისთვის.

მე-7 პროგრამას მართავს კვლევისა და ინოვაციის გენერალური დირექტორატი⁷, რომელთანაც ს/ს მიმართულების სამართავად შექმნილია სასოფლო-სამეურნეო კვლევის მუდმივი კომიტეტი⁸. მასში შედიან სწვა დაინტერესებული დირექტორატების - სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, მეთევზეობის, გარემოს დაცვის, - წარმომადგენლები და წამყვანი მეცნიერები. კომიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სტრატეგიისა და პროგნოზების შემუშავებაა.

2.6. ეროვნული ს/ს საინოვაციო სისტემა


როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნების მიერ დაფინანსებული კვლევების ჯამური მოცულობა ევროკომისიის მიერ კვლევაზე გაწეულ ხარჯებს აღემატება. ს/ს კვლევები წარმოებს ქვეყნებში როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე (რეგიონული მთავრობების დაფინანსებით).

როგორც ევროკომისიის, ასევე ქვეყნების მიერ დაფინანსებული კვლევების შედეგების ფერმერებამდე და მეწარმეებამდე დაყვანა, რაც უშუალოდ საინოვაციო პროცესის შინაარსს წარმოადგენს, მთლიანად ეროვნული მთავრობების პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება. ამ მიზნით ქვეყნებში მოქმედებენ სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები, მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული მთავრობების მიერ. ს/მ სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ სამსახურების როლი ს/მეურნეობაში, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოების სფეროში. ეროვნული საინოვაციო სისტემის სქემა მოყვანილია ნახ. 2.2-ზე. ს/ს კვლევითი და საინოვაციო სისტემების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლება სტატიიდან⁹. თითქმის ყველა ქვეყანაში, კვლევაზე გაწეულ საერთო ხარჯებში, ს/ს ხარჯების წილი აღემატება ს/მ წილს ეკონომიკაში, ზოგიერთში კი ძლიერ აღემატება (იხ. ცხრილი 2.1.). მიზანშეწონილია ეროვნული ს/ს კვლევითი სისტემების კონკრეტული ქვეყნების მაგალითებზე განხილვა.

⁷ DG Research, Innovation and Science

⁸ SCAR (Standing Committee on Agriculture Research) დაფუძნდა 1974 წელს (Regulation (EEC) No. 1728/74 of the Council of 27 June 1974). http://ec.europa.eu/research/era/pdf/citizen-summary_en.pdf

⁹ ო. შატბერაშვილი. ევროპული საინოვაციო პოლიტიკა სოფლის მეურნეობის სფეროში. წიგნში „მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია”, რედაქტორები: ო. შატბერაშვილი, ი. გოგოძე, ევსიგ, თბილისი, 2010



ნახ. 2.2. ეროვნული სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემა

ცხრილი 2.1. სს კვლევების მოცულობა ცალკეულ ქვეყნებში

ქვეყანა	ს/ს კვლევის წილი მთლიანად კვლევებში %	სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში %
დანია	8	2,5
ლიტვა	18	4,4
კვიპროსი	20	3

სლოვაკეთის სს კვლევითი სისტემა¹⁰

იგი 5 უნივერსიტეტსა და 18 საჯარო კვლევით ორგანიზაციას მოიცავს. აქედან 7 კვლევითი ცენტრი შედის სოფლის მეურნეობის სამინისტროში:

სასოფლო-სამეურნეო კვლევის ცენტრი (შტაბ-ბინა - ქ. ნიტრა) სამი ინსტიტუტით:

მცენარეთა კვლევითი ინსტიტუტი (ქ. პრეშტიანი)

მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ნიტრა)

სამთო სოფლის მეურნეობისა და საძოვრების კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ბანსკა ბისტრიცა)

ნიადაგმცოდნეობისა და კონსერვაციის კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)

სურსათის კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)

¹⁰ http://ec.europa.eu/research/agriculture/scar/index_en.cfm?p=1_sk&m=detail

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ეკონომიკის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
მეტყველობის კვლევითი ინსტიტუტი (ქ. ზვოლენი)

11 ინსტიტუტი **სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის** დაქვემდებარებაშია, კერძოდ:
გენეტიკისა და მცენარეთა ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ნიტრა)
ს/ს ცხოველთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი (ქ. კოშიცე)
პარაზიტოლოგიის ინსტიტუტი (ქ. კოშიცე)
ბიოქიმიისა და ცხოველთა გენეტიკის ინსტიტუტი (ქ. ივანკა დუნაიზე)
მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
სოციოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
ლანდშაფტური ეკოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
ტყის ეკოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ზვოლენი)
ბოტანიკის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
ვირუსოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)
ნეგროიმუნოლოგიის ინსტიტუტი (ქ. ბრატისლავა)

სასოფლო-სამეურნეო კვლევა წარმოებს 5 **უნივერსიტეტში**:
სლოვაკეთის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი (ქ. ნიტრა)
ვეტერინარული უნივერსიტეტი (ქ. კოშიცე)
კომენიუსის უნივერსიტეტი (ქ. ბრატისლავა)
სლოვაკეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (ქ. ბრატისლავა)
ტექნიკური უნივერსიტეტი (ქ. ზვოლენი)

კვლევის თემატიკას ადგენს *სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია*.

აბროკვლევა ფინეთში¹¹

ფინეთის სოფლის მეურნეობისა და მეტყველობის სამინისტრო პასუხისმგებელია პოლიტიკაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა (ს/მ, მეტყველობა, მეთევზეობა და ნადირობა, წყლის ბიორესურსები და სოფლის განვითარება) და სურსათის უსაფრთხოებაზე. გააჩნია რა 5 საკუთარი აგროკვლევითი ინსტიტუტი და ბიუჯეტი აგროკვლევების საკონკურსო დაფინანსებისთვის, იგი ს/ს კვლევის სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მის მიერ ორგანიზებული კონკურსები მიმართულია: მეცნიერებაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებულ პროექტებზე; კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად და ეთიკურად მდგრადი ტექნოლოგიების შემუშავებაზე, სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. პოლიტიკის შემუშავებასა და პროექტების გადარჩევაში მას ეხმარება *აგრო-სასურსათო კვლევის საკონსულტაციო საბჭო*, სამინისტრო თანამშრომლობს კვლევის დამფინანსებელ ევროპულ და სხვა ფინურ ორგანიზაციებთან, რომლებსაც ასევე გააჩნიათ აგროსექტორის რელევანტური კვლევის მიმართულებები და პროგრამები.

კერძოდ:

ფინეთის ეროვნულ ტექნოლოგიურ სააგენტოსთან (Tekes), პროგრამებით ბიოტექნოლოგიისა და სურსათის ინოვაციის სფეროებში;

ფინეთის აკადემიასთან, უპირატესად ფუნდამენტურ კვლევაზე ორიენტირებული პროგრამებით: კვება, სურსათი და ჯანმრთელობა; გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გავლენა ჯანმრთელობაზე.

¹¹ (http://ec.europa.eu/research/agriculture/scar/index_en.cfm?p=1_fi)

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ კვლევებს ასრულებენ:
 სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 5 ინსტიტუტი;
 გარემოს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 1 ინსტიტუტი;
 ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 2 ინსტიტუტი;
 სოციალური საკითხებისა და ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 1 ინსტიტუტი;
 განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 4 უნივერსიტეტი.

ზემოთ მოყვანილი ორი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს სოფლის მეურნეობის სამინისტროების ჩართულობას ს/ს კვლევების წარმართვაში და, აგრეთვე, საუნივერსიტეტო და აკადემიური მეცნიერების მონაწილეობას ს/ს კვლევებში. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დონე ევროპაში, ძალიან მაღალია.

2.7. საკონსულტაციო სამსახურები

უკვე აღვნიშნეთ, რომ კვლევების დაყვანა ფერმერებამდე ს/მ განვითარების საკვანძო საკითხია. განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა, რის გამოც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია იძულებული გახდა გამოეცა სახელმძღვანელო ამ ქვეყნების პოლიტიკური ხელმძღვანელებისთვის¹². სამსახურების დანიშნულებაა ინდივიდუალური ფერმერების ტექნოლოგიური თუ მენეჯმენტის პრობლემების გადაწყვეტა. ევროპა, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში. ზოგიერთ ქვეყანაში ეს სამსახურები არსებობს 100 წელზე მეტს ითვლიან (დიდი ბრიტანეთი, დანია, გერმანია). ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია ერთიანი ეროვნული სამსახური, სხვებში – რეგიონული (თითოეულ რეგიონში). სამსახურები ან სახელმწიფოა (მაგალითად, გერმანიაში), ან კერძო (ასოციაციები), რომლებიც დიდ დახმარებას იღებენ სახელმწიფოსგან. საკონსულტაციო სამსახურების მაგალითებს რეგიონული ს/ს საინოვაციო სისტემების განხილვისას ვნახავთ.

2.8. რეგიონული საინოვაციო სისტემები

რეგიონების (ქვეყნების ნაწილების) სასოფლო-სამეურნეო სისტემები და პოლიტიკა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას წარმოადგენს რეგიონი ადმინისტრაციულად. ამ სისტემებში, ეროვნული სისტემების მსგავსად, საკმაოდ განსხვავებები არსებობს. განვიხილოთ ორი მაგალითი, რომელშიც შეგვიძლია საქართველოსთვის მრავალი სასარგებლო დეტალი ვიხილოთ.

¹² Modernizing National Extension Systems: A Practical Guide for Policy-makers in Developing Countries. FAO, 2005

ბავარიის ს/ს საინოვაციო სისტემა

ბავარიის თავისუფალი სახელმწიფო (როგორც მას ოფიციალურად უწოდებენ): მოსახლეობა 12.5 მლნ, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში - 1.2%, მრეწველობისა - 30%, მშპ სულზე - 33,200. ბავარიას, ისევე როგორც გერმანიის სხვა მიწებს (რესპუბლიკებს) ფედერალური მიწის სტატუსი აქვს. მთავრობა, რომელსაც ფართო უფლებამოსილება გააჩნია, რამდენიმე სამინისტროსგან შედგება. მისი მეთაურია პრემიერ-მინისტრი. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე პასუხისმგებელია *სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტრო*¹³.

აგროკვლევის სისტემა. სამინისტროს დაქვემდებარებაშია მძლავრი ბავარიის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ცენტრი, რომელშიც 10 კვლევითი ინსტიტუტია გაერთიანებული: ს/ს ეკოლოგიის, ორგანული ფერმეობისა და ნიადაგის დაცვის; მეცენარეობისა და მცენარეთა ახალი ჯიშების; მანებლებთან ბრძოლის; მეცხოველეობისა და ცხოველთა ჯიშების; ცხოველთა კვებისა და საკვების მართვის; მეთევზეობის; აგრინჟინერიისა და მეცხოველეობის; სოფლის განვითარების, ბიზნესის ეკონომიკისა და ს/ს საინფორმაციო ტექნოლოგიების; კვების სამეცნიერო პრობლემებისა და მარკეტინგის; მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მანქანების. ყველა ინსტიტუტი ქ. ფრაიზინგშია (Freising) თავმოყრილი.

გარდა ამისა, ცენტრის შემადგენლობაშია: ხარისხის უზრუნველყოფისა და შესწავლის უწყებრივი სისტემა; სწავლების, გამოცდისა და მერძეეობის ფერმების სპეციალიზებული ცენტრი; სწავლების, გამოცდისა და ეკო-ფერმეობის სპეციალიზებული ცენტრი; სწავლების, გამოცდისა და მეფრინველეობისა და წვრილფეხა ცხოველების სპეციალიზებული ცენტრი; სევის კვლევის ცენტრი (ეროვნული).

სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, აგრეთვე, ტექნოლოგიისა და ინოვაციის ცენტრი, რომელიც კვლევითი ცენტრის ინსტიტუტებთან კომერციული ურთიერთობის ეტაპზე თანამშრომლობს და კერძო ორგანიზაციებსაც იზიდავს.

უმაღლესი სკოლა. იმავე ქ. ფრაიზინგში მდებარეობს გამოყენებითი მეცნიერების სახელმწიფო უნივერსიტეტი (4,000 სტუდენტი), სპეციალიზაციით: სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა (დაარსებული 1805 წელს) (www.hswt.de/) და მიუნენის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიო-მეცნიერებათა განყოფილება (3,000 სტუდენტი) (<http://www.tu-muenchen.de/>). უნივერსიტეტები ბავარიის მეცნიერების, კვლევისა და ხელოვნების სამინისტროს ექვემდებარებიან. მათ ფართო კვლევითი პროგრამები, საცდელი და სასწავლო მეურნეობები გააჩნიათ.

ბავარიის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ცენტრი ორი უნივერსიტეტის კვლევით და სასწავლო სიმძლავრეებთან ერთად ქმნის ბავარიის აგროკვლევის კლასტერს. ცენტრების დასახელებიდანაც ჩანს, რომ ბავარიაში აგროკვლევა ფართოდაა გაგებული: წარმოება – ეკოლოგია – სოფლის განვითარება. ამ თვალსაზრისით იგი სავსებით პასუხობს ევროკავშირის ლისაბონის სტრატეგიიდან გამომდინარე აგროკვლევის ფილოსოფიას. იმავე დროს, აქცენტები ბავარიულ აგროკვლევაში დასმულია ბავარიის სოფლის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე (მაგალითად სევის კვლევა).

საკონსულტაციო სამსახური¹⁴. ბავარიაში საკონსულტაციო სამსახური სახელმწიფოა და სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის სამინისტროს ექვემდებარება. მისი ისტორია 1897 წელს დაიწყო, როდესაც “მოსეტიალე მასწავლებლები” (ს/ს მრჩეველები) აყვანილ იქნენ სახელმწიფო სამსახურში. 2003 წლის მონაცემებით ბავარიაში დაახლოებით 570 კონსულტანტია. მათი განაწილება მოყვანილია ტაბულა 3-ში. საკონსულტაციო სამსახურები სოფლის განვითარების საკითხებზეც მუშაობენ.

¹³ Staatsministeriums fuer Ernaehrung, Landwirtschaft und Forsten (<http://www.stmelf.bayern.de>)

¹⁴ ჩვენ ვისარგებლეთ ანგარიშით, რომელიც განთავსებულია საიტზე http://www.agroextension.net/attachments/AAC_Bavaria.doc

ფერმების ტიპი	ჯგუფების რაოდენობა	კონსულტანტების რაოდენობა
მიწათმოქმედება	27	120
აგროეკოლოგია და ნიადაგი	7	14
სპეციალური მცენარეების მოყვანა, მცენარეთა დაცვა და გამოკვლევა	7	66
რძის წარმოება	30	130
საქონლის მოსუქება	4	15
საქონლის სელექცია	10	70
ღორის გაზრდა	9	45
ორგანული ფერმერობა	4	10
მაღალმთიანი ფერმერობა	2	7
ცხვარი და მცირე ზომის ცხოველები	2	5
ცხენების მოვლა	2	6
მებაღეობა	4	50

კონსულტანტები, როგორც სახელმწიფო მოხელეები, მომსახურებისთვის გასამრჯელოს არ იღებენ. საკონსულტაციო სამსახურებთან დაკავშირებულია დაახლოებით 50 პროფესიული გადამზადების სკოლა.

კონსულტანტების გადარჩევისა და მომზადების, გამოცდების ჩაბარების სისტემა მკაცრია. ისინი ყოველწლიურად ერთკვირიან გადამზადებას გადიან *სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შექმნილ სპეციალურ ელიტის მომზადების სახელმწიფო ინსტიტუტში*.

კვლევათი და საკონსულტაციო სისტემები ერთად ქმნიან ინოვაციის ინსტრუმენტს, რომელიც ცოდნის უწყვეტი ჯაჭვის მოქმედებას უზრუნველყოფს.

კლასტერული ინციატივა. *სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამინისტროს* ინციატივით ბავარიაში რამდენიმე სამეცნიერო-საწარმოო კლასტერია განვითარებული: მათ შორის რძის, ხორცის, ღვინის, ლუდისა და ხნა. სამეცნიერო ცენტრი ფრაიზინგში მრავალ კლასტერში მონაწილეობს.

ბოლცანოს ავტონომიური პროვინცია – ალტო ადიჯე (სამხრეთ ტიროლი)

ესაა ავტონომიური ოლქი იტალიაში, რომელსაც გუბერნატორი მართავს. სოფლის მეურნეობა შეადგენს მშპ-ს 3.6%. მრეწველობა - 20%. მოსახლეობა - 500,000 ადამიანი, ტერიტორიის 64% განლაგებულია ზღვის დონიდან 1500 მ მაღლა. მშპ სულზე - 32,000 ო.

ბოლცანოს პროვინციის სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემა ძირითადად ეყრდნობა *ლამბურგის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის კვლევით ცენტრს*¹⁵ და *სამხრეთ ტიროლის საკონსულტაციო სამსახურს*¹⁶.

კვლევითი ცენტრი სახელმწიფო ორგანიზაციაა და ექვემდებარება პროვინციის *სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის დეპარტამენტს*. ცენტრი აწარმოებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევას, საველე ექსპერიმენტებსა და მათთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ახალი ცოდნისა და

¹⁵ Research Centre for Agriculture and Forestry Laimburg (www.laimburg.it)

¹⁶ South Tyrolean Advisory Service (www.beratungsring.org)

ტექნოლოგიების მისაღებად პროვინციის ს/მ გასაუმჯობესებლად, სახსრების 39%-ს მას პროვინციის მთავრობა აძლევს, 1% - იტალიის ცენტრალური მთავრობა, დანარჩენს შეადგენს გრანტები (ევროკავშირის, იტალიის მთავრობის და სხვა) და საკუთარი სახსრები. ეს უკანასკნელი შედგება ბოლცანოს ოლქის საკუთრებაში მყოფი და ცენტრისთვის მართვაში გადაცემული 36 მიწის ნაკვეთისა და მათზე განლაგებული უძრავი ქონების ექსპლუატაციიდან მიღებული სახსრებისა და, აგრეთვე, საკუთარი ღვინის ქარხნიდან, სანერგიდან, თევზის გამრავლების სადგურიდან და რამდენიმე მექანიკური საამქროდან მიღებული სახსრებისაგან. ცენტრში დასაქმებულია 200 მუშაკი, კიდევ 100 მუდმივი თანამშრომელი და 150 სეზონურად მუშაობს საცდელ ფერმებში.

აღნიშნული ნაკვეთები სხვადასხვა გეოგრაფიულ-კლიმატურ ზონაში განლაგებულ საცდელ-სადემონსტრაციო ფერმებს წარმოადგენენ. ერთი ნაკვეთი ბოტანიკური ბაღია. მათ ცენტრის მუშაკები იყენებენ ექსპერიმენტებისთვის, პროფესსწავლებლის სტუდენტები – პრაქტიკისთვის. ფერმების პროდუქცია მრავალფეროვანია – რძე, თაფლი, თევზი, ხილი, ყურძენი, სამედიცინო ბალახები, ღვინო. ცენტრი ინფორმაციას აწვდის *ს/ს კონსულტანტებსა* და ფერმერებს კურსების, სემინარებისა და გამოცემების მეშვეობით. ცენტრს გააჩნია საკუთარი *მეხილეობის, მეღვინეობისა და მებაღეობის პროფესიული სასწავლებელი*.

სამხრეთ ტიროლის საკონსულტაციო სამსახური (South Tyrolean Advisory Service) წარმოადგენს ამხანაგობას, რომელშიც 6000-ზე მეტი წევრია გაერთიანებული. *სამსახური* ეყრდნობა როგორც კვლევითი ცენტრის მიღწევებს, ასევე ცოდნის გარე წყაროებს. მისი მუშაობის მთავარი მიმართულებებია მებაღეობა (უმთავრესად ვაშლის კულტურა) და მევენახეობა-მეღვინეობა. კონსულტაციების მიღება შეიძლება არა მხოლოდ კონსულტანტთან პირადი შეხვედრით, არამედ ტელეფონით, SMS-ით ან ინტერნეტითაც. სამსახური არსებობს საწევროებითა და მთავრობის (44%) ხარჯებით. თანამშრომელთა რიცხვი 40-ს აღემატება.

ბოლცანოს თავისუფალი უნივერსიტეტი, რომლის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტი სპეციალიზებულია სოფლის მეურნეობაზე (განსაკუთრებით ბოლცანოს ოლქისთვის პროფილურ მეხილეობაზე), ხოლო მისი კვლევითი სამუშაოები სოფლის მეურნეობის გარემოსდაცვით ასპექტებს ეხება.

სამხრეთ ტიროლში სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემა ეხება ს/ს წარმოების საკითხთა ძალიან ფართო წრეს: მიწათმოქმედება, ჯიშების შერჩევა, მანებებლეთან ბრძოლა, ნიადაგის დაცვა, მოსავლის შენახვა და გადაამუშავება, ყინვებისა და გვალვისგან დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები (საფირმო და ადგილწარმოშობის ნიშნები), მარკეტინგის ახალი ფორმები და სხვა. მის მუშაობაში სხვადასხვა პროფესიული გაერთიანება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მათ გარეშე რთული ინოვაციური ღონისძიებები პროვინციაში საკმაოდ მასშტაბით ვერ განხორციელდება. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულმა ყველაზე მნიშვნელოვანმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შექმნეს გაერთიანება AGRIOS¹⁷, რომელმაც მოახერხა პროვინციაში *ინტეგრირებული ვაშლის წარმოების სისტემის* დანერგვა.

სისტემა გულისხმობს ვაშლის წარმოების მიმართ ყველა ფერმერის მხრიდან ერთიან მიდგომას და ერთიანი მაღალი სტანდარტების დაცვას მანებებლეთან ბრძოლიდან დაწყებული და მარკეტინგით დამთავრებული. ამ გაერთიანებაში შევიდნენ *პროვინციის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის დეპარტამენტი, ლამბურგის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის კვლევითი ცენტრი, სამხრეთ ტიროლის საკონსულტაციო სამსახური, მეხილეობის კავშირი სამხრეთ ტიროლი, სამხრეთ ტიროლის ხილის აუქციონების მხარდამჭერი ორგანიზაცია, სამხრეთ ტიროლის ფერმერთა ალიანსი, კავშირი სამხრეთ ტიროლის ახალგაზრდა ფერმერები, უშუალო მეწარმეთა ფედერაცია, ინტეგრირებული სისტემის მოთხოვნები ბოლცანოს პროვინციაში ადგილობრივი კანონია¹⁸. წლების განმავლობაში სისტემა გაიზარდა და ამჟამად ბოლცანომ დაიკავა ევროპის ვაშლის წარმოებაში 7%, გააფართოვა ექსპორტი, შეამცირა მარკეტინგული ხარჯები, დაამკვიდრა რა მსოფლიოში ადგილწარმოშობის ნიშანი *ვაშლი ბოლცანოდან*, რომლითაც ადგილობრივი ფერმერები ხარგებლობენ. ფაქტიურად ბოლცანოში შეიქმნა ინოვაციური ვიწროსპეციალიზებული მეხილეობის კლასტერი.*

¹⁷ www.agrios.it

¹⁸ The Autonomous province of Bolzano. Provincial Law no.12/April 4th 1991.

მიუხედავად მიღწევებისა, საინოვაციო სისტემის მონაწილენი თვლიან, რომ რეგიონული ამოცანების გადაწყვეტაში საკმაო სიმძლეულები არსებობს. პირველ რიგში აღნიშნავენ გარე წყაროებიდან ისეთი კვლევითი სამუშაოების უხვ დაფინანსებას, რომლებიც არაა დაკავშირებული პროვინციის პრობლემებთან, კერძოდ, მცირე სამთო ფერმების ამოცანებთან და სხვა. გარდა ამისა, გარე დაფინანსება მოკლევადიანია, რაც გრძელვადიანი ამოცანების გადაწყვეტას უშლის ხელს.¹⁹

ამ უკანასკნელი მაგალითიდან ცხადად ჩანს სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემისთვის საცდელი მეურნეობებისა და სადგურების მუშაობის მნიშვნელობა.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობა

3.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით მრავალდარგოვანია და გამოირჩევა კლიმატური ზონების სიმრავლით. ამის გამო კვლევის და ინოვაციის თვალსაზრისით, იგი რთული ობიექტია. ამ გარემოებამ განაპირობა წარსულში საკმაოდ მძლავრი საინოვაციო სისტემის ჩამოყალიბება – 15 კვლევითი ინსტიტუტი, 3 სს უნივერსიტეტი, 70-მდე საცდელი სადგური და მეურნეობა, რაიონული სს სამსახურები, სპეციალისტები თითოეულ მსხვილ მეურნეობაში. სისტემა მორგებული იყო სოციალისტური წარმოების პირობებზე და საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასასვლელად ადაპტაცია ესაჭიროებოდა. მაგალითად, საქირო იყო, ევროპულის მსგავსი საკონსულტაციო სამსახურების განვითარება. ამჟამად კვლევის თემატიკა უნდა ითვალისწინებდეს მცირე ფერმების მოთხოვნილებებს, სხვაგან შექმნილი ტექნოლოგიების ადაპტაციასა და სხვა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველ პირობებშიც საინოვაციო სისტემას თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა. საკმარისია გავისწავლოთ ჩაის ახალი ჯიშების მიღება, რომელთა მეშვეობით არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც უზრუნველყვეს ჩაის წარმოების განვითარება.

ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობა და სოფელი თვისობრივად განსხვავდება 20 წლის წინ არსებულისგან. იგი მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10% ქმნის (1,8 მლრდ ლარი) და ქვეყნის საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილების 20-30% უზრუნველყოფს (წარსულში უზრუნველყოფდა 70%). სოფლად ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 50% ცხოვრობს, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა 70%. ამდენად, სოფელი და სოფლის მეურნეობა სიღარიბესთან ბრძოლის მთავარი ასპარეზია. ცუდად გააზრებული და ჩატარებული

¹⁹ Josef Dalla Via. Research at the Research Center for Agriculture and Forestry LAIMBURG. (www.eufrin.obstpage.de/Documents/Laimburg.pdf)

პრივატიზაციის შედეგად ძლიერ შეიცვალა მეურნეობების (ფერმების)²⁰ სიდიდე და განაწილება (ცხრილი 3.1.).

ცხრილი 3.1. მეურნეობების განაწილება ფართობის მიხედვით საქართველოში

ფერმის ფართობი	ფერმების პროცენტი
<0.5 ჰა	22,1
0.5-1 ჰა	29,7
1-2 ჰა	43,6
> 2 ჰა	4,6
საშუალო ფართობი 0.96 ჰა	

წყარო: Wikipedia²¹

მკვეთრად შეიცვალა რეალიზაციის ბაზრების სურათი და მოთხოვნის სტრუქტურაც. ახალ პირობებში სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზება საინოვაციო სისტემის წინაშე სრულიად ახალ ამოცანებს წარმოშობს. ეს ამოცანები, გარკვეულწილად, ევროპული გამოცდილების ადაპტაციის გზით შეიძლება გადაწყდეს, მაგრამ მრავალი საკითხის გადასაწყვეტად მზა მეთოდები არ არსებობს.


აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად საინოვაციო სისტემის მიმართ ყურადღების გაზრდის ნაცვლად, სახელმწიფომ არა თუ არ განავითარა ის რგოლები, რომელიც სისტემას აკლდა (მაგალითად, საკონსულტაციო სამსახურები), არამედ არსებულ რგოლებზე მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო ნეგატიური ზემოქმედება განახორციელა.

3.2. ს/ს კვლევის სისტემა საქართველოში


კვლევითი სისტემის აღმწერი ზოგიერთი (საქართველოში ხელმისაწვდომი) ინდიკატორის ცვლილება მოყვანილია ნახატებზე 3.1-3.3. აღსანიშნავია, რომ 1985-1990 წლებში 12-16 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში მერყევი ს/ს კვლევის წლიური დაფინანსება დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც 2011 წლის მთლიანი ეროვნული კვლევითი სისტემის ანუ მეცნიერების ყველა დარგის დაფინანსება.

²⁰ საქართველოს კანონმდებლობით ფერმისა და ფერმერის ცნება დადგენილი არაა. ამ ტერმინის გამოყენება პირობითია.

²¹ სხვა წყაროების თანახმად, ფერმის საშუალო სიდიდე ოდნავ განსწავებულია. [მაგალითად, ელენე შატბერაშვილი, ბონდო ალასანიძე, აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების სისტემები და სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგადი კონტექსტი საქართველოში. ბიომეურნე, №1 (16) 2011 (ელკანა-ოქსფამი)]



ნახ. 3.1 სასოფლო-სამეურნეო კვლევის დაფინანსება საქართველოში²²




ნახ. 3.2. სელექციონერთა რისკის ცვლილება²³

²² დავით ბედოშვილი. საქართველოს სახელექციო პოტენციალის შეფასება და მისი გაძლიერების სტრატეგია. მოხსენება იკარდა-ს სემინარზე, თბილისი, 15-17 ოქტომბერი 2007.

²³ იქვე

1990 წლიდან რაიმე პრიორიტეტებისა და მოსაზრებების გარეშე, განუწყვეტლივ მცირდებოდა ყველა მიმართულების ს/მ მკვლევართა რაოდენობა. ნახ. 3.2.-ზე მაგალითისთვის მოყვანილია სელექციონერთა რიცხვის შემცირება 1990-2004 წლებში. განსაკუთრებით მკვეთრი შემცირება მოხდა 2006-2007 წლებში. სულ 2000-2011 წლებში კვლევით ორგანიზაციებში თანამშრომელთა რიცხვი 2-ჯერ შემცირდა (ნახ. 3.3.). პროცესი ევროპაში მიმდინარე მეცნიერთა რიცხვის ზრდის საწინააღმდეგოა. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, იქ მეცნიერთა რიცხვის ზრდის ტემპი ევროპულს აჭარბებს.



ნახ. 3.3. ს/ს კვლევით სისტემაში (უნივერსიტეტების გარდა) თანამშრომელთა რაოდენობა და ერთ თანამშრომელზე გაწეული წლიური სარჯები²⁴

ნახ. 3.3. მოყვანილი მონაცემების საფუძველზე რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეგვიძლია. ერთ თანამშრომელზე წლიური სარჯების დაახლოებით 75%-ს შეადგენს ხელფასი, რაც 1 თვეზე გადათვლისა და საშემოსავლო გადასახადის (20%) გამოკლების შემდეგ თვიურად ხელზე გასაცემ საშუალო თანხას – 160 ლარს გვაძლევს. შედარებისთვის, სახელმწიფო მმართველობაში საშუალო თვიური ხელფასი, საშემოსავლოს გამოქვითვის შემდეგ, 700 ლარია²⁵. თანაფარდობა 1:4 - ევროპულ და მსოფლიო პრაქტიკასთან სრულიად შეუსაბამოა.

²⁴ გრაფიკი მომზადებულია შემდეგი დოკუმენტის საფუძველზე: გ. ალექსიძე. აგრარული კვლევა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის. ეროვნული მოსხენება შუა აზიისა და კავკასიის კვლევითი ინსტიტუტების ასოციაციის რეგიონული მიმონიღვისთვის. ტაშკენტი, 2011.

²⁵ ხელფასები სახელმწიფო მმართველობაში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=135

ჩანართი 2

დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ადმინისტრაციაში საშუალო წლიური ხელფასი 23,000 გირვანქა სტერლინგია (38,000 აშშ დოლარი)²⁶ (<http://www.civilservant.org.uk/pay.shtml>), ხოლო მეცნიერთა საშუალო წლიური ხელფასი - 74,000 აშშ დოლარი²⁷. დიდ ბრიტანეთში 80 უნივერსიტეტის რექტორი ღებულობს ქვეყნის პრემიერ-მინისტრზე მაღალ ხელფასს²⁸.

აშშ სახელმწიფო ადმინისტრაციაში საშუალო წლიური ხელფასი 68,000 აშშ დოლარია²⁹, ხოლო მეცნიერთა საშუალო წლიური ხელფასი 88,000 აშშ დოლარი³⁰. წამყვანი ეროვნული ლაბორატორიების დირექტორები - გამოჩენილი მეცნიერები - იღებენ მინისტრებზე (სახელმწიფო დეპარტამენტების ხელმძღვანელებზე), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში აშშ პრეზიდენტზე მაღალ ხელფასს.³¹

ადვილი გამოსათვლელია საერთო ხარჯები სასოფლო-სამეურნეო კვლევაზე - 1.5 მლნ ლარი ანუ, მიმდინარე კურსით, 0.9 მლნ აშშ დოლარი. ეს თითქმის 18-ჯერ ნაკლებია 1990 წლის დონეზე, ხოლო ფასების ინდექსის ცვლილების გათვალისწინებით, - კიდევ უფრო ნაკლები.

მეცნიერების დაფინანსების დონე საქართველოში საერთოდ ძალიან დაბალია - მშპ-ს 0.2% ნაკლები. ევროკავშირის ყველა ქვეყნის საშუალო მეცნიერების დაფინანსების დონეა 2%. სასოფლო-სამეურნეო კვლევების დაფინანსების დონეს განსაზღვრავენ როგორც ამ კვლევებზე დანახარჯს შეფარდებულს მთლიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან. საქართველოსთვის ეს სიდიდე ტოლია 0.08%, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ 2.4%-ა³².

საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულისგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) განსაკუთრებით მკვეთრად ორი გარემოება განასხვავებს: ა) სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებასა და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზაცია. ევროპული სტანდარტების თანახმად ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა - სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული; ბ) კვლევითი სისტემა არ შედგება იურიდიული პირებისგან. მისი არსებობა-არარსებობის საკითხი ერთი უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული (ან

²⁶ www.civilservant.org.uk/pay.shtml

²⁷ European Commission. Remuneration of Researchers in the Public and Private sectors. CARSA, 2007. (ec.europa.eu/eracareers/pdf/final_report.pdf)

²⁸ www.guardian.co.uk/news/datablog/2010/mar/12/universities-high-pay-top-data

²⁹ http://www.usatoday.com/news/nation/2010-03-04-federal-pay_N.htm

³⁰ იხ. სქოლიო 27.

³¹ berkeleylabreport.blogspot.com/2011/03/regents-approve-salary-increase-for.html.

³² Nienke M. Beintema and Gert-Jan Stads. MEASURING AGRICULTURAL RESEARCH INVESTMENTS: A Revised Global Picture. ASTI Background Note, October 2008. (http://www.asti.cgiar.org/pdf/Global_revision.pdf)

უნივერსიტეტის კერძო მფლობელზე). ეს უკანასკნელი გარემოება მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც 2010 წლის ბოლოს მთავრობამ კვლევით ორგანიზაციებს ჩამოართვა იურიდიული პირის სტატუსი და განყოფილებების სტატუსით შეიყვანა უნივერსიტეტებში.

სასოფლო-სამეურნეო კვლევითი სისტემის ამგვარი ორგანიზება ქართველი და უცხოელი სპეციალისტების გაკვირვებას იწვევს. მდიდარი ევროპული (და მსოფლიო) პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს.

3.3. სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურები

საცდელი სადგურები ს/მ განვითარების საკვანძო რგოლია. ევროპაში მათი მნიშვნელობის ილუსტრაციაა ჩანართ 4-ში მოყვანილი მაგალითი. 1990 წლამდე საქართველოში კვლევითი ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების დაქვემდებარებაში 70-მდე (ექსპერტების გამოკითხვის თანახმად) საცდელი სადგური, საცდელი მეურნეობა და სხვა მსგავსი ირიცხებოდა, მრავალი მათგანი – იურიდიული პირის სტატუსით. ამჟამად მათი აბსოლუტური უმრავლესობა დაკარგულია (კერძო პირებზე მიყიდული, არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებული და სხვა). საინოვაციო სისტემისთვის ეს მძიმე დანაკარგია, რადგანაც საცდელი სადგურები არა მარტო კვლევით ინოვაციას, არამედ არაკვლევითი ინოვაციისა და მიზანშეწონილი ინოვაციის დიდ ნაწილსაც უზრუნველყოფენ.

3.4. საკონსულტაციო სამსახურის ჩანახახი

საკონსულტაციო სამსახურების ჩანახახები საქართველოში დონორული ორგანიზაციების (CARE, GTZ - ახალი სახელი GIZ, USAID, EU, Oxfam და სხვები) პროექტების ხარჯზე განვითარდა. პროექტების დასრულების შემდეგ, ახლადშექმნილ სამსახურებს ხშირად არ გააჩნიათ არსებობის წყარო (რომელიც ცენტრალურმა ან ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს) და იძულებულები ხდებიან შეითავსონ ს/ს მასალების მიწოდების ფუნქციები, რაც არაობიექტურობის (მიკერძოებულობის) საფრთხეს ქმნის. ევროკავშირში საკონსულტაციო და ს/ს მასალების მიწოდების ფუნქციები გაყოფილია, რადგანაც საკონსულტაციო სამსახურები სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობენ. ამჟამად საქართველოში 20-მდე სამსახური მოქმედებს, უმთავრესად არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით. არსებული სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია არ ხდება. ამავე დროს, სათანადო სახელმწიფო პროგრამის არსებობის შემთხვევაში, მათ ბაზაზე, კვლევითი ორგანიზაციების მონაწილეობით, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფო საკონსულტაციო სისტემის შექმნა. ამისთვის ევროკავშირის მდიდარი გამოცდილების გამოყენება იქნებოდა საჭირო.

4. დასკვნა

EaP-ს ჩარჩოებში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტას დაჟინებით გვთხოვენ, კერძოდ, ფიტოსანიტარული კონტროლისა და სურსათის უვნებლობის საკითხების მოგვარებას, რომელიც EaP ეკონომიკური პლატფორმის საფლაგმანო ინიციატივის - „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების“ მიღწევის – წინაპირობაა. ამ საკითხების რადიკალური მოგვარება სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური საკითხების მოგვარებით იწყება (ცხოველთა და მცენარეთა სიჯანსაღე და სხვა), რაც ს/ს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას მოითხოვს.

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის არარსებობა აღნიშნული იყო ევროკომისიის საშუალოდ ანგარიშში, სადაც ნათქვამია „2009 წელს აგრარული სექტორი უყურადღებოდ იყო დარჩენილი და ცუდად მუშაობდა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო განვითარების სტრატეგია 2009-2012 წლებისთვის, მომზადებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2008 წელს, არ იქნა დამტკიცებული. მანამდე, მთავარ საპროგრამო დოკუმენტად სამინისტროსთვის რჩება საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 2009 წელს მიიღეს და ძალაშია 2013 წლამდე. სოფლის მეურნეობაში საჯარო ინვესტირება დაბალი იყო და შეადგენდა 2009 წლის საბიუჯეტო ხარჯების მხოლოდ 1.5%³³. შემდგომ, 2011 წელს გამოქვეყნებული ანალოგიური ანგარიში აღნიშნავს, რომ მდგომარეობა უცვლელი რჩება, სოლო ს/ს წარმოება კვლავ მცირდება³⁴.

ეკონომიკური პოლიტიკების დაახლოება, რაც EaP მეორე პლატფორმის ამოცანას წარმოადგენს, შეუძლებელია ს/ს პოლიტიკის იგნორირებით. ჩვენს ინტერესებშია შევისწავლოთ და ავითვისოთ ევროპული ს/ს ტექნოლოგიები და სქემები, მოვანდინოთ, საჭიროებისამებრ, მათი ადაპტირება. ამისთვის ევროპელების მხრიდან ყველა წინაპირობა არსებობს. ევროპულ ს/ს პოლიტიკას, განსაკუთრებით საინოვაციო პოლიტიკას, ძლიერი საგარეო განზომილება გააჩნია. ევროკავშირი იყო და არის აგროკვლევის საერთაშორისო ცენტრებისა და

³³ Commission Staff Working Document. Implementation of the European Neighbourhood Policy in 2009: Progress Report Georgia. SEC (2010) 518. {COM (2010) 207}, p. 11. (ec.europa.eu/world/pdf/progress_2010/sec10_518.pdf)

³⁴ European Commission High Representative of the EU for Foreign Affairs and Security Policy. Joint Staff Working Paper. Implementation of the ENP in 2010. Country Report: Georgia. SEC (2011) 649. {COM (2011) 303}, p. 10. (ec.europa.eu/world/enp/pdf/progress_2011/sec11_649_en.pdf)

განვითარებადი ქვეყნების ეროვნული კვლევითი ცენტრების მსხვილი დონორი. იგი ამავე ცენტრების სამეცნიერო პარტნიორია კვლევისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო პროგრამისა და სხვა პროგრამების ჩარჩოებში. იგი *სასოფლო-სამეურნეო კვლევის რეგიონული ფორუმებისა და სასოფლო-სამეურნეო კვლევის გლობალური ფორუმის*³⁵ ერთ-ერთი ინიციატორია. ევროკავშირმა უკვე აღმოუჩინა საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება ს/მ სფეროში.

EaP-ს ფარგლებში აღნიშნული შესაძლებლობების გადრმავებაა საჭირო. შეგვიძლია სრულად ვისარგებლოთ ევროპის საერთაშორისო გახსნილობით ამ სფეროში.

³⁵ en.wikipedia.org/wiki/Global_Forum_on_Agricultural_Research

ნაწილი III.

საინოვაციო პროცესები ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში

თავი IV

საინოვაციო პროცესები ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში: ხედვა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან

თ. მარსაგიშვილი

1. შესავალი

ევროკავშირის პოლიტიკა ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში არის ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი და ხორციელდება ევროკავშირის დაარსებიდან. ეს პოლიტიკა ევროკავშირში შემომაგალი ქვეყნების მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა. 1955 წელს ხელმოწერილი კონვენცია „ევროპული ნახშირისა და ფოლადის კავშირი“ (European Coal and Steel Community – ECSC)¹ გადაიზარდა ევროატომში 1957 წელს (ევროპული ატომური ენერჯის კავშირი (European Atomic Energy Community)² და, შემდგომი განვითარების შედეგად, ევროკომისიის მიერ ჩამოყალიბდა ენერგეტიკული პაკეტების სახით.

ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ენერგოუსაფრთხოებას, პირობითად შეიძლება გაიყოს რამდენიმე ეტაპად. 1996 წელი - ევროკავშირმა გამოსცა პირველი დირექტივა ელექტროენერგეტიკაში, 1998 წელს კი მას დაემატა პირველი დირექტივა გაზის სფეროში. 2000 წელს ამ ორ დირექტივას დაემატა ევროპის ენერგომიწოდების უსაფრთხოების სტრატეგიის პირველი მწვანე წიგნი. ეს სამი დოკუმენტი და დროის ამ პერიოდში განახლებად ენერგეტიკულ წყაროებთან დაკავშირებით მიღებული მწვანე და თეთრი წიგნები, შეადგენენ პირველ ენერგეტიკულ პაკეტს. 2003 წელს ევროკავშირმა მიიღო ელექტროენერჯისა და გაზის მეორე

¹ http://europa.eu/legislation_summaries/institutional_affairs/treaties/treaties_ecsc_en.htm

² http://ec.europa.eu/energy/nuclear/euratom/euratom_en.htm

დირექტივა, რომელიც შეავსო 2004 წელს უსაფრთხო მიწოდების დირექტივით და მას უწოდეს მეორე ენერგეტიკული პაკეტი.

2006 წელს ევროკომისიის მიერ მომზადებული მწვანე ქაღალდი (წიგნი) „ევროკავშირის ენერგეტიკის სტრატეგია კონკურენტუნარიანობის, მდგრადობისა და უსაფრთხოებისათვის“ [A European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy Commission’s green paper COM(2006) 105 final]³ 2008-2009 წლებში შეივსო სამი პაკეტით: მესამე ენერგეტიკული პაკეტი, კლიმატისა და ენერგეტიკის კანონების პაკეტი და დირექტივა მიწოდების უსაფრთხოების შესახებ. ამ მესამე ეტაპზე გაუღერდა ბერლინის სამიტის მოწოდება ახალი სამრეწველო რეგულაციის შესახებ.

იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირის მესამე პაკეტის შემდეგ მეოთხე პაკეტი არ მიუღია, 2010 წლის 10 ნოემბერს ევროკომისიამ მიიღო „ენერგია 2020 – სტრატეგია ენერგეტიკის კონკურენტუნარიანობის, მდგრადობისა და უსაფრთხოებისათვის“⁴, და 2011 წლის 8 მარტს – „ენერგეტიკული ეფექტურობის გეგმა 2011“⁵. ბოლო ორი დოკუმენტი ბევრ სიანსლეს მატებს მესამე პაკეტს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ენერგეტიკის დარგში ევროკავშირის პოლიტიკა საკმაოდ პირობითა და ყოფილი სამ პაკეტად.

2. ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში⁶

2.1. ზოგადი მიმოხილვა

ლისაბონის ხელშეკრულებამ ენერგეტიკის შესახებ (2008) ახალი იურიდიული საფუძველი დაუდო ადრე გაფორმებულ ხელშეკრულებებს (იხ. ევროკავშირის ფუნქციონირების კონვენციის (Treaty on European Union, TFEU) 194 მუხლი)⁷. პოლიტიკის მთავარი ელემენტებია – საბაზრო ინსტრუმენტების მხარდაჭერა (ძირითადი გადასახადები, სუბსიდიები, CO₂-ის ემისიის ვაჭრობის სქემა), ენერგეტიკული ტექნოლოგიების განვითარება (განსაკუთრებით ენერგოეფექტურობის დარგში, განახლებადი ან დაბალნახშირბადიანი ენერგეტიკა) და კავშირის საფინანსო ინსტრუმენტები. 2008 წლის დეკემბერში ევროკავშირმა მიიღო მთელი რიგი კრიტერიუმები იმ წიანის შესამცირებლად, რაც ევროკავშირის მიუძღვის გლობალურ დათბობაში. ამ კრიტერიუმების ცნოვრებაში გატარება გარანტირებულია.

³ A European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy Commission’s green paper COM(2006) 105 final

⁴ Energy 2020 A strategy for competitive, sustainable and secure energy, SEC(2010) 1346, 52010DC0639

⁵ Communication “Energy Efficiency Plan 2011”, http://ec.europa.eu/energy/efficiency/action_plan/action_plan_en.htm

⁶ http://ec.europa.eu/energy/strategies/index_en.htm

⁷ Treaty on European Union, www.euwiki.org/TFEU

ტრანსპორტი არის ნახშირბადის ორჟანგის ერთ-ერთი მთავარი ემიტორი. ევროკავშირის პოლიტიკა გულისხმობს ნებაყოფლობით შეთანხმებას (ACEA)⁸, რომელსაც ხელი მოეწერა 1998 წელს. შეთანხმების თანახმად, 2008 წელს ახალი მანქანების გამონახობლქში CO₂ რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 140 გრამს ერთ კილომეტრ მანძილზე. 2007 წლის თებერვალში ევროკომისიამ დაადგინა ახალი სტანდარტი - 130 გ/კმ 2012 წლისათვის⁹, რამდენიმე თვის წინ კი გამოვიდა ახალი ინიციატივით - 2050 წლისათვის ევროკავშირის ქალაქებში საერთოდ აღარ გამოიყენებენ ნახშირწყალბადებზე მომუშავე ტრანსპორტს და CO₂ ემისია იქნება 0.

2.2. ძირითადი მიმართულებები

ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში მოიცავს რამდენიმე ძირითად სფეროს:

- ენერგეტიკის პოლიტიკა ევროპისათვის,
- საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობილი ინსტრუმენტები,
- ენერგეტიკის ტექნოლოგიები,
- ფინანსური ინსტრუმენტები.

შიდა ენერგეტიკული ბაზარი¹⁰

ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული ბაზარი უზრუნველყოფს ევროკავშირის მოსახლეობის უფლებას, კონკურენციის საფუძველზე, საბაზრო ფასებში მიიღოს ენერგია. ამას უკავშირდება შემდეგი საკითხები:

- გაზისა¹¹ და ელექტროენერჯის¹² ბაზარი,
- ტრანს-ევროპული ენერგეტიკული ქსელები¹³,
- ინფრასტრუქტურა¹⁴,
- მიწოდების უსაფრთხოება¹⁵,
- მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობა¹⁶,
- საგადასახადო პოლიტიკა.

ენერგოეფექტურობა¹⁷

ევროკავშირი ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას უკავშირებს ენერგოეფექტურობის ზრდას. ნებისმიერი პროდუქციის (მანქანა, დანადგარი და ა.შ.) წარმოება და მისი ექსპლუატაცია

⁸ ACEA, www.acea.be

⁹ "Commission plans legislative framework to ensure the EU meets its target for cutting CO₂ emissions from cars". europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?

¹⁰ http://ec.europa.eu/energy/observatory/index_en.htm

¹¹ http://ec.europa.eu/energy/observatory/gas/gas_en.htm

¹² http://ec.europa.eu/energy/observatory/electricity/electricity_en.htm

¹³ http://ec.europa.eu/energy/infrastructure/tent_e/ten_e_en.htm

¹⁴ http://ec.europa.eu/energy/infrastructure/exemptions/exemptions_en.htm

¹⁵ http://europa.eu/legislation_summaries/energy/european_energy_policy/l27062_en.htm

¹⁶ http://europa.eu/legislation_summaries/competition/index_en.htm

¹⁷ Communication "Energy Efficiency Plan 2011", http://ec.europa.eu/energy/efficiency/action_plan/action_plan_en.htm

უნდა ხდებოდეს ნაკლები ენერგიის დანახარჯით; შენობა-ნაგებობები უნდა იყოს ენერგოდამზოგავი და ა.შ. ენერგოეფექტურობის კუთხით გამოკვეთილია სამი სახის მომხმარებელი:

- პროდუქციის წარმოება¹⁸,
- შენობა-ნაგებობები¹⁹,
- სერვისი²⁰.

განახლებადი ენერგეტიკა²¹

განახლებადი ენერგეტიკა განიხილება სამი მიმართულებით:

- ელექტროენერჯია²²,
- გათბობა და გაგრილება,
- ბიოსაწვავი²³.

ბირთვული ენერგეტიკა²⁴

ბირთვული ენერგეტიკა რჩება ევროკავშირის ენერგეტიკის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. ბირთვული ენერგეტიკის ობიექტების ექსპლუატაცია დაკავშირებულია სამ პრობლემასთან:

- ევროატომი,
- კვლევები და ტექნოლოგიები,
- უსაფრთხოება, ნარჩენები²⁵.

მიწოდების უსაფრთხოება, საგარეო განზომილებები და გაგრძელება²⁶

ეს მიმართულებები წარმოდგენილია პრობლემების შემდეგი ჩამონათვალით:

- საგარეო განზომილებები და გაგრძელება²⁷,
- საგარეო ურთიერთობები²⁸,
- ევროპული ენერგეტიკული ქარტია²⁹,
- კონვენცია ენერგეტიკული კავშირის შესახებ,
- გაფართოება³⁰.

¹⁸ http://ec.europa.eu/energy/efficiency/labelling/labelling_en.htm; Directive 2010/30/EU of the European Parliament and of the Council of 19 May 2010 on the indication by labelling and standard product information of the consumption of energy and other resources by energy-related products

¹⁹ http://ec.europa.eu/energy/efficiency/buildings/buildings_en.htm; Directive 2010/31/EU of 19 May 2010 on the energy performance of buildings

²⁰ http://ec.europa.eu/energy/efficiency/end-use_en.htm; Directive 2006/32/EC of 5 April 2006 on Energy end-use Efficiency and Energy Services and repealing Council Directive 93/76/EEC

²¹ http://ec.europa.eu/energy/renewables/index_en.htm

²² http://ec.europa.eu/energy/renewables/electricity/electricity_en.htm

²³ http://ec.europa.eu/energy/renewables/biofuels/biofuels_en.htm

²⁴ http://ec.europa.eu/energy/nuclear/index_en.htm

²⁵ http://ec.europa.eu/energy/nuclear/safety/safety_en.htm

²⁶ http://europa.eu/pol/ener/index_en.htm

²⁷ http://europa.eu/legislation_summaries/energy/external_dimension_enlargement/

²⁸ http://europa.eu/legislation_summaries/energy/external_dimension_enlargement/l27074_en.htm

²⁹ http://europa.eu/legislation_summaries/energy/external_dimension_enlargement/l27028_en.htm


³⁰ http://europa.eu/legislation_summaries/energy/external_dimension_enlargement/l28015_en.htm

3. 2006 წლის მწვანე წიგნი ევროკავშირის ენერგეტიკის პოლიტიკის შესახებ³¹

3.1. ძირითადი კონცეფცია

2006 წლის მწვანე წიგნში ჩამოყალიბებულია ევროკავშირის ენერგეტიკის პოლიტიკის სტრატეგია ენერგეტიკის კონკურენტუნარიანობისათვის, მდგრადობისათვის და უსაფრთხოებისათვის (ინ. ნახ. 3.1.), რომელიც სორციელდება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

- ევროპული ენერგეტიკის პროგრამა ეკონომიკის აღდგენისათვის (Recovery)³²,
- ენერგეტიკის უსაფრთხოება და სოლიდარობის სამოქმედო გეგმა³³,
- ენერგეტიკის პოლიტიკა ევროპისათვის.



ევროპის ინტეგრაციის საკვანძო ქვა იყო პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში, რომელიც დაიწყო ნახშირისა და ფოლადის ევროპის შეთანხმებით. ევროკავშირის აქტიურობა დღეისათვის არის ევროპისათვის ენერჯის მიწოდების კონკურენტუნარიანობა, უსაფრთხოება და მდგრადობა.

დეტალური ინფორმაცია ინ.: http://ec.europa.eu/energy/strategies/2010/2020_en.htm

ნახ. 3.1. ევროპის სტრატეგია კონკურენტუნარიანობის, მდგრადობის და უსაფრთხოებისათვის³⁴

³¹ http://europa.eu/documentation/official-docs/green-papers/index_en.htm; COM(2006) 105, March 2006

³² http://ec.europa.eu/energy/eepr/index_en.htm; 52011DC0217

³³ <http://www.euractiv.com/en/energy-efficiency/energy-efficiency-eus-new-action-plan-links-dossier-496252>

³⁴ Background Information for the European Council, 4 February 2011; http://ec.europa.eu/energy/time_to_act_en.htm

**3.2. ევროპის
სტრატეგია
კონკურენტუ-
ნარიანობის,
მდგრადობის
და
უსაფრთხო-
ებისათვის³⁵**

სტრატეგია ვრცელდება შემდეგი ექვსი მიმართულებით:

- „მწვანე“ ავტომობილები: ევროპის სტრატეგია, საბურთალოს განვითარების შემცირება 2020 წლისათვის,
- ICT-ის (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) ხელშეწყობა ენერჯიზაციის, დაბალნახშირბადიანი ეკონომიკაზე გადასასვლელად,
- სტრატეგია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, გზები 2020 წლისათვის და შემდგომ,
- სტრატეგია მდგრადი განვითარებისათვის,
- გარემოს დაცვის ინტეგრირება ევროკავშირის ენერჯიზაციის პოლიტიკაში,
- ევროპული ენერჯიზაციისა და ტრანსპორტის ფორუმი.



ნახ. 3.2. „მწვანე“ ავტომობილი (მიკროავტობუსი), შიდაწვის ძრავით, საწვავი - წყალბადი

³⁵ http://ec.europa.eu/energy/strategies/2010/2020_en.htm



ნახ. 3.3. „მწვანე“ ავტომობილი, ელექტრომობილი საწვავ-ელემენტით, საწვავი - წყალბადი

4. საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობილი ინსტრუმენტები³⁶

- საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობილი ინსტრუმენტებს განეკუთვნება
- საბაზრო ინსტრუმენტები გარემოსთვის: სათბური გაზების ემისიის კომპენსაციების ვაჭრობის სქემა,
 - კავშირის საგადასახადო ჩარჩოები ენერგეტიკულ პროდუქტებსა და ელექტროენერგიაზე.

5. ენერგეტიკის ტექნოლოგიები, SET³⁷ (სტრატეგიული ენერგეტიკული ტექნოლოგიები) გეგმა დახალ-ნახშირბადიანი ტექნოლოგიების განსაზღვრავლად

5.1. ძირითადი მიმართულებები

გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს

- ენერჯის მდგრადი წარმოება წიაღისეული საწვავიდან,
- CO₂-ის ჩაჭერის და შენახვის დემონსტრირება³⁸,
- სტრატეგიული ენერგეტიკული ტექნოლოგიების (SET) გეგმა,
- მისწრაფება ევროპული სტრატეგიული ენერგეტიკული ტექნოლოგიებისაკენ.

³⁶ http://europa.eu/legislation_summaries/energy/index_en.htm

³⁷ http://ec.europa.eu/energy/technology/set_plan/set_plan_en.htm

³⁸ http://ec.europa.eu/energy/coal/sustainable_coal/ccs_en.htm

5.2. ენერჯეტიკული ტექნოლოგიების განვითარების ინიციატივა SET – გეგმის იმპლემენტაციის მიზნით

ენერჯეტიკული ტექნოლოგიების განვითარების ინიციატივა SET – გეგმის იმპლემენტაციის მიზნით გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის განხორციელების შედეგად:

- შემცირდება მანძილი, რომელიც არსებობს კვლევებსა და ტექნოლოგიის შექმნას შორის;
- გაძლიერდება საერთაშორისო თერმობირთვული ენერჯეტიკის კვლევების (ITER)³⁹ პროექტზე მუშაობა;
- ხელი შეეწყობა ევროპის ბაზარზე დაბალანსებრიბადიანი ტექნოლოგიების დანერგვას.

6. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები ძირითადად უკავშირდება ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამებს:

- კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამა (CIP) (2007-2013)⁴⁰,
- მეშვიდე ჩარჩო-პროგრამა FP7⁴¹ (2007-2013).

7. ევროპის სტრატეგია კონკურენტუნარიანობის, მდგრადობისა და უსაფრთხოებისათვის

სტრატეგიის მთავარი მიზანია ევროპაში ენერჯეტიკის წარმოებისა და გამოყენებაში მომხდარი ცვლილებებით, მოხდეს ენერჯეტიკული პოლიტიკის რეალიზება. ამასთან დაკავშირებით, 2010 წლის 10 ნოემბერს ევროკომისიამ ინფორმაცია წარუდგინა ევროსაბჭოს, ევროპის ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის კომიტეტსა და რეგიონების კომიტეტებს ახალი ენერჯეტიკული სტრატეგიის შესახებ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ენერჯეტიკის კონკურენტუნარიანობა, მდგრადობა და უსაფრთხოება. ეს ენერჯეტიკული სტრატეგია არის ევროკავშირის 2020 სტრატეგიისა და „რესურსების ეფექტური ევროპის“ ინიციატივის ნაწილი და მასში წარმოდგენილია ხუთი პრიორიტეტი:

1. ევროპაში ენერჯეტიკის გამოყენების ლიმიტირება,
2. მთელი ევროპის ინტეგრირებული ენერჯეტიკული ბაზრის მშენებლობა,
3. მომხმარებლების ენერჯეტიკით უზრუნველყოფა უმაღლესი დონის უსაფრთხოების დაცვით,
4. ევროპის მოწინავე პოზიციების გაფართოება ენერჯეტიკული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებაში.

³⁹ <http://www.iter.org/>

⁴⁰ <http://ec.europa.eu/cip/>

⁴¹ <http://ec.europa.eu/research/fp7/>


5. ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრის დაცვის გაძლიერება გარე ფაქტორების გავლენისაგან.

ევროპაში ენერჯის გამოყენების ლიმიტირება სორციელდება რიგი დიდი პროექტების მეშვეობით, რომელთა რეალიზების შედეგად:

- შეიქმნება ელექტროენერჯის გადაცემის ინტელექტუალური ქსელები.
- შემუშავდება ელექტროენერჯის შენახვის მეთოდები და სათანადო დანადგარები.
- შეიქმნება დიდი წარმადობის სიცოცხლისუნარიანი ბიოსაწვავის წარმოებები.
- განსორციელდება ენერჯის დაზოგვა ქალაქებსა და სოფლებში.

ევროპაში ენერჯის გამოყენების ლიმიტირების მიზანშეწონილობა გამოწვეულია იმით, რომ როგორც ჩანს ნახ. 7.1.-ზე, ევროკავშირის ყველა ტიპის მომხმარებელს გააჩნია ენერჯის დაზოგვის საკმაოდ დიდი პოტენციალი.

ენერგეტიკა 2020 წ. (მტ)



ტრანსპორტი და მოსახლეობა, კერძოდ, შენობა-ნაგებობები არის ენერჯის დაზოგვის დიდი პოტენციალის მქონე ორი სექტორი. ტრანსპორტზე ენერჯის დაზოგვა და შენობების რეკონსტრუქციის დაჩქარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ენერჯის დაზოგვის თვალსაზრისით.

Background information for the European Council 4 February 2011

ნახ. 7.1. ენერჯის დაზოგვის პოტენციალი³⁴

8. ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული ბაზარი


შიდა ბაზარზე ენერჯის თავისუფალი გადაცემის გარანტიის მიზნით, 2020-2030 წწ. შეიქმნება ორი სატრანსპორტო ქსელი:

1. გაზის (European Network of Transmission System Operators for natural gas⁴² (ENTSO for Gas)),
2. ელექტროენერჯის (the European Network of Transmission System Operators for electricity⁴³ (ENTSO for electricity)).

ამ პროექტების რეალიზაციის შედეგად შიდა ბაზარი გახდება ჰარმონიზებული და სტანდარტიზებული. ამას უზრუნველყოფს სპეციალური მარეგულირებელი სააგენტო (Agency for the Cooperation of Energy Regulators⁴⁴ (ACER)).

სამწუხაროდ, ენერჯის დაზოგვა ევროკავშირის პრობლემებს ენერჯეტიკის დარგში ვერ აგვარებს. საჭიროა გარე კავშირების გაძლიერება. მსოფლიო ენერგობაზრების ზრდის ტენდენცია ჩანს ნახ. 8.1.-ზე, როგორც ვხედავთ, ევროკავშირის ენერგობაზარი უმსხვილესია. გარე კავშირების გასაძლიერებლად ევროკავშირი გეგმავს რიგი ღონისძიებების ჩატარებას, რომლის მიზანია ევროკავშირის შიდა ბაზრის კონსოლიდირება და მეზობელი ქვეყნების მონაწილეობის მსარდაჭერა შიდა ბაზარზე. ამისათვის საჭიროა საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფართოება შიდა ბაზარში მონაწილეობის კუთხით და ახალი ხელშეკრულებების გაფორმება. ევროკავშირის სურს ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოში მომავალი დაბალნახშირბადიანი ენერჯეტიკის განვითარებაში, მაგალითად, აფრიკის ქვეყნებთან მუშაობს კოოპერაციაში მდგრადი ენერჯეტიკის მშენებლობის კუთხით. ევროკავშირის პრიორიტეტებს მიეკუთნება, ლეგალური შეზღუდვა ბირთვული უსაფრთხოების განხორციელების არგავრცელების სტანდარტებთან დაკავშირებით. ამისათვის თანამშრომლობს ატომური ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტოსთან.

განახლებადი ენერჯის მსოფლიო მოთხოვნილება (2008–2035 წწ.)



განახლებადი ენერჯის მსოფლიო მოთხოვნილება სავარაუდოდ გაიზრდება სამჯერ, შესაძლებელია ახალი ბაზრების ჩამოყალიბება. ევროკავშირი, აშშ და ჩინეთი იქნებიან უმსხვილესი გლობალური ბაზრები. Background information for the European Council 4 February 2011

ნახ. 8.1. მსოფლიო ენერგობაზრების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები³⁴


⁴² <http://www.entsog.eu/>

⁴³ <https://www.entsoe.eu/>

⁴⁴ http://ec.europa.eu/energy/gas_electricity/acer/acer_en.htm

**9. გარემოს დაცვა და ენერგეტიკის განვითარება:
სტრატეგია „20-20-20“⁴⁵**

2007 წელს ევროსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის განვითარების მიზნით სათბური გაზების ემისიის 20%-იანი შემცირების, განახლებადი ენერჯის წილის 20%-ით, ხოლო ენერგოეფექტურობის ასევე 20%-ით გაზრდის შესახებ. ეს ამოცანები უნდა გადაიჭრას 2020 წლისათვის. განახლებადი ენერგეტიკა ევროკავშირის სწავლასსა და ქვეყანაში, წარმოდგენილია სწავლასსა და სხვადასხვა სახით, მაგრამ ჯამური სურათისა და საპროგნოზო მონაცემების გათვალისწინებით (იხ. ნახ. 9.1), სწრაფ ზრდას განიცდის ორი ტიპის წყარო - ქარის ენერგეტიკა და ბიოსაწვავი.




მზის, ქარის და ბიომასის ენერგეტიკის ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდებიან. მზისა და ქარის ენერჯის განვითარება ხმარდება ელექტროენერჯის წარმოებას, ხოლო ბიომასის - სითბოს სექტორს.

Background information for the European Council 4 February 2011

ნახ. 9.1. განახლებადი ენერგეტიკის ზრდის პერსპექტიული საპროგნოზო მაჩვენებლები³⁴

განახლებადი ენერგეტიკის გამოყენების თვალსაზრისით ევროკავშირის ქვეყნებს შორის გამოირჩევიან შვედეთი, ლატვია, ფინეთი, ავსტრია და პორტუგალია. ამ ქვეყნებში, 2005 წლის მონაცემებით, განახლებადი ენერგეტიკის წვლილი ქვეყნის ენერგობალანსში უკვე აღემატება 20%-ს (იხ. ნახ. 9.2.). 2020 წლისათვის ევროკავშირის ქვეყნებში, როგორც ერთიან ენერგოსივრცეში, განახლებადი ენერგეტიკამ ენერგობალანსში უნდა მიაღწიოს 20%-ს.

⁴⁵ http://ec.europa.eu/clima/policies/package/index_en.htm



Background information for the European Council 4 February 2011

ნახ. 9.2. განახლებადი ენერჯეტიკის გამოყენება ევროკავშირის ქვეყნებში³⁴.

10. ევროპული ენერგეტიკული პროგრამები
აღდგენადობისათვის (European Energy Programme for Recovery - EEPR)s

2008 წლის ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ნათლად დაგვაჩვენა ენერჯოსექტორში არსებული პრობლემები. ევროპული ენერჯეტიკული პროგრამები აღდგენადობისათვის გახდა საჭირო ენერჯეტიკული სექტორის ფინანსური მხარდაჭერისათვის, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორცაა შემაერთებელი ინფრასტრუქტურა, ენერჯის წარმოება განახლებადი წყაროების მეშვეობით, ნახშირბადის ჩაქერა და შენახვა (CCS).

ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2009 წლის 13 ივლისის რეგულაცია (Regulation (EC) No 663/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009) მიზნად ისახავს ამ სექტორში პროგრამების (სულ 15 პროგრამა) მხარდაჭერას. რეგულაციის ამოქმედების შედეგად იწყება პროექტების დაფინანსება ენერჯეტიკის მრავალ სექტორში, მათ შორის:

- გაზისა და ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურები,
- ქარის ენერჯია ოფშორში,
- ნახშირბადის ჩაჭერა და შენახვა (CCS).

A. გაზისა და ელექტრო-ენერჯის ინფრასტრუქტურის კუთხით გამოკვეთილია ხუთი პრიორიტეტი:

1. ენერჯის წყაროების და მიწოდების უსაფრთხოება – დივერსიფიკაცია,
2. ენერგეტიკული ქსელებისა და შიდა ენერგეტიკული ბაზრის ინტეგრაციის შესაძლებლობების ოპტიმიზაცია,
3. ქსელების განვითარება,
4. განახლებადი ენერგეტიკის წყაროების შეერთება,
5. შეერთებული ენერგეტიკული ქსელების უსაფრთხოება, რეაბილიტაცია და ფუნქციური თავსებადობა.

დაფინანსებული პროექტების შერჩევა ხდება რეგულაციაში მითითებული კრიტერიუმების გათვალისწინებით. ესენია: ტექნიკური, ფინანსური, ბუნებისდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური.

B. ქარის ენერჯია ოფშორში

რეგულაციის B ნაწილში მოცემულია, რა ტიპის პროექტები დაფინანსდება ოფშორებში ქარის ენერჯის გამოყენების კუთხით:

1. დანადგარებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება,
2. ინფრასტრუქტურის კონსტრუირება,
3. პროექტის საინოვაციო მომავალი,
4. პროექტის შენატანი კავშირში - „ოფშორული ქარის ქსელის სისტემები“.

C. ნახშირბადის ჩაჭერა და შენახვა (CCS)

რეგულაციის C ნაწილში მოცემულია, რა ტიპის პროექტები დაფინანსდება ნახშირბადის ჩაჭერისა და შენახვის მიმართულებით. პროექტმა უნდა აჩვენოს, რომ ინდუსტრიულ დანადგარებზე სულ ცოტა 80%-იანი CO₂-ის ჩაჭერა იქნება შესაძლებელი.

ევროპული ენერგეტიკული პროგრამები აღდგენადობისათვის (EEPR) ბიუჯეტის 3980 მილიონი ევრო განაწილებულია სამ ქვეპროგრამაზე³²:


- გაზისა და ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურები - 2365 მილიონი ევრო,
- ქარის ენერჯია ოფშორში - 565 მილიონი ევრო,
- ნახშირბადის ჩაჭერა და შენახვა - 1050 მილიონი ევრო.

EEPR ფარგლებში შემოსული 87 პროექტიდან დაფინანსდა 58: 43 - გაზისა და ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურები, 9 - ქარის ენერჯია ოფშორში, 6 - ნახშირბადის ჩაჭერა და შენახვა.

11. ენერგოუსაფრთხოება და ერთიანი (სოლიდარული) საეოქოლოგიური გეგმა

11.1. ზოგადი მიმოსილება

ევროკავშირი სულ უფრო დამოკიდებული ხდება იმპორტირებულ ელექტროენერჯისა და ენერგომატარებლებზე. მე-11.1. ნახ. წარმოგენილია ევროკავშირის დამოკიდებულება იმპორტზე და საპროგნოზო მაჩვენებლები 2030 წლისათვის. ევროკავშირი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავს უსაფრთხოებასა და ერთიანობაში.




დღეს ევროკავშირი მისთვის საჭირო ენერჯის 50%-ზე მეტს ღებულობს იმპორტით, დამოკიდებულება იმპორტზე 2030 წლისათვის იზრდება.

Background information for the European Council 4 February 2011

ნახ. 11.1 ევროკავშირის ენერჯეტიკის დამოკიდებულება იმპორტზე³⁴

უსაფრთხოება და ერთიანობა - მნიშვნელოვანი ფაქტორებია ევოქტური ენერჯეტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით. ევროკავშირი ამ კუთხით თავის ენერჯეტიკის პოლიტიკაში ყურადღებას ამახვილებს ორ სიდიდეზე: 2020 წლისათვის ენერჯის მოხმარება უნდა შემცირდეს სულ ცოტა 15%-ით მაინც, სოლო იმპორტირებული ენერჯია - 26%-მდე. სათანადო პროგრესის შედეგად იმედოვნებენ, რომ 2050 წლისათვის განახლებადი ენერჯეტიკა მთლიანობაში ჩაანაცვლებს ნახშირბადწარმოქმნელ ენერჯეტიკას⁴⁶. მიუხედავად ენერჯომონმარების ზრდის ტენდენციისა მთელ მსოფლიოში. ასეთი პოლიტიკის შედეგად მოსალოდნელია, რომ ევროკავშირი შეძლებს ენერჯომონმარების ზრდის შეჩერებას (იხ. ნახ. 11.2.).

⁴⁶ http://ec.europa.eu/energy/strategies/2011/roadmap_2050_en.htm



ევროკავშირის ენერგეტიკა შენარჩუნებული იქნება არსებულ დონეზე, მაშინ, როდესაც 2006-2030 წწ. მსოფლიო ენერგეტიკა გაიზრდება 45%-ით. ჩინეთისა და ინდოეთის ენერგეტიკები გაიზრდება ორჯერ.

Background information for the European Council 4 February 2011

ნახ. 11.2. მსოფლიოში ენერჯის მოხმარების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები³⁴

2004 წლიდან ევროკავშირში ამოქმედდა დირექტივა მიწოდების უსაფრთხოების შესახებ): **ენერგოუსაფრთხოება და ერთიანი (სოლიდარული) სამოქმედო გეგმა.**

დირექტივა მოიცავს ხუთ საკვანძო პუნქტს:

1. ენერჯის მიწოდების ინფრასტრუქტურა და დივერსიფიკაცია,
2. საგარეო ენერგეტიკული ურთიერთობები,
3. ნავთობისა და გაზის მარაგები და კრიზისის შემთხვევაში საპასუხო მექანიზმები,
4. ენერგოეფექტურობა,
5. ევროკავშირში არსებული ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების უკეთესი გამოყენება.

2008-2009 წწ. მესამე პაკეტში კიდევ უფრო გამტკიცდა ენერგოუსაფრთხოების საკითხი.

11.2. ენერჯის მიწოდების ინფრასტრუქტურა და დივერსიფიკაცია⁴⁷

„20-20-20“-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ევროკავშირის მიაჩნია აუცილებელი ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის საფუძვლიანი ცვლილებების განხორციელება 6 მიმართულებით:

1. დარჩენილი იზოლირებული ენერგობაზრების შეერთება,
2. კასპიის რეგიონისა და შუა აღმოსავლეთის წყაროების სამხრეთის გაზის დერეფნის განვითარება,

⁴⁷ <http://www.euractiv.com/en/energy/eu-wrong-prioritise-energy-diversification/article-176380>

3. გათხევადებული ბუნებრივი აირის წარმოება და ევროკავშირის ბაზრის დივერსიფიცირება,
4. ევროპისა და სამხრეთ სმელთაშუაზღვის რეგიონის ელექტროენერჯისა და გაზის ქსელების შეერთება,
5. ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის მეშვეობით ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ელექტროენერჯისა და გაზის ქსელების შეერთების განვითარება,
6. ჩრდილოეთ-დასავლეთის ელექტროქსელების შეერთებების განვითარება ჩრდილოეთის ზღვის ქარის ენერჯის გამოყენების ოპტიმიზაციისათვის.

11.3. საგარეო ენერგეტიკული ურთიერთობები

საგარეო ენერგეტიკული ურთიერთობები გადაამწყვეტ როლს თამაშობენ ენერგოუსაფრთხოების კუთხით. ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. აქედან გამომდინარე, მიწოდება ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს როგორც პრიორიტეტი. დღეს მართო ევროკავშირის არ შეუძლია მიაღწიოს უსაფრთხო, კონკურენტუნარიან და მდგრად ენერგეტიკას. იგი თანამშრომლობს როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებთან, ენერჯის მწარმოებლებთან და მომხმარებლებთან, სატრანზიტო ქვეყნებთან. ენერჯის წარმოების და მოხმარების კუთხით, ევროკავშირის გააჩნია ურთიერთობები: მომხმარებელ ქვეყნებთან (როგორცაა აშშ, ინდოეთი, ბრაზილია, ჩინეთი), მწარმოებელ ქვეყნებთან (რუსეთი, ნორვეგია, ალჟირი, ნეპოლის (OPEC) ქვეყნები). ეს, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით. ევროკავშირი ცდილობს გაატაროს გამჭვირვალე პოლიტიკა ენერგეტიკის ყველა სფეროში, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში. ევროკავშირი ეძებს ახალ პარტნიორებს აფრიკაში, რათა მეტად გაზარდოს ენერგეტიკული შესაძლებლობები.

საერთაშორისო ასპარეზზე ევროკავშირის ქვეყნებს შეუძლიათ ერთიანი პოზიციის დაცვა. ევროკავშირი არის უფლებამოსილი აწარმოოს მოლაპარაკებები და მოამზადოს საერთაშორისო ენერგეტიკული შეთანხმებები. კერძოდ, მომზადდა ევროპული ენერგეტიკული ქარტია, რომელიც განსაზღვრავს ენერგოეფექტურობას და შემდგომ პერიოდში ენერგეტიკული პარტია გააქტიურდება კლიმატის ცვლილების კუთხით.

სამხრეთ ევროპაში ენერგეტიკული კავშირი აშენებს ინტეგრირებულ ენერგობაზარს. ეს ბაზარი მნიშვნელოვანია ევროკავშირისათვის და შეიძლება გაფართოვდეს ისეთი ქვეყნების მეშვეობით, როგორცაა უკრაინა, მოლდოვა, თურქეთი. ენერგეტიკულ სფეროში რუსეთი განიხილება როგორც სტრატეგიული პარტნიორი. მნიშვნელოვანია ამ პარტნიორობის კონსოლიდაცია, რათა იგი გახდეს უფრო სტაბილური. პარტნიორობისა და კოოპერაციის ახალი ხელშეკრულება

(Partnership and Cooperation Agreement) მოწოდებულია ამისათვის. მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ურთიერთობები ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებთან მათი ენერგეტიკული პოტენციალის გათვალისწინებით. ამ კონტექსტში განიხილება ტრანს-საჰარის გაზის მილსადენის მშენებლობა.

11.4. ნავთობისა და გაზის მარაგები და საბაზუსო მექანიზმები

საჭიროა გადაიხედოს ევროპის კანონმდებლობა ნავთობის სტრატეგიული მარაგის შესახებ გათვალისწინებული შემთხვევების დროს, როგორც ეს არის ბუნებრივი გაზის მომარაგების შემთხვევაში.

11.5. ენერგო-ეფექტურობა

ევროკავშირი აღიარებს, რომ 2020 წლისათვის 20%-ით უნდა გაიზარდოს ენერგოეფექტურობა, როგორც ეს არის გათვალისწინებული „20-20-20“ შეთანხმებით.

2020 წლისათვის სათბური გაზების 20%-ით შესამცირებლად ევროკავშირს გააჩნია ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმა (2007-2012) (Action Plan for Energy Efficiency)⁴⁸, რომლის ფარგლებში:

- უნდა გადაიხედოს მშენებლობის დირექტივა ენერგეტიკის ნაწილში,
- უნდა გადაიხედოს მარკირების დირექტივა,
- საჭიროა ეკოდიზაინის დირექტივის იმპლემენტაციის ინტენსიფიცირება,
- თანაგენერაციის მხარდაჭერა,
- სასარგებლო პრაქტიკის მხარდაჭერა,
- ერთობლიობის პოლიტიკის ფონდის (Cohesion Policy Funds) გაზრდა,
- მწვანე გადასახადის (Green Tax) შემოღება.

ევროკავშირი მზადაა ენერგორესურსების დასაზოგად შეიმუშავოს ენერგოეფექტურობის სათანადო საერთაშორისო ხელშეკრულებები.

11.6. ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ეფექტური გამოყენება⁴⁹

ევროკავშირი თვითონ აწარმოებს მონმარებული ენერჯის 46%-ს, ამასთანავე მონმარებული ენერჯის 9% მიღებულია განახლებადი წყაროებიდან. 2020 წლისათვის ევროკავშირმა ეს წილი უნდა გაიზარდოს 20%-მდე.

პრობლემის უკეთესად გადასაჭრელად კომისია მუშაობს ევროპის საინვესტიციო ბანკთან (European Investment Bank (EIB)), რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულ ბანკთან (European Bank for Reconstruction and Development (EBRD)) და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან, რათა ჩამოყალიბდეს ევროკავშირის მდგრადი ენერგეტიკის ფინანსური ინიციატივა.

⁴⁸ http://europa.eu/legislation_summaries/energy/energy_efficiency/l27064_en.htm

⁴⁹ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2011:0109:FIN:EN:PDF>

12. ენერგეტიკის პოლიტიკა ევროპისათვის⁵⁰

12.1. ევროკავშირში არსებული ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ეფექტური გამოყენება

ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკაში ენერჯის ნაკლებად მომთხოვნი ეკონომიკის ბაზაზე მკაცრად ტარდება და ეფუძნება მეტ უსაფრთხოებას, მეტ კონკურენტუნარიანობასა და მეტ მდგრადობას. პრიორიტეტულია შიდა ენერგეტიკის ბაზრის დაზღვეული და სტაბილური ფუნქციონირება, სტრატეგიული მიმწოდებლების უსაფრთხოება, სათბური გაზების ემისიის შემცირება. ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- დაბალნახშირბადიანი ტექნოლოგიების დაფინანსება,
- ევროკავშირისათვის საჭირო ნავთობის გაწმენდა,
- ბირთვული უსაფრთხოების ჩარჩო სამუშაოების გადახედული წინადადება ევროკავშირის დირექტივისათვის.

12.2. ევროპული ენერგეტიკის პოლიტიკის მხარდაჭერა

ევროკავშირი აწყდება სერიოზულ ენერგეტიკულ გამოწვევებს მდგრადი განვითარებისა და სათბური გაზების ემისიის, მიწოდების უსაფრთხოების, იმპორტზე დამოკიდებულებისა და კონკურენტუნარიანობის, და აგრეთვე შიდა ენერგობაზარზე ეფექტური იმპლემენტაციის კუთხით.

აღიარებულია, რომ ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა არის ძალიან ეფექტური პასუხი ამ გამოწვევებზე, და ამას ეთანხმება კავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროკავშირი აპირებს ასალი ინდუსტრიული რეგულაციის მოხდენას და მაღალენერგოეფექტური ეკონომიკის შექმნას დაბალი CO₂ ემისიით. ამისათვის საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა:

შიდა ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება

შიდა ენერგეტიკული ბაზრის განვითარება კავშირის დონეზე იძლევა გარანტიას, რომ მომხმარებელმა შეძლოს შეარჩიოს მიმწოდებელი ბაზარზე არსებული კონკურენტული ფასის გათვალისწინებით.

- კონკურენტუნარიანი ბაზარი,
- ინტეგრირებული და ურთიერთგადაბმული ბაზარი,
- ენერგეტიკული პოლიტიკის სერვისი.

გარანტირებული უსაფრთხო ენერჯის მიწოდება

- ევროკავშირის იმპორტზე დაუზღვეულობა, მიწოდების დეფიციტი, შესაძლო ენერგეტიკული კრიზისისა და მომავალი ენერგეტიკული მიწოდების მინიმუმამდე დაყვანა ნათელი პრიორიტეტი,
- ყველაზე დიდი პრობლემა არის დამოკიდებულება გაზის ერთ მიმწოდებელზე.

⁵⁰ An Energy Policy for Europe, Communication from the Commission to the European Council and the European Parliament COM(2007) 1 final

**სათბური
გაზების
ემისიის
შემცირება**

როგორც ნახ. 12.1-ზე ჩანს, ძირითადი წყარო CO₂ ემისიისა არის ენერგეტიკა. ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ 2020 წლისათვის ევროკავშირის ქვეყნების სათბური გაზების ემისიას 20%-ით შეამცირებს. ის მოუწოდებს განვითარებულ ქვეყნებს, რათა მათ 2020 წელს, 1990 წელთან შედარებით 30%-ით შეამცირონ სათბური გაზების ემისია. ეს არის ევროკავშირის სტრატეგიის უმთავრესი მოთხოვნა, რაც გამოწვეულია კლიმატის ცვლილებით.

სათბური გაზების შესამცირებლად საჭიროა ნაკლები ენერჯის მოხმარება და უფრო სუფთა ენერჯის გამოყენება. CO₂ ემისიის შემცირების მიზნით კონკრეტული ძალისხმევა დაკავშირებული იქნება სათანადო ობიექტთან, კერძოდ:

- სატრანსპორტო სექტორთან,
- მინიმალურად აუცილებელი დანადგარების ენერგოეფექტურობასთან,
- სითბოსა და ელექტროენერჯის ტრანსპორტირებასა და განაწილებასთან,
- ენერგოდამზოგავ შენობა-ნაგებობების აგებასთან.


**განახლებადი
ენერგეტიკა⁵¹**

- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით განახლებად ენერგეტიკას (ქარის ენერჯია, მზის ენერჯია და ფოტოვოლტაჟი, ბიომასა და ბიოსაწვავი, გეოთერმული ენერჯია, სითბოს ტუმბოები) ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა,
- ყველა ეს წყარო ზრდის ენერჯის მიწოდების უსაფრთხოებას, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ზრდის ადგილობრივი წარმოების ენერჯის მოხმარებას.

განახლებადი ენერჯის წყაროების ზრდა გათვალისწინებულია ევროკავშირის განახლებადი ენერჯის საგზაო რუკაში (Renewable Energies Roadmap the EU), და გულისხმობს 2020 წლისათვის ენერჯის საერთო რაოდენობიდან 20%-მდე განახლებადი ენერჯის გამოყენებას. ამ დარგში პროგრესს სამი მნიშვნელოვანი სეგმენტი განსაზღვრავს:

1. ელექტროენერჯის წარმოების ზრდა განახლებადი წყაროებიდან და ელექტროენერჯის მდგრადი წარმოება წიაღისეული საწვავიდან CO₂ ჩაჭერისა და შენახვის სისტემის დანერგვით,
2. ბიოსაწვავის გამოყენება, რაც 2020 წლისათვის ავტომანქანების საწვავში წარმოდგენილი უნდა იყოს 10%-ით,
3. გათბობისა და გაგრილების სისტემები.

⁵¹ http://europa.eu/legislation_summaries/energy/renewable_energy/l27065_en.htm



ნახ. 12.1. CO₂ ემისიის ძირითადი წყარო³⁴

ენერგეტიკული ტექნოლოგიების განვითარება⁵²

ენერგეტიკული ტექნოლოგიები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მიწოდების უსაფრთხოების ზრდის, ენერგეტიკული სექტორის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის თვალსაზრისით. დღეს ევროკავშირი გლობალური ლიდერია განახლებადი ენერჯეტიკის სექტორში. მას სურს ასევე ლიდერის როლი შეასრულოს დაბალნახშირბადიანი ბაზრის ენერჯეტიკის ტექნოლოგიების ფორმირებაში. ევროკავშირმა ისევე უნდა განავითაროს ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, როგორც განავითარა ახალი ტექნოლოგიები ენერჯეტიკის ეფექტურობასა და განახლებად ენერჯეტიკაში.

ენერჯეტიკის ორგანულ საწვავებზე დამოკიდებულების დონიდან გამომდინარე, ევროკავშირმა უნდა განავითაროს დაბალნახშირბადიანი ტექნოლოგიები, განსაკუთრებით, ნახშირბადის ჩაჭერისა და შენახვის სისტემები. ევროკომისიას წარმოდგენილი აქვს ევროპის ენერგეტიკული ტექნოლოგიების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს საინოვაციო პროცესებს საწყისი კვლევებიდან ბაზრამდე. ამ სტრატეგიულ გეგმას მხარს უჭერს კვლევების მეშვიდე ჩარჩო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ენერგოსექტორისათვის ხარჯების გაზრდას 50%-ით.

ბირთვული ენერჯეტიკის მომავალი

ბირთვული ენერჯეტიკა არის დაბალნახშირბადიანი წყაროების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ნახიათდება სტაბილური ფასით და მიწოდებით. გადამწყვეტილება ბირთვული ენერჯეტიკის განვითარების შესახებ მიიღება კავშირის წევრების მიერ დამოუკიდებლად.

⁵² http://europa.eu/legislation_summaries/energy/european_energy_policy/l27079_en.htm

ბირთვული პროგრამები დიდ ყურადღებას უთმობენ ბირთვულ უსაფრთხოებას და არგავრცელებას, განსაკუთრებით კი, ნარჩენების მენეჯმენტსა და დანადგარების ექსპლუატაციიდან გამოყვანას. ჩერნობილისა და ფუკუსიმას ტრაგედიების შემდგომ მკაცრდება კონტროლის მექანიზმები, რომელთა მეშვეობით ატომურ სადგურებზე ავარიების ალბათობა საგრძნობლად უნდა შემცირდეს.

13. კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამა (CIP) და მეშვიდე ჩარჩო-პროგრამა (FP7)

13.1. პროგრამის სპეციფიკა. CIP პროგრამის სამი ქვეპროგრამა

ლისაბონის სტრატეგიიდან გამომდინარე, მდგრადი ეკონომიკური ზრდა და ევროპაში სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება არის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი. კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამა მხარს უჭერს ლისაბონის სტრატეგიას საინოვაციო ტექნოლოგიების განვითარებაში, გარემოსდაცვით ტექნოლოგიების გავრცელებასა და განახლებადი ენერჯეტიკის წყაროების ზრდაში. პროგრამა, სხვა პროგრამებთან ერთად, ორიენტირებულია სინერგულ ეფექტზე ლისაბონის სტრატეგიის მიზნების მისაღწევად.

CIP პროგრამის სამი ქვეპროგრამაა:

- მეწარმეობა და საინოვაციო პროგრამა CIP ერთობლივად ასორციელებენ კონკურენტუნარიან ინდუსტრიალიზაციას და ინოვაციებს. ძირითადად სპეციფიკური მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs), აგრეთვე ეკო-ინოვაციები შედის CIP პროგრამის ინტერესების სფეროში. კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ სწრაფი ზრდის უნარი, ღებულობენ ინვესტიციებს, რათა ჩამოყალიბდნენ როგორც start-up კომპანიები, უზრუნველყონ ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება. ევროპაში ასეთი კომპანიები დიდი რაოდენობითაა. ევროკავშირის სტრატეგია ითვალისწინებს მათი მონაწილეობით სპეციფიკური ქსელების შექმნას, როგორც რეგიონალური კლასტერების განვითარების თვალსაზრისით, ასევე ცოდნის გავრცელების კუთხით⁵³.
- CIP პროგრამის ინტერესების სფეროში ასევე შედის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT). ICT-ფირმები, როგორც საჯარო, ასევე კერძო, ხელს უწყობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და საზოგადოების აშენებას. კონკურენტუნარიანობა და ინოვაციების ეფექტურობა არის ლისაბონის სტრატეგიის მიზნების რეალიზება⁵⁴.

⁵³ <http://www.londonchamber.co.uk/docimages/7052.pdf>

⁵⁴ http://ec.europa.eu/information_society/activities/ict_psp/projects/portfolio/h4_documents/ee_cip_projects-map.pdf

- ენერჯეტიკის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ელემენტია ინტელექტუალური ენერჯეტიკის შექმნა. ენერჯეტიკის ეფექტურობისა და გარემოს დაცვის მხარდაჭერა, ახალი და განახლებადი ენერჯის წყაროების მონახვა, ენერჯეტიკის და საწვავის დივერსიფიცირება - ყველაფერი ეს ლისაბონის სტრატეგიის უმთავრესი ამოცანაა და ევროკავშირის ზრუნვის ობიექტს წარმოადგენს⁵⁵.

13.2. CIP პროგრამის იმპლემენტაცია

CIP პროგრამა ქმნის ახალ სინერჯეტიკულ ეფექტებს. მაგალითად, CIP პროგრამის იმპლემენტაციის ინსტრუმენტები: ფინანსური ინსტრუმენტები, პროექტები, ქსელები, ახალი და ა.შ., წარმატებით გამოიყენება სხვა სპეციფიკურ პროგრამებშიც.

ბიზნეს ინსტრუმენტები მიმართულია ბიზნესის მხარდასაჭერად. სწრაფად მზარდი და საინოვაციო SME - კომპანიებისათვის საწყისი კაპიტალის მოძიება და მათი start-up - რეჟიმში გადასვლა, რეალური განვითარების შესაძლებლობას იძლევა. CIP პროგრამის რეალიზების მექანიზმები, რომლებშიც გათვალისწინებულია ახალი იდეები, კვლევები, ტექნოლოგიის დახვეწის შესაძლებლობა, მცირე და საშუალო ბიზნესის მეშვეობით მიღებული შედეგების სწრაფი იმპლემენტაცია ხდება ახალი ბიზნეს-პოლიტიკის საკვანძო საკითხი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის წარმატებული მშენებლობის გარანტი.

13.3. ჩარჩო - პროგრამა FP7

FP7 აერთიანებს ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით ინიციატივებს, რომლებიც ორიენტირებულია ევროკავშირის გამოკვლევების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, საგანმანათლებლო და საინოვაციო სფეროებზე. პირველ რიგში პროგრამების კონკურსები განკუთვნილია ევროპის ორგანიზაციებისათვის და ევროპის მკვლევართათვის, მაგრამ შესაძლებელია კონსორციუმში „მესამე ქვეყნების“ ორგანიზაციებისა და მეცნიერების მონაწილეობა, დამატებითი თანამონაწილეობის სტატუსით. პროგრამის ფორმირებისას ევროკავშირმა შექმნა პირობები მცირე და საშუალო წარმოებების (SME) პროექტებში ჩასართავად.

13.4. ჩარჩო-პროგრამა FP7: პროგრამის სტრუქტურა

FP7 პროგრამის საერთო სტრუქტურა ეყრდნობა 4 კონცეპტუალურ შემადგენელს (ძირითად კატეგორიას), რომლებიც უზრუნველყოფენ FP7-ის საბოლოო სტრატეგიული მიზნების მიღწევას:

კოოპერაცია - საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის განვითარება,

იდეები - ახალი იდეები, ვარგისიანი პრაქტიკული რეალიზებისათვის,

⁵⁵ <http://www.enterprise-europe-network.ec.europa.eu/about/sector-groups/intelligent-energy>

ადამიანები – სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, მრეწველობის წარმომადგენლები და ა.შ. პროგრამაში მათი მონაწილეობის ქრილში, ევროკავშირის მოქალაქეები და საზოგადოება, როგორც თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების მომხმარებლები.

შესაძლებლობები – დამატებითი შესაძლებლობები მეცნიერების, მეწარმეების, ფინანსური წყაროების ძალისხმევით გასაერთიანებლად FP7 პროგრამის განხორციელებისა და ერთიანი სამეცნიერო სივრცის შესაქმნელად.

ჩარჩო - პროგრამა FP7, ქვეპროგრამა „კოოპერაციის“ დაფინანსების სფეროები:

1. ჯანდაცვა
2. საკვები, სოფლის მეურნეობა, თევზჭერა და ბიოტექნოლოგიები
3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
4. ნანო-მეცნიერებანი, ნანო-ტექნოლოგიები, მასალები და ახალი სამრეწველო ტექნოლოგიები
5. ენერგეტიკა
6. ბუნებრივი გარემო, კლიმატის ცვლილების ჩათვლით
7. ტრანსპორტი, აერონავტიკის ჩათვლით
8. სოციალურ-ეკონომიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებანი
9. კოსმოსი
10. უსაფრთხოება.

იმის მიუხედავად, რომ ენერგეტიკა მხოლოდ მე-5 და მე-7 პუნქტებშია წარმოდგენილი, რეალურად, ენერგეტიკისა და გარემოს საკითხები სხვადასხვა ფორმით ასახულია თითქმის ყველა სფეროში.

ჩარჩო-პროგრამა FP7, ქვეპროგრამა „შესაძლებლობების“ დაფინანსების სფეროები:

1. სამეცნიერო კვლევების ინფრასტრუქტურა,
2. კვლევითი პროექტები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებლად,
3. მეცნიერება რეგიონებში და რეგიონალური სექტორების განვითარების მხარდაჭერა,
4. მომიჯნავე დარგების სამეცნიერო პოტენციალის ზრდა,
5. მეცნიერება საზოგადოებაში,
6. სამეცნიერო პოლიტიკის დაბალანსებული განვითარების მხარდაჭერა,
7. საერთაშორისო თანამშრომლობა.

მე-2 პუნქტი ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. ის აძლევს კერძო კომპანიებს დაფინანსების შესაძლებლობას ევროკავშირის ბიუჯეტიდან, თუ კი პროექტი ინოვაციურია და ეწევა ენერგეტიკას და კლიმატის ცვლილებას.

**13.5. ჩარჩო-
პროგრამა
FP7,
პროგრამის
ბიუჯეტი⁵⁶:**

FP7 პროგრამის ბიუჯეტის კომპონენტებია
სამეცნიერო კოოპერაცია - 32.365 მილიარდი ევრო
იდეები - 7.460 მილიარდი ევრო
ადამიანები - 4.728 მილიარდი ევრო
შესაძლებლობები - 4.217 მილიარდი ევრო

ბიუჯეტი გულისხმობს ასევე სპეციალური პროგრამების მხარდაჭერას:
JRC (Joint Research Centre), არაბირთვული - 1.751 მილიარდი ევრო
JRC (Joint Research Centre), ბირთვული - 0.517 მილიარდი ევრო
Euroatom (ევროატომი) - 2.234 მილიარდი ევრო.

**13.6. ევროპული
ტექნოლოგი-
ური პლატ-
ფორმები**

ევროკავშირის ქვეყნებში კვლევების შედეგების დანერგვა ხორციელდება რამდენიმე მექანიზმის გამოყენებით. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმი დაკავშირებულია ტექნოლოგიურ პლატფორმებთან. ევროპული „ტექნოლოგიური პლატფორმები“ არის ტერმინი, რომელიც შეთავაზებულია ევროკომისიის მიერ თემატური მიმართულებების აღსანიშნავად, რომელთა ფარგლებში ფორმულირებულია ან იქნება ფორმულირებული სამეცნიერო-ტექნიკური პრიორიტეტები ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამა FP7-ში. ამ მიმართულებების ფარგლებში იგულისხმება დაფინანსების მნიშვნელოვანი მოცულობის გამოყოფა ისეთი სხვადასხვა მეცნიერული კვლევების ჩასატარებლად, რომელთა შედეგები უშუალოდ ექვემდებარება პრაქტიკულ რეალიზაციას მცირე და საშუალო წარმოებაში ან მრეწველობაში.

„ტექნოლოგიური პლატფორმების“ თავისებურებები უკავშირდება მათ ფორმირებას შემდეგი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე. ესენია: პოტენციური მომხმარებლების მოთხოვნილება, მოწინავე ტექნოლოგიების ბაზრის მოთხოვნილება, წარმოების მოთხოვნილება და ა.შ. ანალიზის შედეგად დგინდება სამეცნიერო კვლევების ჩატარების შესაძლებლობა თანამედროვე საზოგადოების მდგრადი და რესურსგანახლებადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

ევროპული ტექნოლოგიური პლატფორმის შექმნას წინ უძღვის სამეცნიერო სტრატეგიული მიმართულებების შერჩევა, ტექნოლოგიების საბაზრო პოტენციალის ანალიზი, ყველა დაინტერესებული მხარის თვალთახედვის გათვალისწინება (სახელმწიფო, მრეწველობა, სამეცნიერო საზოგადოება, მაკონტროლებელი ორგანოები). „ტექნოლოგიური პლატფორმები“ შექმნილია წილობრივ საწყისებზე, ევროკავშირის ინტელექტუალური და ფინანსური, უმსხვილესი ევროპული სამრეწველო და ფინანსური რესურსების გაერთიანებით. თანამედროვე სამრეწველო წარმოებებისათვის საჭირო სამეცნიერო კვლევების აქტივაციისთვის აუცილებელია:

⁵⁶ http://cordis.europa.eu/fp7/budget_en.html

- პრობანდა და შექმნილი ტექნოლოგიური პლატფორმების პრომოტიინგი მათი მიზნებისა და ამოცანების ევროკავშირის სტრუქტურებსა და ევროსაზოგადოებაში განსახორციელებლად.
- კვლევების სტრატეგიული გეგმის შემუშავება (Strategic Research Agenda), რომელიც არის ძირითადი დოკუმენტი და მასში დასაბუთებულია, თუ რა მიმართულებებით, რა ვადებში, რა მიზნებით და რისთვის უნდა ჩატარდეს გამოკვლევები მოცემული ტპ ფარგლებში.
- ტექნოლოგიური პლატფორმის დანერგვის გეგმის შემუშავება (Implementation Plan/Deployment Strategy).

დღეისათვის შვიდი მიმართულებით შექმნილია სულ 35 ტექნოლოგიური პლატფორმა. მაგალითად, მიმართულებაში: „ბიოტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა, თევზსაშენი და სურსათი“ არსებობს შემდეგი ტექნოლოგიური პლატფორმები: სურსათი სიცოცხლისათვის, მოსავალი მომავლისათვის, ცხოველების გლობალური ჯანმრთელობა, საჯიშე ცხოველების ფერმა, სატყეო მეურნეობა, ინდუსტრიული ბიოტექნოლოგიები, ევროპული ბიოსაწვავი. (ევროპული „ტექნოლოგიური პლატფორმების“ სრული სია იხ.⁵⁷).

13.7. ერთობლივი ტექნოლოგიური ინიციატივა (JTI – Joint Technology Initiative)⁵⁸

კერძო დაფინანსების მოზიდვის, აგრეთვე საჯარო და კერძო რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით, ევროკავშირში შეიქმნა ახალი ინსტრუმენტი (კონსორციუმი) – ერთობლივი ტექნოლოგიური ინიციატივა. დაფინანსების წყაროები JTI ინსტრუმენტების გამოსაყენებლად – FP7 და სხვა ფონდები, როგორც ცალკეული ევროკავშირის ქვეყნის, ასევე მთლიანად ევროკავშირის, როგორც საზოგადო, ასევე კერძო⁵⁹.

დღეისათვის ექვსი დარგი მიჩნეულია როგორც JTI⁶⁰:

- წყალბადი და საწვავი ელემენტები (FCH JTI),
- აერონავტიკა და საჰაერო ტრანსპორტი (სუფთა ცა) (“CLEAN SKY” JTI),
- ინოვაციური სამედიცინო ინიციატივები (IMI),
- ნანოელექტრონიკული ტექნოლოგიები 2020 (ENIAC),
- კომპიუტერიზებული სისტემები (ARTEMIS),
- გლობალური მონიტორინგი გარემოზე და უსაფრთხოება.

⁵⁷ European Technology Platforms; www.cordis.europa.eu/pub/technology-platforms/docs/etp3rdreport_en.pdf

⁵⁸ <http://cordis.europa.eu/fp7/jtis/>

⁵⁹ <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=MEMO/07/191>

⁶⁰ <http://www.artemis-ju.eu/> www.eniac.eu; <http://www.eniac.eu/web/aeneas/reportCBE.php>

14. ენერგეტიკული კავშირი, როგორც ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების ელემენტი

ენერგეტიკული კავშირი ხშირად მოიხსენიება როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ენერგეტიკული კავშირი - Energy Community of South East Europe (ECSEE)⁶¹ და ევროპის ენერგეტიკული კავშირი - European Energy Community (EEC)⁶², ეს არის კავშირი, რომელიც ჩამოყალიბდა ევროკავშირისა და რამდენიმე სხვა ქვეყანას შორის, რათა გაფართოებულიყო ევროპის შიდა ენერგობაზარი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე.

ენერგეტიკული კავშირი შეიქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის რეგიონალურ ენერგობაზარზე ათენის მემორანდუმის სტაბილურობის პაკეტის ფარგლებში. ათენის მემორანდუმი ხელმოწერილია ათენში და ეფუძნება 2002 წლის ურთიერთგაგების მემორანდუმს, მის 2003 წლის შესწორებულ ვერსიას. მემორანდუმი წარმოადგენს ევროკავშირის პრინციპებისა და აუცილებელი ინსტიტუციების წინადადებას სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის რეგიონალური ელექტროენერჯის ბაზრის განვითარებისათვის. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ალბანეთმა, ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ, სორვატიამ, ბულგარეთმა, რესპუბლიკა მაკედონიამ, რუმინეთმა, სერბეთმა, მონტენეგრომ და თურქეთმა. 2003 წელს მოხდა მემორანდუმის გადახედვა და მას დაემატა ბუნებრივი აირის ნაწილი. ათენის მემორანდუმით გაჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის რეგიონალური ენერგობაზარი (South-East Europe Regional Energy Market - SEEREM)⁶³, როგორც ფორმა ევროკავშირის შიდა ენერგობაზრისა. ამან გამოიწვია რიგი პროცესების, რომელთა ერთობლიობას ეწოდა ათენის პროცესი. 2004 წელს, კი ათენში, ამ პროცესს მიენიჭა ოფიციალური სახელი - **ენერგეტიკული კავშირი.**

2004 წლის მაისში ევროკავშირმა დაიწყო მოლაპარაკება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან იურიდიული შეთანხმების მიღწევის მიზნით. მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობდნენ, ერთი მხრივ, ევროპის საზოგადოება, და, მეორე მხრივ - ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სორვატია, ბულგარეთი, რესპუბლიკა მაკედონია, რუმინეთი, სერბეთი, მონტენეგრო, თურქეთი და კოსოვოს წარმომადგენელი - გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი მართვის ორგანო UNMIK (რეზოლუცია 1244). ენერგეტიკული კავშირის კონვენცია ჩამოყალიბდა და მას ხელი მოეწერა ათენში 2005 წლის 25 ოქტომბერს. ენერგეტიკული კავშირის კონვენცია მიღებულია

⁶¹ <http://www.stabilitypact.org/energy/energy-newsletter.pdf>

⁶² http://www.notre-europe.eu/uploads/tx_publication/Etud76-Energy-en.pdf

⁶³ <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0301421504001351>

ევროპარლამენტის მიერ 2006 წლის 29 მაისს და ძალაში შევიდა 2006 წლის 1 ივლისს. კონვენციის პირობების თანახმად, შესაძლებელია ევროკავშირის ნებისმიერი წევრი წარმოდგენილი იყოს მინისტრიალის საბჭოზე, პარლამენტის მაღალი დონის ჯგუფსა და მარეგულირებელ საბჭოში, მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში სათანადო ფორუმზე.

ენერგეტიკული კავშირის წევრებია:

ევროკავშირი, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სორვატია, რესპუბლიკა მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი, მოლდავეთი, უკრაინა, კოსოვო (UNMIK).

ენერგეტიკული კავშირის პრივილეგირებული წევრებია:

ავსტრია, ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, დიდი ბრიტანეთი.

ენერგეტიკული კავშირის დამკვირვებლებია:

ნორვეგია, თურქეთი, საქართველო.

ენერგეტიკულ კავშირში შესასვლელად საჭიროა კონვენციის რატიფიცირება (სიაში ქვეყნები მოცემულია რატიფიცირების თარიღის მისედეგით):

- კოსოვო (UNMIK) – 23.12.2005
- ბულგარეთი – 07.03.2006
- ალბანეთი – 24.05.2006
- რესპუბლიკა მაკედონია – 29.05.2006
- ევროკავშირი – 29.05.2006
- რუმინეთი – 26.06.2006
- სორვატია – 30.06.2006
- ბოსნია და ჰერცეგოვინა – 20.09.2006
- სერბეთი – 09.08.2006
- მონტენეგრო – 15.12.2006
- უკრაინა – 15.12.2010.

ენერგეტიკული კავშირის მთავარი ინსტიტუტებია:

- მინისტრიალის საბჭო - Ministerial Council
- მუდმივი მაღალი დონის ჯგუფი - Permanent High Level Group
- ენერგეტიკული საბჭოს მარეგულირებელი საბჭო - Energy Community Regulatory Board (ECRB)
- ფორუმი - Fora
- სამდივნო - Secretariat.

სამდივნო ახორციელებს ენერგეტიკული კავშირის სხვადასხვა ინსტიტუციების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, განიხილავს წევრი-

ქვეყნების ვალდებულებების იმპლემენტაციას, წარადგენს წლიურ ანგარიშს მინისტერიალის საბჭოსე, იხილავს და ესმარება დონორების აქტიურობას. სამდივნო მდებარეობს ვენაში.

ენერგეტიკული კავშირის სამოქმედო გეგმა გულისხმობს შემდეგ ქმედებებს:

- 2011 წლის 31 დეკემბერს - თხევად ნავთობპროდუქტებში გოგირდის შემცველობის შემცირება,
- 2015 წლის 1 იანვრიდან ბაზრის ლიბერალიზაცია ყველა მომხმარებლისთვის,
- 2017 წლის 31 დეკემბრიდან გარკვეული პოლუტანტების ემისიის ლიმიტირება მსხვილი წარმოებებისათვის, რომლებიც იყენებენ საწვავს,
- 2011 წლის 31 დეკემბერს - თხევად ნავთობპროდუქტებში გოგირდის შემცველობის შემცირება,
- 2015 წლის 1 იანვრიდან ბაზრის ლიბერალიზაცია ყველა მომხმარებლისთვის,
- 2017 წლის 31 დეკემბრიდან გარკვეული პოლუტანტების ემისიის ლიმიტირება მსხვილი წარმოებებისათვის, რომლებიც იყენებენ საწვავს.

ენერგეტიკის დარგში (გარემოს დაცვის ჩათვლით) ევროკავშირის მიერ მიღებულია დაახლოებით 160 დირექტივა და რეგულაცია, რომელთა სრული სიის მოყვანა რთულია. სტატისის მოცულობის სიმცირის გამო ქვემოთ მოცემულია მხოლოდ ქვედარგების ჩამონათვალი, საიდანაც ჩანს, თუ რა საკითხებს არეგულირებს ევროკავშირი ენერგეტიკისა და გარემოს მართვის კუთხით (ევროკავშირის დირექტივები და რეზოლუციები 2011 წლის მარტის თვის მდგომარეობით იხ. ⁶⁴).

15. საინოვაციო პროცესები ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში: ხედავ ადმონაველთიდან

15.1 საქართველოსა და ევროკავშირს ურთიერთობა სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში

2005 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ საქართველოსთან მიმართებაში. ევროკავშირი და საქართველო იმედოვნებდნენ, რომ სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელდებოდა მთელი რიგი პროექტები, რაც ხელს შეუწყობდა საქართველოში კანონის უზენაესობის განმტკიცებას, ეკონომიკურ განვითარებას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

⁶⁴ http://ec.europa.eu/energy/doc/energy_legislation_by_policy_areas.pdf

დღეს შესაძლებელია გაკეთდეს უკვე მიღებული შედეგების შეფასება: ხედავთ ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთის ხედავთ ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვასთან მიმართებაში ჯერ კიდევ განსხვავებულია ევროკავშირის ხედვისაგან. ბევრ ენერგომატარებლებს ექსპორტიორ ქვეყანაში ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგების მფლობელი, მომპოვებელი და ექსპორტიორი არის სახელმწიფო კომპანია. იგივე კომპანია აშენებს (ან უკვე ფლობს) სატრანსპორტო ქსელებს. ხშირ შემთხვევაში ასეთ კომპანიებს თავიანთი ქვეყნების შიდა ენერგობაზრის დიდი წილიც უკავიათ. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, ევროკავშირი ხან წარმატებით, ხანაც წარუმატებლად ცდილობს შესთავაზოს ევროკავშირის შიდა ენერგობაზრის წესები ენერგოექსპორტიორ ქვეყნებს.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ხელისუფლება ხშირად საუბრობს ევროპის მიმართულებით მოძრაობის თაობაზე, ენერგოუსაფრთხოებისა და გარემოს მართვასთან დაკავშირებით საქართველო საკმაოდ შორს არის ევროპული სტანდარტებისგან.

საქართველომ აიღო ვალდებულება ევროპული ენერგეტიკული კავშირის დამკვირვებელიდან წევრად გადასვლაზე 2010 წლის დეკემბერში. მაგრამ ვალდებულებები არ შეასრულა და ისევ დამკვირვებლად დარჩა. საქართველოში ელექტროენერჯის დარგში ენერგოგენერაციის ობიექტებისა და დისტრიბუციის ქსელების მფლობელები ხშირად ერთი და იგივე კომპანიები არიან. მსგავსი სიტუაციაა გაზის სექტორშიც.

15.2. საქართველოს პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში

ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში (გარემოს დაცვის ჩათვლით) ასახულია დაახლოებით 160 დირექტივასა და რეგულაციაში, - და ეს მხოლოდ ევროკავშირის დონეზე. თითოეული ევროკავშირის ქვეყანა ეროვნულ დონეზე კანონმდებლობას აწესრიგებს და მუდმივად მოჰყავს შესაბამისობაში ევროკავშირის ნორმატიულ აქტებთან.

საქართველოში ენერგეტიკის სფეროსა და გარემოს დაცვაში მოქმედებს რამდენიმე კანონი, მათ შორის:

- საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ (30.04.99 N 1934 საკანონმდებლო მაცნე N 15(22)), - 165.
- საქართველოს კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ. 1999 წლის 16 აპრილი. N 1892 - III, - 215.
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, 2007-12-14.

საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ არეგულირებს ელექტროენერგეტიკისა და გაზის საკითხებს. ამ კანონის მეორე პუნქტში მოცემულია მისი მიზანი:

„2. კანონის მიზანია:

ა) კონკურენციის განვითარების საფუძველზე და არსებული არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემების ჩამოყალიბება და ამ საფუძველზე წყალმომარაგების, ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების განსასორცელებლად გაწეული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი სარგებების ზუსტი ასახვა ტარიფების სისტემებში; (20.11.2007 N5466).“

მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიღებიდან სამ წელიწადზე მეტი გავიდა, კანონში დასახული მიზანი მიღწეული არ არის. საქართველოს ენერგეტიკის დარგში არა მარტო არ ჩამოყალიბდა კონკურენტუნარიანი გარემო, არამედ, პირიქით, მიმდინარეობს მონოპოლიების ჩამოყალიბება და გამტკიცება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შეჩერების ფონზე. მომხმარებლის უფლება კონკურენტუნარიან პირობებში ენერგორესურსების უსაფრთხო მიღებაზე უნეშად ირღვევა. ასე მაგალითად, გაზის ქსელის აბონენტისათვის ტარიფი დადგენილია ქსელში ჩართვის თარიღის მიხედვით! ელექტროენერჯის სადისტრიბუციო კომპანია მომხმარებელს უწყვეტ ელექტროენერჯის მიწოდებას, თუ მან არ გადაისადა წყლის გადასახადი! ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში სადისტრიბუციო კომპანია აბონენტის წინაშე პასუხს არ აგებს და ა.შ.

ამ პირობებში ენერგოუსაფრთხოების საკითხის დაყენებას აზრი ეკარგება, რადგანაც ენერჯის მომხმარებლის უფლებები დაცული არ არის. ენერგოკომპანიების ასეთ „არაეფროზულ“ საქციელზე პასუხი უნდა ვეძებოთ კანონის მე-11 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს მარეგულირებელი კომისიის უფლება-მოვალეობებს:

„მუხლი 11. კომისიის ძირითადი უფლება-მოვალეობანი

1. კომისია ვალდებულია თავის საქმიანობაში ისეღმძვინკველოს ენერგეტიკის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, ბუნების დაცვისა და სხვა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით და მათ საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტებით. კომისია ასევე უფლებამოსილია გაითვალისწინოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროებში სახელმწიფოს მიერ დადებული გარიგებები და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები. (6.07.2010. N3349 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან)“.

ალბათ ასეთი „... ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროებში სახელმწიფოს მიერ დადებული გარიგებები და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების“ გათვალისწინებით ხდება მომხმარებლის უფლებების უსეში დარღვევა ენერგეტიკის სფეროში.

15.3. საინოვაციო პროცესები ენერგოუსაფრთხოებაში: სედეა აღმოსავლეთიდან, დადებითი და უარყოფითი მხარეები

საინოვაციო პროცესებს ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში, რომლებიც მიმდინარეობს საქართველოში, მკვეთრად დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნიათ.

პროცესები, რომლებიც შეიძლება შევაფასოთ დადებითად:

- განცხადება ენერგოკავშირში გაწვევრიანების შესახებ, კავშირის მუშაობაში მონაწილეობა (დამკვეთების სტატუსით),
- ენერგეტიკული სფეროს კანონებში ცვლილებების მომზადებისა და მიღების მცდელობა,
- ენერგომატარებლების მიწოდების დივერსიფიცირებისათვის გადადგმული ნაბიჯები, გაზის წყაროების დივერსიფიცირება, ადგილობრივი გაზის წყაროების გამოყენება,
- მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი სახეების მშენებლობა,
- განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების გაფართოება მცირე ჰესების რეაბილიტაციითა და ახლების მშენებლობით.

პროცესები, რომლებიც შეიძლება შევაფასოთ უარყოფითად:

- ევროკავშირისაგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომები საკანონმდებლო სფეროში (ის. ზემოთ ნაწილები: **9. გარემოს დაცვა და ენერგეტიკის განვითარება, სტრატეგია „20-20-20“; 11. ენერგოუსაფრთხოება და ერთიანი (სოლიდარული) სამოქმედო გეგმა და 12. ენერგეტიკის პოლიტიკა ევროპისათვის**),
- ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკის არარსებობა,
- არაგამჭვირვალე ტენდერები ენერგეტიკის სფეროში,
- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შეჩერება,
- ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა,
- განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების დაბალი დონე არსებულ რესურსებთან შედარებით (ქარის ენერჯია, მზის ენერჯია და ა.შ.),
- ენერგეტიკის სფეროში საინოვაციო პროექტების დაფინანსების დაბალი დონე (ის. ზემოთ ნაწილი **13. კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამა (CIP) და მეშვიდე ჩარჩო-პროგრამა (FP7)**),
- ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის შესაძლო გამოყენების იგნორირება,
- დიდი ჰესების მშენებლობის დაგეგმარებისას ეკოლოგიური გამოკვლევების იგნორირება.

16. ღასკმნა

ევროკავშირმა ჩამოაყალიბა სრულყოფილი ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგია. ენერგოუსაფრთხოება, როგორც ენერგეტიკის განვითარების ორგანული ნაწილი, ევროკავშირის პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში გახდა ბევრად უფრო დასვეწილი, განსაკუთრებით გარემოს მართვის თვალსაზრისით. ამ კუთხით დასმული ინიციატივები მიმართულია გლობალური დათბობის პროცესების წინააღმდეგ და მათი რეალიზება უდაოდ მიმართულია მსოფლიოს სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.

ევროკავშირი ქმნის შიდა ენერგეტიკულ ბაზარს, აფართოებს ენერგობაზარს მეზობელი ქვეყნების ჩართვით ევროკავშირის შიდა ენერგობაზარში, სამეზობლო პოლიტიკის მეშვეობით ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნების ინტეგრაციას ევროსიფერცეში, როგორც ზოგადად, პოლიტიკურად, ასევე კერძოდ, ენერგეტიკის დარგში. ევროკავშირის ეს პოლიტიკა მსოფლიოდ მისასაღმებელია და ხელი უნდა შევუწყოს მის რეალიზებას.

აღმოსავლეთის თვალთანედვით სიტუაცია აშკარად განსხვავებულია. ენერგეტიკის პოლიტიკა არ უნდა განიხილებოდეს ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური სფეროს, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინების გარეშე. სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში არ აკმაყოფილებს თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს და არ ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას. ენერგეტიკის სფერო ქვეყანაში ვითარდება პრიორიტეტების არარსებობის ფონზე. როგორც შედეგი - ეკონომიკური პოტენციალი დაბალია, განვითარების პერსპექტივები - საეჭვო. ზოგადად, ენერგეტიკასთან დაკავშირებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ ქვეყნის მიზანია მოპოვებული ელექტროენერჯის ექსპორტი და არა მისი გამოყენება საკუთარი წარმოებების განსავითარებლად. თუ კი ქვეყანას შეუძლია ენერჯის ქარბი ოდენობით წარმოება, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ენერგოტევადი წარმოებების განვითარება ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე ელექტროენერჯის ექსპორტი.

ნაწილი IV.

**განათლებისა და მეცნიერების
როლი ადამიანთა უორის
ურთიერთობის გაღრმავებაში**

თავი VI

აღმოსავლეთის პარტნიორობა: განათლებისა და მეცნიერების როლი აღაშენა შორის ურთიერთობის გაღრმავებაში

ინეზა გაზნიკა

1. შესავალი


ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, სამთავრობო პოლიტიკის განსაზღვრის დროს, განვითარებულ სახელმწიფოებში დომინანტური როლი ენიჭებოდა ცოდნის ეკონომიკის ფორმირების სტრატეგიის შემუშავებას. დღეისათვის ვექტორი გადაადგილდა ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების მიმართულებით და დღის წესრიგში დადგა განათლების, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების (ბიზნესის) ეფექტიანი კავშირის უზრუნველყოფა.

2009 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე ევროსაბჭომ მოამზადა მიმართვა¹ **განათლების, კვლევისა და ინოვაციების, სრულად ფუნქციონირებადი ცოდნის სამკუთხედის** (ინ. ნახ. 1.1) შესაქმნელად, რომელშიც ევროპის ინოვაციური პოტენციალის, კრეატიული და ცოდნა-ინტენსიური ეკონომიკისა და საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით დასახა მრავალი ღონისძიება.² აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი გარადამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ცოდნის სამკუთხედის მოდელის ცალკეული მხარეების მეცნიერული კვლევა და მათ შორის არსებული კავშირების გამოვლენა.

მოცემული სტატიის მიზანია გააანალიზოს აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით და წარმოაჩინოს მიღწეული შედეგები. სტატიაში მოტანილი მასალა შეიძლება საფუძვლად დაედოს ევროკავშირის EaP-ს პროგრამის სამომავლო სამოქმედო მიმართულებების ჩამოყალიბებას.

¹ NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES. Conclusions of the Council and of the Representatives of the Governments of the Member States, meeting within the Council, of 26 November 2009 on developing the role of education in a fully- functioning knowledge triangle, (2009/C 302/03). pp.4-5. (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:302:0003:0005:EN:PDF>).

² დაწვრილებით ისილეთ: ფ. წოწკოლაური, ი. გაგნიძე, ინოვაციის მხარდამჭერი განათლების სისტემა ევროკავშირში, მრავალღონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია (გზამკვლევი), თბ., 2010, გვ. 141-168.



ნახ. 1.1. „ცოდნის სამკუთხედის“ მოდელი

2. აღმოსავლეთის პარტნიორობა განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით - „ევროპა 2020“ - განათლების პოლიტიკის ნაწილი

2009 წლის 16-17 ნოემბერს ბრიუსელში აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე მე-4 სამუშაო ჯგუფისათვის (ხალხთაშორისი უთიერთობები) მიიღეს რეკომენდაციები, რომლებიც შეფასებულია, როგორც „აღმოსავლეთის პარტნიორობის მნიშვნელოვანი ასპექტი ეროვნული პლატფორმის მუშაობაში“³. აღნიშნული შეხვედრის სამუშაო დოკუმენტში (WORKING PAPER), სოგადად აღინიშნა, რომ საჭიროა:

- უზრუნველყოფილი იქნეს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირის პროგრამებში მედიის, კულტურისა და განათლების მიმართულებით ახალგაზრდობის ფართო მონაწილეობა;
- მე-4 სამუშაო ჯგუფს გააჩნია პოტენციალი, ხელი შეუწყოს დანარჩენი სამი სამუშაო ჯგუფის მუშაობას, ვინაიდან ის არის „ხალხი-ხალხი“ სამუშაო ჯგუფი და შეუძლია ასტიმულიროს ურთიერთობები და კომუნიკაცია სამოქალაქო საზოგადოებებს შორის, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს შორის, ასევე ამ ქვეყნებსა და დანარჩენ ევროპას შორის;

³ Preparations for the establishment of the Georgian National Platform for the Eastern Partnership. T. Khisadeli. http://www.alda-europe.eu/public/doc/107-EaP_CSF_Newsletter_10-2010.pdf, p.9.

- ევროკავშირმა ხელი შეუწყო განათლების სფეროში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას;
- აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან ერთად უნდა წამოიწყოს სხვა ღონისძიებებიც: „ევროპის დღე“/„ევროპის კვირა“;
- იმ ორგანიზაციების შერჩევა, რომლებსაც სურთ სამუშაო ჯგუფში საქმიანობა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, პროფკავშირებთან და ა.შ;
- ბარიერების შემცირება და ეფექტური კონტაქტების განვითარება: ბარიერები: დისტანცია (სიშორე) – იზოლირებული რეგიონები; სახსრები – სამოგზაურო გრანტების პროგრამების ამოქმედება; ენობრივი ბარიერების შესუსტება;
- სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელშეწყობა იმ ქვეყნებში, რომლებიც მარგინალიზებულია და ოფიციალურად არ არის აღიარებული;
- სამოქალაქო საზოგადოების ლიდერთა ქსელის გაფართოება;
- რეგიონებში საინფორმაციო საზოგადოების ხელშეწყობა და განვითარება (ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა), საინფორმაციო პუნქტების ქსელის გაფართოების ჩათვლით.

განათლების სფეროში მოცემული რეკომენდაციებია:

- არაფორმალური განათლება და უწყვეტი სწავლება;
- დისტანციური სწავლების სტიმულირება;
- სხვადასხვა ქვეყნის რეგიონებში ახალგაზრდების უცხოეთში სასწავლებლად გასვლის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტიმულირება;
- გადაამზადების პროგრამების უზრუნველყოფის მიზნით (ევროპის მონალისეთა სამსახური) ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში მონალისეთა გაგზავნა;
- აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში სტაჟირების მეტი რაოდენობით უზრუნველყოფა;
- სასკოლო გაცვლითი პროგრამები (სტუდენტები, მოსწავლეები და მასწავლებლები);
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამებში.

სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მოცემული რეკომენდაციებია:

- ერთობლივი კვლევების განვითარება;
- ჰუმანიტარულ სფეროში კვლევების წახალისება;

- ევროკავშირთან და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან მკვლევართა ქსელის ინსტიტუციონალიზაცია და სწავლებისა და კვლევების უფასო წვდომის მონაცემთა ბაზის შექმნა.⁴

აღსანიშნავია, რომ შემოადინებული რეკომენდაციების შინაარსს წითელ ზოლად გასდევს ის მიზნები და პრინციპები, რაც შემუშავებულია ევროკომისიის მიერ 2009 წელს და წარმოადგენს ევროპული თანამშრომლობის სტრატეგიას განათლების სფეროში 2020 წლამდე. ძალიან მოკლედ მათ შესახებ:

2020 წლამდე პერიოდში, ევროპული თანამშრომლობის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებში განათლებისა და გადამზადების სფეროს შემდგომ განვითარებას. ამ მიმართულებით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ევროსაბჭოს 2009 წლის 12 მაისის სხდომაზე შემუშავდა დოკუმენტი – *განათლებისა და გადამზადების სფეროებში ევროპული თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო-პროგრამა*, სადაც განისაზღვრა 4 სტრატეგიული მიზანი და 8 სამუშაო პრინციპი⁵. მათგან, ჩვენი საკვლევი თემის შესაბამისად, კერძოდ სტრატეგიული მიზნებიდან და პრინციპებიდან, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მათგანი:

მიზანი №1: უწყვეტი განათლების და მობილობის რეალობად გადაქცევა

უწყვეტი განათლება და მობილობა, დაკავშირებული დემოგრაფიულ ცვლილებებთან და ეკონომიკური და სოციალური პირობების განახლებასთან, მოითხოვს მუდმივად განვითარდეს უნარები და ჩამოყალიბდეს უწყვეტი განათლების მიდგომა. კვლავაც აუცილებელია უწყვეტი განათლების თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი სტრატეგიის განხორციელების დროს, სწავლების შესაბამისი ჩარჩოების საფუძველზე განვითარდეს ნაციონალური საკვალიფიკაციო ჩარჩო და მონდეს მისი დაკავშირება საერთოევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. შემუშავდეს სწავლების უფრო მოქნილი გზები. *უწყვეტი განათლების მნიშვნელოვანი ელემენტია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების მობილობა, რაც უნდა იყოს არა გამონაკლისი,*

⁴ EASTERN PARTNERSHIP CIVIL SOCIETY FORUM, RECOMMENDATIONS, WORKING GROUP 4: CONTACTS BETWEEN PEOPLE, (Brussels, 16-17 November 2009); (<http://www.eap-csf.eu/en/resources/eap-csf-2009-documents/>), p. 2-3.

⁵ NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES; Council conclusions of 12 May 2009 on a strategic framework for European cooperation in education and training ('ET 2020') (2009/C 119/02); Official Journal of the European Union 28.5.2009. (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:119:0002:0010:EN:PDF>, p.12).

არამედ – წესი. საამისოდ გამოყენებული უნდა იყოს ხარისხის მობილობის ევროპული ქარტია⁶.

მიზანი №2: თანახმობის, სოციალური ერთობისა და აქტიური სამოქალაქო პოზიციის წახალისება

შრომითი მოწყობისა და ცოდნის დონის შემდგომი ამაღლების მიზნით, განათლების სისტემისა და ტრენინგების გამოყენებით, ყველას უნდა მიეცეს საშუალება მათი პირადი, სოციალური ან ეკონომიკური პირობების მიუხედავად, მთელი ცხოვრების მანძილზე შეძლონ როგორც კონკრეტული ჩვევების განახლება, ისე ძირითადი კომპეტენციების განვითარება. განათლების სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს კულტურათაშორისი კომპეტენციების, დემოკრატიული ფასეულობებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემას, ასევე გარემოს დაცვის მოთხოვნების ცხოვრებაში გატარებას.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შერჩეულ **პრინციპებს** შორის აღსანიშნავია:

1. პროფესიული განათლებისა და გადამზადების სფეროში კოპენჰაგენის პროცესი⁷ წარმოადგენს კოორდინაციის ღია მეთოდის ჩარჩოში ევროპული თანამშრომლობის მნიშვნელოვან ასპექტს:
 - უმაღლესი განათლების მოდერნიზაციისა და ერთიანი ევროპული სივრცის უმაღლესი განათლების განვითარების მიმართულებით ბოლონის პროცესთან მჭიდრო კავშირში წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა. აღნიშნული ენება ხარისხის უზრუნველყოფის, აღიარებისა და მობილობის საშუალებებს;
 - განათლებისა და გადამზადების სფეროში ევროკავშირის ინიციატივები უნდა განხორციელდეს სექტორებს შორისი თანამშრომლობის მიმართულებით, ეს მოიცავს დასაქმებას, მეწარმეობას, სოციალურ პოლიტიკას, ახალგაზრდებთან ურთიერთობის პოლიტიკასა და ზოგადად კულტურას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცოდნის სამკუთხედის შემადგენელი მხარეების ურთიერთქმედებას;
 - კარგად ფუნქციონირებადი თანამშრომლობა, ახალი, გამჭოლი მეთოდებით ქსელების შექმნა, აუცილებელია არა მარტო ევრო-

⁶ ხარისხის მობილობის ევროპული ქარტია (European Quality Charter for Mobility) – ყურადღებას ამახვილებს მობილობის ხარისხის ასპექტზე და აწესრიგებს უცხოეთში ყოფნის შემთხვევაში ინდივიდის განათლებისა და პროფესიული მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების საკითხებს. ისილუ: http://europa.eu/legislation_summaries/education_training_youth/lifelong_learning/c11085_en.htm

⁷ კოპენჰაგენის პროცესი (The Copenhagen Process) – პროცესი, რომელიც ხელს უწყობს კადრების უწყვეტი განათლების, გადამზადების და მობილობის პროცესების გამჭვირვალებას, რასაც აღწევს: ევროპული ჩარჩო კვალიფიკაციების, ეროვნული ჩარჩო კვალიფიკაციებისა და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კრედიტების ევროპული სისტემის შემუშავებით. ისილუ: <http://www.bbt.admin.ch/themen/berufsbildung/00106/00355/index.html?lang=en>.

კავშირის შესაბამის ინსტიტუტებში, არამედ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, ვისაც ხელეწიფება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს პოლიტიკის, მისი განხორციელებისა და შეფასების შემუშავებაში.⁸

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიმართულებით, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებთან შემუშავებული სამოქმედო პრიორიტეტები პარალელურ რეჟიმშია საერთოევროპულ პოლიტიკასთან, რაც ინტერესთა თანხვედრაა და დიდ სინერგიულ ეფექტს აძლევს მონაწილე მხარეებს.

3. განათლების ევროპული პროგრამები და მათი მართვა

ევროკომისიის 2009 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით⁹ ჩამოყალიბდა **განათლების, აუდიოვიზუალისა¹⁰ და კულტურის აღმასრულებელი სააგენტო (EACEA)**, რომლის მართვის სტრუქტურა მოცემულია სქემაზე 3.1.¹¹ აღნიშნული სააგენტო, განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატის (DG EAC) ზედამხედველობის ქვეშ, ნაწილობრივ პასუხისმგებელია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამის მართვაზე. განვიხილოთ სქემაზე 3.1 მოცემული ის პროგრამები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების ხარისხის ამაღლების მიზნით ფუნქციონირებენ.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამა (LLP)¹², როგორც განათლებისა და გადამზადების ევროპული პროგრამების ფლაგმანი, ინდივიდებს საშუალებას აძლევს ცხოვრების ყოველ ეტაპზე მიიღონ ევროპაში სწავლის შესაძლებლობა. 2007-2013 წლების მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამის ბიუჯეტი დაახლოებით 7 მლრდ ევროა. იგი არის ქოლგა პროგრამა, რომელიც ახდენს სწავლას სავსებით ავტონომიურ და გადამზადების ინიციატივების ინტეგრირებას. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამა

⁸ დაწვრილებით იხილეთ: ფ. წოწკოლაური, ი. გაგნიძე. ინოვაციის მხარდაჭერი განათლების სისტემა ევროკავშირში. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია (გზამკვლევი), თბ., 2010, გვ. 141-168.

⁹ COMMISSION DECISION, of 20 April 2009, setting up the Education, Audiovisual and Culture Executive Agency for the management of Community action in the fields of education, audiovisual and culture in application of Council Regulation (EC) No 58/2003 (2009/336/EC).


¹⁰ იგულისხმება სწავლების ტექნიკური საშუალებები, მათ შორის მხედველობა და სმენადაქვეითებულობის და სხვ.

¹¹ წყარო: http://eacea.ec.europa.eu/about/documents/organigram_110103.pdf.

¹² http://eacea.ec.europa.eu/llp/about_llp/about_llp_en.php.

იყოფა ოთხ სექტორულ ქვეპროგრამად და ოთხ ე.წ. „განივ“ პროგრამად. ოთხი სექტორული ქვეპროგრამა თავისი შინაარსით ფოკუსირებულია განათლებისა და გადამზადების სწავლასა და საფუნდურზე მათ შორის:

- **ქომენიუსი (Comenius)**¹³ – სკოლებისთვის;
- **ერაზმუსი (Erasmus)**¹⁴ – უმაღლესი განათლებისთვის;
- **ლეონარდო და ვინჩი (Leonardo da Vinci)**¹⁵ – პროფესიული მომზადებისა და გადამზადებისთვის;
- **გრუნდთვიგი (Grundtvig)**¹⁶ – ზრდასრულთა განათლებისთვის.



სქემა 3.1. განათლების, სწავლების ტექნიკური საშუალებებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს სქემა (EACEA)

¹³ http://eacea.ec.europa.eu/llp/comenius/comenius_en.php.

¹⁴ http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/.

¹⁵ http://eacea.ec.europa.eu/llp/leonardo/leonardo_da_vinci_en.php.

¹⁶ http://eacea.ec.europa.eu/llp/grundtvig/grundtvig_en.php.

„განივი“ პროგრამების მიზანია შეავსონ სექტორული ქვეპროგრამების საქმიანობა და უზრუნველყონ მათი მაქსიმალური შედეგების მიღწევა. აგრეთვე, ხელი შეუწყოს ევროპულ თანამშრომლობას იმ სფეროებში, სადაც ორი ან მეტი პროგრამა მოქმედებს. გარდა ამისა, „განივი“ პროგრამები მოწოდებულია აამაღლონ წვერი ქვეყნების განათლებისა და გადამზადების სისტემის ხარისხი და გამჭვირვალობა. მათი საქმიანობა ფოკუსირებულია ოთხ ძირითად მიმართულებაზე, კერძოდ:

- ✓ თანამშრომლობისა და ინოვაციის პოლიტიკაზე;
- ✓ ენების სწავლებაზე;
- ✓ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე;
- ✓ შედეგების გავრცელებაზე და გაფართოებაზე.

ჟან მონეს¹⁷ პროგრამა მოქცეულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პროგრამის ქოლგის ქვეშ, სექტორულ და განვი პროგრამებთან ერთად, ჟან მონეს პროგრამა ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში ევროპული ინტეგრაციული პროცესების სწავლებას, ასახვასა და დებატებს. იგი მოქმედებს მსოფლიოს 68 ქვეყანაში, 760-ზე მეტ უნივერსიტეტს ჟან მონეს კურსები ჩართული აქვს თავის სასწავლო კურიკულუმებში (პროგრამებში), იგი აერთიანებს 1600 პროფესორის ქსელს და ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამაში 250 000 სტუდენტის მონაწილეობას.

ევრიდიკე¹⁸ (Eurydice) არის ინსტიტუციონალური ქსელი, რომელიც ევროპის განათლების სისტემისა და პოლიტიკის შესახებ არსებულ საიმედო და ადვილად შესადარის ინფორმაციას კრებს, უწევს მონიტორინგს, ამუშავებს და ახდენს მის ცირკულაციას. ევრიდიკე არ ითვალისწინებს ფინანსურ მხარაჭერას და საფონდო პროექტებს. იგი არის ქსელი, რომელიც შედის ევროპის სამმართველოსა და ეროვნულ ერთეულებში¹⁹. ევროპის ერთეული ფინანსდება ევროკომისიის მიერ, ხოლო ეროვნულს აფინანსებენ მთავრობები. ფუნქციონირებს 35 ეროვნული ერთეული (ევროკავშირის წვერი ქვეყნები, EEA-ს ქვეყნები და თურქეთი) ადგილებზე მათ შესაქმნელად შესაძლებელია ევროკომისიისაგან ფინანსური მხარდაჭერის მიღება. ევრიდიკე მოქცეულია ევროკავშირის განათლების სამოქმედო პროგრამაში.

ტემპუსი (Tempus)²⁰ არის ევროკავშირის პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციას აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებსა და სმელთაშუა ზღვის რეგიონის პარტნიორ ქვეყნებში.

¹⁷ დაწვრილებით იხილეთ: http://eacea.ec.europa.eu/llp/jean_monnet/jean_monnet_en.php.

¹⁸ დაწვრილებით იხილეთ: http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/index_en.php.

¹⁹ დაწვრილებით იხილეთ: http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/contacts_national_units_en.php.

²⁰ დაწვრილებით იხილეთ: http://eacea.ec.europa.eu/tempus/index_en.php.

განათლების, აუდიოვიზუალისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტო პასუხისმგებელია ტემპუს IV (2007-2013) მართვაზე განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისისა (Europe Aid DEVCO²¹) და ევროკომისიის გაფართოების გენერალური დირექტორატის (DG ELARG of the European Commission) ზედამხედველობის ქვეშ.

ევროკომისიამ აგრეთვე ჩამოაყალიბა **უმაღლესი განათლების ხფეროში ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირსა და ზოგიერთ ინდუსტრიულ ქვეყანასთან**, რათა დაფინანსდეს ინოვაციური პროექტები, რომლებიც ფოკუსირებულია აკადემიურ თანამშრომლობასა და სტუდენტთა მობილობაზე. ორმხრივ თანამშრომლობაში მონაწილე ქვეყნებია: აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია, ახალი ზელანდია და კორეის რესპუბლიკა²².

4. საქართველო ევროპის საგანგანათლებლო პროგრამებში

4.1. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი ვექტორები

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაარსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის ბრძანებით. იგი არის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) უფლებამონაცვლე²³. ფონდის მიზანია მეცნიერების დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, მეცნიერების დაფინანსების ერთიანი სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება. ასევე, სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ბენეფიციართა საქმიანობის მონიტორინგი და სამინისტროსთვის ანგარიშის წარდგენა საგრანტო დაფინანსების საფუძველზე შექმნილი ახალი სამეცნიერო პროდუქციისა და მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის მონაცემების თაობაზე.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი პროექტებს აფინანსებს **10 სამეცნიერო მიმართულებით**, ესენია:

1. ქართველოლოგიის მეცნიერებები;
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;

²¹ EuropeAid Development and Cooperation - არის განვითარებისა და თანამშრომლობის ახალი გენერალური დირექტორატი, რომელიც პასუხისმგებელია დაპროექტოს ევროკავშირის განვითარების პოლიტიკა და იგი პროგრამებისა და პროექტების დახმარებით გაავრცელოს მთელ მსოფლიოში. დაწვრილებით იხილეთ: http://ec.europa.eu/europeaid/who/index_en.htm.

²² დაწვრილებით იხილეთ: http://eacea.ec.europa.eu/bilateral_cooperation/eu_ici_ecp/index_en.php.

²³ <http://www.mes.gov.ge/content.php?id=80&lang=geo>.

3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
5. მათემატიკური მეცნიერებები;
6. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
7. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
8. სამედიცინო მეცნიერებები;
9. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
10. აგრარული მეცნიერებები.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი თავის საქმიანობას ახორციელებს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის (2011-2014 წწ.) შესაბამისად შემდეგი **პრიორიტეტების** მისჯევით²⁴:

1. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
2. სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება;
3. ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;
4. სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;
5. მეცნიერების პოპულარიზაცია.

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, დამოუკიდებელ, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, შეარჩიოს და დააფინანსოს სამეცნიერო პროექტები და ამით, წარმოაჩინოს და გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი. პროექტები ფინანსდება 10 სამეცნიერო მიმართულებით.

2006-2010 წლებში საგრანტო კონკურსის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 600-მდე სამეცნიერო პროექტი დაფინანსდა, საერთო ბიუჯეტით 25 მლნ ლარამდე. კონკურსს ადმინისტრირება გაუწიეს საქართველოს სსიპ ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდმა (რუსთაველის ფონდმა).²⁵

პროექტების შეფასებაში მონაწილეობა მიიღო 1195 უცხოელმა და 35 ქართველმა ექსპერტმა. ყველაზე მეტი უცხოელი ექსპერტი მონაწილეობდა **მათემატიკა, მექანიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მიმართულებით, ხოლო ყველაზე ნაკლები - **სამედიცინო მეცნიერებების** მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტების შეფასებაში.

²⁴ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=text&link_id=4.

²⁵ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=423.

2011 წლიდან სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი ორი მიმართულებით ცნადდება: სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი ფუნდამენტური კვლევებისათვის და სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი გამოყენებითი კვლევებისთვის. გამოყენებითი კვლევები საქართველოში გასულ წლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში ფინანსდებოდა, თუმცა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რუსთაველის ფონდმა კონკურსს ახალი, დამოუკიდებელი სახე მისცა. კონკურსის მიზანია საერთაშორისო ან ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროდუქტის შექმნა. გამოყენებით კვლევებს შედეგად უნდა მოჰყვეს ახალი, გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციის, სამრეწველო ნიმუშის შექმნა ან ახალი ტექნოლოგიის შემუშავება, სრულყოფა. 2011 წელს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად დარეგისტრირდა 1122, ფუნდამენტურ კვლევებში – 786, ხოლო გამოყენებით კვლევებში – 336 განაცხადი²⁶.

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის მიზანია საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში მომუშავე წარმატებულ თანამემამულეებთან საქართველოს სამეცნიერო კადრების მჭიდრო პროფესიული ურთიერთობის ხელშეწყობა. საგრანტო დაფინანსება დაეხმარება საქართველოში მომუშავე მკვლევარებს, უკეთ გაეცნონ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს და აითვისონ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიები. ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი სამეცნიერო დიასპორის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, მუდმივი საქმიანი კონტაქტი ჰქონდეთ სამშობლოსთან და თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ საქართველოში მეცნიერების დონის ამაღლებას.

საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის კონკურსის - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა. კონკურსის მიზანია, მეცნიერების სფეროში საქართველოს თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება საფრანგეთის რესპუბლიკასა და მეზობელ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან; საქართველოს მეცნიერების ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა. კონკურსის სამეცნიერო მიმართულებაა: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, კერძოდ მცირე

²⁶ www.rustaveli.org.ge

კავკასიონის (სამხრეთ კავკასიონის) ქედის ბუნებრივი რესურსებისა (წიაღისეულისა და ნახშირწყლების) და ტექტონიკური აქტიურობის (სეისმოლოგიური რისკების შედეგების) კვლევა. კონკურსი პირველად 2010 წელს გამოცხადდა.

გრანტები ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის შესაქმნელად. საგრანტო კონკურსის მიზანია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არეალის გაფართოებისა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ქართული სამეცნიერო გამოცემების ინტეგრაციის მიზნით, ელექტრონული პერიოდიკის გამოცემის მატერიალური ხელშეწყობა. სხვა მოთხოვნებთან ერთად გათვალისწინებულია ის, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის 1/2 უნდა იყოს უცხოელი.²⁷

მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს მეცნიერთა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას. სამოგზაურო გრანტები გაიცემა შემდეგი სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი. 2006-2009 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მსოფლიოს 52-ზე მეტ ქვეყანაში გასამგზავრებლად დაფინანსდა 311 მეცნიერი (საერთო ბიუჯეტი - 749303 ლარი). 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა კიდევ 70-მდე მეცნიერი მსოფლიოს 18 ქვეყანაში გასამგზავრებლად (საერთო ბიუჯეტი - 176855 ლ.). 2011 წელს უკვე დაფინანსდა 53 მეცნიერი. კონკურსს ადმინისტრირება გაუწიეს საქართველოს სსიპ ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდმა (რუსთაველის ფონდმა).²⁸

საკონფერენციო გრანტების კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას; ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას (თანხა არ აღემატება 30 000 ლარს). 2008-2010 წლებში დაფინანსდა 10 საგრანტო კონფერენცია.²⁹

საგრანტო კონკურსი - პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის. მისი მიზანია მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და საგრანტო დაფინანსების გზით მათი სამეცნიერო პროექტების

²⁷ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=425.

²⁸ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=432.

²⁹ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=427.

განსორციელების ხელშეწყობა. მისი საშუალებით 35 წლამდე ასაკის საქართველოში მცხოვრებ მაგისტრებს, დოქტორანტებს, დოქტორებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, საშუალება ეძლევათ მოიპოვონ დაფინანსება. პროექტები შესაძლოა განსორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ორგანიზაციის ბაზაზე. პროექტის ხანგრძლივობაა ერთი წელი. 2007-2009 წლებში დასაფინანსებლად შეირჩა 134 პროექტი (10 სამეცნიერო მიმართულებით), საერთო ბიუჯეტით 1812522 ლარი. კონკურსს ადმინისტრირება გაუწიეს საქართველოს სსიპ ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდმა (რუსთაველის ფონდმა).³⁰

უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების საგრანტო პროექტი. პროგრამა ითვალისწინებს 3 თვის მანძილზე ახალგაზრდა მეცნიერის სტაჟირებით მივლინებას უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა საგრანტო დაფინანსების გზით, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ახალგაზრდა მეცნიერთათვის საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და ხელშეწყობა გამოცდილების შექმნაში (კონკურსის მონაწილეთა ასაკი არ აღემატება 40 წელს). 2009 წელს კონკურსი გამოცხადდა 4 სამეცნიერო მიმართულებით და დაფინანსდა 3 მეცნიერი საერთო ბიუჯეტით 26906 ლარი. 2010 წელს კონკურსი გამოცხადდა 8 მიმართულებით, დაფინანსდა 16 მეცნიერი საერთო ბიუჯეტით 137 953 ლარი. კონკურსს ადმინისტრირება გაუწია სსიპ ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა.³¹

საერთაშორისო თანამშრომლობა. საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის სრულყოფილი განვითარებისთვის აუცილებელია წამყვანი ქვეყნების აკადემიურ სფეროსთან თანამშრომლობის გააქტიურება, გამოცდილების გაზიარება, ერთობლივ კვლევებში ჩართულობის გაზრდა და სხვა. ამ მიმართულებით საქმიანობის განსორციელების მიზნით ფონდი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებთან, კერძოდ:

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანამშრომლობა NATO-სთან მოიცავს საქმიანობის რამდენიმე სფეროს, კერძოდ³²:

- ფონდში ფუნქციონირებს NATO-ს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ (NATO SPS) ეროვნული საინფორმაციო ბიურო, რომელიც აგრცელებს პროგრამის შესახებ შესაბამის ინფორმაციას და ქართველ მეცნიერებს კონსულტაციას უწევს;

³⁰ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=430.

³¹ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=429.

³² http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=37&id=483.

- ფონდი მონაწილეობს NATO-სთან თანამშრომლობის წლიურ ეროვნულ პროგრამაში“ (ANP);
- ფონდი მართავს ერთობლივ ღონისძიებებს NATO-სთან NATO SPS-ის ფარგლებში.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF) ახორციელებენ ერთობლივ „ბიზნეს-პარტნიორობის პროგრამას“, რომლის მიზანია გამოავლინოს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე სამეცნიერო პროექტები. ხელი შეუწყოს მათი ავტორების კოოპერაციას ადგილობრივ საწარმოებთან, სტიმული მისცეს ახალი ტექნოლოგიების გადაცემას და მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებას.³³

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - ბიზნეს-პარტნიორობის გრანტის - (BPG) ფარგლებში აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა (CRDF-Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა (სსგფ) გამოაცხადეს 2011 წლის ერთობლივი კონკურსი. კონკურსისთვის შერჩეულია შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები:

- ა) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ბ) ბიოტექნოლოგიები;
- გ) სოფლის მეურნეობა;
- დ) ახალი მასალების მიღება ადგილობრივი ნედლეულიდან.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი (STCU) ახორციელებენ ერთობლივ „მისიონერი ინიციატივების პროგრამას“. პროგრამით გათვალისწინებულია ერთობლივი კონკურსის ორგანიზება, რომლის მიზანია საქართველოში გამოყენებითი კვლევების დონის ამაღლება, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნასთან დაკავშირებულ სამეცნიერო თემებში ადრე დაკავებული ქართველი მეცნიერების ჩართვა მშვიდობიან/კონვერსიულ პროექტებში, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის გაფართოება³⁴.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი (CNRS) ახორციელებენ ერთობლივ „საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამას“, რომლის ფარგლებშიც სრულდება ერთობლივი სამეცნიერო პროექტები

³³ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=37&id=482.

³⁴ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=37&id=481.

სამ პრიორიტეტულ სფეროში: მათემატიკა, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდმა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრმა (CNRS) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების პროგრამის ფარგლებში გამოაცხადეს 2011 წლის კონკურსი. საგრანტო კონკურსის მიზანია:

- ა) მეცნიერების სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოება და ქართველ მეცნიერთა კვლევების დონის ამაღლება;
- ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა აქტიური ჩართვა ერთობლივ კვლევებში და ევროპულ კვლევით სივრცეში მათი ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩევა ერთობლივი სამეცნიერო პროექტები შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან:

- ა) მათემატიკა, მექანიკა;
- ბ) ფიზიკა;
- გ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, როგორც საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის უფლებამოსილი კვლევა დაკავშირებულია **იტალიის კვლევების ეროვნულ საბჭოსთან (CNR)** შეთანხმებით „სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ“. დოკუმენტის დებულებათა შესაბამისად მომზადებულია სამუშაო პროგრამა, რომლის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში განხილვის შედეგად მოხდება კონკრეტული დონისძიებების (ერთობლივი კონკურსების მეშვეობით ორმხრივი სამეცნიერო პროექტების განხორციელება, მეცნიერთა გაცვლა და სამეცნიერო სემინარების გამართვა) დროში გაწერა, დაფინანსების სქემებისა და მოცულობების შეთანხმება და ა.შ.³⁵

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მონაწილეობს ევროგაერთიანების კომისიის მიერ ევროკავშირის კვლევისა და განვითარების **მე-7 ჩარჩო პროგრამის (FP7)** ფარგლებში დაფინანსებულ ორ პროექტში:

1. **„აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ხაერთა შორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში“ (IncoNetEECA).** პროექტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეცნიერთა მჭიდროდ დაკავშირებას ევროკავშირის

³⁵ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=37&id=479.

ქვეყნებთან და მეცნიერების პოლიტიკის ჰარმონიზაციას, ერთობლივი კვლევების ხელშეწყობას, ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას, რეგიონის მეცნიერთა FP7-ში მონაწილეობის ხელშეწყობას და სხვა. პროექტში მონაწილეობს 21 ქვეყნის 23 ორგანიზაცია. ხანგრძლივობა შეადგენს 54 თვეს (2008 წლის იანვარი – 2012 წლის ივნისი);

2. **„შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების დამყარება“ (BS-ERA.NET)**, პროექტის ძირითადი მიზანია შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ამაღლება, ეროვნული პროგრამების ურთიერთკოორდინაცია, ერთობლივი რეგიონალური კონკურსის ორგანიზება, რეგიონისთვის სამეცნიერო პროგრამის მომზადება. პროექტში მონაწილეობს 13 ქვეყნის 17 ორგანიზაცია, ხანგრძლივობა შეადგენს 36 თვეს (2009 წლის იანვარი – 2011 წლის დეკემბერი).³⁶

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, როგორც საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის უფლებამონაცვლე, მონაწილეობას მიიღებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) სამეცნიერო სექტორის მუშაობაში. კერძოდ, ფონდის თანამშრომლები ჩაერთვებიან BSEC-ის წევრი ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროს სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, სადაც ხდება რეგიონის მეცნიერების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, სამუშაო გეგმების მომზადება-განხილვა.

თურქეთის საელჩოს მიერ საქართველოში ოფიციალურად გადმოგზავნილია **თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების საბჭოსთან (TUBITAK)** სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ ოქმის სამუშაო ვარიანტი. დაგეგმილია შეთანხმებულ ვერსიაზე ხელმოწერა.

დაწყებულია მოლაპარაკებები **გერმანიის სამეცნიერო ფონდთან (DFG)** სამეცნიერო-ტექნოლოგიური თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადების თაობაზე. ასევე გააქტიურებულია მუშაობა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრთან (ISTC) სამეცნიერო და ტექნოლოგიური ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების მოსამზადებლად.³⁷

4.2. **ერაზმუს მუნდუსის პროგრამა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში**

2003 წელს ევროკავშირის ქვეყნებმა ახალი მიდგომის საფუძველზე, დაიწყეს უმაღლესი განათლების პროგრამების რეორგანიზაცია, რომელსაც უწოდეს **ერაზმუს მუნდუსი (Erasmus Mundus)**. მისი I ეტაპი დასრულდა 2008 წელს. ევროკომისიის 2007 წლის 12 ივლისის უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებისა და კულტურათაშორისი

³⁶ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=details&topic_id=37&id=478.

³⁷ http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&topic_id=37.

ურთიერთობების საშუალებით, მესამე ქვეყნებთან³⁸ თანამშრომლობის საფუძველზე, ერაზმუს მუნდუსის (2009-2013) ფართო ზემოქმედების ინტეგრირებული შეფასების შესახებ, სამუშაო დოკუმენტში აღინიშნა, რომ 2009-2013 წლებში ერაზმუს მუნდუსმა მუშაობა უნდა გააგრძელოს როგორც არსებული, ასევე ახალი ფართო ფორმატით, რაც გულისხმობს გარე თანამშრომლობის გეოგრაფიის ფანჯრის გაფართოებას³⁹.

ერაზმუს მუნდუსის 2009-2013 წლების მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 1 მლრდ ევროს⁴⁰. დღეისათვის ერაზმუს მუნდუსი არის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც მიმართულია ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ და ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთობებს ხალხებსა და კულტურებს შორის მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე. ამასთან, ერაზმუს მუნდუსი ხელს უწყობს ევროპისა და მესამე ქვეყნის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

ერაზმუს მუნდუსის გარე თანამშრომლობის ფანჯარა, სამოქმედო მიმართულება 2 (The geographical window “South Mediterranean Region, Eastern Europe Region and Russia” of the Erasmus Mundus Action 2 Partnerships program) არის ევროკავშირის საგანმანათლებლო სქემა, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გამყარება ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და სმელთაშუაზღვისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებთან. ამ პროგრამის შემადგენელი ნაწილია ლოტი 6 (Lot 6 - project⁴¹), რომელიც მოიცავს სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) უნივერსიტეტების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას ევროკავშირის ქვეყნებში. აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს, ასევე პოსტ-დოქტორანტებს სამხრეთ კავკასიიდან, აიმაღლონ ლინგვისტური, კულტურული და საგანმანათლებლო გამოცდილება ევროპაში აკადემიური სწავლით. აღნიშნული პროექტის ამოცანებია:

- უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის ბენეფიციარს მისცეს მობილობის შესაძლებლობა ევროკავშირისა და სამხრეთ

³⁸ იგულისხმება ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები.

³⁹ COMMISSION Staff Working Document, Accompanying document to the Proposal for a Decision of the European Parliament and of the Council establishing an action programme for the enhancement of quality in higher education and the promotion of intercultural understanding through co-operation with third countries (Erasmus Mundus) (2009-2013), *Extended Impact Assessment* integrating ex ante evaluation requirements, [COM(2007) 395 final], [SEC(2007)950]. (http://ec.europa.eu/education/programmes/mundus/doc/sec949_en.pdf.p5).

⁴⁰ http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/tools/documents/emleaflet_en.pdf.p.1.

⁴¹ <http://www.erasmusmundus5.gr/>.

კავკასიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ორივე მიმართულებით);

- უსრუნველყოს ახალ ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა და განათლების ხელშეწყობა ყველა ტიპის უნარშეზღუდული, ასევე სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის;
- განამტკიცოს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობა და ადამიანური რესურსების განვითარება სამხრეთ კავკასიის პარტნიორ უნივერსიტეტებში;
- ჩამოაყალიბოს მყარი საგანმანათლებლო, კულტურული და ეკონომიკური კავშირები ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინსტიტუტებს შორის;
- ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კერძო სექტორს შორის;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის მდგრად განვითარებას და დაეხმაროს ადგილობრივი ეკონომიკის წინსვლას.⁴²

პროგრამაში მონაწილეობა ითვალისწინებს რამდენიმე მოთხოვნას, კერძოდ: ბენეფიციარი ეროვნებით უნდა იყოს ან ქართველი, ან აზერბაიჯანელი, ან სომეხი; იგი ბოლო სუთი წლის მანძილზე არ უნდა ცხოვრობდეს ან ახორციელებდეს თავის ძირითად საქმიანობას 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ერთ-ერთ რომელიმე ევროპულ ქვეყანაში; საუკეთესოდ უნდა ფლობდეს სასწავლო კურსის ან მასპინძელი ქვეყნის რომელიმე სალაპარაკო ენას. პროგრამა გათვალისწინებულია სამი სამიზნე ჯგუფისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ამ ზოგადი მოთხოვნების გარდა ითვალისწინებენ დამატებით მოთხოვნებს.

ერაზმუს მუნდუსის პროექტი (The project EMA2 Partnership for Georgia, Armenia and Azerbaijan) ითვალისწინებს 87 ბენეფიციარს I სამიზნე ჯგუფიდან⁴³, 15 ბენეფიციარს – II სამიზნე ჯგუფიდან⁴⁴ და 24 ბენეფიციარს - III სამიზნე ჯგუფიდან⁴⁵, სამხრეთ კავკასიის პარტნიორი და ასევე არაპარტნიორი ინსტიტუტებიდან, ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან.⁴⁶

საქართველოდან ერაზმუს მუნდუსის პარტნიორობაში ჩართული არიან: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

⁴² http://www.erasmusmundus5.gr/index.php?option=com_content&view=article&id=2&Itemid=19.

⁴³ I სამიზნე ჯგუფისთვის სტუდენტი რეგისტრირებული უნდა იყოს მესამე ქვეყნის რომელიმე პარტნიორ უმაღლეს სასწავლებელში. ბაკალავრიატის სტუდენტს წარმატებით უნდა ჰქონდეს დამთავრებული სულ მცირე ერთი სასწავლო წელი მაინც.

⁴⁴ II სამიზნე ჯგუფისთვის სტუდენტი უნდა იყოს რეგისტრირებული ლოტით განსაზღვრული მესამე ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (რომელიც არ არის ჩართული პარტნიორობაში) ან ჰქონდეს საუნივერსიტეტო ხარისხი ან ამ მესამე ქვეყნის ინსტიტუტის ექვივალენტური ხარისხი. მათ უნდა დაასაბუთონ თუ რა სარგებელს მისცემთ საზღვარგარეთ ყოფნა (და როგორ იმოქმედებს მათ სოციო-ეკონომიკურ გარემოზე) და ინდივიდუალურ განაცხადთან ერთად მოეთხოვებათ მხარაქურის წერილები.

⁴⁵ III სამიზნე ჯგუფისთვის სტუდენტი უნდა იყოს სამი ქვეყნიდან რომელიმე ეროვნების და წარმოადგენდეს სოციალურად დაუცველ ჯგუფს.

⁴⁶ http://www.erasmusmundus5.gr/index.php?option=com_content&view=article&id=18&Itemid=34

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გორის უნივერსიტეტი. ევროპული უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან პროექტის პარტნიორები არიან: თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი (საბერძნეთი)⁴⁷, სვანსეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (გაერთიანებული სამეფო)⁴⁸, რომის საპიენსას უნივერსიტეტი (იტალია)⁴⁹, ვიანა დო კასტელოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (პორტუგალია)⁵⁰, რუსეს უნივერსიტეტი (ბულგარეთი)⁵¹, რეზეკენს აუგუსტსკოლა (ლატვია)⁵² და ბრიუსელის ვრიჯის უნივერსიტეტი (ბელგია)⁵³.

2010-2011 სასწავლო წელს ერაზმუს მუნდუსის პროექტით შემოთავაზებულია შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიმართულებები:⁵⁴

- სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებები;
- მდგრადი განვითარება;
- ბიზნესი;
- მენეჯმენტი;
- ეკონომიკა;
- ინფორმატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები;
- საკვები პროდუქტების წარმოება;
- გარემოსდაცვითი მეცნიერებები;
- ინჟინერია;
- ტურიზმის მენეჯმენტი;
- განათლება/მასწავლებელთა გადამზადება;
- საზოგადოების მართვა.

2010/2011 სასწავლო წლის მობილობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პოსტ-დოქტორანტების, ასევე აკადემიური პერსონალისათვის მასპინძელი უნივერსიტეტებისა და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით მოცემულია დანართებში 1-4⁵⁵, ხოლო ერაზმუს მუნდუსის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გარე თანამშრომლობის ფანჯრის პროექტით

⁴⁷ www.teithe.gr/

⁴⁸ www.smu.ac.uk

⁴⁹ www.unibomal.it

⁵⁰ www.ipvc.pt

⁵¹ <http://www.uni-ruse.bg/>

⁵² www.ru.lv

⁵³ www.vub.ac.be

⁵⁴ წყარო: http://www.erasmusmundus5.gr/index.php?option=com_content&view=article&id=22&Itemid=38.

⁵⁵ წყარო: http://www.erasmusmundus5.gr/index.php?option=com_c1ontent&view article&id=18&Itemid=34.

გათვალისწინებული მაჩვენებლები 2010-2011 აკადემიური სასწავლო წლისთვის გამოსახულია შემაჯამებელ ცხრილებში⁵⁶ 4.1 და 4.2.

ცხრილი 4.1. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ერაზმუს მუნდუსის პროგრამით 2010-2011 სასწავლო წელს მობილობის ჯამური მაჩვენებლები პროექტით გათვალისწინებული მობილობის სახეების მიხედვით

მობილობის სახე	ვეროპელები სამიზნე ჯგ. 1	შემომსვლელი - მესამე ქვეყანა				ს უ ლ
		მესამე ქვეყანა	სამიზნე ჯგ. 1	სამიზნე ჯგ. 2	სამიზნე ჯგ. 3	
ბაკალავრიატი	4 2 2	საქართველო აზერბაიჯანი სომხეთი	12 9 13	არ გამოცხადდა	6 5 1	56
მაგისტრატურა	- - 2	საქართველო აზერბაიჯანი სომხეთი	8 6 8	2 2 1	5 1 0	35
დოქტორანტურა	-	საქართველო აზერბაიჯანი სომხეთი	4 3 8	2 4 1	4 2 -	28
პოსტ-დოქტორანტურა	-	საქართველო აზერბაიჯანი სომხეთი	2 - 2	1 2 -	- - -	7
პერსონალი (აკადემიური/ადმინისტრაცია)	1 - 1	საქართველო აზერბაიჯანი სომხეთი	4 3 5	არ გამოცხადდა	არ გამოცხადდა	14
ს უ ლ	14	-	87	15	24	140

ცხრილიდან 4.1 ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნიდან ბაკალავრიატის სტუდენტების რაოდენობა I სამიზნე ჯგუფისთვის ქვეყნების მიხედვით შემდეგია: საქართველო – 12, აზერბაიჯანი – 9, სომხეთიდან – 13, ხოლო III სამიზნე ჯგუფისთვის შესაბამისად: 6, 5 და 1. მაგისტრანტების მობილობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, I სამიზნე ჯგუფში საქართველოსთვის გამოყოფილია 8 ადგილი, II სამიზნე ჯგუფში – 2 ადგილი, ხოლო III სამიზნე ჯგუფში – 5 ადგილი. შესაბამისად, აზერბაიჯანისთვის სულ – 6, 2 და 1, ხოლო სომხეთისთვის საერთო ჯამში ასევე – 9 ვაკანსია.

სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის დოქტორანტების ევროპულ უნივერსიტეტებში მობილობის მაჩვენებლები ასეთია: საქართველოდან 10 დოქტორანტი იღებს მონაწილეობას, ხოლო აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან 9-9, ამასთან ყველაზე ხანგრძლივი სტაჟირებით სარგებლობს 1 ქართველი დოქტორანტი მესამე სამიზნე ჯგუფიდან – 34 თვე.

⁵⁶ წყარო: http://www.erasmusmundus5.gr/index.php?option=com_content&view=article&id=13&Itemid=29.

დანართში 4 მოცემულია პოსტ-დოქტორანტთა მობილობის მაჩვენებლები, კერძოდ პროექტის ამ მიმართულებით საქართველო წარმოდგენილია 3 მონაწილით, სომხეთი – 2 და აზერბაიჯანი – 1 მონაწილით.

ცხრილიდან 4.2 ჩანს, რომ 2010-2011 სასწ. წელს ერაზმუს მუნდუსის პროგრამით გათვალისწინებულ სტუდენტთა მობილობის ყველა კატეგორიის (4) მისედევით საქართველოდან წარგზავნილთა რაოდენობა აჭარბებს აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან გაგზავნილ სტუდენტთა რაოდენობას, ხოლო აკადემიური პერსონალის მისედევით სომხეთის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია.

ცხრილი 4.2. ერაზმუს მუნდუსის პროგრამით 2010-2011 სასწავლო წელს მობილობის ჯამური მაჩვენებლები პროექტში მონაწილე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მისედევით

სამხრეთ კავკასიის ქვეყანა	ბაკალავრები	მაგისტრანტები	დოქტორანტები	დოქტორანტურის შემდგომი საფეხური	პერსონალი	სულ
საქართველო	18	15	10	3	4	50
აზერბაიჯანი	14	9	9	2	3	37
სომხეთი	14	9	9	2	5	39
სულ	46	33	28	7	12	126

ერაზმუს მუნდუსის მთლიანი პროგრამის ზოგადი მაჩვენებლების მისედევით თუ ვიმსჯელებთ 2009-2010 სასწ. წელს მეცნიერთა მობილობის მისედევით მაჩვენებლები ასე განაწილდა: საქართველოდან გაცვლით პროგრამაში მონაწილეობდა – 2, (განაცხადების რაოდენობა იყო 6; რამაც შეადგინა ერაზმუს მუნდუსის მთლიანი განაცხადების 0,47%); აზერბაიჯანიდან შესაბამისად: 1 (3, 0,28%), სომხეთიდან – 1 (7; 0,66%), უკრაინიდან – 8 (24; 2,28%); მოლდოვიდან – 1 (4; 0,38%); ბელორუსიიდან – 2 (4; 0,38%)⁵⁷.

სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების მაჩვენებლები 2009-2010 სასწ. წლისთვის ასეთი იყო: საქართველოდან მონაწილეობდა 9 სტუდენტი (განაცხადების რაოდენობა იყო 49, რამაც შეადგინა მთლიანად პროექტში შესული განაცხადების 0,22%), აზერბაიჯანიდან – 3 (შესაბამისად: 47; 0,21%), სომხეთიდან – 13 (74; 0,33%); ბელორუსიიდან – 5 (60; 0,27%); მოლდოვიდან – 10 (70; 0,31%); უკრაინიდან – 29 (273; 1,22%)⁵⁸.

⁵⁷ http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/results_compendia/documents/statistics/em20092010_scholars2.pdf.p.1-2.

⁵⁸ http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/results_compendia/documents/statistics/em20092010_students2.pdf.p.1-2.

2004-2009 წლებში აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან ერაზმუს მუნდუსის მეცნიერთა მობილობის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო: საქართველოდან – 3 მონაწილემ (მ.შ. კაცი – 3; ქალი – 0) სომხეთიდან – 3 (შესაბამისად: 3; 0), ბელორუსიდან – 2 (1; 1), უკრაინიდან – 19 (13; 6), სოლო მოლდოვას და აზერბაიჯანს ამ პერიოდში აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა არ მიუღიათ⁵⁹. ამავდროულად პერიოდში სტუდენტთა მობილობის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო: საქართველოდან – 23 მონაწილემ (მ.შ. კაცი – 12; ქალი – 11) სომხეთიდან – 19 (შესაბამისად: 5; 14), აზერბაიჯანიდან – 8 (3; 5), ბელორუსიდან – 24 (12; 12), მოლდოვადან – 25 (10; 15), უკრაინიდან – 102 (39; 63)⁶⁰. თუ შევადარებთ 2004-2009 წლებისა და მიმდინარე აკადემიური წლის (2010-2011 სასწ. წელი) მაჩვენებლებს, ვნახავთ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შეინიშნება პროცესის აშკარა გააქტიურება, ვინაიდან პირველი ხუთი წლის მაჩვენებლებთან შედარებით ისინი მიმდინარე აკადემიურ წელს 2-3-ჯერ უფრო მაღალია.

4.3. ტემპუსის პროგრამები საქართველოში

1991 წელს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა და მონღოლეთის ფართომასშტაბიანი დახმარებისთვის, შეიქმნა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა ტახისის (TACIS), რომლის ეროვნული პროგრამების ძირითად მიმართულებებს სხვა პროგრამებთან ერთად, წარმოადგენდა: სახელმწიფო საწარმოების რესტრუქტურისაცია და კერძო საკუთრების განვითარება, განათლების, სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა და სხვა.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა ტახისის მიერ საქართველოს ეროვნული პროგრამების ფარგლებში 1992-2006 წლებში გაეწია 131 მლნ ევროს მოცულობის დახმარება. წლების მიხედვით აღნიშნული თანხა შემდეგნაირად განაწილდა: 1992-1993 წწ. – 13 მლნ ევრო, 1994-1995 წწ. – 10 მლნ ევრო, 1996-1997 წწ. – 16 მლნ ევრო, 2000-2001 წწ. – 15 მლნ ევრო, 2002-2003 წწ. – 14 მლნ ევრო, 2004-2005 წწ. – 27 მლნ ევრო, 2006 წ. – 20 მლნ ევრო⁶¹.

ტემპუსი ევროგაერთიანების პროგრამაა, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში. პროგრამა შეიქმნა 1990 წელს, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ და მოიცავს დასავლეთ

⁵⁹ http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/results_compendia/statistics_en.php.

⁶⁰ http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/results_compendia/statistics_en.php.

⁶¹ რ. ფუტკარაძე. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2010. გვ. 159.

ბალკანეთის, აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის 27 ქვეყანას.

ტემპუსი ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვას, თანამედროვე სასწავლო პროგრამების შემუშავებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, უნივერსიტეტების მენეჯმენტის გაუმჯობესებას, საუნივერსიტეტო რეფორმას, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას, უნივერსიტეტის ბაზაზე არააკადემიური კადრების მომზადებას და სხვა აქტივობებს.

2007-2013 წწ. ტემპუსის პროგრამა მოიცავს 3 სამოქმედო მიმართულებას, ესენია:

1. ერთობლივი პროექტი – Joint Project;
2. სტრუქტურული ღონისძიებები – Structural Measures;
3. თანმდევი ღონისძიებები – Accompanying Measures.

1996-2009 წლებში საქართველოში განხორციელდა ტემპუსის 31 პროექტი. აღნიშნულ პროექტებით საერთაშორისო თანამშრომლობა განხორციელდა გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, ავსტრიის, ნიდერლანდების, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, ირლანდიის, საბერძნეთის, პორტუგალიის და ლატვიის უნივერსიტეტებთან. აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მონაწილეობა გააქტიურდა მხოლოდ ამჟამად მიმდინარე პროექტებში⁶². 1995 წლიდან, ტემპუსის ფარგლებში, საქართველოსთვის გამოყოფილია 13 მლნ ევროზე მეტი. აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში 2010 წელს მიღებული პროექტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 4.3⁶³.

ცხრილიდან 4.3 ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საქართველო ყველაზე მეტ პროექტში მონაწილეობს. ანალოგიური მაჩვენებელი აქვს უკრაინასა და მოლდოვას. ამ პროექტებში საქართველოს უნივერსიტეტების მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 4.4. მასში ასევე ნაჩვენებია დღეისათვის საქართველოში მიმდინარე 12 პროექტის ამსახველი სურათი მონაწილეების, თემატიკისა და სანგრძლივობის მიხედვით.

⁶² <http://www.tempus.ge/files/Tempus%20in%20Georgia%20-%20data%202009.pdf>.

⁶³ წყარო: http://eacea.ec.europa.eu/tempus/results_compedia/documents/statstempus4_2010_a_phe.pdf.

**ცხრილი 4.3. ტემპის მიერ აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში
2010 წელს შერჩეული პროექტები**

რეგიონი	ქვეყანა	ერთობლივი პროექტი		სტრუქტურული ღონისძიება		სულ
		ეროვნული პროექტი	მრავალეროვნული პროექტი	ეროვნული პროექტი	მრავალეროვნული პროექტი	
აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნები	საქართველო		4		1	5
	აზერბაიჯანი	1	1		1	2
	სომხეთი		2	1	1	4
	სულ კავკასია	1	6	1	1	9
	ბელორუსია		2			2
	მოლდოვა	1	4			5
	უკრაინა		5			5
	სულ	2	7	7	1	18

ამჟამად, მიმდინარე პროექტებში მონაწილეობს თერთმეტი ქართული უნივერსიტეტი. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ერთად სორციელდება ცხრილში 4.4 მოცემული № 1-7 პროექტები. მათში ჩართულია უკრაინა (პროექტები № 2, 5, 6), აზერბაიჯანი (№ 1, 4), სომხეთი (№ 1, 4, 6, 7), მოლდოვა (№ 6). სამწუხაროდ, არ არის პარტნიორული კავშირები ბელორუსთან.

4.4. სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები საქართველოში

საქსტატის მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში სასწავლებლად შემოვიდა (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სასწავლებელში) 832 სტუდენტი (შესაბამისად: 452; 380), ხოლო საქართველოდან სულ 215 სტუდენტი (125; 90)⁶⁴ გაიგზავნა. სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში მოცემულია ცხრილში 4.5.

⁶⁴ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=205&lang=geo

ცხრილი 4.4. 2010 წელს საქართველოში მიმდინარე ტემპუსის პროექტები⁶⁵

№	უნივერსიტეტი	პროექტის დასახელება და კოდი	სანგრძლივობა
1	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	144537 - სასწავლო პროგრამების რეფორმირება და თავსებადობა ბიოსამედიცინო ინჟინერიაში	2009-2011
2	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	144562 - ექვს ევროპულ ქვეყანაში სოციალური მუშაკის საგანმანათლებლო პროგრამაში სამსაფეხურიანი სწავლების სისტემის განვითარება	2009-2011
3	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	158627 - დისტანციური სწავლების განვითარება ბიოსამედიცინო მეცნიერებაში სამხ. კავკ. ქვეყნებში	2010-2013
4	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	158627 - დისტანციური სწავლების განვითარება ბიოსამედიცინო მეცნიერებაში სამხ. კავკ. ქვეყნებში	2010-2013
5	თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელ. უნივერსიტეტი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, წნორის კოლეჯი, ბათუმის საზღვაო აკად.	158739 - ტურიზმის ქსელი	2010-2013
6	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	159338 - უმაღლესი განათლების სისტემის განვითარება სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის	2010-2013
7	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი	159340 - გამოყენებითი ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა	2010-2013
8	განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტ. ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	511035-TEMPUS-2010-DE-TEMPUS-SMGR - უმაღლესი განათლების სარისხის უზრუნველყოფის ინტერნაციონალიზაცია	2010-2013
9	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	511172-TEMPUS-2010-DE-TEMPUS-JPCR - გარემოს შემსწავლელ მეცნიერებათა სწავლება ბოლონიის პრინციპების შესაბამისად	2010-2013
10	აკაკი წერეთლის სახელმ. უნივერსიტეტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	511275-TEMPUS-2010-GE-TEMPUS-JPCR - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების აქტიური სწავლება	2010-2012
11	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს უნივერსიტეტი	511303-TEMPUS-2010-UK-TEMPUS-JPCR - საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის სამაგისტრო პროგრამა	2010-2013
12	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	511303-TEMPUS-2010-UK-TEMPUS-JPCR - სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარება საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში	2010-2013

⁶⁵ <http://www.tempus.ge/ge/currentprojects.html>

საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნიდან შემოსული უცხოელი სტუდენტების საერთო რაოდენობა 2009 წელს იყო 246, რომლის 93% (229 სტუდენტი) იყო აზერბაიჯანიდან. არავინ შემოსულა სასწავლებლად ბელორუსიდან და არც საქართველოდან არის გაგზავნილი. შემომავალი ქვეყნიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მოლდოვიდან – 0,4% (1 სტუდენტი). საქართველოდან ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში სასწავლებლად გაიგზავნა სულ 1 სტუდენტი (უკრაინა, გაგზავნილთა 100%). (იხ. ცხრილი 4.5).

ცხრილი 4.5. საქართველოდან სტუდენტთა მობილობის მონაცემები აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში

N	სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა 2009 წელს				
		სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები		კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	
		საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტები	უცხოელი სტუდენტები	საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტები	უცხოელი სტუდენტები
1	აზერბაიჯანი	0	16	0	213
2	სომხეთი	0	0	0	11
3	უკრაინა	1	2	0	3
4	მოლდოვა	0	1	0	0
	სულ	1	19	0	227

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნიდან შემოსული სტუდენტების უმრავლესობა მოდის კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ხოლო გაგზავნილთა უმრავლესობა – სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე (კერძო სასწავლებლებიდან საქართველოდან აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში არავინაა გაგზავნილი). **ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში სტუდენტთა მობილობის მაჩვენებელი აშკარად შემოსულ სტუდენტთა დიდ უპირატესობაზე მეტყველებს (99,6%). ამასთან აღსანიშნავია, რომ შემოსულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა 92,2%, (227 სტუდენტი) კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოვიდა.**

სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლის მიხედვით კავკასიის ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, სომხეთი) შემოსულია სულ აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნიდან შემოსულთა 97,5% (240 სტუდენტი). რაც

მეტყველებს კავკასიაში განათლების დარგში საქართველოს კონკურენციულ უპირატესობაზე.

სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მოცემულია ცხრილში 4.6. ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აშშ-სა და ევროპის ქვეყნებიდან შემოსული უცხოელი სტუდენტების საერთო რაოდენობამ 2009 წელს შეადგინა 105, რომელთა შორის როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სასწავლებლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო რუსეთიდან – 77 სტუდენტი (73,3%), აქტივობით მეორე ადგილზეა ლიტვა – სულ 12 სტუდენტი (11,4%).

ცხრილი 4.6. საქართველოდან სტუდენტთა მობილობის მაჩვენებელი აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში

N	სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა 2009 წელს				
	სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები		კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები		
	საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტები	უცხოელი სტუდენტები	საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტები	უცხოელი სტუდენტები	
1	აშშ	1	1	19	0
2	ბულგარეთი	2	0	0	0
3	გაერთიანებული სამეფო	0	0	20	0
4	გერმანია	30	2	5	1
5	ესპანეთი	1	0	0	0
6	ესტონეთი	7	3	13	0
7	იტალია	2	0	2	0
8	კვიპროსი	0	0	0	1
9	ლატვია	2	0	0	0
10	ლიტვა	9	11	7	1
11	ნიდერლანდები	0	0	0	1
12	პოლონეთი	3	2	0	0
13	პორტუგალია	2	0	6	0
14	რუსეთი	1	27	0	50
15	საბერძნეთი	15	2	0	1
16	საფრანგეთი	34	0	4	0
17	ჩეხეთი	9	0	0	0
	სულ	117	48	76	57

საქართველოდან გაგზავნილ სტუდენტთა საერთო რიცხოვნობა შეადგენს – 193, რომელთა შორის უმრავლესობა სასწავლებლად გაიგზავნა საფრანგეთში – 38 (19,6%), გერმანიაში – 35 (18,1%), გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში ერთნაირი მაჩვენებელი აღინიშნა – 20 (10,3%). გაცვლის ინტენსიურობა სახელმწიფო და კერძო

სასწავლებლებს შორის განისაზღვრა შემდეგი ხანით: სახელმწიფო სასწავლებლებიდან წავიდა 117 სტუდენტი (67,3%), ხოლო კერძო სასწავლებლებიდან - 76 (43,7%). აღნიშნული მაჩვენებელი გულისხმობს ევროპული და ამერიკული ფონდებით სასწავლო გაცვლით პროგრამებში მონაწილეებს, ენების შემსწავლელ კურსებზე წასულთ და ა.შ. **აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებიდან შემოსული სტუდენტების უმრავლესობა მოდის კერძო საკუთრების დაწესებულებებზე 54,3% (57 სტუდენტი), ხოლო გახულთა უმეტესობა - სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებზე - 60,6% (117 სტუდენტი). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მობილობის მაჩვენებლებშიც.**

საქართველოდან აზია-აფრიკის ქვეყნებში სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 4.7, სადაც ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აზია-აფრიკის კონტინენტებიდან შემოსული უცხოელი სტუდენტების საერთო რაოდენობა 2009 წელს იყო 314 (295+19), რომლის 78,9% იყო ინდოეთიდან, ხოლო 8,9% - შრი-ლანკიდან.

ცხრილი 4.7. საქართველოდან სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები აზია-აფრიკის ქვეყნებში

N	სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა 2009 წელს				
	სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები		კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები		
	საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტები	უცხოელი სტუდენტები	საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტები	უცხოელი სტუდენტები	
1	ვეგობტე	4	1	0	0
2	ერაყი	0	0	0	3
3	თურქმენეთი	0	0	0	5
4	იაპონია	0	1	3	0
5	ინდოეთი	0	245	0	3
6	ირანი	0	1	0	0
7	ისრაელი	0	1	0	4
8	კორეა	0	0	6	0
9	პაკისტანი	0	6	0	0
10	მავრიტანია	0	8	0	0
11	სირია	0	4	0	0
12	ყაზახეთი	0	1	0	4
13	შრი-ლანკა	0	28	6	0
14	ჩინეთი	0	0	2	0
	სულ	4	295	11	19

აზია-აფრიკის ქვეყნებიდან როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოვიდა 329 სტუდენტი, რომელთა უმრავლესობას კვლავ ინდოეთიდან შემოსული ახალგაზრდები შეადგენდნენ - 75,3% (248). **აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აზია-აფრიკის კონტინენტებიდან შემოსული სტუდენტების უმრავლესობა მოდის სახელმწიფო საკუთრების დაწესებულებებზე, ხოლო გახლდათ უმრავლესობა - კერძო სასწავლო დაწესებულებებზე. აღნიშნულ ქვეყნებში სტუდენტთა გაცვლის მაჩვენებელი აშეარად შემოსულ სტუდენტთა დიდ უპირატესობაზე მეტყველებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რეგიონში განათლების დარგში საქართველოს კონკურენციულ უპირატესობას. აღვნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ შემოსულ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში სამედიცინო განათლების მიხედვად ჩამოდის, რაც ამ დარგშიც საქართველოს კონკურენციულ უპირატესობაზე მეტყველებს.** საქართველოდან აზია-აფრიკის ქვეყნებში სასწავლებლად გავიდა სულ 15 სტუდენტი, რომელთა უმრავლესობა 40% (6 სტუდენტი) სასწავლებლად წავიდა კორეაში, 20% (3 სტუდენტი) კი - იაპონიაში.

5. ადმონავლეთის პარტნიორობის მემყნები მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით

ცნობილია, რომ მეწვეერები თავისი პროდუქტის გაყიდვის დროს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტნიორებთან პირისპირ შეხვედრებსა და კომუნიკაციას. ასევე, ტექნოლოგიების ტრანსფერის პროცესში, სიახლეების ახსნისა და დემონსტრირების საუკეთესო საშუალება არის უშუალო კომუნიკაცია. კოლორადოს უნივერსიტეტის მეცნიერ-მკვლევარების მიერ 1993-2003 წლებში აშშ-დან მსოფლიოს 74 ქვეყანაში ბიზნეს მოგზაურობის სათანადო მაჩვენებლების შესწავლის შედეგად დადგინდა კავშირი ბიზნეს-მოგზაურობასა (საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით) და ქვეყნის ინოვაციურობის რეიტინგს შორის. აღინიშნა, რომ „საერთაშორისო მოგზაურობის 10%-ით ზრდა იწვევს პატენტების რიცხვის ზრდას 1%-ით. ამასთან, გასათვალისწინებელია ის, რომ ინოვაციებზე შემოქმედება პირდაპირ უკავშირდება თითოეული მოგზაურის ტექნოლოგიური ცოდნის სარისხს“⁶⁶.

⁶⁶ N.Hovhannisyán, W. Keller, International Business Travel: An Engine of Innovation?, University of Colorado, 2010. Polanyi (1958) discusses this tacitness of technological knowledge. See Koskinen and Vanharanta (2002) on the role of face-to-face communication in overcoming problems arising from the tacitness of technology, and Forbes (2009) as well as Harvard Business Review (2009) on the general preference of business executives for face-to-face meetings over phone or web-based communications.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, საინტერესოა ვიცოდეთ აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან საქართველოში საქმიანი ვიზიტით ჩამოსულთა რაოდენობა. საამისოდ შევისწავლეთ საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ 2010 წელს ჩატარებული კვლევა. უცხოელი მოგზაურების კვლევა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში ჩატარდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით და ამ ორგანიზაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დაკვეთით კვლევა მიმდინარეობდა 2010 წლის 1-22 თებერვალს; 4-15 მაისს; 9-22 აგვისტოს. კვლევა ჩატარდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში, სადახლოს, წითელი ხიდისა და სარფის სახმელეთო-სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში უცხოელებთან, რომლებიც ქვეყნიდან მიემგზავრებოდნენ. შესაბამისად, მათ დასრულებული ჰქონდათ საქართველოში ვიზიტი და მათ მიერ მიღებული ყველა შთაბეჭდილება იყო ცოცხალი და აქტუალური. კვლევის მიზანი იყო საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო მოგზაურების დემოგრაფიული პროფილის, ვიზიტის მიზნის, ქვეყანაში გაწეული ტურისტული დანახარჯების და სხვა მახასიათებლების შესწავლა. სულ ჩატარდა 2660 ინტერვიუ. მიღებული შედეგების საფუძველზე გაირკვა, რომ საქმიანი (პროფესიული) მიზნით შემოვიდა 29%, ხოლო განათლება/ტრენინგების მიზნით 29,8%.⁶⁷

ამგვარად, უცხოელი მოქალაქეების დაახლოებით 58,8% საქართველოში ჩამოდის საქმიანი ვიზიტით. ეს მონაცემები გაფაგრცელებით აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან შემოსულთა რიცხვზე და დავადგინეთ, რომ 2010 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელი მოქალაქეების რაოდენობამ შეადგინა 1 101 117 კაცი. ვიზიტორთა შორის საქმიანი/საგანმანათლებლო მიზნით სავარაუდოდ შემოვიდა 647 454 კაცი. ეს მაჩვენებელი 2000 წლის მაჩვენებელთან შედარებით 7,3-ჯერ გაიზარდა, რასაც მკვეთრად უნდა გაეზარდა ამ ქვეყნებს შორის სამეცნიერო და საგანმანათლებლო კავშირები. აღნიშნული ფაქტი აისახება ერთობლივი კონფერენციების, კვლევებისა თუ სტატიების რაოდენობაში, მაგრამ მათ შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია.

საკითხის შესწავლის შემდგომი გაღრმავების მიზნით დავინტერესდით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ანგარიშში აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მაჩვენებლებით. ცხრილში 5.2 მოცემულია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მიერ სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით დაკავებული ადგილები და შესაბამისი ქულები.

⁶⁷ www.gnat.ge

ცხრილი 5.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩამოსული უცხოელი მოქალაქეების რაოდენობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან⁶⁸

№	ქვეყანა	საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩამოსული უცხოელი მოქალაქეების რაოდენობა		2010 წელს ჩამოსულები ვიზიტის მიზნის მიხედვით (სავარაუდო)	
		2000 წელი	2010 წელი	საქმიანი პროფესიული	განათლება ტრენინგი
1	აზერბაიჯანი	55 193	498 570	144 585	148 573
2	ბელორუსი	1 193	4 970	1 441	1 481
3	მოლდოვა	2 905	2 393	694	713
4	სომხეთი	72 169	547 162	158 677	163 054
5	უკრაინა	18 098	48 022	13 926	14 310
	ს უ ლ	149 558	1 101 117	319 323	328 131

ცხრილიდან 5.2. ჩანს, რომ მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობით, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს შორის (ბელორუსის გარდა, რომელიც მსგავს ანგარიშებში არ არის), საუკეთესო მაჩვენებელი აქვს საქართველოს (73 ადგილი), თუმცა ცალკეული ქვემაჩვენებლების მიხედვით, მაგალითად: „ტურიზმის ინფრასტრუქტურა“, საუკეთესო უკრაინაა (53 ადგილი), საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მაჩვენებელი საუკეთესო აქვს მოლდოვას (65 ადგილი) და ა.შ. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს ამ მიმართულებით ბევრი რამ აქვთ ერთმანეთისგან სასწავლი და გასაზიარებელი.

გლობალური კონკურენტუნარიანობის მიხედვით საქართველოს მსოფლიოს 139 ქვეყანას შორის (2010-2011 წლების ანგარიშში) უკავია 93-ე ადგილი (3,9 ქულა), უკრაინას – 89 (3,9), სომხეთს – 98 (3,8), აზერბაიჯანს – 57 (4,3), მოლდოვას – 94 (3,9).⁶⁹ ამავე ანგარიშში მოცემული განათლებისა და მეცნიერების მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ (იხილეთ ცხრილი 5.3), ვნახავთ, რომ საუკეთესო პოზიცია აქვს უკრაინას, რომელსაც კონკურენტუნარიანობის აღმნიშვნელი 10-დან 4 მაჩვენებელი გააჩნია, აზერბაიჯანს – 2, 10-დან. საქართველოს, მოლდოვას და სომხეთს კონკურენტუნარიანობის აღმნიშვნელი მაჩვენებელი ამ მიმართულებით არ აქვთ.

⁶⁸ www.gnta.ge

⁶⁹ www.weforum.org

**ცხრილი 5.2. აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ტურიზმის
მაჩვენებლები**

(2010-2011 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მოგზაურობისა
და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ანგარიშის⁷⁰ მისხედვით)

№	მაჩვენებელი	ქვეყნის ადგილი (139 ქვეყანას შორის) და ქულა (7-დან)				
		საქართველო	უკრაინა	მოლდოვა	სომხეთი	აზერბაიჯანი
	ადგილი და ქულა 2011 წელს	73 (4,0)	85 (3,8)	99 (3,6)	90 (3,8)	83 (3,8)
	ადგილი და ქულა 2009 წელს	73 (3,9)	77 (3,8)	93 (3,6)	91 (3,7)	76 (3,8)
1	მოგზაურობის და ტურიზმის რეგულირების ჩარჩო	35 (5,1)	64 (4,6)	68 (4,6)	58 (4,8)	59 (4,7)
2	პოლიტიკის წესები და რეგულაციები	54 (4,6)	107 (3,8)	81 (4,3)	92 (4,1)	74 (4,4)
3	გარემოს მდგრადობა	69 (4,5)	88 (4,2)	78 (4,4)	111 (4,1)	92 (4,2)
4	უსაფრთხოება და დაცულობა	47 (5,3)	82 (4,5)	65 (4,9)	51 (5,2)	54 (5,2)
5	ჯანმრთელობა და ჰიგიენა	31 (6,0)	17 (6,5)	49 (5,5)	37 (5,9)	54 (5,2)
6	მოგზაურობის და ტურიზმის პრიორიტეტულობა	31 (5,2)	31 (5,2)	115 (3,7)	76 (4,5)	54 (4,7)
7	მოგზაურობის და ტურიზმის ბიზნეს-გარემო და ინფრასტრუქტურა	94(3,2)	94(3,2)	98 (3,1)	100 (3,1)	87 (3,3)
8	საპაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	105 (2,4)	105 (2,4)	128 (2,1)	95 (2,6)	83 (2,7)
9	სავაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	69 (3,6)	69 (3,6)	124 (2,7)	106 (3,0)	58 (4,1)
10	ტურიზმის ინფრასტრუქტურა	87 (2,9)	87 (2,9)	93 (2,7)	92 (2,8)	96 (2,6)
11	საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა	82 (2,8)	82 (2,8)	65 (3,3)	97 (2,5)	88 (2,8)
12	საფასო კონკურენტუნარიანობა მოგზაურობის და ტურიზმის ინდუსტრიაში	91 (4,4)	91 (4,4)	54 (4,8)	61 (4,6)	76 (4,5)

**ცხრილი 5.3. განათლებისა და მეცნიერების მაჩვენებლები
აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში**

(2010-2011 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური
კონკურენტუნარიანობის ანგარიშის⁷¹ მისხედვით)

	მაჩვენებელი	ქვეყნის ადგილი 139 ქვეყანას შორის				
		საქართველო	უკრაინა	მოლდოვა	სომხეთი	აზერბაიჯანი
1	დაწვევებითი განათლების ხარისხი	105	49	72	88	109
2	დაწვევებითი განათლების სისტემაში ჩართულთა სვედრითი წილი	17	102	107	115	49
3	საშუალო განათლების სისტემაში ჩართულთა სვედრითი წილი	59	44	71	69	12
4	სპეციალური განათლების სისტემაში ჩართულთა სვედრითი წილი	66	8	59	68	98
5	საგანმანათლებლო სისტემის ხარისხი	119	56	96	115	104
6	მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხი	104	42	75	74	101
7	სკოლების მართვის ხარისხი	116	108	123	130	124
8	ინტერნეტის სელმისაწვდომობა სკოლებში	74	68	61	107	77
9	კვლევებსა და ტრენინგებზე სელმისაწვდომობა ადგილობრივ დონეზე	125	84	93	124	66
10	პერსონალის გადამზადების მასშტაბები	108	109	117	116	68

⁷⁰ www.weforum.org

⁷¹ www.weforum.org

6. დასკვნა

აღმოსავლეთის პარტნიორობა განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით არის „ევროპა 2020“ განათლების პოლიტიკის ნაწილი. მასთან შესაბამისი და თავსებადი, რა დასკვნაც ნაშრომში ევროკომისიის დოკუმენტების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ.

საქართველოს ევროპის საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირების, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების შესწავლის შედეგად ნათელია, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებთან არსებობს მყარი, ურთიერთსასარგებლო კავშირები. სამომავლოდ სასურველია ამ კავშირების სპექტრის გაფართოვება, ვინაიდან დადგენილია კორელაციური კავშირები საერთაშორისო ვაჭრობის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით საქმიან მოგზაურობასა და ქვეყნების ინოვაციურობის რეიტინგის ამაღლებას შორის (პატენტების რაოდენობის ზრდის საფუძველზე).

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ერაზმუს მუნდუსის პროგრამით გათვალისწინებული კატეგორიების (ყველა საფენურის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი) მობილობის მაჩვენებლების 2004 წლიდან განხილვის შედეგად ასევე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მიმართულებითაც აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში (ბელორუსის გარდა), ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირები. სამომავლოდ სასურველია მათი შემდგომი გაღრმავება-განვითარება, რაშიც ვგულისხმობთ თითოეული ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულებების გასაზღვრასა და საერთო ინტერესების მიხედვით ამ ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთმანეთთან თანხვედრას.

ტემპუსის პროგრამის პროექტები საქართველოსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში წარმატებით ხორციელდება და ვფიქრობთ, სასურველია მათში (სხვა მიმართულებათა გვერდით) ბელორუსის ჩართულობის გაზრდა.

საქართველოსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის, აშშ-სა და ევროპის, ასევე აზია-აფრიკის ქვეყნებში სტუდენტთა მობილობის მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტთა მობილობა სახეზეა, თუმცა სამომავლოდ აუცილებლად

მიგვაჩნია აღნიშნული კავშირების ეფექტიანი გამოყენების გზების შემუშავება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მისედევით გამოირჩევა უკრაინა. რის გამოც, ვფიქრობთ, EaP-ს პროგრამის მისედევით, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან საგანმანათლებლო სისტემის კონკურენტუნარიანობის საშუალებით, უკრაინასთან გამოცდილების გაზიარების მიმართულებით გადრმაგდეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო კავშირები.

სტატიაში მოტანილი მასალა შეიძლება საფუძვლად დაედოს ევროკავშირის EaP-ს, რათა ჩამოყალიბდეს პროგრამის სამომავლო სამოქმედო მიმართულებები.

დანართი 1

დანართი 1. ევროპულ უნივერსიტეტებში დოქტორანტების მობილობა ერაზმუს მუნდუსის სამხრეთ კავკასიის გარე თანამშრომლობის პროგრამით

მობილობის I ეტაპი: 20/9/2010 (10 თვე), მობილობის II ეტაპი: 20/9/2011 (10 თვე)		
I სამიზნე ჯგუფი		
ინსტიტუტი/კვეყანა	სტუდენტთა რაოდენობა	მასპინძელი ინსტიტუტი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო	1	
ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო	1	
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო	1	
ATI - აზერბაიჯანი	2	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
GDU - აზერბაიჯანი	2	
KHAZAR - აზერბაიჯანი	2	
GSU - სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
GPMI - სომხეთი	1	
ASUE - სომხეთი	1	
YSU - სომხეთი	1	
ASAU - სომხეთი	1	
თსუ ⁷² - საქართველო	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერს-ტი, გაერთ. სამეფო
თსუ - საქართველო	1	საპინზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
ბათუმი ⁷³ - საქართველო	1	ვიანა დო კასტელოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, (IPVC) პორტუგალია
ბათუმი - საქართველო	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
თელავი ⁷⁴ - საქართველო	1	რეზეკენს აუგსტსკოლა, ლატვია
თელავი - საქართველო	1	ვრიჯის ინვერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
გორი ⁷⁵ - საქართველო	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
გორი - საქართველო	1	რეზეკენს აუგსტსკოლა, ლატვია
ATI - აზერბაიჯანი	1	რეზეკენს აუგსტსკოლა, ლატვია
GDU - აზერბაიჯანი	1	საპინზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
KHAZAR - აზერბაიჯანი	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერს-ტი, გაერთ. სამეფო
GSU - სომხეთი	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერს-ტი, გაერთ. სამეფო
GSU - სომხეთი	1	რეზეკენს აუგსტსკოლა, ლატვია
GPMI - სომხეთი	1	საპინზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
GPMI - სომხეთი	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
ASUE - სომხეთი	1	ვრიჯის ინვერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
YSU - სომხეთი	1	რეზეკენს აუგსტსკოლა, ლატვია
ASAU - სომხეთი	1	IPVC, პორტუგალია
ASAU - სომხეთი	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
III სამიზნე ჯგუფი		
საქართველო	2	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერს-ტი, გაერთ. სამეფო
	1	საპინზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
	1	რეზეკენს აუგსტსკოლა, ლატვია
	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
აზერბაიჯანი	3	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	საპინზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
	1	IPVC, პორტუგალია
სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი

⁷² აქ და შემდგომ იგულისხმება: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ის: www.tsu.edu.ge.
⁷³ აქ და შემდგომ იგულისხმება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ის: www.bsu.edu.ge.
⁷⁴ აქ და შემდგომ იგულისხმება: თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ის: www.tesau.edu.ge.
⁷⁵ აქ და შემდგომ იგულისხმება: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ის: www.gu.edu.ge.

დანართი 2. ევროპულ უნივერსიტეტებში მაგისტრანტების მობილობა ერაზმუს მუნდუსის სამხრეთ კავკასიის გარე თანამშრომლობის პროგრამით

მაგისტრანტების მობილობა ევროპაში.
 მობილობის I ეტაპი: 25/9/2010 (20 თვით); მობილობის II ეტაპი: 25/9/2011 (20 თვით)

ინსტიტუტი/ქვეყანა	სტუდენტთა რაოდენობა	მასპინძელი ინსტიტუტი
ოსუ - საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
ბათუმი - საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, გაერთ. სამეფო
თელავი - საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	საპიენზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
გორი - საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
ATI - აზერბაიჯანი	2	IPVC პორტუგალია
GDU - აზერბაიჯანი	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, გაერთ. სამეფო
GDU - აზერბაიჯანი	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
KHAZAR - აზერბაიჯანი	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
KHAZAR - აზერბაიჯანი	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
GSU - სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
GPMI - სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
ASUE - სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
ASUE - სომხეთი	1	საპიენზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
ASUE - სომხეთი	1	IPVC, პორტუგალია
YSU - სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
YSU - სომხეთი	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
ASAU - სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
II სამიზნე ჯგუფი		
საქართველო	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, გაერთ. სამეფო
	1	საპიენზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
აზერბაიჯანი	1	IPVC, პორტუგალია
	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
სომხეთი	1	რეჟენეს აუგუსტსკოლა, ლატვია
III სამიზნე ჯგუფი		
საქართველო	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, გაერთ. სამეფო
	1	საპიენზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
	1	IPVC, პორტუგალია
	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
აზერბაიჯანი	1	IPVC, პორტუგალია

დანართი 3. ევროპულ უნივერსიტეტებში დოქტორანტების მობილობა ერაზმუს მუნდუსის სამსრუტ კავკასიის გარე თანამშრომლობის პროგრამით

დოქტორანტები ევროპაში I სამიზნე ჯგუფი; მობილობის პერიოდი: 1/3/2011-დან		
ინსტიტუტი/ქვეყანა	სტუდენტთა რაოდენობა	მასპინძელი ინსტიტუტი
თსუ - საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
ბათუმი - საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
თელავი - საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
გორი - საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
ATI - აზერბაიჯანი	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
GDU - აზერბაიჯანი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
KHAZAR - აზერბაიჯანი	1	საპიენზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
GSU - სომხეთი	1	საპიენზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
GSU - სომხეთი	1	რეჟენს აუგუსტსკოლა, ლატვია
GPMI - სომხეთი	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
ASUE - სომხეთი	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, გაერთ. სამეფო
YSU - სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
YSU - სომხეთი	1	IPVC, პორტუგალია
ASAU - სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
ASAU - სომხეთი	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
II სამიზნე ჯგუფი		
საქართველო	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, გაერთ. სამეფო
	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი
აზერბაიჯანი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, გაერთ. სამეფო
	1	საპიენზას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
სომხეთი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
III სამიზნე ჯგუფი		
საქართველო	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1 (34 თვით)	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	სვანზეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, გაერთ. სამეფო
	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია
აზერბაიჯანი	1	თესალონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი

**დანართი 4. ევროპულ უნივერსიტეტებში პოსტ-დოქტორანტების მობილობა
ერაზმუს მუნდუსის სამხრეთ კავკასიის გარე თანამშრომლობის
პროგრამით**

პოსტ-დოქტორანტების მობილობა ევროპაში, I სამიზნე ჯგუფი, მობილობის პერიოდი: 1/1/2011 (6 თვე)		
ინსტიტუტი/ქვეყანა	სტუდენტთა რაოდენობა	მასპინძელი ინსტიტუტი
თსუ - საქართველო	1	რეჟენეს აუგუსტსკოლა, ლატვია
გორი - საქართველო	1	სვანსკის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი, გაერთ. სამეფო
GPMI - სომხეთი	1	IPVC, პორტუგალია
ASUE - სომხეთი	1	რუსეთის უნივერსიტეტი, ბულგარეთი
III სამიზნე ჯგუფი		
საქართველო	1	საპიენსას უნივერსიტეტი, რომი, იტალია
აზერბაიჯანი	1	თესლონიკის უნივერსიტეტი ათენი, საბერძნეთი
	1	ვრიჯის უნივერსიტეტი, ბრიუსელი, ბელგია

ლიტერატურა

თავი I. საინოვაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტიანი გართვა:

შესაქმებლობები ადგილობრივი პარტნიორობის ჩარევებში

ი. გოგოძე. ინოვაციური პროცესების შეფასება და მონიტორინგი ევროპაში. წიგნი: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: თ. შატბერაშვილი, ი. გოგოძე. ეგსიგ. თბილისი, 2010. (www.inovdev.ge)

მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: თ. შატბერაშვილი, ი. გოგოძე. ეგსიგ. თბილისი. 2010 (www.inovdev.ge)

თ. შატბერაშვილი. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია. წიგნი: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: თ. შატბერაშვილი, ი. გოგოძე. ეგსიგ. თბილისი. 2010. (www.inovdev.ge)

Afonso O., Monteiro S. and Thompson M. J. R. A growth model for the quadruple helix innovation theory. Universidade do Minho. Nucleo de Investigacao em Politicas Economicas “NIPE Working Paper”. 12 (2010) 1-21.

Andersen, P. D., Borup, M., Finnbjornsson, T., Vals, E. and Malmer, Th. Foresight in the Nordic research and innovation council systems. Riso-R-1613(EN), Riso National Laboratory, Technical University of Denmark, Roskilde, Denmark, January 2007

Breschi, Stefano and Lissoni, Francesco. Knowledge Spillovers and Local Innovation Systems: A Critical Survey. Industrial and Corporate Change, Volume 10, Issue 4, Pp. 975-1005

EUROPEAN INNOVATION SCOREBOARD 2008. COMPARATIVE ANALYSIS OF INNOVATION PERFORMANCE. January 2009, p.18 (www.proinno-europe.eu/EIS2008)

European Neighbourhood and Partnership Instrument. GEORGIA. NATIONAL INDICATIVE PROGRAMME, 2007-2010 (ec.europa.eu/world/enp/pdf/country/enpi_csp_nip_georgia_en.pdf)

European Neighbourhood and Partnership Instrument. GEORGIA. NATIONAL INDICATIVE PROGRAMME. 2011-2013 (ec.europa.eu/world/enp/pdf/country/2011_enpi_nip_georgia_en.pdf)

First Action Plan for Innovation in Europe. European Commission, 1996 (cordis.europa.eu/documents)

Forje J.W. Which way Africa? The shameful waiting for exogenous initiatives. Journal of International Science and Public Policy. Great Britain, Vol. 12, No. 4, (August), 1985 pp. 162-63

INNO-Policy TrendChart - Policy Trends and Appraisal Report. Lithuania. European Commission, Enterprise Directorate-General, 2008. 128 pp.

Kogan, Maurice. Modes of knowledge and patterns of power. Higher Education (2005) 49:9-30

Kogan, M. and Henkel, M. Government and research: The Rothschild experiment in a government department. Heinemann Educational Books (London), 1983, 196 p.

Leydesdorff, L., Etzkowitz, H. Emergence of a Triple Helix of University-Industry-Government Relations. Science and Public Policy, Vol. 23, p.279-286. 1996.

Lithuania: Your Partner in Research and Experimental Development. Ministry of Education and Science of the Republic of Lithuania, Vilnius, 2006. 29 pp. (www.proinno-europe.eu)

Manual for Statistics on Scientific and Technological Activities. UNESCO Division of Statistics on Science and Technology, Office of Statistics ST-84/WS/12 (www.uis.unesco.org/template/pdf/s&t/STSTManualMain.pdf)

McCudden S., Smith M., Dominguez M., and Kelty Ch. Government-Funded Science: Vannevar Bush and the National Science Foundation. (<http://cnx.org/content/m14356/latest/#smith#smith>).

Presidency Conclusions. European Council, Lisbon, 23 - 24 March 2000. (www.europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm)

PRO INNO EUROPE (www.proinno-europe.eu/trendchart/annual-country-reports)

Science and Technology Collaboration: Building Capacity in Developing Countries? RAND Corporation, 2001. დაბეჭდილი: World Bank (www.rand.org).

Silberglitt, R., Antón, P. S., Howell, D. R., Wong, A. (with Natalie Gassman, Brian A. Jackson, Eric Landree, Shari Lawrence Pfleeger, Elaine M. Newton, and Felicia Wu). The Global Technology Revolution 2020: In-Depth Analysis: Drivers, Barriers and Social Implications. RAND Corporation, 2006. 310 p. (www.rand.org/pubs/technical_reports/2006/RAND_TR303.pdf)

Soete, Luc. From S&T Policy to Innovation Policy: a conceptual and theoretical framework. წაკითხულია სემინარზე DESIGN AND EVALUATION OF INNOVATION POLICY IN DEVELOPING COUNTRIES, Gebze, Turkey. 6-10 December 2010

Sutz, J. and Arocena, R. Integrating Innovation Policies with Social Policies: A Strategy to Embed Science and Technology into Development Processes. IDRC Innovation, Policy and Science Program Area, Strategic Commissioned Paper, April 2006

TACIS Project 123052. Creating an effective model of science administration: review of EU best practices and elaboration of policy recommendations with the Ministry of Education and Science of Georgia. თბილისი, 2007

The Innovation Union's performance scoreboard for Research and Innovation (ec.europa.eu/research/innovation-union/pdf/iu-scoreboard-2010_en.pdf)

The Rise of Technological Power in the South. Edited By Xiaolan Fu and Luc Soete, Basingstoke: Palgrave Macmillan, 2010. P. 347

World Economic Forum – Global Competitiveness Report (www.weforum.org)

თაში II. EaP და ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები

ნანა ასლამაზიშვილი. ინოვაციის მხარდაჭერი საფინანსო ინსტრუმენტები. წიგნში: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: თ. შატბერაშვილი და ი. გოგოძე. ეგსივ, თბილისი, 2010. გვ. 169-201. (www.inovdev.ge)

თამაზ ვაშაკიძე. ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში. წიგნში: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. რედაქტორები: თ. შატბერაშვილი და ი. გოგოძე. ეგსივ, თბილისი, 2010. გვ. 221-244. (www.inovdev.ge)

მადონა სუსკივაძე. მცირე ბიზნესის განვითარება დასავლეთ საქართველოს ხისდამამუშავებელ მრეწველობაში. ეკონომიკის დოქტორის წოდებაზე წარდგენილი დისერტაცია. სპეციალობა: მიკროეკონომიკა და მარკეტინგი. ხელმძღვანელი: პროფესორი რამაზ ნამიჭიშვილი. ქუთაისი, 2010. (www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro-disertacia/disertacia_khuskivadze.pdf)

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (1994)

საქართველოს კანონი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ (2006)

A new response to a changing Neighbourhood. Joint Communication to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Brussels, 25/05/2011, COM(2011) 303

An Integrated Industrial Policy for the Globalisation Era. Putting Competitiveness and Sustainability at Centre Stage. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions {SEC(2010) 1272} {SEC(2010) 1276}. COM(2010) 614

Bologna Charter: Enhancing the competitiveness of SMEs in the Global Economy. OECD. The 1st Ministerial Meeting in Bologna, 14 -15 June, 2000.

Community framework for State aid for research and development [Official Journal C 323/1 of 30.12.2006]. (europa.eu/legislation_summaries/competition/state_aid/126078_en.htm)

EU Competition law: Rules Applicable to State Aid. Situation as at 1 March 2011. COMPETITION HANDBOOKS. Brussels, 2011. (ec.europa.eu/competition/state_aid/legislation/compilation/state_aid_11_03_11_en.pdf).

Europe 2020. Flagship Initiative: Innovation Union. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. SEC(2010) 1161. COM(2010) 546 final

European Charter for Small Enterprise (ec.europa.eu/enterprise/policies/sme/files/charter/docs/charter_en.pdf)

Exploratory Team Report on High-Growth Innovative SMEs. PRO INNO Europe, 3 May 2007, p.2 (www.proinno-europe.eu/admin/uploaded_documents/high-growth_innovative_SMEs.pdf)

First INNO-Views Workshop: Supporting “gazelles” in Europe. 26 - 27 April, 2007, Tallin (www.proinno-europe.eu/events/first-inno-views-workshop-supporting-gazelles-europe)

HANDBOOK ON COMMUNITY STATE AID RULES FOR SMES, INCLUDING TEMPORARY STATE AID MEASURES TO SUPPORT ACCESS TO FINANCE IN THE CURRENT FINANCIAL AND ECONOMIC CRISIS (ec.europa.eu/competition/state_aid/studies_reports/sme_handbook.pdf)

Innovation Union Competitiveness Report 2011 (ec.europa.eu/research/innovation-union/index_en.cfm?section=competitiveness-report&year=2011)

Practical aspects regarding the revision of EU instruments to support SME finance in the next programming period. European Parliament . Texts adopted Wednesday, 16 February 2011, Strasbourg, P7_TA-PROV(2011)0057 - (B7-0096/2011).

Small Business Act (Public Law 85-536, as amended) (http://www.smallbusinessnotes.com/small-business-resources/small-business-act.html)

Small Business Innovation Development Act of 1982 (P.L. 97-219)

Small Business Technology Transfer Act of 1992 (P.L.102-564, Title II) (olpa.od.nih.gov/legislation/107/publiclaws/plsbtt.asp)

Small Business Jobs Act of 2010 (www.sba.gov/content/small-business-jobs-act-2010)

SME definition. Recommendation 2003/361/EC (1 January 2005) (ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/sme-definition/index_en.htm)

Takao Suzuki. Global Trends in SME Support Policy: Universality and Diversity. Keynote Speech at 34th International Small Business Council, Bangkok, 11 November, 2007. (<http://www.isbc2007.org/isbc/upload/6725.pdf>)

The Bayh-Dole Act at 25. BayhDole25, Inc., April 17, 2006 - www.bayhdolecentral.com/BayhDole25

The European Charter for Small Enterprises (<http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/best-practices/charter/>)

The SME Performance Review; The Report on European SMEs; SBA fact sheets. (http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/performance-review/index_en.htm)

The US Bayh-Dole Act (Public Law 96-517)

“Think Small First” - A “Small Business Act” for Europe. Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions - COM/2008/0394 final. (შესწორებები - 23.2.2011. COM(2011) 78 final).

თავი III. სამკაფელო საკუთრების დაცვა

http://www.wto.org/english/tratop_e/trips_e/t_agm0_e.htm

M.Blakeney, Trade Related Aspects of Intellectual Property Rights: A Concise Guide to the TRIPs Agreement, Sweet and Maxwell, London, 1996

http://ec.europa.eu/internal_market/indprop/docs/rights/communication_en.pdf

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6967>

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6563>

http://www.epfound.ge/files/report_final-_enp-epf_03.15.11_4.pdf

ო. შატერაშვილი. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი, ფრიდრის ებერტის ფონდი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, ქორთეიდი. 2007, 114. http://enp.ge/data/file_db/download/EndlayoutGEO_O1CVNfwqj.pdf

ინტელექტუალური საკუთრება, (IP Reading Material, WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2001, 15 http://sakpatenti.org.ge/files/_86_730923_book1.pdf

R.G.Lipsey and A.K. Chrystal, An Introduction to Positive Economics. 8th edition(Oxford:Oxford University Press, 1995):637.

www.brandfinance.com/invisiblebusiness.asp

Olga Spasic, Intellectual Property, Technology Transfer and Innovation - Strategic Tools for Knowledge Based Economic Growth, WIPO National Seminar, Tbilisi, March 30, 2001

Karl-ErikSveiby26may1995,MarketValueof Intangible Assets. <http://www.sveiby.com/articles/MarketValue.html>

Karl-ErikSveiby26may1995,MarketValueof Intangible Assets. <http://www.sveiby.com/articles/MarketValue.html>

ინტელექტუალური საკუთრება, (IP Reading Material, WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2001, 25 http://sakpatenti.org.ge/files/_86_730923_book1.pdf

დ. გაბუნია, „ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და ინოვაციები“. საქართველოს მეცნიერების პოლიტიკის შეფასების ანგარიში, დანართი 4, ქართველ ექსპერტთა ანგარიშები, ევროკავშირის პროექტი, 2007, 2.

EPO Scenarios For The Future. EPO, 2007,35

World Intellectual Property Indicators, 2008, 8-10

<http://irvingwb.typepad.com> (January 2007)

http://www.xbitlabs.com/news/other/display/20110110125943_IBM_Again_Tops_Patent_Receivers_List_Gets_5000_Patents_in_2010.html(News).

http://www.thecarconnection.com/answers/101891833_2007-audi-claims-to-have-filed-9621-patents-in-creating-the-new-a6

EPO Scenarios for the future, EPO, 2007, 98

EPO Scenarios for the future, EPO, 2007, 41

Megan Barnett "Patents pending,"U.S.News & World Report, June 10, 2002 p.108 24.

<http://www.tititorancea.com/z/azithromycin.htm>

<http://www.tititorancea.com/z/azithromycin.htm>

Arlen L. Olsen, "Patents Are big moneymakers these days for companies," The Business Review-Albany.Friday, August 11, 2000

<http://www.ucop.edu/ott/faculty/bayh.html>

ო. შატერაშვილი, „სამრეწველო საკუთრების უფლებები ევროკავშირში და ინოვაციები“, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია (გზამკვლევი). თბილისი. 2010, 122. www.autm.net, www.gao.gov and www.cogr.edu

<http://ipwatchdog.com/2010/12/17/autm-survey-university-licensing-strong-despite-economy/id=13845/>

<http://www.voxeu.org/index.php?q=node/3825>

<http://www.voxeu.org/index.php?q=node/3825>

<http://www.isis-innovation.com/>

<http://www.fraunhofer.de/en/>

Kamil Idris "Intellectual Property Power Tool For Economic Growth" WIPO, 2003,184

<http://www.epo.org/law-practice/legal-texts/epc.html>

M.Singer,D.Stauder,European Patent Convention,A Commentary,V.1,Heymanns, Munich, 2003

<http://www.iusmentis.com/patents/epc/>

<http://www.euractiv.com/en/innovation/community-patent/article-117529>

<http://www.ipjur.com/blog2/index.php?/archives/19-The-EU-Community-Patent-Project-Has-Failed-Again.html>

ინტელექტუალური საკუთრება, (IP Reading Material,WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2011, 299

http://sakpatenti.org.ge/files/_86_730923_book1.pdf

<http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/designs/>

<http://www.oami.europa.eu/ows/rw/pages/RCD/index.en.do>

Council Regulation (EC) n° 6/2002 of 12 December 2001 on Community Designs

D.Musker. Community Design Law. Principles and Practice, Sweet and Maxwell, London, 2002

ინტელექტუალური საკუთრება, (IP Reading Material, WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2011

<http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/marks>

<http://consumerist.com/2010/04/these-are-the-top-10-brands-in-the-whole-wide-world.htm>

<http://oami.europa.eu/ows/rw/pages/CTM/index.en.do>

Council Regulation (EC) No.40/94 of 20 December 1993 on the Community Trade Mark

ინტელექტუალური საკუთრება, (IP ReadingMaterial, WIPO), ისმო საქპატენტი, თბილისი, 2011, 315

http://sakpatenti.org.ge/files/_86_730923_book1.pdf

G. Larson, Relevance of geographical indications and designations of origin for the sustainable use of genetic resources, http://www.underutilized-species.org/Documents/PUBLICATIONS/gi_larson_lr.pdf

http://www.ecaproject.org/archive/fileadmin/ecapll/pdf/en/activities/national/thailand/gi_bangkok_march07/passeri_protection_development_gi_worldmarket.pdf

Regulation (EC) No 510/2006 on the protection of geographical indications and designations of origin for agricultural products and foodstuffs

Regulation (EC) N 479/2008 on the common organization of market in wine

Regulation (EC) No 110/2008 of the European Parliament and of the Council of 15 January 2008 on the definition, description, presentation, labelling and the protection of geographical indications of spirit drinks

<http://ec.europa.eu/agriculture/quality/door/list.htm>

D.Gervais, The TRIPS Agreement: Drafting History and Analysis, Sweet&Maxvel, London, 2003, 3-26

<http://www.ourworldisnotforsale.org/es/node/479>

D.Gervais, The TRIPS Agreement: Drafting History and Analysis, Sweet&Maxvel, London, 2003, 27-54

<http://www.aplf.org/compulsory-licence-provisions-across-europe>

http://europa.eu/legislation_summaries/development/sectoral_development_policies/l21172_en.htm

<http://thebigredbiotechblog.typepad.com/the-big-red-biotech-blog/2011/01/pfizer-may-face-a-compulsory-license-in-india-pharmalot.html>

<http://www.globalexchange.org/countries/americas/ecuador/6661.html.pf>

http://www.wto.org/english/tratop_e/trips_e/public_health_faq_e.htm

საქართველოს საპატენტო კანონი http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=25

საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ. http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=197

საქართველოს კანონი ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ. ინტელექტუალური საკუთრება (საკანონმდებლო აქტების კრებული). საქპატენტი, 2007, 111

საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=170

Directive 2004/48/EC on the enforcement of intellectual property rights. [http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32004L0048R\(01\):EN:NOT](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32004L0048R(01):EN:NOT)

Council Regulation (EC) No 1383/2003 of 22 July 2003 concerning customs action against goods suspected of infringing certain intellectual property rights and the measures to be taken against goods found to have infringed such rights. <http://eur-ex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2007:261:0012:01:EN:HTML>

ინტელექტუალური საკუთრება (საკანონმდებლო აქტების კრებული), საქპატენტი, 2007, 174

ინტელექტუალური საკუთრება (საკანონმდებლო აქტების კრებული), საქპატენტი, 2007, 177

ინტელექტუალური საკუთრება (საკანონმდებლო აქტების კრებული), საქპატენტი, 2007, 128

Study on Counterfeiting and Piracy in Georgia (UNDP, 2010) http://www.undp.org.ge/files/24_1046_187891_counterfeiting-piracy-eng.pdf

საქპატენტის წლიური ანგარიშები (1992-2009 წ.წ.)

საქპატენტის წლიური ანგარიშები (1992-2000 წ.წ.)

საქპატენტის წლიური ანგარიშები (2000-2009 წ.წ.)

საქპატენტის 2009 წ. ანგარიში, 4-10

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია, მეშვიდე რედაქცია, ტომი 9, ისმო საქპატენტი, თბილისი, 2007, 30

საქპატენტის 2010 წ. სტატისტიკური მონაცემები

<http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/pct>

<http://www.wipo.int/patentscope/search/en/search.jsf>

საქპატენტის 2009 წ. ანგარიში, 18-20 <http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/marks/>

http://oami.europa.eu/ows/rw/resource/documents/OHIM/statistics/ssc009-statistics_of_community_trade_marks_2010.pdf

<http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/marks/>

საქპატენტის წლიური ანგარიშები (2000-2009 წ.წ.)

საქპატენტის წლიური ანგარიში (2009 წ.) 14-17

<http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/designs/>

http://oami.europa.eu/ows/rw/resource/documents/OHIM/statistics/ssc007-statistics_of_community_designs_2008.pdf

http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=133

<http://www.wipo.int/academy/en/>

<http://www.epo.org/about-us/office/academy.html>

<http://www.llm-guide.com/georgia-europehttp://www.ceipi.edu/index.php?id=5415&L=2>

<http://www.google.ge/#hl=ka&q=malme+university+intellectual+property&fp=430a671e313bac64&biw=825&bih=421>

http://www.wipo.int/academy/en/teaching/teaching_research_turin.html

თავი IV. EaP და საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში

გურამ ალექსიძე. აგრარული კვლევა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის. ეროვნული მოხსენება შუა აზიისა და კავკასიის კვლევითი ინსტიტუტების ასოციაციის რეგიონული მიმოხილვისთვის. CACAARI, ტაშკენტი, 2011.

დავით ბედოშვილი. საქართველოს სასელექციო პოტენციალის შეფასება და მისი გაძლიერების სტრატეგია. მოხსენება იკარდა-ს სემინარზე, თბილისი, 15-17 ოქტომბერი 2007.

ელენე შატბერაშვილი. ბონდო ალასანიას. აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების სისტემები და სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგადი კონტექსტი საქართველოში. ბიომეურნე, №1 (16) 2011 (ელკანა -ოქსფამი)

ო. შატბერაშვილი. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია, წიგნში: მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, რედაქტორები: ო. შატბერაშვილი და ი. გოგოძე, ეგსიგ, თბილისი, 2010.

ო. შატბერაშვილი. ევროპული საინოვაციო პოლიტიკა სოფლის მეურნეობის სფეროში. წიგნში „მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია“, რედაქტორები: ო. შატბერაშვილი, ი. გოგოძე, ეგსიგ, თბილისი, 2010 (www.inovdev.ge)

Communication from the Commission to the European Parliament and the Council. Taking stock of the European Neighbourhood Policy (ENP). *Implementation of the European Neighbourhood Policy in 2009: Progress Report Georgia*. p. 11, Brussels, 12/05/2010, SEC(2010) 518. (ec.europa.eu/world/enp/pdf/progress2010/sec10_518_en.pdf)

Putting rural development to work for jobs and growth. Special Edition Newsletter. Directorate-General for Agriculture and Rural Development, European Commission, 2005.

FP7. Official Journal of the European Union, 30.12.2006, L400/368 - 434 (<http://cordis.europa.eu/fp7/dc/index.cfm>)

Modernizing National Extension Systems: A Practical Guide for Policy-makers in Developing Countries. FAO, 2005

The Autonomous province of Bolzano. Provincial Law no. 12/April 4th 1991.

Josef Dalla Via. Research at the Research Center for Agriculture and Forestry LAIMBURG. (www.eufrin.obstpage.de/Documents/Laimburg.pdf)

Nienke M. Beintema and Gert-Jan Stads. MEASURING AGRICULTURAL RESEARCH INVESTMENTS: A Revised Global Picture. ASTI Background Note, October 2008. (http://www.asti.cgiar.org/pdf/Global_revision.pdf)

თავი V. საინოვაციო პროცესები ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში: ხედავს დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან

europa.eu/legislation_summaries/institutional_affairs/treaties/treaties_ecsc_en.htm

http://ec.europa.eu/energy/nuclear/euratom/euratom_en.htm

A European Strategy for Sustainable, Competitive and Secure Energy Commission's green paper COM(2006) 105 final

Energy 2020 A strategy for competitive, sustainable and secure energy, SEC(2010) 1346}, 52010DC0639

Communication “Energy Efficiency Plan 2011”, http://ec.europa.eu/energy/efficiency/action_plan/action_plan_en.htm

http://ec.europa.eu/energy/strategies/index_en.htm

Treaty on European Union, www.euwiki.org/TFEU

ACEA, www.acea.be

“Commission plans legislative framework to ensure the EU meets its target for cutting CO2 emissions from cars”. europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?

http://ec.europa.eu/energy/observatory/index_en.htm

http://ec.europa.eu/energy/observatory/gas/gas_en.htm

http://ec.europa.eu/energy/observatory/electricity/electricity_en.htm

http://ec.europa.eu/energy/infrastructure/ten_e/ten_e_en.htm

http://ec.europa.eu/energy/infrastructure/exemptions/exemptions_en.htm

http://europa.eu/legislation_summaries/energy/european_energy_policy/l27062_en.htm

http://europa.eu/legislation_summaries/competition/index_en.htm

Communication “Energy Efficiency Plan 2011”, http://ec.europa.eu/energy/efficiency/action_plan/action_plan_en.htm

http://ec.europa.eu/energy/efficiency/labelling/labelling_en.htm; Directive 2010/30/EU of the European Parliament and of the Council of 19 May 2010 on the indication by labelling and standard product information of the consumption of energy and other resources by energy-related products

http://ec.europa.eu/energy/efficiency/buildings/buildings_en.htm; Directive 2010/31/EU of 19 May 2010 on the energy performance of buildings

http://ec.europa.eu/energy/efficiency/end-use_en.htm; Directive 2006/32/EC of 5 April 2006 on Energy end-use Efficiency and Energy Services and repealing Council Directive 93/76/EEC

http://ec.europa.eu/energy/renewables/index_en.htm

http://ec.europa.eu/energy/renewables/electricity/electricity_en.htm

http://ec.europa.eu/energy/renewables/biofuels/biofuels_en.htm

http://ec.europa.eu/energy/nuclear/index_en.htm

http://ec.europa.eu/energy/nuclear/safety/safety_en.htm

http://europa.eu/pol/ener/index_en.htm

http://europa.eu/legislation_summaries/energy/external_dimension_enlargement/index_en.htm

http://europa.eu/legislation_summaries/energy/external_dimension_enlargement/l27074_en.htm

http://europa.eu/legislation_summaries/energy/external_dimension_enlargement/l27028_en.htm

http://europa.eu/legislation_summaries/energy/external_dimension_enlargement/l28015_en.htm

http://europa.eu/documentation/official-docs/green-papers/index_en.htm; COM(2006) 105, March 2006

http://ec.europa.eu/energy/eepr/index_en.htm; 52011DC0217

<http://www.euractiv.com/en/energy-efficiency/energy-efficiency-eus-new-action-plan-links dossier-496252>

Background Information for the European Council, 4 February 2011; http://ec.europa.eu/energy/time_to_act_en.htm

http://ec.europa.eu/energy/strategies/2010/2020_en.htm

http://europa.eu/legislation_summaries/energy/index_en.htm

http://ec.europa.eu/energy/technology/set_plan/set_plan_en.htm

http://ec.europa.eu/energy/coal/sustainable_coal/ccs_en.htm

<http://www.iter.org/>

<http://ec.europa.eu/cip/>

<http://ec.europa.eu/research/fp7/>

<http://www.entsog.eu/>

<https://www.entsoe.eu/>

http://ec.europa.eu/energy/gas_electricity/acer/acer_en.htm

http://ec.europa.eu/clima/policies/package/index_en.htm

http://ec.europa.eu/energy/strategies/2011/roadmap_2050_en.htm

<http://www.euractiv.com/en/energy/eu-wrong-prioritise-energy-diversification/article-176380>

http://europa.eu/legislation_summaries/energy/energy_efficiency/l27064_en.htm

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2011:0109:FIN:EN:PDF>

An Energy Policy for Europe, Communication from the Commission to the European Council and the European Parliament COM(2007) 1 final

http://europa.eu/legislation_summaries/energy/renewable_energy/l27065_en.htm

http://europa.eu/legislation_summaries/energy/european_energy_policy/l27079_en.htm

<http://www.londonchamber.co.uk/docimages/7052.pdf>

http://ec.europa.eu/information_society/activities/ict_psp/projects/portfolio/h4_documents/ee_cip_projects-map.pdf

<http://www.enterprise-europe-network.ec.europa.eu/about/sector-groups/intelligent-energy>

http://cordis.europa.eu/fp7/budget_en.html

European Technology Platforms; www.cordis.europa.eu/pub/technology-platforms/docs/etp3rdreport_en.pdf

<http://cordis.europa.eu/fp7/jtis/>

<http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=MEMO/07/191>

<https://www.artemis-ju.eu/> www.eniac.eu; <http://www.eniac.eu/web/aeneas/reportCBE.php>

<http://www.stabilitypact.org/energy/energy-newsletter.pdf>

http://www.notre-europe.eu/uploads/tx_publication/Etud76-Energy-en.pdf

<http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0301421504001351>

http://ec.europa.eu/energy/doc/energy_legislation_by_policy_areas.pdf

თავი VI. აღმოსავლეთის პარტნიორობა: განათლებისა და მეცნიერების როლი აზაშიანთა შორის ურთიერთობის გაღრმავებაში

ი. გაგნიძე. საქართველოს საერთაშორისო საგანმათლებლო კავშირები – ეკონომიკაში ცოდნის სამკუთხედის მოდელის ფორმირების წინაპირობა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. თბ. №2. 2011.

რ. ფუტკარაძე. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. გამომც. „უნივერსალი“, თბ. 2010.

მ. ლობჯანიძე. გერმანიაში უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდების დასაქმება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. თბ. 2010.

ფ. წიწკოლაური, ი. გაგნიძე. ინოვაციის მხარდაჭერი განათლების სისტემა ევროკავშირში, მრავალ-დონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია (გზამკვლევი). თბ. 2010.

N.Hovhannisyan, W. Keller. International Business Travel: An Engine of Innovation?, University of Colorado, 2010, PDF.

Preparations for the establishment of the Georgian National Platform for the Eastern Partnership. T. Khisadeli. (http://www.alda-europe.eu/public/doc/107-EaP_CSF_Newsletter_10-2010.pdf).

EASTERN PARTNERSHIP CIVIL SOCIETY FORUM, RECOMMENDATIONS, WORKING GROUP 4: CONTACTS BETWEEN PEOPLE, (Brussels, 16-17 November 2009); (<http://www.eap-csf.eu/en/resources/eap-csf-2009-documents/>).

NOTICES FROM EUROPEAN UNION INSTITUTIONS AND BODIES; Council conclusions of 12 May 2009 on a strategic framework for European cooperation in education and training ('ET 2020') (2009/C 119/02); Official Journal of the European Union 28.5.2009.

<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/xUriServ.do?uri=OJ:C:2009:119:0002:0010:EN:pdf>.

COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Accompanying document to the Proposal for a DECISION OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL establishing an action programme for the enhancement of quality in higher education and the promotion of intercultural understanding through co-operation with third countries (Erasmus Mundus) (2009-2013), *Extended Impact Assessment* integrating ex ante evaluation requirements, [COM(2007) 395 final], [SEC(2007)950]. http://ec.europa.eu/education/programmes/mundus/doc/sec949_en.pdf

I. Gagnidze, Education and Science as part of Georgia-Ukrainian Relationship, International Internet conference, "Formation and Development of Economy in Modern Business Conditions", April 27-28, 2011 (www.viem.edu.ua/konf); http://viem.edu.ua/konf/en_art.php?id=0601

<http://www.erasmusmundus5.gr/>

http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/

www.weforum.org

www.tempus.ge

www.geostat.ge

www.rustaveli.org.ge

რეზიუმეები

ოლეგ შატბერაშვილი

საინფორმაციო პროცესები და ქვეყნის ეფექტიანი მართვა:

შესაქმავლობები აღმოსავლეთის პარტნიორობის ჩარჩოებში

ლიბერალური დემოკრატია, როგორც ქვეყნის მართვის დღემდე ცნობილი ყველაზე ეფექტური ფორმა, ფართოდაა აღიარებული მსოფლიოში. ამავე დროს, დემოკრატიის ერთსა და იმავე საფენურზე მყოფი ქვეყნები შეიძლება სწავდასწავა საფენურზე იდგნენ მოსახლეობის „კეთილდღეობის“ თვალსაზრისით. „კარგი მმართველობა“, რომელიც საბოლოო შედეგს იძლევა, პოლიტიკური სისტემის გარდა, მართვის ხარისხზეცაა დამოკიდებული.

საესებით ვასაგებია, რომ ცოდნა, რომელიც საქმროა დემოკრატიული ქვეყნის მართვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, შორს ცდება უშუალოდ გადაწყვეტილებების მიძღვრულ ინსტიტუტებში მომუშავე ადამიანთა ჯამურ ცოდნას. დღევანდელ პირობებში ხარისხიანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღება (განსაკუთრებით გრძელვადიანი სტრატეგიის საკითხებზე), როდესაც სახელმწიფოები განიცდიან შიდა და გარე ფაქტორთა მძლავრ ზეგავლენას, შეუძლებელია სამეცნიერო ექსპერტიზის გარეშე. მისი უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ კარგად ორგანიზებულ სამეცნიერო კვლევების სახელმწიფო სისტემას, რომელიც მუდმივ საწყისებზე ფუნქციონირებს და მოიცავს როგორც ჰუმანიტარულ, ასევე საბუნებისმეტყველო და დარგობრივ დისციპლინებსაც.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ქვეყნის უკეთესი მართვის მიზნით ხელისუფლებისა და კვლევითი სისტემის (და უფრო ფართოდ, ეროვნული საინფორმაციო სისტემის) ურთიერთობის პრაქტიკას. სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორ ვითარდებოდა სახელმწიფოსა და ცოდნის ინსტიტუტებს შორის ურთიერთობა, როგორია იგი ამჟამად და რით განსწავდებია საქართველოში მართვის პრაქტიკა მოწინავე ქვეყნების პრაქტიკისგან. განხილულია, თუ როგორ შეიძლება მართვის გასაუმჯობესებლად ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის გამოყენება.

ოლეგ შატბერაშვილი

EaP და ინფორმაციული მცირე და საშუალო საწარმოები

მცირე და საშუალო საწარმოების (მს) მიმართ ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკების დაახლოება აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის საფლაგმანო ინიციატივაა. საკითხისთვის ასეთი პრიორიტეტის მინიჭება ნიშნავს იმას, რომ მსს ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. მსს მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ევროკავშირის პოლიტიკასთან დასაახლოებლად შესწავლილ იქნა საქართველოს, ევროკავშირისა და სხვა წარმატებული ქვეყნების ინდიკატორები მსს სფეროში. დადგენილია განსწავდებები მსს მიმართ მიდგომებში. ნაჩვენებია, თუ რა ცვლილებებია განსახორციელებელი და როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ამ მიზნით EaP.

დავით გაბუნია

სამრეწველო საკუთრების დაცვა

სამრეწველო (ინტელექტუალური) საკუთრების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური და ეკონომიკური პროცესების წარმართვაში. მისი ადგილი და როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის პირობებში, რომლის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს სამრეწველო საკუთრების ობიექტები წარმოადგენს. დღეს სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი დაცვის გაუმჯობესების გზები მოქცეულია როგორც ეროვნული მთავრობების, ისე რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში, იგი წარმოადგენს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის საქართველოს სამოქმედო გეგმისა და EaP-ს საფლაგმანო ინიციატივაში „საფინანსო და ვაჭრობის სფეროში ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების“ (DCFTA) მიღწევის ერთ-ერთ პრიორიტეტს. სტატიის მიზანია გააცნოს მკითხველს სამრეწველო საკუთრების არსი, დაახასოს ამ ინსტიტუტის მზარდი გავლენა ევროკავშირსა და მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციურ პროცესებზე, გააცნოს აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობა. ნაშრომში მოცემულია სამრეწველო საკუთრების ცალკეული ობიექტების (გამოგონება, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა) დახასიათება, მიმოხილულია ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები, განხილულია საქართველოს კანონმდებლობა სამრეწველო საკუთრების სფეროში და ქვეყანაში მის დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობა. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია მოსაზრებები საქართველო-ევროკავშირის მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების დაცვის გაუმჯობესების გზებისა და მომავალში ამ მიმართულებით თანამშრომლობის უკეთ გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

ოლეგ შატბერაშვილი

EaP და საინოვაციო პროცესები სოფლის მეურნეობაში

საქართველოსა და ევროკავშირში ეკონომიკური პოლიტიკების დაახლოება, რაც EaP მეორე (ეკონომიკური) პლატფორმის ამოცანას წარმოადგენს, შეუძლებელია ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განხილვისა და საქართველოსთვის ანალოგიური პოლიტიკის შემუშავების გარეშე. საქართველოს ამჟამად ასეთი პოლიტიკა არ გააჩნია, რეალური პროცესი, რომელიც სოფლის მეურნეობაში საერთოდ და, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო სისტემაში მიმდინარეობს, რადიკალურად განსხვავდება ევროპულიდან. მიუხედავად თვალსაჩინო მიღწევებისა, ევროკავშირში თვლიან, რომ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს, უპირატესად ინოვაციისა და მდგრადობის მიმართულებით, რათა უზრუნველყოს ახალ გამოწვევებს, როგორცაა: მდგრადი განვითარება კლიმატის ცვლილების პირობებში; ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება; სურსათზე ფასების ზრდა; ბიოსაწვავის წარმოების აუცილებლობა და სხვა. შემდეგ ათწლეულში გაიზრდება ფერმერებისთვის დახმარება საინოვაციო ღონისძიებების მიმართულებით, როგორცაა გარემოსდაცვითი, სურსათის უვნებლობა-უსაფრთხოების და სხვა სტანდარტების დაცვა. გაძლიერდება სოფლის განვითარების (არა სასოფლო-სამეურნეო) საინოვაციო

ლონისძიებები. ასეთი სცენარი ზრდის საინოვაციო სისტემის ყველა კომპონენტის – განათლების, კვლევის, კომერციალიზებადი ცოდნის დაგროვებისა და წარმოებაში გადაცემის მნიშვნელობას. საქართველოში საინოვაციო სისტემის არსებული კომპონენტები, ყველა პარამეტრით, დეგრადაციას განიცდის (კვლევითი ორგანიზაციები, საცდელი მეურნეობები), ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელი ახალი კომპონენტები (სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახური) არ იქმნება. ტენდენცია ვეროპულ და მსოფლიო პრაქტიკას, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს ეწინააღმდეგება. ამის გამო არა მარტო ევროინტეგრაციის, არამედ სოფლის მეურნეობის აღორძინების შესაძლებლობები დგება კითხვის ქვეშ. ევროკავშირში, ქვეყნებისა და რეგიონების დონეზე, საქართველოსთვის სასარგებლო მრავალი მოდელი არსებობს. მათ შესასწავლად EaP შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ.

თავაზ პარსაგიშვილი

საინოვაციო პროცესები ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში: ხედვა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან

განხილულია ენერგოუსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხების შესახებ დასავლეთისა და აღმოსავლეთის თვალსაზრისები.

ევროკავშირის პოლიტიკა ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და სორციელდება ევროკავშირის დაარსებიდან. ეს პოლიტიკა ევროკავშირში შემომავალი ქვეყნების მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა. 1957 წლიდან დაწყებული ევროკავშირში შემოვალმა ქვეყნებმა ჩამოაყალიბეს სრულყოფილი ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგია. ენერგოუსაფრთხოება, როგორც ენერგეტიკის განვითარების ორგანული ნაწილი, ევროკავშირის პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის დარგში განდა ბევრად უფრო დასვეწილი, განსაკუთრებით გარემოს მართვის თვალსაზრისით. ამ კუთხით გამოსატული ინიციატივები მიმართულია გლობალური დათბობის პროცესების წინააღმდეგ და მათი რეალიზება უდაოდ მიმართულია მსოფლიოს სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. ევროკავშირი ქმნის შიდა ენერგეტიკულ ბაზარს, აფართოვებს ენერგობაზარს მეზობელი ქვეყნების ჩართვით ევროკავშირის შიდა ენერგობაზარში, სამეზობლო პოლიტიკით ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნების ინტეგრაციას ევროსივრცეში, როგორც ზოგადად პოლიტიკურად, ასევე კერძოდ, ენერგეტიკის დარგში.

აღმოსავლეთის თვალთახედვით სიტუაცია აშკარად განსხვავებულია. ენერგეტიკის პოლიტიკა არ უნდა განხილვოდეს ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური სფეროს, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინების გარეშე. სამწუხაროდ, ქვეყანაში ენერგეტიკის სფერო ვითარდება პრიორიტეტების არარსებობის ფონზე. როგორც შედეგი – ეკონომიკური პოტენციალი დაბალია, განვითარების პერსპექტივები – საეჭვო. ზოგადად, ენერგეტიკასთან დაკავშირებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ ქვეყანა მიზნად ისახავს მოახდინოს მოპოვებული ელექტროენერჯის მხოლოდ ექსპორტი და არ გამოიყენოს საკუთარი წარმოებების

განსავითარებლად. ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ენერგოტექნოლოგიური წარმოებების განვითარება და მიღებული პროდუქციის ექსპორტი, იგივე ევროკავშირში, ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე ელექტროენერჯის ექსპორტი.

ინეჯა გაცნიქა

აღმოსავლეთის პარტნიორობა: განათლებისა და მეცნიერების როლი ადამიანთა უორის ურთიერთობის ბაღრმავებაში

კვლევაში განხილულია განათლების ევროპული პროგრამები, მათი მართვის ზოგადი სტრუქტურა და სამოქმედო მიმართულებები. ევროკომისიის დოკუმენტების განხილვის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობა განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით არის „ევროპა 2020“ განათლების პოლიტიკის ნაწილი, მასთან შესაბამისი და თავსებადი.

შესწავლილია საქართველოს ევროპის საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირები. აღწერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები, სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები, მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები, საკონფერენციო გრანტები, ახალგაზრდა მეცნიერთათვის გრანტები და საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა მიმართულებები.

კვლევაში გაანალიზებულია ერაზმუს მუნდუსის პროგრამა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები), პოსტ-დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალის მიხედვით. პროგრამაში მოცემულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მონაწილეთა გეოგრაფიული განაწილება სამიზნე ჯგუფების, მონაწილე და მასპინძელი უნივერსიტეტების მიხედვით. გაანალიზებულია აღმოსავლეთის პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებიდან მობილობის მაჩვენებლები 2004 წლიდან.

კვლევაში აღწერილია ტემპუსის პროგრამის პროექტები საქართველოში. მათ შორის 2010 წელს საქართველოში მიმდინარე ტემპუსის პროექტები. მათში მონაწილე უნივერსიტეტები საქართველოდან და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან. მოცემულია ინფორმაცია ტემპუსის მიერ აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში 2010 წელს შერჩეული პროექტების შესახებ.

გაანალიზებულია სტუდენტთა მობილობის მონაცემები საქართველოსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში, სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, ასევე აზია-აფრიკის ქვეყნებში.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემა დახასიათებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მაჩვენებელთა სისტემის საშუალებით.

Oleg Shatberashvili

INNOVATION PROCESSES AND EFFICIENT COUNTRY MANAGEMENT: OPPORTUNITIES WITHIN THE FRAMEWORK OF EASTERN PARTNERSHIP

Liberal democracy as the most efficient today form of country management is widely recognized in the world. At the same time, countries being at the same level of democracy may differ in terms of the population wellbeing. "Good management", which yields the end results, in addition to a political system is also dependent on the quality of management. It is quite understandable that knowledge, which is necessary for ensuring a democratic country management and sustainable development, far exceeds the total/summary knowledge of people directly engaged in decision-making institutions. The quality decision-making under the present-day conditions (especially on the long-term strategy matters), when the states are strongly influenced by the internal and external factors, is impossible without a scientific expertise. This can be ensured only by the well-organized government scientific research system, which functions on a regular basis and encompasses humanities, as well as natural science and sectoral disciplines. This article is dedicated to the practice of interrelation of the government and the research system (and broadly of the national innovation system). It demonstrates how the relationship between the State and the knowledge developed, what it is today, and how the Georgian management practice differs from that of advanced countries. Also discussed is the opportunity of using the EaP programme for improvement the local country management.

Oleg Shatberashvili

EaP AND SMALL AND MEDIUM INNOVATIVE ENTERPRISES

The political rapprochement of policies of the European Union and Member Countries towards small and medium enterprises (SMEs) is the lead initiative of the Eastern Partnership Programme. Such prioritization of the issue means that SMEs are the cornerstone of the economic policy of the European Union. For purposes of rapprochement of the government economic policy to the EU's economic policy, indicators in the sphere of SMEs of Georgia, EU and other successful countries have been studied. The differences in approaches to SMEs have been identified. The changes to be made and the ways of using the EaP for the purpose are demonstrated.

D. Gabunia

PROTECTION OF INDUSTRIAL PROPERTY

Industrial property protection acquires a special importance in the management of innovation and economic processes. Its place and role has become particularly apparent under conditions of a science-based economy, the principal constituent elements of which are industrial property objects. Today, the problems related to industrial property and the ways of its protection improvement are in the focus of attention of both national governments, as well as regional and international organizations and constitute one of the priorities of completion of the Georgia Action Plan of the European Neighbourhood

Policy and the EaP's Flagship Initiative "Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA)". The article aims at familiarizing the reader with the essence of industrial property, demonstrating him/her the growing impact of this institution on the ongoing innovation processes in the EU and all over the world, acquainting the existing in Georgia situation in connection with the mentioned sphere. The work describes individual objects of industrial property (inventions, industrial designs, trademarks, geographical indications), reviews international agreements operating in the sphere, as well as Georgian legislation on industrial property and activities relating to its protection in the country. In addition, the work provides views and opinions concern the ways of improvement the local protection of industrial property in the framework of Georgia-EU cooperation and the opportunities of of better use of such cooperation in this direction in the future.

Oleg Shatberashvili

EaP AND INNOVATION PROCESSES IN AGRICULTURE

The rapprochement of economic policies between Georgia and the European Union, which represents an objective of the second (economic) platform of EaP, is impossible without consideration of the EU's agricultural policy and development of a corresponding policy for Georgia. At present, Georgia lacks such a policy. The realistic process ongoing in agriculture, in general, and in the agricultural innovation system, in particular, differs radically from the European one. Notwithstanding obvious achievements, they, in the EU, believe that the *uniform agricultural policy* needs to be changed, mainly in the direction of innovation and sustainability, so that it could meet new challenges, such as: the sustainable development under conditions of climate change; the development of organic agriculture; the escalating prices on food products; the necessity of biofuel production, etc. The next decade will see an increase in the assistance to farmers in the direction of innovation activities, such as the compliance with the environmental, food safety and security, and other standards. The innovation activities in rural development (not agricultural) will be enhanced. Such a scenario increases the importance of all components of an innovation system: education, research, the accumulation and transfer into production of commercialized knowledge. The components of the innovation systems available in Georgia are degrading by all parameters (research institutions, demonstration farms), whereas under a market economy conditions new necessary components (e.g. agricultural advisory service) are not created. This trend runs counter to the European and world practice, and recommendations of international organizations. Because of the above, the possibilities of not only the European integration but also of the revival of agriculture are called into question. In EU, at the national and regional level, there are many useful for Georgia models. The EaP can be successfully used for studying them.

Tamaz Marsagishvili

INNOVATION PROCESSES IN ENERGY SAFETY AND ENVIRONMENTAL MANAGEMENT: VIEWS FROM WEST AND EAST

The western and eastern views on the matters of energy safety and environmental protection are considered. The European Union's policy in the energy safety and environmental management is an integral part of the EU's energy policy being implemented since the establishment of the EU. This

policy is a logical continuation of the policy of the second half of the 20th century of 20 Member States of the EU. Since 1957, the EU Member States have established a comprehensive energy safety and security policy strategy. Energy safety, as an organic part of power engineering development, is one of the key issues of the European Union policy. Lately, the EU energy policy has improved, particularly from the environmental protection standpoint. The related initiatives are aimed at combating the global warming process and their implementation is certainly targeted to protection of the world's vital interests. The EU creates an internal energy market, widens the energy market by involving neighbouring countries into it, and facilitates their integration into the European space, both politically and energetically. From the eastern view, the situation is obviously different. The energy policy should not be considered in isolation from the country's economy, social sphere, and the vital interest of the population. Regrettably, the energy sector is developed in the country against the background of the lack of priorities. As a result, the economic potential is rather low, development prospects – rather dim. In general, in connection with the power engineering it can be said that the country aims at exporting the produced electricity rather than use it for development of own industries. Proceeding from the country's economic interests, the development of power-consuming industries and exports of the produced goods to the same EU seems to be more profitable than the electricity exports.

Ineza Gagnidze

EASTERN PARTNERSHIP: THE ROLE OF EDUCATION AND SCIENCE IN THE INTENSIFICATION OF PEOPLE-TO-PEOPLE CONTACTS

The study deals with the European educational programmes, the general structure of their management and activity directions. Based on the consideration of European Commission instruments, it is substantiated that the Eastern Partnership in the direction of education and science is part of the "Europe 2020" education policy, complying and compatible with it. The basic educational and scientific unions/associations of Georgia participating in the European educational programmes are studied. The main directions of international cooperation of the Shota Rustaveli National Science Foundation, the national scientific grants, short-term individual travel scientific grants, international cooperation of grants for young scientists, and other directions are described. The study analyzes the Erasmus Mundus programme addressed to students (bachelor, master, doctorate), post-doctorate fellows and academic staff. The programme provides geographic distribution according to target groups, participating and host universities. The mobility indicators for the countries participating in the EaP are given since 2004. The study describes the Tempus programme projects in Georgia, including the 2010 Tempus programme projects ongoing in Georgia, the participating universities from Georgia and East partnership countries. The study provides the data on the projects selected by Tempus in 2010 in the East Partnership countries. The student mobility data are analyzed for Georgia and East Partnership countries, the USA and European countries, as well as for the Asian-African countries. The education system of the EaP countries is characterized by means of the Global Competitiveness Index (GCI) of the Global Competitiveness Report prepared by the World Economic Forum.



ოლეგ შატბერაშვილი - ფილოსოფიის დოქტორი. სარისნი დაიცვა ლაზერების ფიზიკაში პ. ლებედევის სახ. ფიზიკის ინსტიტუტში, ნობელის პრემიის ლაურეატის ნ. ბასოვის ხელმძღვანელობით (1973). 90-მეტი ნაშრომის ავტორი ფიზიკაში, მეცნიერებათმშობელობაში, სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციასა და სამეცნიერო/საინოვაციო პოლიტიკაში. ჟურნალების „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია“ (VINITI) და „ინფორმაცია და ინოვაცია“ (ICSTI) სარედაქციო კოლეგიის წევრი. რიგი პროექტის ხელმძღვანელი და მონაწილე: „საქართველოს მეცნიერების ინდექსი“; „საქართველოში საპატენტო საქმიანობის განვითარების კონცეფცია“; „საქართველოს პარლამენტის კვლევითი სამსახურის ჩამოყალიბება“; „საქართველოში კვლევითი ორგანიზაციების განვითარება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ და სხვა. ამჟამად და წარსულში რიგი საერთაშორისო და ეროვნული პროფესიული ორგანიზაციის პრეზიდენტი და მმართველი საბჭოს წევრი: ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაცია; სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი; ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია; ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის და სხვა. 1976-2004 წლებში საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ტექნიფორმის) დირექტორი. საერთაშორისო ორგანიზაციების (UNESCO, UNIDO, FAO, GFAR და სხვა) პროექტებში - ექსპერტი.

OLEG SHATBERASHVILI - PhD in Laser Physics defended in 1973 at the P. Lebedev Institute of Physics under the leadership of the Nobel Prize Winner, Prof. N. Basov; the author of more than 90 works in physics, information management, scientometrics, information and research policies; member of editorial boards of journals *STI Processing* (VINITI) and *Information and Innovations* (ICSTI). Leader and/or participant of a number of projects: *Georgian Science Index*, *Concept of Patent Activity Development in Georgia*, *Establishing of a Business Communication Centre in Tbilisi*, *Establishing of a Parliamentary Research Service*, *Development of Georgian Research Organizations under Market Economy Conditions*, *R&D Management in Georgia under Market Economy Conditions*, *Georgian Abstracts Journal*, etc.; President and board member of a number of international and national professional organizations: *International Federation for Scientific and Technical Information*, *International Center for Scientific and Technical Information*, *Georgian Federation for Scientific and Technical Information*, *Association European Studies for Innovative Development of Georgia*, etc.; in 1976-2004, Director of the Georgian Institute for Scientific and Technical Information (TECHINFORMI); an expert in projects of international organizations (UNESCO, UNIDO, FAO, GFAR, etc.) in scientific and technological information sphere.



დავით გაბუნია - ფილოსოფიის დოქტორი, ხარისხი დაიცვა ბიოციბერნეტიკაში მოსკოვის უმაღლესი ნერვული სისტემის ინსტიტუტში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მეცნიერ მუშაკის თანამდებობებზე. 1991-1993 წწ. იყო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრის მოადგილე. მისი უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სამსახური „საქპატენტი“, რომელსაც ხათავაში ედგა 1992-2009 წწ. უშუალოდ ხელმძღვანელობდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კანონმდებლობის შემუშავებისა და საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებთან მიერთების პროცესს. აქტიურად მონაწილეობდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საქმიანობაში, არჩეული იყო ბერნის კავშირისა და ლისაბონის კავშირების ვიცე-პრეზიდენტად. არის 3 წიგნის და 40-ზე მეტი ნაშრომის ავტორი. ჩამოყალიბდა და იყო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ინტელექტუალური საკუთრება“ მთავარი რედაქტორი. არის საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი. დაჯილდოებულია ისმოს ოქროს მედლით და ღირსების ორდენით.

DAVID GABUNIA – PhD degree in bio-cybernetics defended in Moscow Neuroscience Institute; was engaged in different research institutes as a researcher; in 1991-1993 held the position of a Deputy Minister of Science and Technology; under his direct leadership, the National Intellectual Property Center of Georgia - “Sakpatenti” has been established, which he headed in 1992-2009; he personally directed the development of the institutional and legislative system of intellectual property in Georgia and the process of Georgia’s accession to international agreements; he took an active part in the activities of the World Intellectual Property Organization (WIPO); was elected Vice-President of the Berne and Lisbon Unions; he is the author of 3 monographs and over 40 works; founded was an editor-in-chief of a scientific and practical journal “Intellectual Property”; he is a full member of the Engineering Academy of Georgia; has been awarded with the WIPO Gold Medal and the Order of Honor.

თამაზ მარსაბიშვილი - თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ა. ფრუმკინის სახ. ელექტროქიმიის ინსტიტუტის (მოსკოვი) ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია ფიზ. - მათ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, და ფიზ. - მათ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად - ლ. კარპოვის სახ. ფიზიკური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (მოსკოვი). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის

მეცნიერი მუშაკი. ბოლო 25 წელი სელმძღვანელობს ამ ინსტიტუტის რ. დოლონაძის სახელობის თეორიულ კვლევათა ლაბორატორიას. არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სელმძღვანელი, ევროსაიენსისა და ამერიკული ქიმიური საზოგადოების წევრი. მიღებული აქვს 12-მდე საერთაშორისო გრანტი. არის 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ქიმიურ, ელექტროქიმიურ, ფოტოქიმიურ და ფოტოელექტროქიმიური რეაქციების კინეტიკის დარგში, კონდენსირებულ გარემოში მოთავსებული მრავალატომიანი ნაწილაკების ელექტრონულ-რხევითი და რამანის სპექტროსკოპიის დარგში, არარეგულარულ კონდენსირებულ გარემოში ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელებისა და რადიოსპექტროსკოპიის დარგში.

TAMAZ MARSAGISHVILI - after graduation from Tbilisi Javakhishvili State University and postgraduate courses in A. Frumkin Institute of Electrochemistry of the USSR Academy of Sciences (Moscow) received a PhD degree (physics and mathematics) at I. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia, and the doctor of sciences degree (physics and mathematics) at L. Karpov Scientific Research Institute of Physics and Chemistry (Moscow, Russia); worked as a researcher at R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry (IICE) of the Georgian Academy of Sciences; for the last 25 years he has headed R. Dogonadze Theoretical Research Department at the IICE; is the Head of Scientific Council of IICE; member of Eurosciences, and American Chemical Society; has been awarded 12 international grants; author of over 120 published scientific works in the kinetics of chemical, electrochemical, photochemical and photo-electrochemical reactions, electronic-vibration and Raman spectroscopy of polyatomic particles in condensed media, spreading of electro-waves in irregular condensed systems, radio-spectroscopy.



ირინა გახოვსკაია - ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი (სპეციალობა - შრომის ეკონომიკა). მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტებში ბრუნელის უნივერსიტეტთან (გაერთიანებული სამეფო), პირეუსის ტექნოლოგიური განათლების ინსტიტუტთან და პირეუსის უნივერსიტეტთან (საბერძნეთი), პარიზი - 8 უნივერსიტეტთან (საფრანგეთი) ერთად. თსუ-ში ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში კითხულობს ლექციების კურსს მიკროეკონომიკისა და კონკურენციის პოლიტიკაში. მისი კვლევის სფერო მოიცავს კლასტერებს, კონკურენტუნარიანობასა და მეწარმეობას. არის 10 სახელმძღვანელოს თანაავტორი და 40 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

INEZA GAGNIDZE - Associated Professor of the Faculty of Economics and Business at Tbilisi State University (TSU); Doctor of Economics (specialization – Labor Economy); participated in several international projects with Brunel University (UK), Piraeus Technological Educational Institute and Piraeus University (Greece), University Paris – 8 (France); delivers undergraduate and postgraduate courses in microeconomics and competition policy at TSU; her research interests include clusters, competitiveness and entrepreneurship; is a co-author of 10 textbooks and the author of 40 articles.

წიგნი დაკაბადონებულია ინსტიტუტ ტექნოლოგიაში
0179 თბილისი, კოსტავას 47
www.tech.caucasus.net

დაბეჭდილია შპს კონტურში
0164 თბილისი, კარგარეთელის 8
www.countour.ge